

ISSN 0182-699 X  
საქართველოს  
საზოგადოებრივი

# გენთათობა



4

---

1988



# ენათოქი



ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფაილნომერი 64-0

№ 4

აპრილი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

ოთხი ირწლიანი — შავი და ცისფერი მდინარი. რომანი, წიგნი IV. დამასტული	3
ღამთ სულაბაძე — ლოღები (პოემა — მონოლოგები)	46
მიხო მუსაელი — მძელი მთავრის ალსასრული. მოთხრობა	53
ლია სტურა — ლექსები	64
ოთარ ზალაზაძე — ლექსები	67
გიორგი საჩივხელი — ლექსები	71
გილა კიკელაშვილი — ლექსები	73
ალეხო კარკაძე — ფიქტი. მოთხრობა, თარგმნი სოხო კაიჭაძემ	75

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გურამ კანკაძე — როცა მანრი არასრულყოფილია	111
ნუგარ მუხაშვილი — „გადაარჩინეთ ჩვენი სული“	120
მეზარ კვიციანი — აპაკის მითაფორა. დამასტული	128

### მეხნიერება

ზურაბ კიკნაძე — „წარმართობა“ თუ ქრისტიანობა?	139
გურამ მინაშაძე — ღინარ ღიღოფლის ნუშის კვალზე	149
მანა კერაძე — ნათლის მსოფთაყვისაყვის ქართულ სინტორიო მწერლობაში	158

### მომონეაბი, ჟაბეაბი

ზალა ზიდაშვილი — საბჭოთა არხის ოფიცრის ჩანაწერი. ვიბრელები	163
--	-----

### წიგნების მიმონილა

ღამთ მომონი — კარგი წინადაწი	173
------------------------------	-----

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაელი, მ. გერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დონაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრულაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ნარკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. ზილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

---

## შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

წიგნი IV

V

წუხელ ზის ძირას დამეგათეულ ფარ-  
ნას რაც ბნელში თავშესაფარად და  
სახლად ექცა, ალიონზე აღტყობე-  
ბული სიცილ-ხოროციის მოჩვენე-  
ბამ თუ ავმა სინამდვილემ ისევ და  
ისევ ყველაფერი დაუნგრია, დამ-  
ფრთხალი და შეჭირვებულ-აბუზული  
ტყიდან თვალების ცეცებით გამოძვრა,  
როცა თეკლამ და მამუკამ მინდორი  
გადაირბინეს და ლამის მიღმა, დილის  
ნისლში გაუჩინარდნენ.

საიდან გაჩნდა აქ ისევ ის გოგო. ნუ-  
თუ არავინ დაიჭირეს და კაცის მკვლე-  
ლობამ ასე ჩაიარა? თუ, ვატუტი მარ-  
თლა ყოვლისშემძლეა, რომელსაც გა-  
ციმბირებულ ძმას გმირი დედმამის-  
შვილი ურჩევნია? კი, ახლა თავისი-  
ანების ბედს ის განაგებს, მაგრამ კა-  
ნონმდებლობაც ვატუტის ნება-სურვი-  
ლებზე?

ძმები ბაკურის დაბრუნებას რომ შე-  
იტყობდნენ, ჩამოვიდოდნენ, მაგრამ იმ  
გაუბედურებულ არსებას არავინ მოიწ-  
ვევდა. აქ ერთად წამოიყვანდნენ კი  
არა, იქაც არავინ დაანებებდა. ვატუ-  
ტის მამუკა სულ თავისთან უნდა იყო-

ლიოს. გმირი და ომში გამოჩენილი ახ-  
ლობელი დღეს ძალიან სჭირდება მათ  
ოჯახს. მას რაც სჭირს სჭირს და, ალ-  
ბათ, ცდას არ დააკლებენ, თუ რამენა-  
ირად შეველა შეიძლება. თუ არადა,  
როგორცაა ისეთითაც გავლენ ფონს.  
მათ საქმეს, იქნებ ასეთნაირი უფრო  
არგია, ვინემ „მამამისის ნატეხი“ ჭიუტი  
და თავისნათქვამა, ამ ცხოვრების რომ  
ვერაფერი გაუგია და სხვისი არ ეყუ-  
რება.

ის „გომბიო“ ვითომ ძალისძალით  
აეკიდათ? და ამ დილით, უთენია გა-  
მოიტყუა მამუკა, რომ მინდვრებში და  
ყანა-მდინარეზე შეშლილებს ერბინათ?  
მამუკას, თითქოს ზურგზე ბადეც ჰქო-  
ნდა, თუ რა იყო, რომ მსხლის ძირას  
დაუვარდა, როცა ერთმანეთს ხელებით  
ჩაჭიდებულნი შუაში მოქცეულ ფუ-  
ლუროიან ხეს ეხვეოდნენ.

ფარნამ რაც ქადაგიძეების ბინაში  
ნახა და მოისმინა, მას შემდეგ ამიღია.  
ნდელი ამბავი სიზმრადაც დაუჯერე-  
ბელია და ყოვლად შეუძლებელია კა-  
რგად ახდეს. ყველაფერი ქვეყნიდან,  
ერთმანეთიდან და თავიანთი თავიდან  
გაქცევას ჰგავდა და არა სიცოცხლის  
ძახილს, სიყვარულის გახსენებას, ან  
წყურვილს. ღმერთო, დაიფარე და, ასე

ცეცხლწაქცეულ სახლიდან გამორბიან, პერანგზე რომ ალი აქვთ წადებული. ასე ოტებულნი ილტვიან, უკან დაბრუნებას რომ აღარ ამირებენ...

საით გინდა წახვიდე, ფარნა ამალღობელო, შენთვის ხის ძირიც კი აღარ დარჩა, რომ შეგიფაროს. როგორ დაიჯერე, რომ წუხანდელი „შინ ყოფნა და მოსვენება“ შეგარჩებოდა?!

ეზოს ბოლომდე ფეხბაკრფით მიიპარა, რიყრაყზე აგნისებული მეზობლების ძაღლები რომ ძლივს ჩაჩუმდნენ. კბოდეს გადმომდგარ ალაგზე გადასაბიჯებლად ძველ, შემპალ ხიმის სარს მოეჭიდა, მაგრამ სადაც მავთული ჰქონდა ჩაქედლი, იქ გადატყდა. ხმაურზე ისევ აყეფდნენ ქოფაკები. შორიდან ბახულაც გამოეხმაურა. შეილები წუხელ, აღბათ დედამისთან იყვნენ თავმოყრილი. ერთად ივახშმეს და ძაღლიც იქ ტრიალებს, სადაც ძვალი და ფინჩხა დავარდება.

ეზოში ნამდაყრილი, გამარგლული, მუხლამდე სიმიინდი იდგა. ვულს შეუძლია სიხარული თუ არა, თვალს მაინც ეამება კარგი ყანა და ვენახი, ნაყოფით დახუნძლული ხე და მშობლიური ქობი...

გარედან გადარაზული ქუხნის კარი შეაღო. ყულამბრებს რომ არ დაეჭროილათ, სახელურით მალლა ასწია — თუმჩატა. ძროხა აზრუტუნდა. დედამისისეული, ჩალისფერი პატარა ძროხა. ბავშვები სკოლაში დადიან, საქონელს რას მიხედავენ, ნაყლასებს თუ მომწყვდისავენ, თორემ მანამდე ბიცოლამათი — ნინოს სადავიდარაბოა. ბარემ თავისთან გადაეყვანა და თათის საქონელთან ეყოლიებოდა რომ აქეთ-იქით არ ერბინა, მაგრამ არ შეიძლება. აქ უნდა ებას, რომ ცალკე კომლს ეწეროს, ერთ ოჯახში ორი ძროხა დაუშვებელია...

ქუხნაში ნაკელის მძაფრი სუნი იდგა. ბურულის საკვამურებიდან ჩამოეონილ ცისიერში, კერისთან ქვაბს და კეცებს ან ბუჯერზე ქოთნებსა და ჯამჭურჭელს ბნულ თუ გაარჩევდი.

თიკომ თუ არ ვააღვიძა, რა თქმა უნ-

და, კაკო და ანდრო ნაყველი, ისე ძილს თავს ვერ წაართმევენ, ფეხიდან რომ კი არა, მზეც რუხილითავე უნდა წამოვიან... ბაკურიც, აღბათ, დასაწოლად გვიან გადმოვიდა. ნეტავ, ამდენ ნათრევსა და ნაჯახიერებს, ძილი თუ მაინც შეუძლია...

ფარნამ კარი მიხურა და სამფეხა ჯორჯოზე ჩაჯდა. ცეცხლის დანთება მოუნდა... დედაჩემი უთენია ანთებდა კერისას, ზამთარი იყო თუ ზაფხულიო... რალაც ნამწვევი მუგულულები ეყარა გაქქილ ნაყარში... ბეოლების ნამურკი, ხმელი ბიისა და შავი ხურმის შეშა რომ დატოვა, როცა მიდიოდა, ბავშვებს ზამთარში იქნებ ხელი გადაეხებოთ და მჭადი გამოეცხოთ...

გაღვივებული კერია გულ-ღვიძლში გამჭოლი ტკივილის გამაყუჩებელი ბანგავით მოეთბო. არაფერი, არავითარი აღარ უნდოდა ამქვეყნად, ოღონდ ამ მზეუტავ კერისთან ასე ჯდომა ერთხანს ეცლიათ. ერთხანს, ამ ნამლევა მუგულულების დაწვამდე მაინც, რაკი ისევ და ისევ უბედურების შესახვედრად და გასამკლავებლად არავითარი ძალა აღარ შესწევდა.

ვითომ ამოსუნთქვა აცალა და ფეხდაფეხ მოჰყვა ბედი მდევარი. მისი ნაბიჯების ხმაც კი მოისმა, მაგრამ თავი არ აუღია.

კარი შემოაღო და ბაკური შემოვიდა კოჭლობით, თავდადრეკილი... „გამარჯვება“ — ჩაილაპარაკა და კერის მეორე მხარეს, ბეზიამისის დაბალ ჯორჯოზე ჩაიკეცა. თითქოს წუხელ აქვე, ერთად ყოფილიყვნენ და ამ დილით ადრე ადგომა დათქმული ჰქონოდათ.

— ვაგომარჯოს. — მამამაც ისევე ყრუდ უპასუხა და ორივე ცეცხლს ჩააჩერდა. დილიდან შუალამემდე რომ ერთად სხედან, ყოველნაირ სათქმელს მოათავებენ, მეორე დილით ისევ თავიდან ხომ არ დაიწყებენ. თუ, იმ დამით, დალილებს ფეხგაუნძრევლად ეძინათ და ისეთი არაფერი მომხდარა, სალაპარაკოდ ღირდეს.

ძალი მოაწყდა კარს და აწუწუქუნ-



და ვერც საძირკვლის ზღურბლს გად-  
მოახტა და ვერც გარეთ, აივნის სოხა-  
ნეზე დაეტია. არაფერ რომ არ გაპასუ-  
ხებია, იმან დათრგუნა და ავის მომას-  
წაგებლად მიიჩნია თუ დალოდება ამ-  
ჯობინა, შემოცინებულევით, წირთხლის  
ძირში დაწვა და მოიგვერგვა.

ფარნა ცეცხლის თხელ ალში, კე-  
რიასთან, ნაცარში ჩაყრილ შვილის გა-  
ცეთილ, გერმანულ ბათინეებს ჩასჩე-  
რებოდა. ფეხსაცმელებში სახელდახე-  
ლოდ წაედგა ფეხები, მარცხენა კოჭი  
შეხვეული ჰქონდა.

— ფეხი გიტყენია... — ისე თქვა,  
თითქოს მოწამე იყო იმ შემთხვევისა,  
მაგრამ თუ ტყვილი ამდენ ხანს გაპყ-  
ვებოდა, არ ეგონა.

- კი, ვიტყინე.
- როდის, რატომ...
- რატომ...

- ჰო, ამ ბოლო დროს...
- ცხენიდან რომ გადმოვევარდი.
- ცხენიდან?..

ისევ არაფერი უთქვამთ, თითქოს მა-  
მასაც კისრის მალეში ჰქონდა დაზიან-  
ებული, ორივე ისე მხრებში თავჩაც-  
ვენილები ისხდნენ და უნიათოდ მბეუ-  
ტავ კერძას ჩასჩერებოდნენ.

- მკლავი მოგრჩენია.
- მკლავი კი. დიდი ხანია...
- კისერი გტყვა.
- მტყვა.
- მეტად აღარ მორჩება.
- არა.

ფარნას ფეხებთან ბეოლის თავდა-  
ნაკვერჩხლებული ბუკუნტალა ჩამოგო-  
რდა და აყვამლდა.

- ლუკა ვერ დაგაბვედრე.
- ბიძაჩემი... ვერა.
- ვერც ბეზააშენი...
- ვერც ბეზია.
- ლეონის არაფერი ისმის.
- იყვენენ, გუშინ, ნორა და დედა-  
მისი.
- როგორ არიან.
- ნორა ცუდად... შენ გემადლიე-  
რებიან.
- წასვლისას გაუფარე, ამბავი ვიყო-  
ბზე.

- ჰო, თქვეს.
- მამუკა გლახადა... *არქონეშული*
- გლახად. ომს თუ *მამუკელი* დასა-  
გა, მოსკოვში უპირებენ წაყვანას.

— ის გოგო?..  
— არა, ვატუტი. თუ მაგის გუნებზე  
იქნა... მე თუ ხელი არ შევეშალე.

- შენ?..
- ტყვედ ვიყავი.
- აგერ იყავი, შავი ზღვისპირა აე-  
როპორტში და გერმანიაში თავი რაფერ  
ამოყავი?

— რა ვიცი, იქ... და, ალბათ, აქაც...  
ვიცი რა რატომ ხდება? ზოგჯერ იმ-  
დენად არაფერ შუაში ხარ, უბედურება  
რომ მოხდება, მერეც ველარ უგებ თავ-  
სა და ბოლოს.

- მერე...
- ჩვენ ტყვედ არ ვბარდებით...
- შენ ჩაბარდი?
- ეგ სულ ერთია.
- დაგკითხეს?

— ისე, სახელდახელოდ... მაგრამ იქ  
ჭერ კიდევ ომია, „ჩვენთვის“ არ სცა-  
ლიათ.

- აქ?
- ჭერჭერობით, არც აქ... ალბათ  
მოიცლიან...

- ომი მალე?..
- მალე...
- ესე იგი, ტყვედ იყავი...

გარეთ ბახულა კუთვას მოჰყვა და  
სოხანეს ფხოვნა დაუწყო.

- გახედე იმ ძალს, ცოდვია.
- ძალს?! შეშას შემოვიტან...
- ბიძაჩემი მაინც იყოს ცოცხალი...
- ჰმ...

ფარნას, ზღურბლზე გადაბიჯებისთა-  
ნავე, შემოეგება ბახულა მაგრამ ვერ  
მიეხალისა. ისე, ერთი ხელის გადასმა  
რად უღირდა — ვერ ჰქნა, გაუჭირდა.  
ვერც ძალმა „თქვა“ ვერაფერი, კულ-  
ამოთქებული გაპყვა. ბავშვებს გაულე-  
სავი ნაჭახი საშეშეზე დაეტოვებინათ,  
ჭირჭერ დარკობილი. ტყემლის ხმელი  
ტოტის გადაჭრა გაუძნელდებოდა. წა-  
მოიღო, ცეცხლზე შუა წელით დაადო  
და დაჭდა. გაუჩნდნენ. ორივემ ყველა-

ფერი კარგად იცოდა. სათქმელი არა-  
ფერი იყო.

— მაგ კისერს მეტად ვერ მართავ?

— მაღლა რომ ავიხედო, რა დავინა-  
ხო.

— თმაში თეთრი შეგრგვია.

— ჰოო?... შენც.

— მე და შენ ერთი ვართ?!

— მე თუ არ ვაგასწარი...

— შენ შენს ასაკს ომამდეც ვასწრე-  
ბული იყავი. ეს კარგს რომ არ დავმარ-  
თებდა, ვიცოდი.

ბაკურმა მხრები აიწურა. ბაკნიდან  
თავგამოყოფილ კუს დაემსგავსა. მამამ  
ახლა შეამჩნია, ბებიაშისის ზოლებიანი,  
გაქეცილი შალი ჰქონდა მოხურული.

— ვინც თავისი ხნისა იყო, რა ხეი-  
რი დააყარა.

— მართალია... ყველა დაიღუბა...

— ყველა.

— მელოდი?!

— არა.

— ვიცოდი... ყველაფერი ხომ ისე-  
დაც ვიცოდი.

— და, არ უნდა ჩამოსულიყავი...

— ჰოო?... ერთხელ მაინც არ შენა-  
ხე?..

— ჰო, ვითომ მეც ამიტომ... მეურ-  
ნობა მასწავლეს კარგად; აქ, ვითომ  
ბავშვებთან...

— აქ აპირებ დარჩენას და ამ ბავშ-  
ვების პატრონობას?

— პატრონობა... პატრონობა არავის  
შეუძლია.

— მაგრამ ჩვენ ბევრი საფიქრალი  
გვაქვს...

— პირიქით, აღარაფერი არაა საფი-  
ქრალი.

— და არაფერზე ზრუნვა არ დავგ-  
ვირდება?

— არაფერზე... ფიქრითა და ზრუნ-  
ვით თუ არ ვავაუარესებთ, ვერაფერს  
გავაუკეთესებთ.

— „ხვალემ იზრუნოს ხვალისაზე“. მაშინ  
რით განვსხვავდებით იმ ძროხი-  
საგან, ან იმ შავი ძაღლისაგან?

— არაფრით, ან იმით, რომ ჩვენ ვა-  
უარესებთ. მე რაც ვადავიტანე... კი არ  
ვადავიტანე, რაც მხრებზე მაწივს, სწო-

რედ „ფიქრისა“ და „ზრუნვისა“ გამო.

— აღამიანი, წინ კი მისი მხრებზე წი-  
ღისა...  
შინა...  
ღისა...

— უკან სვლა შეუძლებელია. თუ  
ასამდე თვლა იცი, ათამდე ვერ ჩამოხ-  
ვალ... ამიტომ, არსადაც არ უნდა წა-  
ვიდეს.

— მაგრამ, ამიტომ ასზე გაჩერდე-  
ბი?

— არც ეს შეიძლება, მაგრამ, რაც  
წინ წავა და მეტს დაითვლის, იმდენჯერ  
გაზრდის უბედურებას. რაკი იგი თავის  
დაუძინებელი მტერია. გერმანელები  
აქამდე იმედოვნებდნენ რალაცას. აღ-  
ბათ ახლაც, როცა უკვე ბერლინსაც  
ბომბავენ... ჰგონიათ, სხვაზე უკეთესად  
„ფიქრობენ“, „ზრუნავენ“ და შექმნიან  
რალაცა ისეთს, რომ ომის ბედს შეც-  
ვლიან. ახლა რომ ეს რაიმემ შეცვა-  
ლოს, ხომ წარმოვიდგენია, რა ახალი  
ჯოჯოხეთი უნდა დატრიალდეს, რომე-  
ლთანაც, რაც იყო, სახსენებელი არ  
იქნება. რომ გაჩერდეს, დაანებოს იმ  
„ფიქრსა“ და „ზრუნვას“ თავი, მისთ-  
ვისაც სჯობს, რაც სჭირს, იმას მაინც  
დასჯერდეს. ან, საერთოდ, რომ თვლა  
და ანგარიში არ სცოდნოდა, ან სულ არ  
გაჩენილიყო...

— როგორ გაჩერდეს ან როგორ გა-  
ჩნდეს?

— როგორც თვითონვე უყვეს თავი-  
ანთ, ვითომ, ავადმყოფებსა და მახინ-  
ჯებს — დაასაძურისეს.

— უარი თქვას შთამომავლობაზე?!

— უარი. მართო გერმანელებში კი  
არა, ჩვენც — კაცობრიობამ...

— თუ ბომბის შექმნაზე ვერ ამბობს  
უარს, რაკი ეს მასზე არაა დამოკიდე-  
ბული, შთამომავლობაზე უარის თქმა  
კია მის ნება-სურვილზე?

— თუ თვითმკვლელობისთვის უძ-  
ლურია...

— ესეც ხომ თვითმკვლელობაა?!

— მაგრამ შესაძლებელია.

— კაცობრიობის თვითმკვლელობაა  
შესაძლებელი?!

კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს,  
ჩვენა ვართ, თითო-თითო აღამიანი. შენ  
ოთხი შვილი გყავდა, მაგრამ ხომ შე-



იძლებოდა გეოლოგთა ცხრა. ხუთი არ გაჩინე. შეგეძლო ის ოთხიც არ გეოლოგთა, როგორც ის ხუთი. რა დანაშაულიც ჩაიდინე იმ ხუთის წინაშე, ასევე შეგეძლო ჩვენს წინაშეც ჩაგედინა. მგონია... არა, დარწმუნებული ვარ, დანაშაული შენ, ვინც ასე უბედურები გაგვაჩინე, ჩვენს წინაშე ჩაიდინე. იმათთან უფრო მართალი ხარ, ისინი ბედნიერები არიან, რაკი არ დაბადებულან... შენ, რასაც ახლა განიცდი, აქამდე რომ ბედნიერი ყოფილიყავი, მართო ამ წუთებისათვის იტყოდი უარს ამქვეყნად მოვლინებაზე. ამიტომ, არც უნდა ჩამოსულიყავი.

- არ ჩამოვსულიყავი?
- არა.
- არ მელოდი?
- კი, მაგრამ არ უნდა ჩამოსულიყავი, ისედაც ყველაფერი უნდა გცოდნოდა.

- ვიცოდი.
- მერედა, რაიმეს შეცვლი?
- ვერა...
- ვერც შენ, ვერც ვერავინ.
- ალბათ, ვერავინ...

— მე რაც ვნახე, იმის ამბად გამგონი ვერასოდეს ვერ დაინახავს მას და არც ირწმუნებს. ამიტომ კი არა, ეჭვი შეეპარება — ამის დაჭერებას ვერ შესძლებს და, რასაც ასაწევად ვერ მოერევა, იმას არც ზურგზე წამოიკიდებს. ამას გარდა, უბედურად ამიანს დაეიწყების ნიჭი აქვს, რისი მოწამეც იყო, ისიც არ ახსოვს, თორემ მას რომ იმის უნარი ჰქონდეს, ყველაფერი ახსოვდეს, რაც გადახდენია და ყველაფერს ხედავდეს, არაფრით არსებობას არ ინდომებდა. შენ რომ წინდაწინ გცოდნოდა, რაც ჩვენ გადავვხდა და მაინც მოგენდომებია ჩვენი გაჩენა, ალბათ საკუთარი შეილება მკვლელი იქნებოდი. მე თუ ვიცი, ჩემს შთამომავალს, რაც ვნახე, იმაზე უარესი ელოდება?

- უარესი შეიძლება?
- თუ კაცობრიობის განვითარება თანდათან მასშტაბურ და ამაზრუნენი ხოცვა-ჟლეტვის გაუწყვეტელი ჯაჭვია, სხვანაირად ხომ ვერ იქნება. ერთხელ

გაჩენილი რომ ერთხელ მოვედეს, ეგოთიქოს, ჩვეულებრივი კაცობრივობა რომ თუ მე, ამ წლებიდან მსაქმედაც კვლად ვკვდებოდი და ახლაც ვკვდები, იმ ერთხელ რამდენი სიკვდილისათვის გამაჩინეთ.

— და თუ სწავლის გაგრძელებაზე და რაიმე დიდ საქმეზე არ იზრუნებ, ცოლის შერთვაზე და ოჯახზეც უარს ამბობ?

— მე არა მაქვს ამის უფლება... ისე, როგორც ამის ძალა არ შემწევს.

— ლუკა აღარა... და, ამას გარდა, ავადმყოფობის დროს... თორემ არც ის იყო შურისძიებისა და ბრმად მტერთან ანგარიშის მსწორებელი კაცი... მით უმეტეს მტრის შთამომავლობის პასუხის მომთხოვნი. თუ სხვა არაფერ შეგიძლია... მე აქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ და, როგორც გიჯობდეს...

— არა, ამიტომ კი არა... „ის“ ჩვენი საძულველი ოჯახის შვილია და ბიძაჩემის დამსმენისა და დამლუპველის ჯიშის და ჯილაგი, ჩვენს ოჯახში ფეხს ვერ შემოადგამს... ეს, მე ფოთოლასაც ვუთხარი, ისე, რომ შენი აზრისთვის არ დამიცდია: შენს მშობლებს — ებრასისა და ესტატეს, არც ერთი რომ არ გაეჩინეთ, არ გერჩიათ-მეთქი? ის დაღუპული და დაკარგული ძმების სული იფიცა, ჩვენც და ისინიც რა ბედნიერი ვიქნებოდიოთ!

- და აღარ გინახავს...
- გუგუტა?
- ჰო, ვინცა?

— მაშაჩემო, ჩვენ ერთმანეთის მაინც არ გვესმის, ამიტომ გითხარი, რატომ ჩამოხვედი-მეთქი და არა იმიტომ, რომ... შენთან შეხვედრა არ მინდოდა. დიდი ხანია ყველაფერი დავამთავრე და ყველას გამოგეთხოვეთ, რაკი არც ჩვენს მონატრებაზეა რაიმე და არც სურვილზე...

— ჰოდა, ყველაფერი თავისი გზით უნდა წავიდეს.

— და ყველაფერი თუ უჩემოდ წავა და მე ისე წამიღებს არაფერში გამრევს, აქედან გამოდის, რომ მე არ ვარსებობ ან უარესი, თოჯინა ვარ, მანქანა...

— მე შშობლის ან უფროსი კაცის „სიბრძნით“ არ ვლაპარაკობ და მესმის შენი...

— ეს შენც ასე გჭირს და არ გამკვირვებია, რომ აქ არ დამხვდლი. ან, სადაც ხარ, იქ ხარ?.. ან, იცი ხვალ სად იქნები?..

— არაფერი არ ვიცი...

— არ იცი... და, ხომ არ შემეძლო ვატუტივით დამედანაშაულებინე იმაში, რაშიც ბრალი არ გედო.

— რაც თქვენ ნახეთ... რაც თქვენ, ყველამ ნახეთ და მე კიდევ, ჩემი მხრივ, ყველა ჩემი არაა? მართო შენთან და, შენზე უარეს, მამუქასთან შეხვედრა არ კმარა? ამ დილით რომ სიცოცხარხარით გარბოდნენ ის და იმაზე უარესად გაუბედურებული?..

— ჰო, ვატუტი იკლავდა თავს: ეს ხელიდან წასული რას აგვეკიდათ დედაჩემოც არაა კეთილი: ეს საბრალო, ისე გამოლენჩებულა, პირიდან ლეზვი დის, კიდევ რაიმე უბედურება არ ავითრებოსო... და, შენ, ახლა ისურვებდი მამუქას გაჩენას ან იმ გოგოს მამობას? გერმანიაში, სადაც მე ამ ბოლო დროს ოჯახს ტყვედ ვყავდი და, როგორც მონას, საქმეზეც მიყენებდნენ და ლოგინშიც... ვეზობლად, როცა ფრონტმა გადაიარა და ქვა ქვაზე არ დატოვა, მახლობელი ქალაქის ფაშისტმა კომენდანტმა, როცა ალყაში მოაქციეს და დანებება მოთხოვეს: ჯერ ცოლ-შვილი ამოწყვიტა, მერე პარლამენტისორი მოკლა და, თავი მოიკლა. ეს იქ ერთი და ორი შემთხვევა არაა. ჩემთან ერთი ისაკა შამელაშვილი იყო. ტყვეობაში ებრაელს კი არა, ქრისტიანს როგორ აწამებდნენ... და, ყოველ წუთს სიკვდილის თვალში შემყურე ბიჭს ფაშისტები არ უგინებია და უნთხევია ისე, როგორც დედამისს — საიას და მამამისს — დანიელას აბარსალუბდა ქვეყნად მისი გაჩენისათვის... არ მინდა, არ შემიძლია... მე მაკეთებინეს ის, რაც არ მინდოდა. არაფრით ცოცხალი თავით რომ არ ჩავიდნენ, ის ჩამადენინეს; ალბათ იმისთვის, რაკი გაჩენილი ვიყავი ჩემი სურვილის წინააღმდეგ და

პასუხი უნდა მეგო. დაბეჭდულია, დაემარცხებულყავ, ვეგეტეზემეფთარიე, გაველახე, დავემუხმეფთყვენი, ახხადათ ნამუსი და ახლაც დამნაშავე ვარ, რომ გმირობა არ ჩამიდენია და კაცი არ მომიკლავს. მამუქას, ალბათ, პირიქით, იქ კი არა, მგონი აქაც მოუკლავს... და ლეონის ამბავი თუ არ ვიცით, ჩვენსაზე უარესი თუ ჭირს, თორემ არა უკეთესი...

— მაშინ, ეს ბავშვები რად გვინდა?..

— ვინ ბავშვები, სადაა ბავშვი?..

— ე, ეგერ. არ იცის თუ აქა ვართ, ოდის აივანზე გადმომდგარა და შარდავს.

— არ გვინდა. თუ ჭკუას ძალას დავატანთ, არ გვინდა, მაგრამ ეს უკვე ჩვენს ხელთ აღარაა. ისინი, საუბედუროდ, გაჩენილი არიან და, ჩვენსას, ძალს რომ ლეკვები ჰყოლია, გადასაყრელად ის ვერ გაგვიშეტებიან...

— მართალი ხარ, შეილო, არ უნდა ჩამოვსულიყავი.

— თუ ცხოვრებას კიდევ აპირებ, არ უნდა ჩამოსულიყავი. ჩვენ არც მონატრება შეგვიძლია და აღარც მოსანატრებელი რამ გავგაჩნია.

— უი, ბიძია! — შეიცხადა კართან თიკომ. დოქი სოხანზე ისე უნდილად დიდგა, წაქეცა და წყალი სლოკინით დაედგარა. ფარნას წამოდგომა არ აცალა, კისერზე მოეხვია. ძლივს მოიფიქრა, ახლა ამით ჩემი თავი აღარა აქვთო და რძის ქოთანს რომ რეცხავდა, ტირილი აუვარდა. აფლიქვინებულმა ძლივს ამოთქვა:

— ვაიმე, ბაკური, ძამია, შენ რო რაიმე შუაში იყო...!

— ალბათ ვიქნები. რა მოხდა? — კუს ბაკნიდან გადმოკიდებულოვით თავი მისკენ ისე მიაბრუნა, არც გაკვირვებია, არც რაიმე შესფოთება დასტყობია.

— რა ვიცი, ძამია, წუხელიც ხომ ვამბობდით, მარა იქნება არც ქეა მართალი.

— როგორ არა, მართალი იქნება, ყველაფერი შეიძლება...

— არა, ძამია, ღმერთმა ნუ ქნას!..



— რა იყო, თიკო! — ფარნას ხმა წართმეოდა.

— გუგუტა, ბიძია, გუგუტა გამჭკალა!

— გამჭკალა?

— ჰო, არავინ იცის სადაა, რა გვეშველება, ჩვენ რომ დაგვბრაოდეს... გუ-

გუტა!.. ღმერთო მომკალე... შენი ჩემო, სვლა და იმ გოგოს ასე ჩატყუნე...  
ნიკელნი...  
ნიკელნი...  
ნიკელნი...

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი!  
ზელი ვითა იქმს ბრძნობას!  
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღს ვიყო  
ცნობასა...“

თავი მუხვი

I

მამუკა ამალობელის ტყვიით დაცხრილული და ბომბებით დანგრეული ცნობიერება, როგორც მოკვეთილი ხელ-ფეხი არავის წაზრდია, ისევე არსში წვდომის უნარწართმეული ზეიბარი რჩებოდა — უმეცრების წყევლიაღში დანთქმული, გარემოების ან პიროვნების ცივ ანარეკლად შთენილი ჭურჭელი, ჭური, რასაც ჩასძახებ მხოლოდ იმას ამოგძახებს.

სამი წლის წინ, მახაჰყალაში ფორმირებული ქართული დივიზიის პოლკის ექიმი ტაბატაძე ამ სულიერ ტრამვას ტყუილად არ ეძახდა „არგოლებად დაწვეტილი ჯაჰვისი“ თუ „საჩკის ავადმყოფობას“. თავისი დაკვირვებებითა და ჩანაწერებით, ყირიმში, სევასტოპოლთან რომ არ დაღუპულიყო, უთუოდ, ამ უბედურების დასახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება ჰქონდა აღნუსხული.

უცხო საზოგადოებაში ცოტა ხნით მამუკას გამოჩენა მაინც შეიძლებოდა. ადამიანებს უყვართ, როცა მათ, თუნდაც სისულელეზე, ეთანხმებიან და ყველაფერზე თავს უქნევენ. ერთი შეხედვით იგი თავმდაბალი, მოკრძალებული, უაღრესად თანამგრძობი პიროვნების შთაბეჭდილებასაც კი სტოვებდა. შეეძლო სრულიად უცნობის, ვიგინდარას სატირალზე ეტირა და ვილაც დამთხვეულის სიზარული მთლიანად გაეთავისებინა.

ვატუტის, ღმერთწინაშე, ცდა არ დაეშკლია. რაც შეეძლონა დარგებად დანაწიერდა და დანაჯუწდა, ვისაც კი თა-

ვის ტვინთან რაიმე პირდაპირი თუ „ირიბი“ დამოკიდებულება ჰქონდა და თუ არდაძებვის ოჯახი იცნობდა, ყველა ექიმ-მეცნიერი მოატარეს, მაგრამ არავითარი... საიმედო ვერავინ ვერაფერი თქვა. ეტყობა, რაც კვდება, კვდება. ვითომ, თითო-ორიოლა წიგნში ჩაბედული მკურნალი ექვობდა, სამედციინო ლიტერატურაში არსებობს შემთხვევები, შიშით შეშლილი შიშითვე რომ განკურნებულაო. თითქოს, რამაც დაასწეულა, იმასვე უნდა განკურნა, რა უბედურებამაც გონება დაუბნელა, იგივე ტრავმით შეიძლებოდა შეღწევა ტვინის ურთულეს ლაბირინთში და იმ დახშული კარბის გაღება, რამაც აზროვნების იმ სფეროს სარქველი დაადო და დაგმანაო... მაგრამ მამუკას, ჭერ ერთი, რომელი ჭურვის გახეთქვამ და ბომბის თავში დაკეამ დაუმსხვრია გონება, ვინ იცოდ და, მეორეც — კავკასიიდან გერმანიაშიღე, მუდამ ფრონტის წინა ხაზზე ნაბრძოლს, ალბათ იმდენი მსგავსი და, ვინ იცის, უარესი საშინელება ჰქონდა ნანახი, თუ ეს უშველიდა, აქამდე ათასჯერ უნდა ეშველა.

ეს ამბავი რომ თეკლას ყურს ჩასწვდა, როგორც ერთ დროს სიყვარული, მერე ერთგულება და, ბოლოს, ნაშუსახდილმა გამრყვნელის შურისძიება მიზნად გაიხადა, ახლა ეს გადაიქცა რწმენად და მზად იყო წამებულს ყელზე თოკი წაეჭირებინა, რომ მამუკა საყვარელი ქალის ჩამოხრჩობის შიშს შეეძრა და გათიშული აზროვნების სიბნელე ამ უბედურების ცეცხლსა და ელ-

დას გაენათებინა. ალბათ, წყალწალღებული ხავსს ეკიდებოდა, თორემ მამუკას აღარც შეიძო ჰქონდა თავისი და, თუ მართლა რაიმე შეეკრთობდა, ჯერ შენ უნდა დაზაფრულიყავი, რომ გადადებოდა. და, კაცმა არ იცოდა, თუკლას მართლა რომ თავი უფსკრულში გადაეშვა ან თოვზე ჩამოკიდებულიყო, ისიც იმას არ ჩაიდენდა.

ამის მერე, რაც მამუკას ჩამოსვლისას მკვლელობა მოხდა, ვატუტი წინააღმდეგი იყო მამა იქვე დარჩენილიყო, სადაც ეს საშინელება დატრიალდა. წინასწარ ვის შეეძლო ევარაუდა, ეს ნამუსზე და თავზე ხელაღებული გოგო კადევ რა ცოდვის დაატრიალებდა. ამას გარდა, ჯერჯერობით, არც მამუკა ვარგოდა ოჯახის შესაქმნელად და ის ქალი კი არანაირად, მათთვის კი არა, აღარც თავის თავისთვის.

ვატუტიმ მამა ჯერ საავადმყოფოში მოათავსა და ყვრიმალთან შემზარავი ჭრილობის ოპერაცია გაუკეთა (მარძაყზე კანი ააჭრეს და ნაიარევში ჩააყერეს), მერე თავისთან წაიყვანა და არდაძებვის ბინაში საკუთარი ოთახი მიუჩინა. შინაურები კი ვააფრთხილა: ფსიქიკურად შერყეულია, ნურაფერს ეტყვი, ნურაფერზე შეაწუხებთ; იქნებ ამ დასაქცევ ომს საშველი დაადგეს და მოსკოვში წაიყვანს. ახლა დროც არაა (ახალი თანამდებობის დავიდარება ჰქონდა), იქნებ სიმშვიდემ და დასვენებამ რაიმე არგოსო.

ცოლმა და სიმამრმა პირზე ბოქლომი დაიდვეს, მაგრამ მარგალიტა აღზახიშვილს როგორ ექნა, ერთადერთი ვაჟიშვილის აქაური და იქაური — ფრონტის მეგობარი სახლში ეწვა და ოთხი წლის უგზო-უკვლოდ დაკარგული მემკვიდრის აშბავი ერთხელ მაინც არ ეკითხა. იკითხა და, როგორც კი აცრემლებულმა დედამ ნოშრევანი და მათი ურთიერთობა ვაახსენა, ვაახსენა ომში გაწვევა და აქედან ერთად გამგზავრება, ბოლოს, რაც შვილის წერილებიდან იცოდა, ფრონტზე გაყვანა... იმ განწირულ ბრძოლაზე, რაც მისი გონების დანგრევა-დაქაიქებამდე და

დაბნელებამდე მოხდა, თუთონ მამუკა მოჰყვა. მოჰყვა შეკითხვებიც, მოჰყვა პასუხით, ძნელად გამოთქმული პასუხით. სანგარში რომ ერთად ჩაიმარხნენ და ლაღო ცინკაქემ და ავთანდილ ბოკერიამ გაგუდულები ამოთხარეს. თავთავიანთ ორმოებში გადაათრის. მამუკა — ავთანდილმა და ნოშრევანი — ლადომ. თუ პირიქით, რაკი მახსოვრობის ძაფი იქიდან უკვე გაწყვიტილი ჰქონდა. ამის შემდეგ შეკითხვაზე შეკითხვითვე პასუხობდა.

— მერე, შვილო, მერე? — სულ დაკარგა თავი ოთხი წლის დაკარგული შვილის დედამ.

— მერე?... — ისე უაზროდ შეაჩერა და, თითქოს დანარჩენი მარგალიტას უნდა სცოდნოდა და აქეთ ეამბნა.

— მერე ხომ ვიპატრონეს, ხომ შევიხვეყნეს ჭრილობები, ჰოსპიტალში ხომ იწვექით. ერთად აღარ მოხვდით?

— ერთად?

— ჰო, შვილო, ჰო, მამუკა, ერთად... ერთად აღარ იყავით?

— ერთად აღარ...

— ერთად გადაგიყვანეს... და მერე აღარ?

— ერთად კი...

— ეს თავიდან, მაგრამ მერე?

— მერე?..

— მერენდელი, არაფერი ვახსოვს?... ვაი, შენს დედას! — აღმოხდა ასე საცოდავად გამოლუნჩებული ნაჯარისკაცალის წამებით გამწარებულ დედას. — ვაი, ჩემი ბიჭის პატრონს და დღედაბნელებულ მარგალიტა აღზახიშვილის ქალს!

— მარგალიტა, ნოშრევანის დედა!

— ნოშრევანი, შვილო, ჩემი ნოშრევანი...

— ნოშრევანი, შენი ნოშრევანი...

— ცინკაქე?... ბოკერია?... არადაქე...

— ბოკერია... ავთანდილი... — ბოკერიას ვახსენებზე თითქოს ისიც მოავგონდა, როგორ დასტიროდა ავთანდილი ბრძოლაში დაღუპულ ბიჭებს. — ავთო მეგრულად მოთქვამდა!

— ვის, მამუკა, ვინ დაიღუპა და ვის მოთქვამდა?



— დაილუბა და მოთქვამდა...  
 — უიშე, თქვე ბედურულეზო! ვილა გაპატრონებდათ მერე შენ და ჩემს ნოშრევანს... ვინ იყო თქვენი მფარველი... მაგრამ ბოკერია ხომ ბოლომდე შენთან იყო?  
 — ლადო ცინცაძე...  
 — ლადო დაილუბა? ჩემი ბიჭი რომ დამარბული ამოათრია და თავის ორმოში შეიფარა?  
 — დაილუბა.  
 — ყველა? შენსა და ავთანდილს გარდა, ყველა?  
 — ყველა, მეც და...  
 — ვაიშე, შეილო! — იკვილა დედამ.  
 — შეენც?!  
 — ყველა: ლადო, ნოშრევანი, ლიოვა...  
 — ნოშრევანი!.. — შეიხადა ქალმა და გულგახეთქილი სკამიდან გადავიდა. კვიღზე შინამოსამსახურე, ცაბუნია რომ არ შემოვარდნილიყო, მამუკა წყლის მისხმასაც ვერ მოახერხებდა.  
 — რა უთხარი ამისთანა, რატო უთხარი... რატო, რატო... რა უთხარი... რა უთხარი!.. — წიოკობდა დაფეთებული გოგო და გულწასულის იატაკიდან აყვანა ვერასგზით შეძლო, სანამ მამუკამ არ წამოუსვა ხელი და აიტაცა. ცაბუნია ვერც ტელეფონზე მოაბა თავი სათქმელს, მაგრამ ვატუტის დიდი ახსნაგანმარტება არ დასკირვებია, მაშინვე მანქანით მოგრიალდა. ჰოსპიტალში, ციცოსთან გამოველო და წამოეყვანა. მალე აქლოშინებული მექიც მოვარდა და დატრიალდა ცოდვის დღე.  
 ვატუტიმ ძმა მიჩენილ ოთახში შეიხმო და თავში ხელი წაიწინა.  
 — რას მიშვრები, ბიჭო, რატომ მღუპავ, ძმა ვარ შენი, არ გეცოდები?!  
 — გლუპავ, ძმაო? მეცოდები...  
 — რა ვქნა, ბიჭო, თქვენს ხელში. იქით მამაჩემი, აქეთ შენ...  
 — იქით მამაჩემი, აქეთ მე?..  
 — ფრონტზე რომ იყავი, ბედნიერი ვიყავი... შენგან მაინც მქონდა ზურგი მაგარი... გაჩუმიდი!  
 მამუკამ თვალები დააცეცა და სიტ-

ყვა დაულეჭავი ლუკმასვეთ... გადაყლაპა.  
 — ჩამოდი და, მაშრეკე...  
 — დაახრჩვე.  
 — დავახრჩვე, მოვკალი?.. — შეშინდა და მოიქუნტა.  
 — ჰო, არა... არა... შენ არა...  
 — არა... მე არა...  
 — გადაყვევი მაგ „არას“... კიდევ კარგი, ის წაწყმედილი უპატრონო იყო, მოძულეებული ჰყავდა ქვეყანას, თვარა, მკვლელობას ასე ვინ შეგვარჩენდა... ახლა რა იყო, რომ ამირ-დამირიე ოჯახი! ხომ ვითხარი: დაწეკი აგერ, გამოიძინე, გამოისვენე, სასმელსაჭმელი არ მოგაკლდება... ეჰ... — ხელი ჩაიქნია, რაკი ძმას არაფერი ესმოდა იმისა, რაშიც ბრალს სდებდნენ. — არ შეგიძლია აქ იჯდე...  
 — შემიძლია...  
 — ჰოდა, ფეხი არ მოიცვალო, გესმის, ფეხი არ მოიცვალო! მაცალე ერთ ხანს, მერე, იქნება შენც რაიმე გიშველო... ყველა, ბიჭო!.. ყველა: დედიან, მამიან, ძმებიან-ბიძაშვილებიანად ჩემი საპატრონო ხართ და მაცალე ჩემით, ჩემი ჰკუთხე და მოხერხებით მივიკვლევ გზას ამ უთავბოლო ქვეყანაში და ფეხებში ნუ მედებთ, ბომბს ნუ შემიდებთ... ნუ დამბორკავთ, ხელფებს ნუ შემიკრავთ, იწამეთ ღმერთი!  
 — ეოწამოთ ღმერთი?.. — პირჯვრის წერა დაიწყო.  
 ვატუტი ხედავდა, ამ უაზრო, კონტუზირებულ ძმასთან თავის დავიდარაბაზე ჩივილი წყლის ნაყვა იყო. მისი ჰკუთამყოფელს არ ესმოდა, ამ გონებაწართმეულს რა გაეგო, მაგრამ მისაც უჭირდა და ვინმე ახლობლისათვის (ამას სხვას ხომ ვერ გაუმხელდა) რაღაცა უნდა ეთქვა. ბოლმას რომ არ გაეგუდა, ხომ უნდა ეყვირა, რაკი გონიერ თავისიანს ამის გაგონება და გაგება არ შეეძლო, იქნებ ამიტომაც უხსნიდა ამ ცნობიერებაწართმეულ, არსში ჩაუწყვდომელ დედამამიშვილს, რომ მას მაინც „მოესმინა“ და „გაეგო“.  
 ფრონტზე დაკეპული წითელარმიელის ოჯახის სიძობა, მართალია, ვატუ-

ტის წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ ამის თაობაზე რაიმე ოფიციალური ცნობა უნდა ყოფილიყო. ასე, ოთხი წლის წინ დაკარგული კაცი, დღეს მამუკას სიტყვაზე მკვდრად გამოცხადება, დაჯერება, დატირება და გასვენება-დასაფლავების დავიდარაბა დაგვიანებული იყო. ახლა, როცა გამარჯვება კარზე იყო მომდგარი, ომის დასაწყისში გამჭრალი ნოშრევანის „გმირულად დაღუპვა“ არაფერს შესძენდათ.

ძმა დაამუნათა, გაეციხა და აქეთ ოთახში ჩაეკეტა. იქით მარგალიტასა და მექის უმტკიცა, უფიცა და აშოშინა: რა ვქნა, დაღუპული კაცი ვარ, ძმა ქუთაზე არაა და მაგის სიტყვაზე ნურც მკვდრად ჩავთვლით და ნურც ცოცხლად. საცაა გოთავდება. ეს წარღვნა, დაწყინადება ქვეყანა და სადაც ამ უბედურებას აღდენი ხანია ვითმენთ, ცოტაც კიდევ და ყველაფერს თვითონ გავარკვევ. ჩემი ფეხით ჩავალ იმ ბრძოლის ველზე, სამხედრო არქივებსა და საბუთებს შევისწავლი, ვინმე ნორმალურს ვიპოვი, თვით ამათი მეგობარი და მეათური — ბოკერია ხომ ცოცხალია!.. იმის წყალობითაა, რომ მამუკა დაბრუნდა... იქნება არის ჭერ იმედი და თვალებს წინდაწინ თუ დავითხრით. იქნება ცოცხალია და ერთადერთ ცოლისძმას ნუ მომიკლავთ!.. — ციკოს მიატირა და აცრემლებული ცოლი გულში ჩაიკრა. მერე მარგალიტასა და მექის ერთად მოხვია ხელები და ორივეს თავი მკერდზე მიისვენა.

გულამოგლეჯილი ცაბუნია სამზარეულოში მარტომდმარტო, უნუგეშოდ დასტიროდა ასე კეთილი, ალალი, გულუბრყვილო ნოშრევანის დაღუპვას. მისგან რომ ფრჩხილისოდენა წყენა არ ახსოვდა. სახლში გვიან რომ დაბრუნდებოდა, მშვიერი დაწვებოდა და მოსამსახურეს არ გააღვიძებდა. სარეცხ ტაშტზე წაბრილი გოგოს ზურგს უკან დაეყუდებოდა და მუხლის სახსრებში უძკეროდა. ცაბუნია კი თვალს ხუჭავდა, რომ მივიხედო, შერცხვება და ერთი კვირა სახეში ვერ შემომხედავსო... სადილ-ვახშამის მზადებისას, დასიც-

ხელს რომ გულისპირი ჩაენსა, ნოშრევანს ხელში ლეკმა შეაქვდა და თვალი — ქალიშვილს დასაჯერებდა. როცა ომში გაიქცეს და დაიკარგა, მერე მიხვდა, რომ თურმე ჰყვარებია, მანამდე თავისთვისაც ვერ გაუმხელია. მას აქეთივ გულს ასკდებოდა, რომ მაშინ ვერაფერი აგრძნობინა და იმასაც გლოვობდა — აწი მისი ფეხები, ტანი და მკერდი აღარავის მოხიბლავდა.

## II

თეკლას გაგანია ცეცხლს ცეცხლი დაემატა, როცა მამუკა შოვლიყვს და წიყყინეს. მაგრამ ამისთვის ვერავის გაამტყუნებდა. ავადყოფს პატრონი ჰყავდა და იმ თავზე ხელაღებულ კახას არავინ დაუტოვებდა, ვინც ომით დაღლილი და კონტუზირებული გმირი კაცისმკვლელობაში გახვია; ვინც ჭარისკაცს ვერ უერთგულა, თავისი პატიოსნება, სიწმინდე ვერ დაიცვა და სნეული შურისძიების მორევში ჩაითრია. ისარგებლა უაზროს განუსჯელობით, რომელსაც ერთხელ თქმა დასჭირდა, რომ იქვე გაეგუდა საყვარელ ქალთან წასწრებული; როცა ამისთანა რამეს გუნებაში აქედან წასვლამდეც ვერ გივლებდა. ახლა, შით უმეტეს, არც ექვი იცოდა და არც დალატისა გაეგებოდა რაიმე. თეკლას რომ არ ებიძგებინა, მოქიშპეს ხელსაც კი ჩამოართმევდა, როგორც ჩვეულებრივ კაცი კაცს.

აფაქიძე, ალბათ, თავის სიცოცხლეში პირველად დაიბნა და პირველად ირწმუნა, ყოველნაირმა ცოდვამ ერთად მომაკითხაო. რაიმე წინააღმდეგობა კი არა, გაქცევიდაც რომ თავისთვის ეშველა, ისიც არ უცდია. ლოგინიდან წამოვარდნილმა, ვერ იქნა და შარავალში ფეხი ვერ გაუყარა.

კარზე დაკაუნება ისეთი ზუსტი და მამუკასეული იყო, თითქოს სახლიდან ახლად წასულს რაიმე დაევიწყებოდეს და ქუჩიდან მობრუნებულყო. თეკლა წამით არ შეეპყვებულა, რომ მამუკა დაბრუნდა. როგორ, რატომ, ეს შეიძ-

ლებოდა თუ არა, სასწაული იყო, მოჩვენება თუ სინამდვილე, არ უყოყმანია, ისე ირწმუნა. ეს ლალატამდე მისი ერთგულებისა და განუწყვეტელი მოლოდინის ახდენა იყო თუ ლალატის შემდეგ შურისგების გამოცხადება. ყველაფერს, როგორც დასაწყისი, ისე დასასრული აქვს.

დიდმა დრომ განვლო, რაც ბებინს სიკვდილის ელდით იატაკზე წაქცეულ, გონშიხდილ თეკლას მოძალადე დაეპატრონა. ცნობაწარმოცილი იმიერიდან ამიერს გაუპატიურებული დაუბრუნდა. სიძულელი სიყვარულზე ძლიერი, დაუნდობელი და შემშუსგრელი ძალა გამოდგა. ისე დააბნელა და დათრგუნა ქალის არსება, იმდენად დიდმა და დაუოკებელმა შურისძიების წყურვილმა და შიშვითმა შეიპყრო, მისი წარსულიან-აწმყოიან-მომავლიანად დამლუბველი და მიწასთან გამასწორებელი ვერაფერნაირი სიკვდილისათვის ვერ ვაიმეტა. თეკლას არსებობა იმდენად აუტანელი გახდა, ერთი დღის სიცოცხლის მეორე დღისთვის გადადების არ აძირებდა. ერთი დღე რომ კიდევ შვისთვის ეცქირა, ეგონა დაბნელებოდა და კაცობრიობა წყვედიადში დაინთქმებოდა. ყოველ წუთს და წამს ეჩქარებოდა მოძალადის გამოჩენა და მერე მისი სადმე გამეება ენანებოდა. გულში ჰყავდა ჩაყრული უსაძულველესი ცხოველი და ზიზღის შმაგვნებად-ქაუული მკლავებში უვარდებოდა. აჯიჯგინებდა, აწამებინებდა, ათელვინებდა თავს. თვითგვემის წყველიადით შეპყრობილი, ვაფთრებით ანადგურებდა ყოველნაირ ზნეობას და ერყვენერებოდა მოსისხლე მტერს: თვითდამცირება, თვითდასჯა, თვითფვარკმა და თავისადმი ნიშნისგება, რომ უძღური იყო ღირსეული ნაცვალგებისათვის. შხამითა და სამსალით აპირთავებულ ფილას თავზე იქცევდა, რომ სისაძაგლეს, მრუშობასა და ვერაგობას მიეცა ის ძალა, მოძალადის შიშველ, ზოზროხა, მყრალ ლეშს რომ ასო-ასო აქნიდა. აქნიდა, დაგლეჯდა, დაანაყუნებდა, მაგ-

რამ ეს ისე უნდა მომხდარიყო, სწამ უკანასკნელ მუჟა ხორეკი-ხეფილის ორად გახლეჩდა — განწმენის შემდეგ თავისი თვალით ეცქირა; ხელის დადება მძორი მრთელი არ უნდა დარჩენილიყო და ამის მოწამე ბოლომდე ყოფილიყო. სხვა, სხვანაირი ტანჯვით სიკვდილისათვის ვერ ელეოდა. ყოველი დილა იმედით თენდებოდა, ის რწმენა ასულდგმულებდა, რომ დღეის დღე უშურისგებოდ არ დაღამდებოდა. ან, თუ მაინცდამაინც დაღამდებოდა, არამც და არამც უნაცვალგებოდ არ გათენდებოდა. მხოლოდ ის ერთი ოცდაოთხი საათი იყო დარჩენილი, ყველაფერს ბოლო მოეღებოდა და ეს რომ მოხდებოდა, მერე აღარ უნდა ეარსება. და წინდაწინ ანადვლებდა არა თავისი დალუჟვა და იავარყოფა, საუბედუროდ აღარ იქნებოდა ის, ვინც უნდა დაეფლითა და დაენაკუნებინა. აღარ ეწამებოდა, აღარ შეიგრძნობდა და ქვეყნის დამქცევეც ისე მოისვენებდა, როგორც ასი და ათასი პატიოსანი და უხვარო მიცვალებული, როგორც კეთილი და ღვთისმოსავი აღესრულება ხოლმე.

ამ უკიდევანო, საშური სისხლისძიების გადაუდებლობამ, ყოველნაირი საშინელებისათვის გაუმეტებლობამ და შეუღველობამ ისე მოაყენა კარზე მამუკა, როგორც სახლიდან ახლახანს გასული და გზიდან მობრუნებული. სულთამხუთავის მოვლენა, თითქოს, განაჩენის აღსრულებას ჰკავდა და შვება უნდა ეგრძნო, რომ ბოროტსა სძლია კეთილმა. მაგრამ სამწუხაროა, რომ ყველაფერი ბოროტისთვისაც დასრულდა. დასრულდა გრძელი, თვალგაუწუნებელი ცხოვრების გოლგოთა და გაუსაძლისი წარსული, რაც იმდენ ხანს გრძელდებოდა, ამის ასე უეცარი დაბოლოება და მოკვდინებით მონიჭებული ბედნიერება, მტანჯველად უმნიშვნელო იყო. ამდენი შხამისა და გესლისმნთხეველი ურჩხულისათვის, ასე მკირე საზღაურით გასტუმრება ბრალი იყო, მილიონიან ვალს გროშით ვერ გა-

დაიხდი, ზღვის დამლევ მწყურვალს  
კიკა წყლით ვერ დაარწყულებ...

დასრულდა მოლოდინი, დასრულდა  
გვემა-წამება, მადლობა მაღალთა შინა,  
კართან აღსასრული იდგა.

— მოდი, ძვირფასო, მოდი, მამუჯა,  
მოდი — გასძახა, ძლივს შვებას ნაზი-  
არებმა, ძლივს ცის გახსნის მხილველმა.  
მაშინვე პერანგის ამარა წამოფრინდა,  
ბებიას ოთახში გაეარდა და გასაღები  
გადააბრუნა. შემობრუნებული „საყვა-  
რელს“ გვერდით უნდა მიწოლოდა, ჩა-  
ხვეოდა და ეტკირა: ღალატის თვალით  
მხილველი გმირი ჯარისკაცი თვალის  
დახამხამებაში რევოლვერს როგორ  
შემართავდა და მიჯრით გაისმებოდა  
ყველაზე საამჟური, მკვებარე ხმა, მუსი-  
კა-სარგებელი-სულთათაანა... თოი რო-  
გორ საამოდ, ნეტარებით გაივლიდა  
ცხელი ტყვიები სხეულში. გაივლიდა  
და დაიდგებოდა ტყვილი. დაინთხე-  
ოდა ტანში დაგუბებული სამსალა და  
ერთბაშად დაიბრუნებდა ყველაფერს,  
ყველაფერს, რაც დაკარგა და რასაც  
ამქვეყნად ვეღარ ეღირსებოდა. მად-  
ლობა ღმერთს, რომ ეს მამუჯას ხელით  
მონდებოდა და სასოებად ქცეული  
ტანჯვა, შვებად ქცეული ურვა, ბედნი-  
ერებად ქცეული აღსასრული მიიბა-  
რებდა, მიიჩქვამდა. თუ სიცოცხლეში  
არა, სიკვდილში ზომ მაინც ჰქონდა  
ბედი და, თუ ამქვეყნად მოსვლა ცრემ-  
ლი და გოდება იყო, წასვლით მაინც  
უნდა სწეოდა შვება-ნეტარებას.

აფაქიძის გაწვრთნილ ყნოსვას მაშინ-  
ვე ეგრძნო საკუთარი სისხლის სუნი და  
მისი ღობი სხეულისთვის უჩვეულო  
სიმარდით, თეკლას შემობრუნებამდე  
დაესწრო ადგომა. ეს, ალბათ, მოსა-  
ლოდნელიც იყო, მაგრამ სიძბდალე,  
თითქოს უჩვეულო, ამოდენა ტლუ  
ლემს ისე აძაგძაგებდა, შარვალში ფეხს  
ვეღარ უყრიდა და უმწყოდ ბორძიკო-  
ბდა. ეს იყო თვალის სეირი, რაც თე-  
კლას უნდა ენატრა და ამის ხილვამ ისე  
გაახარა, დაეიწყა, რაც კარის გაღებამ-  
დე ჩაიფიქრა. წინა ბნელ ოთახში მა-  
მუჯა რომ ფეხდაფეხ მოჰყვია, თავი შუ-

რისსაძიებელზე ადრე სასიკვდილოდ  
შენანა და სინათლეზე ეკვეციდაფე-  
თებულ, გაჭვივულ შემდეგ-ჩირჩიანს  
მიუბრუნდა, მიეგება, მიაშველა და  
მსხვერპლის აღსასრული შესცინა: ძლე-  
ულ ურჩხულს შიშველი, გაბანჯგულ-  
ლი ბრგვილი ბარძაყები უთახთახებდა  
და ძირს ჩაფენილ შარვალზე დახრილს  
ზურგი სელაპივით უბზინავდა.

ასახდენი ახდა, მაგრამ მისი დარბე-  
ული სული და სხეული ამ ორ უზარ-  
მაზარ ელდას ვერ აიტანდა, ჩატეხილ  
თავის ქალაში სისხლს ჩაუქცევდა, ია-  
ტკაზე უგრძნობლად გაშხლართავდა და  
მამუჯა რომ მას მივარდებოდა, ამ  
დროს შურისსაძიებელი შურისსაძიებე-  
ლი არ გამხდარიყო. იმ ჯოჯოხეთური,  
გამთანგავი შემოტევისათვის, ვერასო-  
დეს რომ ვერ უმკლავდებოდა, როცა  
დიდ უბედურებასთან ერთად თავს ატ-  
ყდებოდა, ახლა ერთი, ერთი, ერთი წუ-  
თით უნდა გაეძლო. უნდა გაეძლო მთე-  
ლი სიცოცხლის საფასურად. მთელი  
არსების, მთელი ძალისა და ენერჯის  
ხარჯზე...

მამუჯამ თეკლას ძირმწარე, გესლიან  
ლიმილს სარკეში არეკლილივით, ღმუჭა  
შეაგება. ქალს მის ღიმილში შხამის  
ნთხევა რომ არ ჰგონებოდა, ვერავითარ  
ძალისხმევა ვერ იხსნიდა. მაგრამ  
პირველი ზაფრა სასწაულებრივ ზეზეუ-  
ურად გადაიტანა. ამან კიდევ უფრო  
დააფრთხო, შეუძლებელს თუ შეძლებ-  
და, როგორ წარმოიდგენდა!

შურისსაძიებელი იარაღის ხმარებას  
აგვიანებდა და ამით კიდევ უფრო და-  
მეხილმა აფაქიძემ, შარვალი წელამდე  
რომ ამოიტანა და, როგორც იქნა, წა-  
მოიმართა, ხელები ზვანჯარზე შეაცე-  
და, რაკი ყურთამდე მოღებულ კარი  
ტუჩ-კბილ-ნაჭრილობევე გაღიმებულ,  
მედღებთა და ორდენებით შეჩინჩხ-  
ლულ გმირს გადაეღობა. ამ განკითხვის  
ღიმილს კაცისმკვლელებიც ერთბაშად უნ-  
და მოესრა და, გული ისე ჩაეყინა,  
გულ-გვამს ჩაბოღმა: ნატყვიარში სის-  
ხლი აღარ წამოივია, რაკი შედედდაო.

მამუჯამ ერთბაშად ყველაფერი უსი-  
ტყვოდ გაიგო და აგვიანებდა, რომ

მტარვალ ადსასრულის მოლოდინით ეწამებინა თუ, საბოლოოდ გაწყრა ღმერთი, არ იცოდა რა გზას დადგომოდა?!. თეკლას კეფში ცხელმა შანთმა გაუარა: ვაი, თუ მართლა არ იცი-სო, და იკვილა:

— რას უცდი, მამუკა!  
ყვირილზე ყვირილით უბასუხეს:

— რას ვუცდი, თეკლა..

— რატომ!.. რატომ არ ჰკლავ! — და თვითონ გაქანდა იმის შიშით, მალე გონებას დაეკარგავ, უნდა მოვასწრო და შარვლით ხელებგაკავებულ, დადამ-ბლავებულს ფრჩხილებით ყელში ეცა.

როცა, საუბედუროდ, ისევ გონს მო-ეგო და სულთმობრძავემა, როდის-რო-დის თვალი გაახილა, თავის უბედურე-ბაზე უწინ მაინც მტრის უბედურების დანახვა მოინდომა.

მისი ქვეყნის დამაქცეველი იატაკზე გაგუდული ეგღო.

### III

რა თქმა უნდა, ანგარიში არ გასწორ-და. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამ მაჯლაჯუნას მყრალი ლეშის ათასჯერ გაცოცხლება და ათასჯერ მოშობა... მაინც ვერაფერს გახდებოდა. მოკლავ-დი ამ უსულო გეამს თუ აცოცხლებდი, მძორი მძორია. თითქოს მგელი დაესა-ჯოთ იმისთვის, რომ ცხერები არ და-ინდო. ნადირი თუ ფარას ანადგურებს, უნდა მოსპო, მაგრამ შურისსძიებლად და ანგარიშის სასწორებლად ცხოველი არ გამოდგება. უამრავის, უზღვავის დამკარგავემა ცოტა, ძალიან ცოტა რამ დაიბრუნა, — შიში, რაც თეკლას გა-ჩენის დღიდან დღემდე თან სდევდა, მოულოდნელად სულთამხუთავის მოვ-ლინებამ, ჩაძალღების წინ ამ გარეწარ-საც დამართა. მაგრამ ეს ძლივს, ერთ-ხელ მოხდა. მთელი ცხოვრების მან-ძილზე ზაფრის, ძრწოლისა და ცახცა-ხის წილ — ერთხელ, ერთხელ და უკ-ნასკენლად.

მაგრამ ახლა აქ მაინც მკვლელობის

სუნი ტრიალებდა და მკვლელობა გე-ცნობიერებლად, თვითონვე მკვლავლად დანაშაულის კვალის ზეჩქმალუფრენას

უახლოესი ადამიანიც კი მიცვალე-ბისთანავე გაუცხოვდება და ცოცხალს მკვდრის გვერდით არ გაეძლება, მაგ-რამ თითქოს შეუძლებელი, მოუხდენე-ლი მოხდა: უძრავი, უტყვი, ხრწნადი ლეში უფრო ასატანი გახდა. ჩავარდ-ნილი შარვიდან ამობანჯგვლული, გა-დაყრილი, დამრუდული წვივები და მუხლს ზევით, შავი საცვლის ტოტე-ში დაუტევეარი, გარუმბული, ჭიჭკვი ბარძაყები. წელზე დადებული განიე-რი, მაძლარი ფაშვის თამთამა, ბალნი-ანი სტომაქი; ჭაგარა, დახაესებული, ამონეჭილი მკერდი მხრებთან გაჭვი-მული; მსხვილი, მაგრამ კანგადაყრული მრგვალი მკლავები, მსხვერპლგადაყლა-პული გველივით კუნთებამობერილი და მახრჩობელას ღია პირივით კოტიტა თითებმოკრუნჩხული ხელები, ისევ რომ მზად იყვნენ ვინმეს წვდომოდნენ... სქელ, თავის სიმსხო ყელზე აჩნდა თე-კლას ფრჩხილებით გამოხადენი ორი წვეთი სისხლი (ბოლოს და ბოლოს, სულ ეს იყო, რაც მისმა შურისძიებამ ავნო). ლაშებდაბერილს, პირში დაუ-ტევეარი ენა ჩაეწაგებული კბილებით ეჭირა და უბეებიდან ამოცვენილი თე-თრი თვალეზი ყველაფერს ისევ თავის საკბილოდ „უცქერდნენ“...

და მაინც, იგი ახლა მკვდარი უფრო ჰგავდა ადამიანს, მიცვალებულ ადამი-ანს, ვინემ ცოცხალი. უკვე სულაცხე-ბული, ნაკლებ საუღველი, საშიში და ამაზრზენი იყო, ვინემ სულდგმული. ახლა უფრო მოითმენდა თეკლა მის აქ დებას, ვინემ აქამდე, თუნდაც მამუკა არ ყოფილიყო.

თითქოს, ამდენი ხნის მანძილზე, დაგ-ლეჯამდე დაქიშული ძარღვები დაუწყ-და და უცებ, ერთბაშად, მოსხლეტით დაუცხრა ყოველნაირი ტკივილი, გვი-მა, შურისძიება, ზიზი... ყოველი სახ-სარი, კუნთი, უჯრედი უბეუოდა, რო-გორც მალდიდან ძალად გადმოგდებუ-ლი მიწაზე დაშვადება და სხეულის ყველა ნაწილი ერთიანად დაემსხვრევა.

ქალი გულადმა ესვენა საწოლზე და გაავლულს უტყვი, უმოძრაო თვალე-  
ბით მიშტერებოდა თავზე დამდგარ ჯა-  
რისკაცს, რომელსაც დამაშრული, და-  
ძაგრული, კბილის კბილზე მაგრად და-  
ჭერთი ყბებზე მუშტის ტოლა კუნთები  
ასხდა, კისტზე ცისფერი, მსხვილი ძა-  
რღვი უცახცახებდა, რომელიც არც აქ,  
ომამდე და, არც დაღესტანში მის ყე-  
ლზე თეკლას არ ასხოვდა. ყვრიმალთან  
პირღია ნაჭრილობებიდან ლურჯ-წითელ  
ენის წვერივით უჩანდა ამონახარდი  
თოთო ხორცი. მაგრამ იმაზე დიდი სა-  
შინელება, რაც ამწუთს აქ დატრიალ-  
და, იყო მისი თვალები, რომელთაც  
თითქოს აღარ ასხოვდათ რასაც ზედავ-  
დნენ და: დაბრუნებაც, შურისძიებაც,  
ლოგინზე გამშლართული პერანგის ამა-  
რა ქალიც და იატაკზე დაგდებული  
მკვდარიც მისთვის არ არსებობდა. ან,  
არსებობდა დაუნახავად, შეუგრძნობ-  
ლად, აღუქმელად. თეკლას, ალბათ,  
ერთხელ კიდევ ამ თვალების გამო შეეძ-  
ლო ეკვილა:

— მამუკა, შენ არ დაბრუნებულხარ?!

— მე?.. პო... არა...

— არც დაღესტანში გედგა სული,  
მე თვალდამდგარს რომ ისევ ცოცხალი  
მეგონე?!

— პო, თეკლა... დაღესტანში...

— უკან, უკან დაიწი, ნუ მიყურებ!  
ძალს რომ ცივ წყალს გადაასხამენ  
და ძუქნას დააშორებენ, კუდი ისე ამო-  
იძუა, მრგვალ მაგიდასთან ზურგიით და-  
დგა, შეშინებული ის თუ მფრთხალის  
მორჩილებით.

მამუკას ძველ, ამაღლებულ სიყვა-  
რულს თითქოს ყოველთვის ახლდა  
შემნდობი თუ ყველაფრის მომტყვებე-  
ლი, ამქვეყნიურ წვრილმანებზე ზევი-  
დან მაკეპრალი ბუნება... გრძობადაუ-  
ტეგარი ვნების ტყვე თეკლას დამკარე,  
იოლად დამყოლი, მაგრამ ხალასი  
გრძობებით უხვი და ქალთან წოლის  
დროსაც თითქოს უბიწო, სიყვარულის  
ღრუბლებიდან ფხჩამოუდგმელი. ახლა  
იგი ძალღერი, განუსჯელი ერთგულე-  
ბით შეჰყურებდა იმ ფითქინა, თეთრ  
სამყაროს, რომელიც აქედან წასვლისას

დატოვა და ვერც უხმოდ და ვერც ჩმი-  
ერად ვერ შეყმუოდა.

კუთხეში დაყენებული მამუკა მუშ-  
ვერით მოთმინებით ელოდა ახალ გა-  
ნაჩენს — მისი არყოფნის თუ არდაბ-  
რუნების დანაშაულისთვის რომ ელო-  
და. მისი ნათელდაკრულ, თაფლისფერ  
თვალებში ვითომ არაფერი შეცვლილი-  
ყო, ისე იხედებოდა გარუჯულ-დამაშ-  
რული სახის ფონზე გამოხუნებულ-  
შენატრუსი წარბების ქვემოდან. მრგვალ  
მაგიდასთან მიბმულივით მისჩერებოდა  
და დაეინებით უცქეროდა. ხედავდა იმ  
საწოლს, რაზეც ქალი იწვა; იმ კარადას,  
რომელზეც საწოლი იყო მიდგმული. იმ  
ჭერს, სადაც წყლის ჩამონაყონი „ჩალ-  
მიანი არაბი“ ისევ ისე „ეხატა“;  
მკვდარს, ცოცხალს და... არც თვალე-  
ბი, სახის არც ერთი ნაკვთი არაფერს  
გამოხატავდა. უნდა განარებოდა ეს,  
თუ უნდა სწყენოდა... არც დაეიწყე-  
ბულის, ერთ დროს სანუკვარის, გახსე-  
ნების სურვილი ან ამ სურვილის და-  
კარგვის წუხილი, ამწუთას მომხდარი  
უბედურების სინანული, ან შერიგების  
სიხარული... თითქოს სხვის, გაქეპილ  
წარბებს ქვევით, წვრილ ნაოქშენეულ  
გუგებში ზუსტად მამუკას თვალების-  
ფერი შუშები ჩაესვათ, რომლის იქიდან  
შეეძლო ყველა მსურველსა და ცნო-  
ბისმოყვარეს გამოეხედა და პატრონს  
— ველარასოდეს.

სად ჰქონდა სასოწარკვეთილ თეკლას  
ამის დრო, ან საიდან განინდა ზიზღი-  
რევი საცოდაობის გულისამრევი გრძნო-  
ბა და შიში... არა მკვდრის მიმართ, არა  
ჩადენილი დანაშაულის მიმართ, არა  
სასჯელისა და წამების მოლოდინისა...  
შიში ცოცხლად დაღუპულისა, მოძრა-  
ვი მკვდრისა; ერთ დროს უსაყვარლესი  
ადამიანისა, უახლოესისა, ყოველ წამს  
სასურველისა, პაერივით საჭირო და  
შეუღეველისა...

მამუკას მიმართ შიში და ზიზღი?..

თეკლას ისე მოუნდა ეკვილა, ცისა  
და მიწისთვის გაეგონებინა, მაგრამ  
არც ხმა ჰქონდა, არც გამგონი და გამ-  
გები ეგულეობდა.

ვის ჯანდაბას ჰყავდა მამალი ამ ქა-



ლაქის შუაგულში და ისიც ომის დროს? საიდანღაც, შორს, ქვეყნის კი- დიდან, ყოელი მოისმა, თითქოს ამ- ქვეყნიურის ყრუ ძაბილი, დაღამება- გათენების წესი, სიბნელისა და სინათ- ლის არსებობა; ყოფნა-არყოფნის კანო- ნი, რომელიც რკინის ხელით გვმარ- თავს.

ქალმა საწოლიდან თავის გადმოკი- დება შეძლო და ისევ იატაკზე დაზვა- ვებულ მშორს დააჩერდა.

— ამ ლემს რა ვუყოთ? — თავის თავს უფრო ჰკითხა, რაკი გამგონი და რჩევის მიძეცეში ამქვეყნად არა და არ ჰყავდა.

— რა ვუყოთ? — ასევე, პასუხის არმომლოდინედ იკითხა მაგიდასთან ატუხულმა.

— თავის ბუნაგში არ უნდა გავათ- რიოთ? — და, უნებურად, ყრუ ქე- დელს შეხედა, ადამიანი ყოველგვარ საზრუნავს რომ მორჩება და ხელეზს დაიბანს, ისე.

— უნდა გავათრიოთ... — ჩაესმა თა- ვისივე ნათქვამი, მაგრამ, საუბედუ- როდ, უკვე სხვანაირად აღარ მოხდე- ბოდა, იცოდა.

ამის თქმა და ყველაფრის თვალის- დახამბაებაში მოგვარება ერთი იყო. ან როგორ შემოსა მკვდარი ისე სწრა- ფად, რომ ერთი დილი შეუბნეველი არ დარჩენია. როგორ მოიგდო ზურგზე და უჩუმრად, თითის წვერებზე როგორ გაიტანა, როგორც ბებერი მესაფლავე, კუბოს რომ დაუხმარებლად, გულგრი- ლად ჩაუშვებს სამარეში, მიწას მიაყ- რის და ხელად გაათავისუფლებს ჰი- რისუფალს ამ ზედმეტი, უკვე იმქვეყნი- ური მიცვალებულისაგან.

არც ტიხარს იქითა ოთახის კარის შე- ღებას, მკვდრის შეტანასა და ლოგინზე დაშვებას მოჰყოლია რაიმე ხმაური. არც იქიდან გამოსვლასა და კარის გა- მოხურვას. ამან ისე შეზარა და ააცხ- ცახა თეკლა — ვითომ პრაფერ ამქვეყ- ნიურს რომ აღარ შეეძლო მისი არც ერთი ნერვის შეტოკება — ადგილიდან წამოავდო და კარს მივიარდა. შიგნიდან

გადარაზვა ძლივს მოასწრო, რომ მ/ა- მუკაც იქვე გაჩნდა.

- მანდ, მამუკა, მანდ... *ქვეყნულში*
- აქ... ბებია...
- ჰო, ბებია, ბებიას ლოგინში, მა- მუკა, ბებიას ლოგინში ჩაწექი!
- ბებია?..
- ბებია ხომ მოკვდა...
- მოკვდა?..
- ხომ მოგწერე... ნუ ტირი...
- ჰო, მომწერე... არ ვტირი...

IV

თეკლას, თუ ამის შემდეგ, ქვეყნად აღარაფერი რჩებოდა, რისთვისაც კი- დევ უნდა ებოგინა. იცოდა, მამუკა დი- ბრუნდებოდა თუ არ დაბრუნდებოდა, იგი მისთვის არ არსებობდა. მკვლელო- ბისთვის პასუხი უნდა ეგო და, ამდე- ნად: ციხეები, გადასახლებები და შრო- მა-გამასწორებელი ბანაკები თუ ჩაით- ვლებოდა მომავლად. ასეთი ზეალინდე- ლის ქონას, რა თქმა უნდა, არქონა სჯობს და ასეთი დღის გათენებას — არგათენება.

როგორ და რა მანქანებით, არავინ იცოდა, მაგრამ რაც უნდა მომხდარი- ყო, არ მოხდა. ისედაც მყრალი იუდას ლეში ერთ კვირაში გაიხრწნა. (ამითაც გაიგეს აფაქიძის „თვითმკვლელობა“) როგორც კი ეს ამბავი ეცნობა, „სადაც ჯერ არს“, იმდღესვე საბლიდან გააქრეს და ორჯერ ადგილზე დაკითხვის გარდა ბაიბური არ ისმოდა.

თეკლა მამუკას არც დამკავებელი იყო და არც არსად გამშვები, მაგრამ მას პატრონი ჰყავდა: დედ-მამა, ძმა, რძლები, ძმისშვილი, ბიძაშვილები, სოფელი და ქვეყანა, რომლისთვისაც მან სიცოცხლე გასწირა და გმირობა ჩაიღინა. რა თქმა უნდა, უთვისტომო, უზნეო, კაცისმკვლელ თეკლას ანაბარა მას არავინ მიატოვებდა. ამიტომ იყო, აღბათ, რომ აპატიეს: — საყვარელ ქა- ლთან მოძალადე წაასწრო და ნაფრონ- ტალმა, ნერვებდავლუქილმა ჯარისკაც-

მა შური იძია. ვატუტიმ მაშინვე განაცხადა: „სადაც ჯერ არს“ ამბობენ, თვითმკვლელობა მოხდაო, მაგრამ თუ მაინც დაიკინებთ, რომ ამ საქმეში თქვენი ხელი ურევია, ჩემი ძმა მაინც არ გამტყუნდება, გმირი ჯარისკაცი „ცოლის“ ვაუპატიურებას, თავისას კი არა, სხვისას არ მოითმენდა, უსამართლობას მართო ფრონტზე კი არ ებრძოდა! ომიდან დაბრუნებისთანავე ზედ წაესწრო იმ ქალის გარყვნას, რომლის პატიოსნების დასაცავად ჩემმა ძმებმა იარაღი აისხეს... და მე აქ, ზურგში, თვალი არ მომიხუჭავს!.. დღეს მთელი კაცობრიობა ფეხზე დგას შურისძიებად და ჩვენ დანაშაულად გვეთვლებათ?!

ფარნას გამოჩენა მაინც ისეთი რამ გამოდგა, რამაც თეკლას გაპარტახებულ გონებას ისევ შეაძლებინა ვიღაცის რიდი თუ გულისშემძვრელი კრძალვა და განცდა. ალბათ, ეს კაცი იყო ერთადერთი, ვისთვისაც სიკვდილის წინ აღსარება უნდა ჩაებარებინა. თეკლას უკვე არც საამისო ჭკუა ჰქონდა და არც არასოდეს ამ ადამიანთან ისეთი სიახლოვე არ ჰქონია, მოძღვრად და სულეერ წინამძღვრად მიეჩნია. მაგრამ ამქვეყნად მაინც ის იყო, ვისაც უნდა სცოდნოდა სიმართლე. ახლა, როცა მოსახდენი მოხდა, რა ჯოჯობებიც დაატრიალა, თითქოს ამ ადამიანის გულისთვისაც ჩაიდინა. აუხსნელი იყო ეს, დაუჯერებელი, მაგრამ ის მოითხოვდა მისგან ამ შურისძიებას, როცა, თეკლამ იცოდა, ფარნას ძმის გამცემზე და დამღუბველზეც კი ხელი არ აღუშრატავს. თითქოს ასე შემდგომი და მიმტევებელი ამ უმწეო არსებას აიძულებდა შურისძიებას (როცა ის მასთან მოვიდა და პირზე ლეზვიანობის მინიშნებას თეკლამ უთხრა: გავთხოვდიო). ვითომ წასვლისას დაეპარებინოს: ის სიმართლე და ჭეშმარიტება, რომელიც მწამს, ნაცვალგებას გულისხმობსო...

და თეკლას ანგარიში თუ აღსარება უნდა ჩაებარებინა, როგორც უზენაესისათვის, რომ ამ ერთს, ამ ერთადერთს სცოდნოდა, რისთვისაც და ვისთვისაც

ეს ცოდვა-ბრალი დატრიალდა. და მამუა აქ ისევე ცამდე ეჭირებოდა, როგორც ფრთათეთერი ბუნებისაა უნდა სცოდნოდა, რომ მამუას ხელი ამ მკვლელობაში არ ერია. მას არც ბოროტება შეუძლია და არც სიკეთე.

მადლობა ღმერთს, რომ მოძღვარი ყოვლისმხილველი გამოდგა, როგორც ამას თეკლა იმედოვნებდა. მაგრამ, საუბედუროდ, არა ყოვლისშემძლე. უკან ისე გაბრუნდა, ერთი სიტყვაც არ დატოვა. შეუძლებელი ვერც ფარნამ შეძლო, თუმცა გაუბედურებულ გოგოს მანამდე სასწაულმოქმედად ჰყავდა მჩინეული (იმის შემდეგ, როცა მომაკვდავ დედას და გაძვალტყავებულ ბებიას ჯერ კიდევ სული ედგათ და არაფრისმქონებელ, სასოწარკვეთელ „სარძლოს“ არაყი, ხმელი ხილი და სტუმარ-მასპინძლობა გაუჩინა). თეკლას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ამ კაცის დაძვრულ ხელებს, ერთში რომ ბარი ეჭირა და მეორეში წიგნი, ყველაფრის უნარი გააჩნდა, როცა ის ცალ თვალს აელმებდა, ან ჭუტავდა, ეგონა ეს რთული, გულგახსნელი ბრძენი იმ დროს შიგნით, ადამიანის სამყაროში იმას ხედავდა, რაც მეორე, გახელილი თვალით გარედან არ ჩანდა. ამან მოანდომა და შეაძლებინა იმის თქმა — „გავთხოვდიო“ და, როგორც მოელოდა, მან ყველაფრის ხილვა მოახერხა, მაგრამ ღმერთისთვისაც შეუძლებელი ვერ შეძლო — სამომავლოდ ვერაფერი თქვა. თეკლას კი სხვა სალოცავი აღარ გააჩნდა და ფარნამ, წასვლის შემდეგ, უბედურების მოლოდინიც კი თან წაიღო. მას, თურმე, მხოლოდ იმის ხილვა ძალუძს, რაც არსებობს, ან შეიძლება იარსებოს. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ შეილი, მამუა, ვატუტის შეატოვა, თვითონ უღონომ და უმწეომ. ფარნას წასვლა და დაღუპულ შვილზე „უარის თქმა“ არც გაქცევა იყო და არც ხელის ჩაქნევა, მაგრამ იყო შეუძლებლის შეუძლებლობა, ჩამოქცეული ცის ხელახლა ზეცამდე ატანის უღონობა და მეხდაცემულის დადამბლავება, ხელ-



შეხვედრის უნარობა და თვითმკვლელობა.

მამუქას ძმა უდგა გვერდით, რომელიც ყველაფერს აკეთებდა. მადლობა ღმერთს, ვატუტის ვერავინ დააბრალებდა, რაც ნაომარს სჭირდა. ის ღიძი უბედურების მსხვერპლი იყო, რასაც მილიონების სიცოცხლე შეეწირა. როგორ! არ მკურნალობდა და არ ცდილობდა თუ მას რაიმე შეეძლო? არ აცმევდა და არ ახურავდა, არ აკმევდა და ასმევდა? ახლა, მიტინგი იყო თუ შეხვედრა, წვეულება ან საზოგადოებრივი თავის შეყრა, გმირი ძმის გვერდით ძმა უნდა მდგარიყო? აბა, რა ექნა? ვის ანაბარა მიეტოვებინა? მამის, რომელიც თვითონაც თავის სოროში შეძვრა და თავზე ნაცარი წაიყარა? თუ საცოლის, რომელიც გაირყვნა და, მერე, კონტუზირებულ, შეშლილ საყვარელს საყვარელი მოაკვლევინა? ვატუტის უახლოეს ადამიანს თუ კაცისაკლავად და შურისძიებლად იყენებდნენ, ძმას ძმისთვის, რომ ორგვერდიანი სიტყვა დაეწერა, როცა მამუქას დამოუკიდებლად არაფრის თქმა აღარ შეეძლო, და ამ სიტყვაში თავისი დედამამიშვილობაც ეხსენებინა, რა იყო აქ ტყუილი და მოგონილი!..

და, ბოლოს და ბოლოს, თუ შვილებ ვინმეს აქვს უფლება, ეს დედაა. და ის რომ გაიგო, რაც იქ, ჭერ ფრონტზე დამართეს და მერე, აქამდე რომ მოაღწია, ისევ კაცის ცოდვა დაადეს, განწირულმა ქალმა ვის მიამშველა და ვის შეავედრა ყოველნაირად განწირული შვილი? ვატუტის მეტი ვინ გააჩნდა, ან სხვას ვის რა შეეძლო, და თეკლასთვის ეკითხა: მისცემდა ნებას თუ ისევ მეზობლებსა და საყვარლების დასაყვლად სჭირდებოდა? არც თეკლას უკითხავს. ალბათ, თუ ოდესმე მამუქას რაიმე საშველი უნდა გასჩენოდა, ერთადერთი გზა ეს იყო. მიწასთან გასწორებული თეკლასათვის რომ ვინმეს მოეცალა და რჩევა ეთხოვა, იმასაც ეს უნდა მოენდომებინა. მართალია, დაბრუნებისთანავე იმისთანა უბედურებას გადაჰქიდა, უგუნური რომ არ ყოფილიყო, იმდამეს-

ვე ჰკუიდან გადავიდოდა, ახლა შეშლილის ხსენისა და განკუთვნილების დიდი მოწადინეც რომ უფროსად გააწყოს. რისი პატრონი და რისი შემძლებელია. ლუკმაპური უჭირდა თუ დედა და ბებია ჰყავდა დასამარბავი, თვითონაც ვატუტის ხელებში შემყურე იყო. მესაფლავე მოგწონს თუ არ მოგწონს, მკვდარს მიწის ზვეით ვერ დატოვებ.

თავიდან ვატუტი ხშირად აგზავნიდა ძმას და ატანდა მოსაკითხს. ალბათ, იმის შიშით, ასე უპატრონოდ მიტოვებულმა პარტახმა ქალმა თავს არაფერი აუტებოს და ისევ ჩემი სადავიდარაბო არ გახდესო. მამუქა მოსვლისთანავე დააფეცებდა თვალებს და დანაბარებს თუთიყუშოვით იმეორებდა: ამა და ამ საათზე უნდა წავიდე, სამხედრო კომისარიატში ვარ დაბარებულნი; ან, საავადმყოფოში უნდა დაეწვე, ნაჭრილობები უნდა გავიყერო; ან, გამოკვლევაზე ვარ, დამაგვიანდება შენი ნახვაო და ნელ-ნელა, თითქოს უმტკივნეულოდ, აჩვევდნენ თეკლას უმამუქობას, რომელიც ისედაც არ იყო მისი... თუმცა არც არავისი.

ახლანდელი მამუქას გადაბირება თუ მითვისება, ისე, როგორც ყველას, თეკლას მით უმეტეს შეეძლო. შეეძლო წაეყვანა და მასთან ხელი ისე მოეწერა, არავის გაეგო. მერე კი არაფერი დაიმალებოდა, მაგრამ გმირის კანონიერ ქორწინებას აგრე თავის ნება-სურვილზე ვერ დაარღვევდნენ და ეყოლებოდა თეკლას „ქმარი“, რომელიც არასოდეს წარსულს არ უსაყვედურებდა და ცოლის განუსჯელი ერთგული და დამყოლი იქნებოდა. გაეჩინათ შვილი და იქნებ სწორედ იმ მამუქას გული და სული გამოჰყოლოდა, რომლითაც, ერთ დროს, თეკლა ისე ბედნიერი იყო. შეიძლება ეს მომავლის იმედადაც გამომდგარიყო, მამუქასა და თეკლას გენის, წინაპართა და შთამომავლობის გადასარჩენადაც, იქნებ ამისიც ეშინოდა ვატუტის, ამ გათასირებულ ქალს, გონწართმეული ძმა რომ კაცისმკვლელად აქცია, კი არ მიუვარდა, თავზე

ქვეყანა კი არ დაუქცია, ციხეში კი არ ჩააღობ და დედამამიშვილი ძალით კი არ გამოგლიჯა, პირიქით — სასჯელიც კი ააციდინა: მამუქას საყვარელი კი არა, ცოლი იყო და შურისძიება — სამართლიანო. თეკლა თუ „ქმარს“ ისევ თავისად მიიჩნევდა, ამის იმედი არ უნდა ვადაწუროდა, რომ გაბოროტებულს რაიმე ახალი საშინელება არ დაეტრიალებინა; დრო კი მკურნალია და ნელ-ნელა, თანდათანობით ხელიდან ისე გამოეცალა, ისევ თავისი ჰკონებოდა. მაგრამ ვატუტი იმას ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი რამ თეკლას აზრადაც არ მოსვლია; რომ იგი ბოროტებისათვის გაჩენილი არ იყო, რომ ეს იქნებოდა მართლა მკვლელობა და ისიც უსაყვარლესი ადამიანის მკვლელობა.

იმ დანაშაულისათვის, რაშიც თეკლას იოტრისოდენა ბრალი არ მიუძღოდა, იგი შესაბრალისი და მისატყვებელი იყო, რაკი უდანაშაულოდ აწამეს და სათნოება შურისძიებად აქციეს, მაგრამ ჩვეულებრივ, ომამდელ მამუქას, ალბათ, ამის გაგებაც გაუჭირდებოდა... საყვარელი ქალი, ძალით იყო თუ მუხანათობით, გარყვენეს. ქალის ლოგინში რომ მამაკაცს წაასწრებ, იქ იმის ძიებას არაეინ იწყებს, ნებით დაუწვა თუ კვანტი დაუდგეს და წააქციეს. ამას თუ კიდევ შურისძიება მოპყვება, რა საკითხავია, მერე აღარაეინ მოინდომებს იმის კვლევას, ღირსი იყო თუ არა. კაცი მკვლელი გახდა და სამართლიანი მკვლელი და უსამართლო — ორივე მკვლელია... ასე რომ, ფრონტიდან დაბრუნებულ ნამდვილ მამუქას თეკლა იმ დამის შემდეგ თვალთ ვერ იხილავდა და ვერ იხილავს, რომ სასწაული მოხდეს, გადარჩეს და თავის თავს დაუბრუნდეს. მხოლოდ ახლანდელი — შეშლილი, დაღუპული, მკვდარი მამუქა შეიძლება ვახდეს მისი. ჯანმრთელს, ნორმალურს, ცოცხალს მას არაეინ აღირსებდა. ნამდვილი მამუქა ვერც ვატუტის ძმა იქნებოდა, მაგრამ იქნებოდა ფარნას შვილი. ფარნას ეყოლებოდა ძე და მომავალი და, ალბათ,

არც თეკლას შამა, რომელსაც ერთადერთი ქალიშვილი დარჩა, არ ვადაწუებოდა ისე, სულიერად და ფიზიკურად ჰყოლოდა. თეკლამ თითქოს შეძლო მშობლების მკვლელის მიმართ შურისგება, მაგრამ მათი ვადარჩენა — ვერა. თეკლას მამუქასთან უნდა ეშვა ტარასი ქადაგიძის შემკვიდრე. მაგრამ თუ მამუქა ვერ დაბრუნდა, ფარნაც და ტარასიც უშემკვიდრეოდ დარჩება. თეკლა თუ არანამდვილ მამუქასთან გააჩენს შვილს, ეს იგივე ძალადობაა, იგივე სიმასინჯეა და მამას და მამამთილს ერთად მოკლავს, მოამრავლებს მოძალადეებს, გამცემლებსა და მტაცებლებს. მამუქა უნდა დაბრუნებულიყო ან არ უნდა დაბრუნებულიყო და რაკი დაიღუბა, მკვდართან ვერ იქორწინებ და მიცვალებულს ცოლად ვერ გაპყვები. ვერც დედამამას გაუწევს შვილობას და ვერც ძმას — ძმობას, ვერც ქვეყანას უპატრონებს და ვერც მოყვასს უერთგულებს იმაზე მეტს, რაც მან იბრძოლა და რასაც თავი შესწირა.

## V

თეკლა, ბოლოს და ბოლოს, შეაჩვიეს უმამუქობას. ბოლოს, საავადმყოფოდან „გამოკვლეული“ რომ დაბრუნდა, ერთხელ კიდევ გამოჩნდა. თავის ავადმყოფობაზე ისე ყვებოდა, როგორც სხვისგან დაბარებულ სხვის ამბავს, განაგონის გულგრილი მთხრობელივით: არაფერი არ ეშველებათ!

— რაო, არაფერი საშველი არააო?!  
— ეკითხებოდა უიმედობითა და უსასობით გამოღენჩებული ქალი და ტუნზე დაკიდებულ ლორწკს ხელის ზურგით იწმენდა.

— არაო.

— ვინ, ვინ თქვა ასეთი საშინელება? ვინ იყო ასეთი გულქვა!

— პროფესორი?..

მამუქამ არ იცოდა მკურნალის ვინაობა.

— სხვამ, სხვამ რაო?

— ჰო, იმან... ეგება დაასვენოთო...



— მეტი არაფერი? ეს უშველისო?

— იმან კიდევ, ეე...

— რაო?... შეიძლება რაიმე, თუნდაც სასწაული რომ მოხდესო?

— სასწაული რომ მოხდესო, მაგი რა მაც დამართა, ისევ ის თუ უშველისო...

— რაო!... რამ დაგმართა, მამუკა! როდის აქეთ... შე, გაუბედურებული რომ დაღესტანში ჩამოვედი, მაშინაც მასე იყავი?... თვალდამღვარი, დედაჩემის საკვლამა ისე დამაბრმავა და გამომატვინა... როდის აქეთ, მამუკა, როდის მოხდა...

მამუკამ არ იცოდა როდის მოხდა, ან რა მოხდა.

— და, რამაც დაგვლუბა, ისეთი უბედურება მერე არ გინახავს, რომ რაიმე ეშველა?...

— იმან... ლიტერატურაში წერია...

— რომელ ლიტერატურაში წერია, რა წერია, არსებობს რაიმე გამოჩაქლისი?!

— წერიაო... — მაგრამ მამუკამ არ იცოდა ვინ უთხრა, სად ეწერა და შიშით შეყრილ ზაფრას და გონების დაბნელებას რა შიში და ქვეყნის დაქცევა უნდა დაპირისპირებოდა.

აწრიალდა: მოსკოვში მივიღივარო და ისე უცაბედად ადგა და გავიდა, ვითომ საღარბაზო კარის მისახურად გასულიყოს.

თვკლა მიხვდა, თუ მამუკას დააგვიანდებოდა, ან საერთოდ აღარ გამოჩნდებოდა, იგი ისევ სამკურნალოდ უნდა დაეგულებინა, რაკი ომი დასასრულს უახლოვდებოდა და ვატუტი ძმის მოსკოვში და ლენინგრადში უპირებდა წაყვანას. ყველაზე და ყველაფერზე იმედგაცრუებულ გოგოს აღარც ძმისგან ძმის ერთგულება სჯეროდა. ეგონა, ვატუტის ასეთი მამუკა უფრო სჭირდებოდა და ეს შიშისა და ზაფრისაგან დაწყვეტილი აზროვნების ისევ შიშითა და ზაფრით მკურნალობის აბდაუბდა მის საბოლოოდ ჩამოსაშორებლად მოიგონეს. თუ თვკლას ისევ შესწევდა უნარი და სიკეთისა კიდევ რაიმე ეცხო, საყვარელი ადამიანის გადასარჩენად ხარკი უნდა გაეღო (თითქოს რაიმე გააჩნდა)

და მისი უნახაობისათვის უნდა გაეძლო. თვკლასთვის ახლანდელი მამუკას ნახვა-უნახავობა, მოთმენა-მოთმენებლობა აღარ არსებობდა. მთელი დღე ლუკმა რომ პირში არ ჩაედო, შიმშილიც აღარ ახსოვდა. დაილია, ზეზეურად ჩამოხმა. დიდი, ცარიელი თვალების ამარაღა დაჩა. ჩარბჩამოვარდნილი, ერთ წერტილს თვალშიცეებული იჭდა, ან გულაღმა იწვა ერთადერთი კაბით, რომელსაც არც იხდიდა, არც იცვამდა.

ბოლოს და ბოლოს, ოთახში გამოკეტილი, სულშეხუთული, მთვარეულივით დაბორიანობდა, აწყდებოდა კედლებს, მაგრამ არა გაქცევის ნდომით ან იქვე დარჩენის სურვილით. აღარც ერთი, აღარც მეორე, მაგრამ რაღაც წინაღობა საზღვრავდა მის არაფრის ნდომას. გამოლენდა, გამოთაყვებდა. დღე თუ ღამე, ნათურა ერთნაირად ბეუტავდა. არც ღამის შიში ჰქონდა, ვერც ნათელს ამჩნევდა. მაგიდაზე თუ წიგნი ეგდო, გაშლიდა, მაგრამ გაშლიდა იქ, სადაც მოხედებოდა და ჩააშტერდებოდა, როგორც ერთდროს კარგ ნაცნობსა და კეთილის მრჩეველს, მაგრამ ახლა იმდენად დავიწყებულს, რომლის ნარჩევსა და კეთილმყოფელობას კაპიკის ფასი აქვს. ზოგჯერ ანბანი თუ მაინც თავისთავად ამოიკითხებოდა, ისევე არაფრის მოქმედი იყო, როგორც ნაცნობი ასოებით დაწერილი უცხო სიტყვა. ამდენად, თითქოს კითხულობ, უაზროდ უსმენ და ვერაფერი მოგიწამებია.

არ იყო მოთხრობა, ამბავი, რომანი და ტრაგედია, სადაც თავისი სულიერი გააცმტვერების მსგავსი რამ ჰგულებოდა. იყვნენ გმირი ქალები, რომელთაც საყვარელ ადამიანებს ამორებდნენ, აუპატიურებდნენ, ამოროტებდნენ და ბოლოს იხრწნებოდნენ. ბორდელებში და ქუჩებში კახპობდნენ. ეს ერთადერთი, გაუტუღმართებული გზა რჩებოდათ და ლუკმაპურისთვის ყოველ შემხვედრს ეთრევენებოდნენ. ვისაც ეს არ შეეძლო — თავს იკლავდნენ და არა-რაობის ბედნიერებაში ინთქმებოდნენ...

ის კი არაფრის მოლოდინის მოლო-

დინით დადამბლავებული, როგორც სული ლესგაუყრელი, დღეს დღისა და ხვალის არმქონე, უღამდებოდა და არ უთენდებოდა... ირგვლივ სრული სიციარიელე და სიბნელე სუფევდა, რომელიც თანდათან წარსულსაც შლიდა და ყველაფერს დაეწყვების უკიდვანო ზღვა ფარავდა. და ამ ქაოსურ, სამყაროს შექმნამდელ წყვილიადში არაფერი იღნდებოდა გარდა შავი და ცისფერი მდინარის შუა იმ ციციქნა, ლურჯი სილითა და მწვანე, დაჩიქვული ტირიფებიანი კუნძულისა: ირგვლივ, ზრეშში ჩაფლული, რუხი და თეთრი რიყის ქვები სამკაულებივით რომ ამკობდნენ და ფოთლები ნიავისაგან ვერცხლისფრად ლოვლივებდნენ. ათი მკლავის გაშლა კუნძულს ნათლის სვეტივით თავისი ტოლა ცაც ადგა მზის სხივის კონა რომ დაანათოდა დღითაც, ღამითაც და ოთახის კედლებშიღამაც ცხადივით ჩანდა, როგორც ერთადერთი დარიანი დღე მისი ცხოვრების ქუფრ წარსულში, როცა თეკლა ბედნიერი იყო. მას აქეთ, ერთმანეთზე უარესის უარესმა წარღვნამ და დელგმამ: უმამუკობამ, უდღობამ, უბებიობამ, ძალადობამ, დამონებამ, შურისძიებამ, მკვლელობამ და ყოველნაირმა დაცემა-გათახსირებამ შარავანდღით შემოსა და მზიანეთად აქცია ის დღე და ის ლურჯი კუნძული. მას აქეთ, რამდენადაც შორდებოდა ქვეყანას, ადამიანს, მტერსა და მოყვარეს, ცასა და მიწას, იმდენად უახლოვდებოდა იმ ერთადერთ, მისთვის გაჩენილ სამყოფელს. იქ არსებობდა, იქ სუნთქავდა, იქ სუფევდა, იქ შესციონოდა მზეს... აქ რომ მუდამ უღამდებოდა — იქ უთენდებოდა, იქ მუდამ ნათელში იყო და, სანამ მონატრება შეეძლო, იქიდან აქაურობა თუ მოაგონდებოდა: სადაც დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა. თითქოს იქაურობა მის გაჩენამდევ მისი იყო. იქ იშვა, იმ ციციქნა კუნძულისთვის დაიბადა. იქ იარსება, გაიზარდა, დაქალდა და ახლაც იქ სახლობდა. იქიდან არასოდეს არასად წამსვლელი არ იყო.

მამუკა თუ მაინც ისევ გამოჩნდებო-

და, ისეთი აუცილებელი ასაკზე ჰქონდა, მაშინვე უკან უნფრეტიველყო. იმ დღესაც კარებიდან გამოჩნდა გაბრუნებას. ამბავი მოიტანა: ჩემი ძმა ბაკური დაბრუნდა, სოფელში მივიღივართო.

— სოფელში! — წამოიკვილა თეკლამ და ჩარბი კბილით დაიჭირა.

— სოფელში... ამ ზაფხულში იქ დავრჩები, დედასთან... ძმასთან...

— მამუკა!.. — თეკლა წამოგა. — შენ სულ იქ იქნები?

— ჰო, იქ... დედა...

— ჰო, დედა... დედასთან. — გულისპირი აიბნია, ჩამოშლილი, ჩამოწეწილი თმა ორივე ხელით შეაგროვა. — შენ, აწი, ჩემთან არავინ გამოგიშვებს...

— მე, შენთან...

— მამუკა, ხომ იცი მე ვინა ვარ?!

— კი... თეკლა...

— თეკლა ქადაგიძე... და შენ ძმას გააბსენე, რომ მე კაცი მოვკალი... არაფერი მიპასუხო... და უთხარი, მეც უნდა წამოყვანოთ, აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე. ხომ გესმის, მამუკა!

— მესმის...

— მე, თეკლა ქადაგიძე... გასაგებია?

— გასაგებია... თეკლა ქადაგიძე...

— თორემ, იცოდეთ, ფეხით ჩამოვალ! ფეხით ჩამოვალ, გესმის? ასე უთხარი!

— ფეხით ჩამოვალ... მესმის...

— მიდი და, სხვას არავის, მარტო ვატუტის უთხარი.

— მარტო ვატუტის ვეტყვი.

— წადი, ახლავე წადი!

— ახლავე წავალ...

ვატუტი ამალლობელის ფრთხილ, ყველა ბნელ კუნძულში შედწეულ გონებას არ უნდა გაჭირვებოდა გაეგო ამ უშეღავათო მოთხოვნის გარდუვალობა. უმწეო, ყოველმხრივ უსაშველო გაჩენილ, სისხლში ხელგასვრილ გოგოს თვითმკვლელობამდე ერთი ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი და განწირულს იმ ნაბიჯს ზოგჯერ უმნიშვნელო შემთხვევაც გადაადგმევინებს. ფილა თუ მომაკვდინებელი შხამითაა სავესე, მერე ისევ



სამსალის დამატება არ უნდა, წყლის წვეთსაც შეუძლია გადმოღვაროს.

„ენობიერი სიტყვა უბრა ჟენობისა  
რასმე შრატხან“.

VI

— ჰო, ჰო, ჰო!.. მითხარით, ამიხსენით, გამაგებინეთ, მე რა შუაში ვარ?! — დააბიჯებდა აკოვლებული ვატუტი ხის ფარალალა იატაკზე და, ალბათ, თავისი ფეხსაცმელების ჭრატუნით თვითონვე აღიზიანებდა. — რა დავაშავე? მე რატომ უნდა დამემსხვრეს თავზე ყოველნაირი თქვენი უბედურება?! გამარკვევით, შემაგნებინეთ, ხალხი არა ხართ? — შარვლის აკიშებში ცერებ-გამოყრილი დედას, ცოლს, ძმებსა და ბიძაშვილებს რომ მიადგებოდა და ხელებს მათკენ საშველად იწვდიდა, ბრტყელი, ჭრელი რეზინები ცერებზე გამოჰყვებოდა და სავსე მკერდზე ტყა-ტუნით ეცემოდა.

თეკლა იქ თითქოს არც ყოფილიყო. არაფერს მის იქ ყოფნას არანაირად არ „ხედავდა“. რუსუდანმა, მისვლისას, ხელი ისე ჩამოართვა, როგორც სრულიად უცხოს, რომელთანაც არც არავითარი წარსული აკავშირებდა და არც მომავალი. სუფრაზე, მამუქას გვერდით, თეფშიც ისე დაუდგეს, არაფერს მიუბატყებია და არც მისი იქ ყოფნა „შეუმჩნევიათ“. არც ასე აღლევებულ ვატუტის მიუმართავს მისთვის, მას არაფერს საყვედურობდა და არაფერს ემადლიერებოდა. კაცმა რომ თქვას, ალბათ, ეს ყველაზე სწორი იყო. თიკო, რომელიც მარცხნივ უჯდა, იმდენად ეკრძა-ლვოდა, კაბაზე კაბის მიკარებასაც კი უფრთხობდა, თუმცა დაშორებასა და სკამის გადაადგილებასაც ვერ ბედავდა.

— მე რა ვქნა? რას მიპირებთ? ჩემთან რა გინდათ, რა გავაწყო?.. — ოთახის კუთხე-კუთხულამდე მიკოჭიტარობდა, თავის ხეობრობას რომ ყოველთვის მაღავდა, ახლა, თითქოს, ხაზ-გასმულად უპირებდა წარმოჩენას. — ბებიანჩემი და ბიძაჩემი მიწაშია... მამა-

ჩემმა ვერ გაუძლო ამდენ უბედურებას, დაიხურა ქუდი და მშვილდით... ასე არაა, დედაჩემო? შინა...

თავდაღუპული რუსუდანი მუხლთან გაცვეთილ ხალათში ამოჩრილ ძაფს ასორსოლავებდა.

— მერე, რა ვუყოთ ახლა?.. — სასოწარკვეთილმა, თავის მძიმე დაქნევით ამოიხვნეშა.

— ხომ ვიცოდი, რომ ამას მეტყვოდი...

— აბა, რა გითხრა, შვილო... მითხარი რა გითხრა და გეტყვი...

— არაფერი, სხვა არაფერი... წავიდა და წავიდა, ვითომ იქ... კარგი ერთი! რა ვილაპარაკო, როცა მას არ მოვებგვანე, ჩემი არ ესმის და... ესმის კი არა... კარგი, რაც არის არის... იმას მე ვერ გადავავკეთებ... კუზიანს... მამაა და, ალბათ, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მეც მიჭირს და მალაპარაკებს... — ერთხანს ფანჯარასთან დაეყუდა, მერე ერთბაშად მოტრიალდა და იკითხა: — სადაა ლეონი?..

ლეონის ხსენებაზე გაცრეცილ, ცვილის სანთელივით ყვითელ, თვალბზი-ცვენილ და წყალმანკით მუცელგამობერილ ნორას ცრემლები დაწვებზე უწყვეტ ნაკადად ჩაჰყვა ისე, რომ კალთაში ჩაყრილი ხელები არ გაუნძრევია. რუსუდანმა სახეზე მკლავები აიფარა და აზლუქუნდა.

— ვაი, შენს დედას, შვილო! თიკომ მოკლე სახელოდან ჭრელი ჩითის ნახევი გამოიძრო, დაქმუქნა და უბებში მიისრისა.

— მოიცა! იქნება, კაცო, მისგან მაინც არ გვჭირს უსაშველო! — ვატუტიმ აჭიმის რეზინები გაატყაცუნა და ხელები გაშალა.

— ჰოდა, შვილო, იქნებ ღმერთს მთლად არ გავუწირივართ. — იმედი მოიცა დედამ.

— არა, უმისოლაც გეყოფნის ჩვენ სატირალი და თავში ხელის საცემი. ციკო, ბავშვს, ვერ ხედავ ეძინება? ღამის პერანგი ჩააცვი!

— რას დავეძებ... — ნუ დაეძებ, მაგრამ მერე ვისი

სადავიდარაბოა? ბებიაშისი და ბაბუ-  
აშისი იქ, კედლებზე თავს ურტყამენ  
და... ეს... — მამუკას ზურგიდან მოუ-  
არა, ისევე გაატაცუნა აჭიმები და ძმის  
მხრებზე ორივე ხელი გადმოფინა. —  
ისე არაფერი ახსოვს და ის არ დავიწყ-  
ებია, ნოშრევანს ბომბმა თავი როგორ  
მოაგლიჯა.

— მაგას, დედა, თუ გაახსენებ მე-  
რე ქე აგონდება... — რუსუდანმა ასე  
უიმედოდ შეიღოს გაწირვა ძმასაც არ  
დაანება. — ვერაფერი ვერ უსაშველე,  
შენი ჭირიშე?..

— ვერ ვუსაშველე. არაა საშველი!  
მამუკა ამდენი მახლობლის მასზე მი-  
პურობილმა სასაოწარკვეთილმა მზერამ  
მთლად გამოაყეყეხა.

— ვაი, შენს დედას, ხანდამწეარს...

— კარგი, ახლა, დედაჩემო... თუ ვერ  
ვუსაშველეთ... დაეკელით რაიმე, ცი-  
ცო?

— დაწყვეტილი აზროვნება აქვს, დე-  
და... რალაცნაირი დანაწევრებული...  
გადაუბმელი... — ახსნა თითქოს ექიმმა  
რძალმა და მძაზე მგლოვიარემ ხელი  
უიმედოდ ჩაიქნია.

— ა, ციცოს, შეილო, მთლად დაე-  
ლუბა... ერთადერთი, ერთი კაკალა ძმა...  
რაფერ უდგიათ სული მარგალიტას და  
მეჭის?! ჩვენსულდგმული მაინც გეჟავს  
და იქნება არ გაჩნდეს უსაშველო...  
რაცა, პატარა იმედი ხო უთქვამს პრო-  
ფესორს?.. — ჩვეულებრივ, ზღვაზე  
ხილის ვადება სცადა რუსუდანმა.

— იქნებ, იმევე შოკში რომ ჩავარ-  
დეს, რამაც ამნაირად მოაქციაო... —  
ვატუტი ისევე ფანჯრისკენ, ოთახის კუნ-  
ჭულს მისაკლა... — მაგი იქ ბომბებმა  
და ზარბაზნებმა დაგლიჯეს, დაღუწეს,  
დამარხეს და აქ, ვითომ გადავრჩით,  
ვიმარჯვებთ და ახლა მაგისტვის დაე-  
ქციოთ ქვეყანა? მერედა, ეს მაშინვე  
სახლში კი არ გამოუშვიათ, რა უბე-  
დურებად ნახა, მერე ნახა, მერე გახდა  
გმირი და... რა ვიცი რა არა...

— რაცა... იქნება სხვამ სხვა რამე  
იცოდეს, შეილო? — თვალები სახე-  
ლოთი შეიმშრალა რუსუდანმა.

— მე... — ახსნა, იკითხა თუ, საე-

რთოდ, ხმის ამოღება მიჩინობს მამუ-  
კამ.

— პო, შენ, შენ... <sup>ქარქვეშაში</sup>  
და!

— არ მეშინია... — თეკლას და თიკოს  
მიხედა და მერე, თითქოს, თვალთ  
იმას დაუწყყო ძებნა, ვინ იყო იქ, ვისაც  
ეშინოდა.

— თუ რაიმე ეშველება... მაგრამ მე  
თუ ჩემ აღვიღზე გამაჩერეს?

— ღმერთო მომკალი, აბა, შენ ვინ  
რას გერჩის?! — შეიცხადა დედა და  
შავებში გასულდრულ, სკამის საზურგეზე  
ოდნავ თავგადაკიდებულ, დაღლილ  
რძალს მიაშტერდა.

— მადლობას არავინ ეტყვის. — თა-  
ვი არ მოუბრუნებია, ჭერს უთხრა ცი-  
ცომ.

— ტყვედ რა ჯანდაბა გინდოდა, ბი-  
ჭო... — აჭიმის რეზინებიდან ცერები  
არ გამოუღია, ისე ჩამოზიდა, მოკლე  
ფეხის ფეხსაცმლის ჰეინტზე დაეყრდ-  
ნო, დამნაშავე ძმას წინ დაუდგა.

— მე მინდოდა... — გაუპარსავი  
წვერი მოიქეჭა ბაკურმა.

— შენ არ გინდოდა, მე არ მინდო-  
და... შენ იცი, რომ ჩვენ სამხედრო  
ტყვეები არა გვყავს.

— ვიცი, ჩვენ მოლაღატეები გვყავს...  
თუ უკანასკნელი ტყვია ჩვენთვის არ  
შემოვიანახეთ.

— მერე! — წამოცდა თუ მერე გა-  
ითამაშა, წამომცდაო, ვითომ უფრო  
ლმობიერად დაუმატა. — თუ ყველაფე-  
რი იცი... იცი რა, ქმარი ლაშქარს იყო  
და ცოლი ამბავს ახვედრებდაო... შენ-  
ზე მეტი ჩვენ რა გაგვეგება.

— არ მქონდა ტყვია. — ბაკურს  
უღიმამოდ, ცივად ჩაეცინა.

— კაცო, შენც ხომ არ გაგიყდი! —  
შეიცხადა და ნატყვევარ, კისერმოლ-  
რეცილ ძმას თვალებში დაფეთებული  
ჩააჩერდა.

— მართალი რომ არ იყოს, სახლში  
ვინ გამოუშვებდა, დედა?! — შეშფო-  
თებული შეიღოს დასაბუთებული ნუ-  
გეშისცემა მოინდომა რუსუდანმა.

— გაჩუმდი, დედაჩემო, თუ ქალი



ხარ. გამოუშვეს თუ არა, სადმე გაქცეოდათ...

— ავანტურფია, ვატუტი, საოპერაციო. მაგიც მისახედი და საპატრონოა, შვილო!

— მე ვინ მომხედავს, ვინ მიპატრონებს და ვინ გადამეფარება! — ისე ხმაღლა და არტისტული მწუხარებით წამოიძახა, ციკოს კალთაში ჩაძინებული ბავშვი ატირდა. რუსუდანმა რძალს მიამურა, გულზე აყრული, აწივლებული შვილიშვილი ტიხრის კარს იქით გაიყვანა, მაგრამ ისედაც ძილატებილმა, გაჭირვებულმა ბავშვმა, სანამ დედა თავისთან არ დაიგულა, ქვეშაგები არ წაიკარა.

ვატუტომ, ციკო რომ გაიგულა, თავისი ხმა დაიბრუნა. თითქოს ლომბიერი, შემნდობი გახდა, თუ უარესი — თვითონ ითხოვდა გაგებასა და პატიუბას.

— არა, არა, არა!.. გულზე ხელი დიდეთ, ღმერთს შეხედეთ და მითხარით. — ცალ-ცალკე ჩამოუარა ყველას, წახიზარა და ბატურს ქვევიდან შემოაჩერდა. — ჩემზე თუ გიფიქრიათ რომელიმეს. მე თუ გავხსენებოვართ, ჩემი ავკარგი თუ გავიგიათ და ერთხელ მაინც გიკითხავთ, რა მიჭირდა და მიღზინდა. არა, არ ვითქვამთ, არ მოგიწყობიათ, არ გიკითხავთ, მაგრამ თუ გიფიქრიათ...

— გვიფიქრია... — თავი დააქნია ბაკურმა, — ფიქრის მეტი არაფერი შეგვიძლია, თორემ...

— და ამიტომ უთხარი დედაჩემს: ამდენხანს მოადგილედ რამ გაჩერა, ბარემ რატომ სახალხო კომისარი არაო?... —

— არ მახსოვს... ეს, ალბათ, ისე... ლოგიკური... რაც უნდა მომხდარიყო... როგორც მოსალოდნელი...

— მაღლობა ღმერთს! თუ გუნებაში მაინც გახსოვდით... და ჩემზე ამდენს ზრუნავდით. რაო... პო, მაინც რა იყო ჩემთვის ლოგიკური და მოსალოდნელი?..

— ვითომ, შენ მაინც არ უნდა გაჭკირებოდა.

— მე არააპ! რაკი თქვენ გიჭირდათ,

მე არ უნდა გამჭირებოდა, რაკი მამაჩემს, ლეონს, შენ და... ვინაა ისევე ველო გქონდათ გაჩენილი, მე დალბინებული გვეულებოდით, არა? — ერთბაშად მოეშვა. იქვე, ცარიელ, რუსუდანის სკამს მიამშველა და ზედ დაუნარცხა. — კარგი, ბატონო, რაკი თქვენ, ამდენი ბრძენი და პატიოსანი ხალხი ასე ფიქრობთ და ასე მიგაჩნიათ, ალბათ ასეც იქნება... იქნება კი არა, ასეა და, ეტყობა, მე მეჩვენება სხვანაირად... კი, ბატონო, როგორც თქვენ იტყვიოთ ისე იყოს... კი, კი, ისე... ისე იქნება... ისე... მაგრამ... იქით ბიძაჩემი ლუკა იყო და...

— ბიძაჩემი რა იყო და ვინც იყო, ის ჩვენი ჭკუის საკითხავი არაა! — ბაკურმა თავი ისე ნაწყენმა ასწია, კისრის მალეხმა გაიტკაცუნა და თვითონვე გაუკვირდა: მისთვის, ამ დაქვეულ ქვეყანაზე, ყველაფერი დიდი ხანია გაუფასურდა და ლუკა რატომ იყო გამოწკლისი და, გამორჩეული და ხელშეუხებელი ვინმე ან რაიმე კიდევ გადარჩა?

— კარგი. კარგი. კარგი! არაა ჩვენი ჭკუის საქმე... პირში წყალს ვიგუბებ. — ვატუტომ თავი ერთბაშად მოისაწყყლა, ხელები ასწია და ჭერს შენდობით შეაჩერდა. — მაგრამ მამა, დროული კაცი, როცა ომი და უბედურებაა, ოჯახს რომ ტოვებს, ანგრევს, აჩანაგებს: არც შეიძლება უნდა, არც შეიძლება დედა და ვიღაც საეჭვო ყოფილიყო ქალთან ჭურღმულში მიძვრებას... კარგი, კარგი, კარგი ბატონო, არც ესაა ჩვენი ჭკუის საქმე... მაგრამ ჩვენ, შვილებს როგორა გვაქვს საქმე?... იქნება ჩვენ ჩვენი საქმე მაინც გვეკითხა?

— ჩვენი საქმე ვერაა კარგად... ვერ ვიბრძვით გმირულად...

— მე ვიბრძვი... — წამოიძახა მამუკამ და ვატუტის შეაჩერდა...

— მამუკა, შენ კი... შენ კი...

— მე, ზო... — იმწამსვე დაშოშმინდა და თეკლასა და თიკოს მიუბრუნდა. — მე კი...

— ფრონტზე კი არა, შურს აქ, საკუთარ ქვეყანაში ვძიობთ ერთმანეთზე,

მერე ჩვენივე სურვილით ვბარდებით ტყვედ მტერს...

— და, ისიც ხდება, ვბრუნდებით და აქ კაცსაც ვკლავთ... — ვითომ, ბაკურს, გაქილიკებული და გაუჯღმართებული აზრი ვატუტებ სრულიად სერიოზულად ჩამოართვა და გააგრძელა: — და არ ვკითხვლობთ, ჩვენს ნება-სურვილზეა მოწყობილი ეს ქვეყანა? ჩვენ რაც მიგვაჩნია სიმართლედ, იმას ვაკანონებთ და განაჩენიც გამოგვაქვს. მაშინ, რატომ არსებობს სახელმწიფო და რატომია თანამდებობები, რატომ ყავს ქვეყანას პატრონი... მე ხომ მომკითხავენ ამისთვის და თქვენსავე ვერ დავმუწუნებდი... აი, ახლა კიდევ ახალი ამბავი, ბარბაქაძის ქალიშვილი...

— ვაიმე, დედა, გუგუტა... — აღმოხდა თიკოს და სახეზე ორივე ხელი აიფარა.

— და, ამის თაობაზეც რომ მკითხავენ, თიკოსავეთ პირზე ხელს ხომ ვერ ავიფარებ?..

ტახას იქით მოდარაჯებულმა რუსულდანიმა კარი შემოგლიჯა და ვატუტის ზურგს უკან მხრებზე ხელები მოხვია.

— არა, დედა... არა, შვილო. შენ მაგისტვის ვერავინ ვერაფერს გაკადრებს, რა შენი საქმეა აქ, სოფლის ტიტია გოგო სად გაიბნევა და ვის გაეკიდება. ჩვენი ოჯახი რა შეუაშია... ბაკური ომში და უბედურებაში იყო, რა ვიცით ჩვენ ვინ ვინ გარყვნა და ვინ ვის გვერდით იწეა. და, მართლა ასე რომ ყოფილიყო, განახავს პატრონისანი ქალიშვილი ქალი, იმახოდა — შემადიდინეს და ნამუსი ამხადესო?.. იქნება ვინმეს ჩვენი ოჯახის შვილისგან ასეთი შერცხვენაც ესახელება, მარა ამიტომ შენ უნდა უპასუხო?..

— მე, მე, მე!.. — თავი ასწია და ზურგში მოფოფინებულ დედას მკერდზე მიადო. — მე, დედა, ყველაფერზე მე... ათას უბედურებას ათას ერთი ემატება. დღე ერთია და... რომ გათენდება, იმას ვნატრობ, საღამომდე არაფერი მოხდეს... ვინმე არ მოკვდეს, ვინმე არ გა-

იქცეს, ვინმე არ დაიკიროს, ვინმე ჩემიანმა ვინმე არ მოკლას...

— მოკლას!.. — შეიტყუა დედა და მხრებს აშწნის აშწნის გაეგოს ახალი მკვლევობის ამბავი. — ვინც თავის ნამუსს და სენდისს ვერ იცავს და კაცს კლავს, პასუხიც იმან აგოს, ჩვენთან ვის რა უნდა, ვის რა ხელი აქვს ჩემ შვილთან და მომავალთან...

— დედა! — ვატუტებ თავის მხრებზე ასავსავეებული დედის ხელები ხელებით დაიკირა. — არა, იქ საქმე სხვაგვარად იყო... თვითმკვლელობა მოხდა, ახლა ასე... ვინ თქვა?.. მე ის კი არ მითქვამს...

— არა, რაც მოხდა, ვინც რა მოიმოქმედა, ცოდვაც იმან ზიდოს. ჩემი შვილები... მამუკა, შვილო!.. — ყელში წაქერილმა ბოღმამ, აცხატებულ ქალს, ერთბაშად ამოხეთქა და ამოდენა წივილ-კივილი რომ პირიდან არ ამოეტანა, სუნთქვა შეეკრა, ვატუტის ზურგზე ჩაუკურდა და იატაკზე გაიშხლართა.

## VII

— მამუკა, მე თიკოსთან წავალ, როგორც მაშინ, გახსოვს?

— მაშინ?..

— ჰო, მაშინ, ოთხი წლის წინ...

— ოთხი წლის წინ...

— პირველად რომ ჩამომიყვანე.

— როგორ არა, პირველად ჩამოგიყვანე...

— როგორც მაშინ... და, ხომ გახსოვს სად მეძინა?

— თიკოსთან... როგორ არა, თიკოსთან და ლუკა ბიძია ახველებდა.

— ჰო... ვეღ იყო... ერთი ღამე კიდევ უნდა გამათევინონ... ხომ, თიკო? ენაჩავარდნილმა თიკომ მხრები აიწურა, ვერაფერი უპასუხა. თიკლას მისი დასტურისთვის არ დაუცდია.

— გასაგებია?.. თიკოსთან, მამუკა... გაიხსენე, თიკოსთან და დილით, უთენია, როგორც მაშინ...

— როგორც მაშინ.



— ბაღე წამოიღე... მაშინ რა კარგად ვითევზავეთ, ხომ გახსოვს? ფანჯარასთან მოდი... გესმის?

— მესმის, ფანჯარასთან, როგორც მაშინ... ვითევზავეთ...

— უთენია, ალიონზე, მამუკა.

— უთენია, ალიონზე...

ალაგესთან, ბნელში, მამუკას ისე დაშორდნენ, თიკოს კრინტი არ დაუძრავს. სტუმარს რეტდასხმული გაჰყვა, რომელიც თითქმის თვითონ მასპინძლობდა და სახლისკენ წინ მიუძღოდა. ამან, ისედაც უნდელი გოგო, მთლად დააფრთხო. აცახცახებულს ფეხები ებორკებოდა, დაჭერებულად მიმავალ, თითქმის მის ტოლ პატარა ჭალს რომ მისდევდა, ვინც მამუკას საყვარელი მოაკვლევინა.

ლოგინი იქვე, იმ ფანჯარასთან მიდგმულ ტახტზე უხმოდ, ისე გაუშალა, რომ დედასა და დებს არაფერი გააგებინა. არც სანთელი აუნთიათ, მთვარის მკრთალ შუქზე ყველაფერი კარგად ჩანდა. ოთახიდან უხმოდ, უჩამიჩუმოდ გაიღალა, სტუმარს შიშით ვერც „ძილი ნებისა“ უსურვა.

თეკლა მაშინვე დაწვა. გულაღმა გაიშხლართა და მკლავები გადაშალა. დიდი, დიდი ხნის შემდეგ ამოისუნთქა. უსაშველოდ, უმოწყალოდ დაღლილმა, ჭანკაწყვეტილმა, სასომობილმა დაისვენა. უბინაომ ბინა გაიჩინა, მიუსაფარმა თავშესაფარი დაიგულა; მუხლჩაუხრელმა, დევნილმა პარტახმა ქოხი აიგო. დაწვა, ასო-ასო დაშლილი სხეული დაივანა. გაჩენის დღიდან უბედური ბედნიერებას ეწია.

იქაა, სადაც ერთი ნეტარი ღამე გაათია. მაშინ საფერხულში თიკო უწვა და შხად იყო გულში ჩაეკრა ძმის საყვარელი არსება. ახლა, მართალია, როგორც შემზარავ კაცისმკვლელს, უბიწო გოგო კი არა, ყოვლისმძლე ვატუტიც ეკრძალებოდა, მაგრამ მაინც იქაა. ახლანდელი კი არა, მაშინდელი თეკლა, უმწიკვლო, უანგარო, წმიდათაწმიდა.

მაშინ ეს ოჯახები კი არა, მთელი სოფელი თვალეზში შესციკინებდა, ცა და მიწა მისი მოიმედე, მასზე მლოცველი

იყო. ახლა ყველას აცახცახებდა მის გამოჩენაზე და თვალეზი უხვედნენ... გულში მამუკას პირობები წყვეტდას შეუთვალა, სოფელში უნდა წამოიყვანოთო, ხომ იცოდა, აქაურებს როგორ „ამებდა“ თეკლას გამოჩენა, მაგრამ წამოიყვანა და წელან, დედას საყვედურიც კი არ დაანება, ამ გაიერწარმა ჩემზეც შური არ იძიოსო.

მაგრამ თეკლას, მასზე ვინ რას ფიქრობდა და ამბობდა, როგორც ხმელ ხეს ჭარის ზუზუნი, ისე არ ესმოდა. ამ მონაწილეული ტახტისა და ნაპლექარი, ფარლალა ოდა-სახლის მსგავსი სავანე დედამიწის გულზე არ არსებობდა. ეს იყო ის, რის სიმადლესაც თვალს ველარ უწვდენდა და რასთან მისვლა მას აღარ შეეძლო. ის იწვა იმ ქვეშაგებში და იმ ჭერქვეშ, რასთან მიახლოება უკვე შეუძლებელი იყო. იწვა იმ თეკლასთან, იმ ფრთებშესხმულ გოგოს გვერდით, რომელიც საცხე იყო სიყვარულით, იმედებით, რწმენით და ხვალინდელი დღის გათენებაზე სულწასულად მეოცნებე. იმ ერთი ღამისთვის გაჩენილი, იმ დღით გათენებულ და იმ ერთი მზიანი დღით უბედნიერესი. ახლა წვრილ-წვრილად იხსენებდა... იხსენებდა კი არა, ყოველთვის ხედავდა და ხედავს, როგორ ედო თავი ბალიშზე, როგორ ჰქონდა მკლავები საბანს ზევით გადაყრილი, შინაგანი ცეცხლითა და ზაფხულის სიციხით გათანგულს, როგორ შეზხაროდა ბეოლის ფოთლებში გალანდულ ბნელ ცისიერს, როგორ იხსენებოდა ცა და დაჰყურებდა ღვთის თვალი.

ტახტის ზემოთ, მუქ ჩარჩოში, იმ კაცის გადიდებული სურათი ეკიდა, იმდამით, ხის კედლის იქით და დილით ეზოში რომ ახრინწებდა. მაგრამ მაშინდელ თეკლას როგორ შეეძლო ეფიქრა, რომ ვინმეს სასიკვდილოდ უჭირდა... მაშინ, უგზო-უკვლოდ გამჭრალი მამა ცოცხალი ეგულებოდა და დედასაც და ბებიასაც თუ ოდესმე რაიმე ხელიდან გამოაცილიდა, ამას როგორ წარმოიდგენდა.

ახლა, ეს თავზე დამდგარი მკვდრის

სურათი, რამდენად მისი გარჩევა არ შეეძლო, იმდენად იყო: მამაც, დედაც, ბებიაც და თვითონაც. თვითონ — თეკლას გადიდებულ სურათსაც ჰგავდა და, როგორც საჩქეში დანახული საკუთარი თავი, ამდენად ახლობელი იყო.

მამინ თურმე რანაირად უტყვებდა ქვეყანას! რაც მამინ არ დაუნახავს, ახლა, ამ ბნელში არჩედა. ამ გვერდითა ფანჯრის გარდა, რომლიდანაც მამინ გადახტა და აღმა მლოცველივით მასზე შემოჩერებულ მამუქას მკლავებში ჩაუვარდა, (ღმერთო, ახლაც რა დამთრგუნველი ვნების ერთნაირი უვლიდა ტანში!) ამ ოთახს, წინა მხარეზე, კიდევ ორი ფანჯარა ჰქონია. აქვე, მაგიდაც მდგარა, სკამებიც. წინა წყვილი კარის გარდა, გვერდითი, ტიხარის კარიც და ამ ტახტის კედელზე — ხალიჩაც, რომელზეც ეს გადიდებული სურათი ჰკიდია. მამინ თუკოც ხომ მასთან იყო, მაგრამ მკვდრები რომ თავზე „დადგომოდნენ“, რა დააძინებდა. ახლა პირიქით, მარტომარტოს ეს სიამარისებური სიჩუმე და მტრული, იდუმალი სამყარო შეზარავდა, ამდენი თავისიანი რომ ჩარჩოდან არ დაჰყურებდეს, რომლებთანაც მეტი საერთო აქვს, ვინემ ცოცხლებთან. უკვე ცოცხლები უფრო აფრთხობენ, ვინემ მიცვალებულები. მამა, დედა და ბებიაც იყო, ვინც მასზე ზრუნავდნენ და ვისთანაც ის ცხოვრობდა. ისინი მკვდრები იყვნენ და სხვები — ცოცხლები, ვინც მას აწამებდა და სტანჯავდა? ვისაც ის ეკრძაღვოდა და, ამ ბოლო დროს, თვითონაც აწინებდა? ცოცხლებმა იცოდნენ, რომ ის გარყვნილი, ზნედაცემული და კაცისმკვლელი იყო, თორემ მკვდრები ყველაფერს „ხედავდნენ“ და სწამდათ თეკლას სიწმინდე... ახლანდელი მამუქაც ის იყო, ვინც „იცოდა“ თეკლას უდანაშაულობა და დილით, უთენია ისევ მოადგება ამ ფანჯარას, როგორც ოთხი წლის წინ. ისევ დაეკიდება ხელებით რაფაზე და მიწამდე ფეხდაუწეველი შეევედრება პერანგის ამარა ფანჯრიდან გადმოხტომას. თეკლას ისევ

სუნთქვა შეეცვრება, როცა მამა-ფრინდებმა, ისევ ჩაუვარდება მკლავებში და ის გამთანგველივით დაუფრთხვებება დაეუფლება, რომელიც დაუოკებელი წყურვილით ითხოვდა მის გაქალებას, როგორც გარდაუვალის ახდენა, როგორც ჩასახულის შობა, როგორც დედამიწის მიზიდულება და, როგორც მართლა ფრთებს ვერ გამოისხამ, ისე შეუძლებელია ქალი ქალი არ იყო. როგორც გაჩენისთვის შენი თანხმობა არ დაჰქირვებით, ისე არც არავინ გითხავს, შენ რა გინდა და გაუტყნობიერებლად, რისთვისაც შეიქმენ, უსაზღვრო სურვილადქცეულ იმას აყეთებ.

თეკლა მიწაზე რომ ფეხს დაადგამს, ჯერ იატაკის ქვეშ დააპირებს შეძრომას, მაგრამ მამუქა არ დაინებებს. ვითომ ლუჯა ბიძია ახლაც ცოცხალი იყოს და მას ემალეოდნენ: ღობეს, დაფენების ბუჩქებსა და ხურმის ხეს მოფარებულები ქართისაყენ გაუხვევენ, ჩელტის კარში გაძვრებიან და წელში წახრილები, ვიწრო შუკაში მუხლამდე ნაკელიან ტალახში გალაგებულ ქვებზე, სარებს მოპოტინებულები, ნაბიჯ-ნაბიჯ გაუყვებიან. მაგრამ თეკლას ისევ ჩაუცდება ფეხი ლაფოში და მუხლამდე ამოიღვნილი, სახტად დარჩენილი გოგო, სანამ შუკოდან გააღწევენ, ასე ივლის: ცალი ფეხით ქვებზე და ცალით — ნაკელში შეღვსილ სქელ ტალახში.

მინდორზე რომ გაკლენ, მამუქა დაინახავს შავი, თითის სისქე ლაფით მოთხერილ წვივს და მეორე იმდენად თეთრი მოეჩვენება, სიცილი აუტყდებოდა. ახითხითდება რიდიოთ, მოულოდნელობით, სიხარულით, მიწით, ტალახით, დილით თუ შუის მოლოდინით ერთბაშად აღტყინებული გულიდან, ყელიდან, თვალებიდან თუ მთელი არსებიდან ტირილ-სიცილი კი არა, რალაც ყველაფრის ამომთქმელი ხორბოცი აღმოხდებოდა. ორივეს რომ ერთმანეთზე გადაანასკვავს თუ ერთსულ და ერთხორც აქცევს.

და გაუსაძლისი, დაუტყვარი, დაუოკებელი, უსამართო რალაც, შენზე ასჯერ

და ათასჯერ ძლიერი ხელს დაგავლებს და გაგაქროლებს. წაგიღებს: როგორც ქარი ფოთოლს, როგორც გრივალისაგან მოტაცებულს და მიწაზე ფეხს არ დაგადგმევინებს, ცას შუბლით შეგახლის, განთიადის მზესთან შეგყრის...

VIII

იმ დილით, ფანჯრიდან გადმომბტარ თეკლას, დილის ბინდბუნდი საშუალებას აძლევდა ყველაფერი ისე დაენახა, როგორც ოთხი წლის წინ. ეგრძნო ის სიმსუბუქე, ფრენა და მამუკას მკლავებში დაჭერილს განეცადა ის ვნებით აღტყინებული ტრეოლვა, მაშინ რომ გაუცნობიერებლად დაეუფლა და ახლალა რომ იყოდა, რა საწაფელს სწია.

სასწაულებრივ შეძლო იმ გრძელი, უმძიმესი დროის დაეიწყება და მთელი არსებით შეპყრობილმა დაიბრუნა ოთხი წლის წინანდელი ღობისა და ხეების ძირებში მალვა, ქართის ჩელტის კარში ძრომა, ცალი ფეხით ცივ, ნაკელიან ლაფოში და მეორეთი საითათოდ გალაგებულ ქვებზე სვლა.

შუკიდან გაღწევამ თუ იმ ბედნიერებასთან მიახლოებამ, შეუძლებელის შეძლებამ თუ ჯოჯოხეთიდან საშოთხეში შეღწევამ, მართლა ფრთები შეასხა... ყველაფერი გაცხადდა, კი არ განმეორდა — თავდაპირველი მოველიანა და იმის შიშით, თავდავიწყებიდან არ გამოფხიზლებულიყო და სინამდვილე არ დაწყოდა, უნდა ეკვილა, მშველელი, მფარველი ეხმო და შეეცხადებასათვის თავზარდამცემი სიცილ-ტყრციალი წასკდა. მამუკას ხელი დაავლო და დამრეკი მინდორზე წარიტაცა. მიჰქროდა, მიფრინავდა, მიეურავდა მარგალიტებით გალუმპულ მწვანე ბალახების მდინარეში და სიკაბდე, რომელიც უკან მოსდევდა, იმაზე ჩქარა და გახელებით ერეკებოდა წინ, ვინემ მაშინ და ისე ავი და შეჭირვებული იყო სრბოლა, როგორც წამებისაგან თავდაღწეულის ოტება.

გარბოდა იმ ორღობისაგან, საიდა-

ნაც ამწუთს გამოძვრა: იმ სარტოდან, სადაც წუხელ დამე გავთვია, იმ სოფლიდან, სადაც მამუკა-მეჩიროვნის ქალაქიდან და მთელი ქვეყნიდან... ყველაფრისაგან, რაც იყო, რამაც აქამდე მოიყვანა...

გარბოდა და უკან ბნელეთს, უფსკრულს ტოვებდა. ყოველი ნაბიჯის შემდეგ ხმებოდა ბალახი და იწვოდა. შავდებოდა ცა, ირღვეოდა მიწა და ალებდა ხახას უკუნი... და, ფეხად უნდა გაესწრო, რამენაირად უნდა გაეღწია. უნდა, უნდა, უნდა...

ყოველ ნაბიჯზე უნდა ეწივლა, ეცინა, ეტყარცალა, რომ გადარჩა, რომ ერთხელ კიდევ გაასწრო, ერთი ნახტომით, ერთი გაფრენით, ერთი ამოსუნთქვით... რომ ამ წამში ეშველა, ამ თავლის დახამამებაში იშვა და აფრიალებული ძველი, თეთრგვირილებიანი მწვანე, მინდვრისფერი კაბის კალთაში ვერ სწვდა საწუთრო, რომ ასე გამალებით მდევარ წუთისოფელს ხელში ქარი შეატოვა და ერთხელ... ერთხელ... ერთხელ... მაინც იხსნა თავი და პირში ჩაღამაგოვლებული დატოვა. რომ ერთხელ, ერთხელ, ერთხელ კიდევ შესძლო თავის არსებას მიწვედნოდა, თავისი ერთი წამით გამოგელიჯა და თან წარეტაცა. ისევ თავისთავადობას ჩაფრენოდა, თავისი ყოფა დაემისებინა. თავის სიწმინდეში შეეხედა და თავის ქვეყანაში დაბრუნებულყო უცხოობაში გადაბვეწილი, ურდოებისაგან მოტაცებულ: ნაკვეში, ნათრევი, ფეხით გათელილი, ფურთხითა და სისხლით მოთხვრილი...

და მოსდევდა მსრბოლი მდევარი, ყურის ძირში ისმოდა მისი სისინი, ქშენა და ჭლიგინი. ოთხამოლებულს, დაქიანებული ყვითელი კბილებით ეჭირა გალურჯებული, ბოღმით პირში დაუტევაარი, გასიებული ენა და ქარისაგან მოტაცებულ, მინდვრისფერი კაბის თეთრ გვირილებს უგასლავდა...

დრო, დრო, დრო...

წუთით, წამით, წამის შეასედიითაც კი ვერ დაახანებდა. უნდა გაესწრო მასზე ბევრად მუხთალისათვის, ყველა-

ზე უარეს მუხანათისათვის, რომელსაც ვერასდროს, ვერასდღებოთ ხელიდან ვერ დაუძვრა, იმ აჯამის ქვესკნელში ჩამწვდომ მზერას ვერასოდეს დაემალა. ხელის გაწვდენისთანავე რომ იჭერდა, უფსკრულში ითრევედა, ამიშველებდა, ჯიჯგნიდა, ფლეთდა, ნთქავდა და ვერ ძლებოდა.

ამ ერთხელ, მთელ სიცოცხლეში ერთხელ უნდა ეფრინა, გაესწრო და მიესწრო მარგალიტებით მოოქვილ, მწვანე მდინარეში, ძველი, ბებერი, გამოფულდროებული ველური მსხლის ხემდე. იქამდე მაინც, რომელზეც ოთხი წლის წინ მამუკა და ის ხელიხელგადასკვნილები ეხვეოდნენ და სულს იბრუნებდნენ, რომ ვნებათა სრბოლას არ წაეღეკათ. ახლაც უნდა მიედწიათ: მოხვეოდნენ, ჩახუტებოდნენ, მიაკვროდნენ და მისათუთებოდნენ ვით დევნილნი შემფარეს, დამარცხებულნი — ციხე-გოდოლს, ვით განგმირულნი — სალბუნს... და, უნდა დაეფარა ხეს ქომავს, ხეს წმიდას, სვეტს ცხოველს.

ლაშე ახლა უფრო სავსე იყო, უფრო მღვრიე და ტალახისფერი. ნაპირებთან ათოთინებული ჭილოფი და გაღმა ტირიფის ბუჩქნარებიც დაეტბორა ბაყაყებთან წუმპეს. თუმცა ყველაფერი ისევ ისე ნაცნობი იყო, ისეთივე მახლობელი და შენ ხილვას მონატრებული. რა ბედნიერებაა, რომ ბუნებაში ასე იოლად არაფერი იცვლება!

ცვარდაყრილი, მუხლამდე სიმიინდის ყანაც წვივებს უსველებდათ და თეკლას ლაფით მოსვრილ ფეხს ბანდა. ნაფრმალ. საქონლისა და კაცის ნაფეხურებით დაორწოხებულ გზაზე გალუმბული ფეხსაცმელი კვლავინდებურად უცდებოდა, უბრუნდებოდა და მამუკა ისევ ამველებდა ხელს, ხევედა ახლა უკვე ბევრად უფრო ღონიერ მკლავს და იყრავდა ბეჭზე; მას მერე მუდამ ფეხგადაბრუნებულსა და წაქცეულს, არაეინ რომ მხარში არ დგომია, ყველა ზედ გადადიოდა და მიწასთან ასწორებდა.

და ახლა, რაკი მწე გაიჩინა, ბოგანო აღსდგა ლტოლვად და ოტებად, ისევ

დაღლასა და ისევ დაეცემას უკიდურესი ძალისხმევით უნდა გაეგრძელებინა.

გზის არც ერთ მხარეზე წინა მხარე ყანებში არაეინ ჩანდა, აღმოსავლეთით მომწვანო-ლურჯი ნისლის მიღმა ბუნდოვან-მეწამული აისი თვალს რომ ახელდა, ამის მოიმედე მუხლს ვერ ჩაბრიადა და სულს ვერ ჩაიბრუნებდა.

უკვე, ზურგს უკან რაც რჩებოდა, თითქოს აღარ ხმებოდა და არ იწვოდა. არც მიწა სკდებოდა, უფსკრულს არ აჩენდა, მაგრამ მინდორი, ხე, ლაშე, ყანა და გზა პატარავდებოდა. შეეძლო, შორიდან კი არა, ზევიდან ეცქირა. თვალსა და ხელს შუა მცირდებოდა სამყარო. თითქოს არც უკან გარბოდა, არც კი შორდებოდნენ ერთმანეთს და მაინც თვალდათვალ კინდებოდა. თვითონ არ გაზრდილა და გასიებულია, მაგრამ ძვალ-რბილი შეუშუშდა, დამძიმდა, მოიმჩვარა და თუ ქვეყანა ასე ერთბაშად დაილია, თვითონ უზომოდ დიდი რჩება, არანორმალური. მალე, ალბათ, მალლიდან დახედავს სოფელს და თანდათან ველარც კი დაეტევი. ან, თუ არ გაასწრო, იქაურობას არ გაეცალა, ფეხით გათელავს და გაასწორებს ამ ორწოხებს, ყანებს, ბუჩქნარებს, ღელისპირა ტირიფებს და, თუ ისევ და ისევ არ იჩქარა, იმ ღელეზე გადებული ხის ბოგორი, რომელიც უნდა გადაიარონ, ველარ გაუქლებს, ჩაენგრევათ. იმ პატარა, ჩია კაცს, აქ რომ ოთხი წლის წინ წამოეწიათ, ახლა ყურს ველარ ათხოვებდა და... რა დასანაწია ის ცქვიტი, ენამოსწრებული გლეხი, დაკარგული ხარების საძებრად რომ გარბოდა...

უნდა გაეღწია ამ ბალახმორეულ-დაჩივებული, გაწბილებული ყანებიდან. ამ ოღროზოღრო გზიდან; ერბინა, ეძუნძულა და ხიდზე მანამ გადაესწრო, სანამ ისიც ნამლევად არ გადაიქცეოდა სანამ მათი ზიდვა ჯერ კიდევ შეეძლო.

## IX

დიდმა, დამძიმებულმა და დაოსებულმა თეკლამ, როგორღაც, მაინც მიი-

ტანა სული მდინარის სანახებამდე. ბუ-  
დიდან მთლიანად ამოვარდნილი გული  
ორივე ხელით ეჭირა და ისე მიჰქონდა,  
რომ როგორმე კუნძულამდე გაეძლო,  
არ ეღალატა და ორად არ გახეთქოდა.

და მიაშურა, მიაშველა, მიასწრაფა  
იქ კი არა, სადაც პირველად, თავთხე-  
ლში მამუქამ ბადე გაშალა, არა, ახლა  
არც ამის დრო აღარ იყო. ახლა პირ-  
დაპირ, მოკლეზე ჰქრიდა გზას და სულ-  
შეგუბებული უახლოვდებოდა იმ ორ  
მდინარეს შუა მოქცეულ ვერცხლის-  
ფერი, დაჩქვენი ტირიფებისა და  
ლურჯი სილიანო, ფერადქვიანი ხრეშით  
ნაპირებშემოკვერცხილ გზაგამო, ხელის-  
ტოლა მეჩეჩს, ყველა გზა რომ აქეთ  
მოდიოდა... მას მერმინდელი კი არა,  
როცა თეკლა აქ იყო, მანამდელიც და  
აწინდელიც...

მდინარის შავი წყალიც მღვრიე და-  
უხვდა და ცისფერიც... ხოლო შავი  
უსახურად გახუნიებული, ტურტლმერე-  
ული, ლაგაზი, მაგრამ არა ისე გულ-  
ბნელი და კუპრჩახვეული; თუმცა ავად-  
მობუტბუტე, მხვნიშავი... მოედინებო-  
და, ტალღებს იხვევდა, შფოთავდა, გმი-  
ნავდა, თავისთვის ცივად დღვდა.

ცისფერი იოლად შეებილწა ტალა-  
ხისფერს, მთლიანად წაერთმია სიანკა-  
რე-სიკისკასე, მოწითალო შლამსა და  
მოლურჯო სილას ერთმანეთში ურე-  
და, დღვებდა, თავისი მშვენიერების  
დათმობით შეშფოთებული.

მაშინდელი თეკლა პატარა ჩანდა,  
კრავივით უცოდველი, მშინშარა და აღ-  
ტაცებული. ახლა, ასე წარბაუხრელი,  
თამამი და ნაპირებზე ატოტინებული  
მდინარის ზევიდან გადმომდგარი. ამ დი-  
ლამდე ისე უსუსური, უძლური, ადა-  
მიანებისა და ქვეყნის ქვევიდან შემ-  
ყურე, დღეს ასე მოულოდნელად აღზე-  
ვება და ყველაფრის ერთბაშად მალ-  
ლიდან ცქერა! როცა მუდამ დაბლა  
იკებდნენ, სრესდნენ, თელავდნენ და  
გადადიოდნენ. აქამდე მარტო იმას თუ  
ხედავდა, რაც თავზე აწვია, რისი სიმ-  
ძიმის ქვეშაც გმინავდა და მისდა სა-  
მარცხვინოდ და საუბედუროდ, ვნება-  
საც კი უჩენდა, სადაც არასდინდებით

არ შეიძლებოდა, იქაც ქალი იყო, რაც  
დამდაბლებულს ამდაბლებულს უკმა-  
ფით სვრიდა. ის ამაზრუნველს უკმა-  
ფუნი თავისთვის, თავის მიმართ გაუჩ-  
ნდა. ამიტომ გამოდგა ისეთი უკიდ-  
ვანო და ყოვლის მომცველი, რომ მისი  
აღსრულება შეუძლებელი გახდა. უპირ-  
ველეს ყოვლისა, თავისმცველი უნდა  
ყოფილიყო, თავის თავში ჩაბუდებული  
მოღალატე ვნებაზე შურისმაძიებელი.  
ამიტომ აღდგა ნაცვალგამგებლად, რაკი  
თავისი თავის ღალატი ვერ დათრგუნა  
და მოძალადესთან ერთად რყვინდა თავისივე  
ტანიდან მოუშორებელი საკუ-  
თარი ცდუნება — მტერი. დამბარმა-  
ვებელი შიმშილივით რომ სჭირდა და  
ძალის ხორციით ძლომას ახერხებდა.  
საკუთარ თავსაც ფეხქვეშ ჰყავდა ამო-  
დებული, ქვევიდან ამოტიროდა, ამოკ-  
ვენსოდა, დანდობასა და შებრალებას  
ევედრებოდა. არავინ უსმინა: შინაგან-  
მა, თავისნაც კი, რაც მის სხეულში  
ჰყავდა ჩასახლებული ყურად არ იღო.  
არავინ შეიბრალა და უმწყო, ღვთის-  
მოსავი, უძლური მესისხლედ აქცია;  
იმაღ, რაც მის სამყაროში არასოდეს გა-  
ფაჩუნებულა. უძლურებამ და მოყვასი-  
სადმი უანგარო სიყვარულმა, თავისმა  
ჩახჩახა მზით გატენილმა სულმა შვა  
უკუნი. მისმა კამპამა ცისფერმა გამო-  
იხმო დალეკრტებული, სილურჯდა-  
კრული; მეწამული; უძლურებამ — ძალა  
და უმწყობა — ძალისხმევა; გასრესამ და  
გაპარტახებამ — გამსრესის და გამპარ-  
ტახებლის იავარყოფა. წართმეულმა,  
წაგლეჯილმა, წაგვრილმა თავისამ მოი-  
თხოვა თავისი. ერთხელ შობილმა და  
სიციცხლეგაწილებულმა — მეორედ  
შობა და, შხამანასამმა — დედის რძე.

თეკლა რა უნიათო-უსუსური იყო,  
იმათვე დარჩა. რა გენმა და ჯილაგმაც  
შეჭმნა იმას არ გაედენია — თავის ბუ-  
ნება-ხასიათს ვინ წაუვა. რომელმა ავის  
მქმნელმა არ იცოდა თავისი სიივე, მა-  
გრამ გზამართლისათვის მიუგნია? ან,  
რომელ კეთილს დაფასებია სიკეთე,  
მაგრამ ბოროტების გზას არ დადგომია.  
შურისმგებელი იმას იმეორებს, ვინც  
შურისძიებამდე მიიყვანა. ბოროტების

ბოროტებით გადახდა ბოროტება არაა? მკვლელის მკვლელიც ხომ მკვლელია! თუ ვინმე ან რაიმე გაგანია და ხელიდან გგლეჯენ, შეგიძლია თუ არ შეგიძლია, უნდა იბრძოლო, რომ, როგორმე ვილაც ან რაღაც მაინც დაიბრუნო. თვით არსებობის შეუვალი კანონი მოითხოვს ამას, მაგრამ თეკლა დედ-მამასა და ბებიის ნაცვალგებით დაიბრუნებდა? რასაც არ ეშველებოდა, ყოვლად უძლური გოგო უშველიდა? თავისივე თავს მოურეველი, მოერეოდა ადამიანის გაჩენიდან გაჩენილ ბოროტებას და ძალმოშრობას? თეკლასთან ნები არ გაუტაცებიათ მოძალადეებს და უთრევიათ? მართო აქ კი არა, უცხო, მტრის ქვეყანაში... მისი ხალხი, ერი რომ ამოუწყვეტიათ და დედ-მამის, დამძმების მკვლელებს პარამხანებში შეუყრიათ. სიკვდილამდე იქ ისე დარჩენილან, შშობლიური მზე არ უხილავთ და საჭურისების მათრახებით ზურგაჭრელებულები, თავიანთი ნამუსამხდელის წინ ტიტლიყანა ტლინკაობდნენ, გადმოყრილი თეძოებისა და ძუძუების რხევა-ძიკიკით მოძალადის ვნებას იხმობდნენ, ისევ და ისევ დასამდაბლებლად და წასაბილწავად. და ყავლგასულ, სქესმოყრჭებულ პატრონს არ აუღია და ხასა ძალში არ გაუცვლია, ან თავისი ქალათისთვის ჩეარით არ მიუგდია? ახალი მოძალადის, ისედაც ხარჭებით ვნებადწრეტლის სათრევად? რომ გულხარბს ძღვენიო იქნებ მადა აშლოდა და ეკაცა.

რა დაკარგა თეკლამ იმათზე, მსავით ჭვარცმულ დედებზე და დებზე მეტი? რა ჰქონდა მათზე ძვირფასი და შეუღლეველი, მათ არ უყვარდათ? არ ჰყავდათ თავიანთი მამულები და ისევე არ ჰკარგავდნენ ჰკლას? ბევრს, იქნებ, ასე ხელიხელჩაკიდებულთაც არ მოუსწრიათ თავიანთ გულისსწორთან გზა-გზა და ყანა-ყანა ტანტალი. არ მისცემდა ამის უფლებას მაშინდელი ღმერთი და სოფელი. გოგო-ბიჭი ვერც მდინარეზე ითევზავებდნენ ერთად, ვერც კაბის კალთაში ჩაიხვევდნენ აფართკალებულ თევზებს და, მით უმეტეს, ლურჯ სი-

ლაში გულადმა გაშხლართულს, ვნება-მორეულს ვერ წამოსცდნენ. ვნება-მოცეო... და, ჭვარდაუწერლად ხომ ცოცხალი არ დანებდებოდა... ის ერთი დღის ბედნიერბაც არ ღირსებიათ. იმ ერთი დღელამის ნეტარბაც არ იცოდნენ, რომლითაც მთელი სიცოცხლე უნდა ეჯახიხათ. ან, ახლანდელ ომში, ცოტაა განუკითხავად ნაწამები? ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ქალებსა და გოგოებს იარაღდადებულს არ რყვნიან? დედისა და მამის თვალწინ აუპატიურებენ და ფაშისტების დასასვენებელ აგარაკებზე მიჰყავთ, მათი ქვეყნის რბევით, მათი შშობლებისა და დამძმების ხოცვით დაღლილი ჯალათები მკლავზე უწევთ და უვანებენ... უბიწო გოგოებს არ აავადებენ განუკურნებელი ვენერიული სენით და ისევ აჭეთ არ ავზავნიან, რომ მამუქასთანა ჯარისკაცები დაასნებნიანო და ჩვენი ხელით დაგვახოცინონ?!

როცა ქვეყანას მეორედმოსვლა დაატყდება, წარლენამ აღარ იცის მრუდი და მართალი, როგორც ამ გულამღვრეულმა, ქუფრმა მდინარემ, კალაპოტში დაუტყვარი რომ მიზიშხიშხებს და მწვერვალეში ნაღნობ თოვლსა და წვიმებს კი არ აუფორიაქებია; ცოდვებით, კაცისაგან კაცის გაუტანლობით, განუკითხაობითა და სიბინძურით რომ ადიდებულა და აღუფხულა. გულში ადამიანის თვალს კი არა, ცასა და მზეს აღარ ახედებს თავის თავდაპირველ სიანკარე-სიწმინდეს შეუღლეველი. რასაც სწვდება და ხელში უვარდება, სპობს, ლეკავს და ჩქარობს, რომ აქაურობას მალე გაეცალოს ასე ამღვრეულ-ატალახებულში, ასე ავი და უსიყვარულო, სულწასულად ილტვის შეუერთდეს ზღვის უსასრულო სიმშვიდეს; ჩქარობს აღსასრულის სიწმინდეს და დაღუპვით გადარჩენას. წუხს, თავისი ხელქმნილი უღამაზესი კუნძულის ლურჯ ნაპირებს რომ თვითონვე ლეკავს. დაჩქევული, ვერცხლშერეული ტირიფები რომ დატბორა, მთისა და ტყის ნაძარცვ-ნაგლეჯი ჭირკი, ტოტი და ფესვები რომ მოუხერგავს. ამ ნამუ-

სრევ-ნაალაფარს ქაფში და დუქში ალუფხულს ურევს — კუბრს ხარშავს...

შავ და ტალახისფერ მდინარეს შორის განწირული მწვანე-ვერცხლისფერი კუნძული შველას ითხოვს. სუსტ, ძირ-გამოთხრილ ტირიფებს მიტეკებულნი, იქიდან შავად აღღვებილ და აქედან ტალახისფერი ტალღები ითრევს. ერთიანად დინებისაკენ წახრილნი, თავზე გადავლილ წალეკვას თავდაღწეულნი, დათითხნილ წვეროკინებს ხელებივით იწვდიან, ახალი მომრევი ზვირთის გადავლებამდე ცასა და მზეს ეთხოვებიან.

კუნძული ოთხი-ხუთი ნაბიჯიღა თუ იყო დარჩენილი, რასაც მდინარე ვერ შეწვდებოდა და დასაღუპავად გამეტებულს, არარაობის სამსხვერპლოდ განწირულს ჩასანთქმელად უტრიალებდა.

— მამუკა, ბადე არ გინდა, არ გაშალო!

— არ მინდა... — ნაპირზე დაგდებულ, ტყვიებით დამძიმებულ საშალ ბადეს უმწეოდ დახედა.

— იქ... იქ უნდა გავიდეთ... როგორც მაშინ, ხომ გახსოვს...

— იქ... მახსოვს, თეკლა!.. იქ, შენ იწვეი... მე თევზები... — გაახსენდა, წარსულის გამოხზობისთანავე ყველაფერი გაახსენდა და თვალები ისე გაუზბრწყინდა, ბნელი ოთახის მინის სარკმელს რომ სინათლე მიადგება.

— გაიხადე ჩქმები, ბლუზა-შარვალი და აქ დატოვე.

— გაიხდი და აქ დატოვებ...

„როგორ განუსკვლავლად და სწრაფად აკეთებს ყველაფერს... ამის ცქერა იმაზე დიდი სატანჯველია, რაც გადაიხდა. ამის კიდევ ერთხელ... თუნდაც ერთ დღეს გაძლება შეუძლებელია!“

— ნუ მიყურებ!... მე იქ, კუნძულზე გაიხდი...

— შენ იქ გაიხდი...

თეკლას რომ ახსოვდა, ნაპირიდან ის ჩასასვლელიც წყალს წაეღო. ფეხის ჩაბიჯებისთანავე წელამდე ჩავარდა. უნებურად მალლა ასროლილ ხელებში მალლიდან მამუკა სწვდა და ნახტომით

ჩამოყვა. უშიშარი, შეუჭოვარი ნაჭირისკაცალი მუხლმეგრად *გაქვანეული* „აუპ, რამდენი აღიდგნენ *მწვანე* გადაულახავს, რამდენ ცოდვა-ბრალს წაუღეკია?!“

წყლის ფსკერზე ხრეშსა და რიყის ქვებს ტურტყლი დადებოდა, მოლიბული საყრდენი, გამკრავ დინებას მსხვერპლის მოტაცებას უადვილებდა. მაგრამ მამუკა ახლა იმაზე იოლად და ფეხმოდგმულად მიიწვებდა, ვინც მაშინ, როცა აქ მარგალიტებით გაჩახჩახებული ცისიერი ჩქერი მუხლისთავს ძლიერ სწვდებოდა.

„ამას, მდინარე კი არა, ზღვაც ვერ დაახრჩობს... საშინელება!“

წყალი ისე ცივი მაინც არ გამოდგა, სუნთქვა ერთბაშად შეეკრა, არც იმდენად უკარგბა, როგორც პირქვეში. ქალს თანდათან, რამდენზეც წვდებოდა, კაბა იმდენზე ამოჰქონდა და ამოშვლებდა, ასკდებოდა, ტალღებს უტყალაშუნებდა და ქაფმორეული მკერდს ულოკავდა, მაგრამ უკან არ აბრუნებდა, არ უცხოობდა. მისი სიაცე და ძალადობა ცივი იყო, მაგრამ უბოროტო, მგუეებელი; მისი ტალახი და დორბლი მაინც ჭუჭყისა და ბიწისაგან განმწმენდი. მისი ამღვრევა — უპატიებლის არდანდობა, მაგრამ სიაცე, ერთგულება თუ ერთგულებისაგან ორგულობის განკითხვა, მსჯავრი, კეთილმოსურნის სასჯელი, მშვენიერების დამფასებლისაგან გაუფასურებულის გლოვა, მისივე გაბედნიერებულის უბედურებაზე ჩივილი და თავში ხელის ცემი; მისგან ცხოვრების გზაშართალს დაყენებულის უგზოობაზე მოთქმა და მზებომებულის თვალების დათხრაზე გოდება.

ციცქნა კუნძული აღზევებულ მდინარეს ხელში შემოჰკმოდა. მის ლამიან, მწვანე ზურგს, დინების მხრიდან რომ ხერგი მოდებოდა, ზედ გართხმული აღამიანი სიგრძე-სიგანეზე გაწვდებოდა. ქალი და კაცი წყალსგატანებულნი, გადაბრუნებული ნავის ფსკერზე შერჩენილებივით იდგნენ, არსაიდან რომ არც ხსნა ჩანდა და არც არსთა გამრიგე.

შეცხელი იყო, კბენია და აბობოქრებულ. შავსა და ტალახისფერ მდინარეს კი არ ამოშმინებდა, ამბოხი ვენბითა და ლეღვით აქეზებდა, რომ არ დაეთმო, არ დამცხრალიყო, აზავთებულიყო, ამორგებულიყო, სიავით ჩამოერტყება სიავე, მოეშოთ და განეწმინდა; ევნო ვნებულს, განებანა და დაემკვიდრებინა ქვეყანა ქვეყნისთვის. დაებრუნებინა სიკეთე სიკეთედ, შვილი დედისათვის, სიყვარული სიყვარულისათვის და სათნოება სათნოებად...

## X

— ეს შენი?

— მე... ჩემი ცნობა აღარ შეიძლება... და ვერ მიცანი.

— ჰო... მაგრამ, „აქაც“ ის... რაც „იქ“?!

— უარესი...“

ეს იყო თვალსა და ბაკურის შეხვედრა. ნაჯარისკაცალს, ნაფრონტალსა და ნატყვევარს აქ, ზურგში რაღა უნდა გააკვირვებოდა და, თუ მაინც უარესის უარესი დაუსრულებლად შეიძლებოდა მომხდარიყო, ვერა და ვერ წარმოედგინა. ის ორი სიტყვაც იმითომ წამოცდა, რომ რაც გაიგო, რასაც ხედავდა, მისთვისაც დაუჭერებელს ჰგავდა.

მასპინძელთაგან ბაკური იყო, ვინც ძალადსტუმარს დაელაპარაკა. დანარჩენებმა ყველაფერი იცოდნენ, ყველა უბრაოდ, დაზაფრული უვლიდა გვერდს. არიდებდნენ თვალს, შიშით აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც მისთვის საჭიროდ თვლიდნენ. ამ ადამიანების იქით თეკლას არაფერი ებადა და ამათ — უფრო თავზარდამცემი არაეინ ეგულებოდათ. აქ, სადაც ერთ დროს, ერთ დღეს, მხოლოდ ერთ დღეს ბედნიერი იყო იმით, რომ ყველანი თვალებში შესციცივნებდნენ, ახლა მისი გამოჩენას ჩამოქცევას ჰგავდა. და აქ, ამ სოფელში, ამ სივანეში თუ არ იყო თეკლას ადგილი, მაშინ არავისთან, არსად ამქვეყნად აღარ ედგომებოდა. ამის ცოდნა მისთვის ახალი ამბავი არ იყო,

მაგრამ სხვა რა იცი და სხვა რასაც თვალებში უცქერი. სატყვევანს, ყველაგან უკეთესი გოგონა ურობის იქით მას ფეხის გასადგმელი არც არასოდეს ჰქონია. როცა აქ არ იყო, მაშინაც აქ ცხოვრობდა და, როცა შინ აღარ გაქმდებოდა, ვის კარს მიადგეს. თავის სახლიდან ამ სახლამდე იცოდა მან ერთადერთი ბილიკი და მოესვლებოდა თუ არა, უნდა მოსულიყო. მამუკას ეზო-ყურიდან კი ამ კუნძულამდე უნდა მოედწია, რომელიც ახლა წყალს მიჰქონდა. ამას იქით აღარაფერი იყო, როგორც მის გაჩენამდე. ესაა საწყისი და სასრული. აქ როცა უყვარდათ, მთელ სამყაროს უყვარდა. აქ თუ სძულთ, მთელი კაცობრიობა მტრად გახდომია. თუ შენი თავშესაფარი ჩამოქცეულია, სხვის სამყოფელს ვერ შეეხებნები. თუ შენი სახლის კარები დაგმანულია, სხვა ფინანდს ვინ დაგიგებს. თუ შენს სისხლსა და ხორცს შენი არ ესმის, სხვამ სხვისა რა გაიგოს. თუ დედას არ უყვარხარ, ვინ გიძიძიავებს; თუ შენი ხატი დამხობილია, სანთელს სად დაანთებ...

იქ, სადაც დაბადა და გაიზარდა, უკვე არაფერი იყო თავისი, გარდა იმ პატარა ორი ოთახის ოთხ-ოთხი კედლისა, საიდანაც მუდამ სიავე, შიში და გესლი ეონავდა. ვილაცას მუდამ ყური ჰქონდა მოდებელი და მუდამ გასაცემად, სალაღატოდ, გასარყენელად და დასარბევად უთვალთვალებდა. იმ ერთ-მტკაველა აივანშიც ვერ გახვიდოდი, რომ ვიწრო ქუჩის შუშაბანდებიდან და ფანჯრებიდან არ ჩაგგეზებოდნენ. იქ არასოდეს ყოფილა მარტო და თავისუფალი. ძილშიაც კი ავად მოდარაჯე თვალითა და ყურით შებოჭილი, უბედურებაშიც ხელფეხშეკრული... შენი ჰიერი რომ მათი ლბინი იყო, შენი გათიშვა და გრძნობის დაკარგვა რომ გრძნობებსა და ვნებებს აუშლიდათ, შენი ლეშად ქცევა რომ ყორნის მადას ჰგვრიდათ.

და, თუ ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს, სანამ მამუკას ომში წაიყვანდნენ, უვიცი, ბედნიერების მოპოვებზე გოგო ზო-



გჯერ მიინც თავდავიწყებას ეძლეოდა, ივიწყებდა კედელს იქიდან მოდებულ ყურს, დაღუბულ მამას, ავადმყოფ დედასა და ბებიას, ისიც აქედან გაყოლილი ბედნიერების ნამსხვრევი იყო, არა იქაური, არა იმ ფუძის ნაშობი და, ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ასე ძვირად დაჯდა.

აქ, შავი და ცისფერი მდინარის, ამ მიწისა და ცის შუა იყო დილიდან საღამომდე ის, ვინც იყო, ყველაფრისა და ყველასაგან თავისუფალი. მისი სიყვარული, სათნოება, ვნება და გაორება რომ გაერთიანდა, გამთლიანდა, მისმა შექმრადილმა მხოლოდ იმ დღეს დახატა თეკლას ნამდვილი სახე და მას აქეთ იცის რად შექმნილა და რად იცხოვრა.

ღმერთო, რატომ აქ არ დარჩა სამარადეოდ და აქაური მიწა არ ჰქამა; დედის რძესავით შეერგებოდა და ვერაინ ძმრად და სისხლად ვერ ამოადენდა!

დაიქნებოდა იმად, რაც იყო — სადაც სკოლადა და დარჩებოდა წმიდა და უცოდველი. როცა ამას იქითაც ღვთისმოსავი იყო და მიინც შეჩვენებისთვის განწირული. როცა მისი სისხლი ემართათ და მან არ იცოდა რა იყო ნაცვალგება. როცა ეგონა, უნდა გიყვარდეს მტერი შენი და ბორბტებას სიკეთე მივაგო — ცალ ყბაში რომ გაგარტყან, მეორე მიუშვირო...

ამისთანასთვის არსებობდა ეს კუნძული, სადაც მტერიან ფეხსაც ვერ დაადგამდი, სანამ ცისფერ ტალღებში არ განიწმინდებოდი და ნათელს არ იღებდი. თითქოს, ის თავის სიმკირის გამო კი არ იყო დაუსახლებელი და უცარიელი, არამედ მასთან მისასვლელი გზის სიძნელითა და მიუვალობით.

ამოდენა, უკიდვანო დედამიწაზე თურმე ეს ერთი ფეხის დადგმა ადგილი ყოფილა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დატოვებული. რასაც ენუჯვოდი, ელტვოდი და ოცნებობდი, აქ დაგზავდებოდა, მაგრამ აქედან ვერსად წაიღებდი.

უნდა მოსულიყავი უშურველი, უანგარო, უბიწო, ერთგულებით, სიყვარუ-

ლით და შენ მოტანილს საიმედოდ შეგინახავდნენ. ყველაფერი მისი ხარსებებდა და ვერაინ ნელსადა. რა ჰქვეყანაც გაგაჩნდა, იმის მეფე-ბატონი იქნებოდი.

თეკლამ, თითქოს, ეს ყველაფერი იცოდა და მიინც სასწაულს მოელოდა, თუ, სასწაული ეწადა... მისი ახლანდელი, უაზრო, სურვილებისაგან განძარცვული ყოფა უკვე ოცნებისთვისაც ჩლუნგი გამოდგა და აქეთ თურმე ისე ეშურებოდა, როგორც ფარვანა ციციხლის მშვენიერებით მოხიბლული. და დათრგუნვილმა ვერ შეძლო დაეთრგუნა გაუცნობიერებელი სურვილი და ძალმიხილი არ მისულიყო იქ, სადაც აღარ მოესვლებოდა. სადაც არაფერი მოჰქონდა, თურმე არც არაფერი უნდა გულეებოდა. უბოვარს, როგორმე, არ უნდა ხელეყო ერთადერთი განძი, რომლითაც სულდგმულობდა და არ ეგემნა აყრძალული ხილი. თავისი დასაყლავი დანა არ უნდა გამოეთხარა.

მაშინ თეკლამ და მამუქამ მოიტანეს ეს კუნძული და ახლა, ორივე ხელეარიელს, რა უნდა დახვედროდათ.

სანამ გაუქვლმართებული ბედი გტანჯავს და გაწამებს, გატირებს და გაცივლებს, მანამდე ცოცხლობ. სანამ უბედურება უბედურებაა, მანამდე ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. სანამ მდევარი გაშინებს, გაურბობარ და ემაღეები, თავზე ახალი წარღვნა არ დამატყდესო, გადარჩენის იმედიც არსებობს; მაგრამ, თუ სიკვემ დაგაუძღლო და წყალწაღებული არ ცდილობ ხავს მაინც წაებოტინო — განწირული ხარ, ხსნა არ არსებობს.

- მაკოცე, მამუქა, მაკოცე!
- მე?..
- მაკოცე, რას უცდი!..

თითქოს, იცოდა კიდევ აქ რაც იქნებოდა... და სხვას არც არაფერს მოელოდა. თითქოს, ახლაც ხედავდა რაც დახვდა, მაგრამ რაც იყო, მიინც ეს იყო, როგორც აწყყო, ისე მომავალი... რითაც იწყებოდა და თავდებოდა. უნდოდა-არუნდოდა, ამას იქით სხვა ასავალდასავალი, სხვა ყოფნა-არყოფნა, სხვა

ხსნა არ გაჩენილა და არ გაჩნდებოდა. ბედისწერის შეცნობის უნარი ბედისწერისაგან თავდახსნას არ ნიშნავს. თუ იცი, რომ უფსკრულში მიექანები, დაღუპვამდე ხედავ შენს აღსასრულს, დილაუთენია, ჯერ ბედი-მდევარი თუ საწუთრო-მმუსკარელი დევნიდა, აქეთ მოერკეებოდა; მერე, დილის ნათელმა ერთბაშად დააპატარავა და დააქინა გზა-გამოვლილი და ქვეყანა — უკან დაჩენილი; ნაპირთან მდინარე დახვდა წარღვნად ქცეული და კუნძული მოტაცებული. ნარბენი, ოფლად გაწურული და შეშუპებული, ვერც მღვრიე ტალღებმა დააფრთხო და ვერც წყლის სიცივემ, რაკი კუნძულისთვის უნდა მიეწირო და გადაერჩინა. ახლა, განწიროვ, გადაბრუნებულ კუნძულის ფსკერზე იდგა და სხეულში მკერდამდე ამოსული სიცივე, ამ ხუთი ნაბიჯის სიფართო ხმელეთზე დაკნინებული, საცოდავად პატარა, ფრთებდაჭრილ ბელურასავითა ცახცახებდა.

უკვე, ერთადერთი საყრდენი და საესაიაც ფეხქვეშ ეცლებოდა. როგორი დიდი იყო ცოდვილ სოფელ-ქვეყანაზე, გაშლილ მიწებზე, ყანებზე, ტყესა და ეწერებზე და რა მცირე — უცოდველ, უბიწო, უჯატიელ, წყალწაღებულ მიწის ნაგლეჯზე. მთელი სიცოცხლე ძრწოდა და აცახცახებდა იმ უციოდენარე სამყაროში, სადაც პურის რიგებში და საყსაბოებში გარყვნას უპირებდნენ; სადაც ჰოსპიტლებში ავინებდნენ და ლანძღავდნენ; სადაც მკვდრების ნაპარაკ ლუკმას იყოფდა და დედისა და ბებიის სულს ამძიმებდა; სადაც არჩალი ჭიჭენიდა, ბილწავდა, მუსრავდა... სადაც: სძულდათ, ეზიზღებოდათ და მისი დანახვა ჰზარავდათ... სადაც იმოდენა, თვალუწვდენელ მიწას მისი ზიდვა უქირდა და რა პაწაწინას, შეუღინღლავი ბარტყივით საბრალოს როგორ იტევდა, როგორი დიდი და სრული იყო ეს, ჩიტის ბუდის ტოლა, ატონინებული, მეორედ მოსვლის კიდობანივით წარღვნას დანებებული კუნძულის-ქვეყანა.

„ჩემი მეტყვა: გარდასრულდა... ცოცხლე და მკვდრე მსმლენ.“  
ზინზინიყინებ

## XI

თავის შეცნობას ისინიც ვერ ახერხებენ, ვისაც საამისო ჭკუა, ნებისყოფა და ცხოვრება გააჩნია... ეს, სიყვარულისთვის შექმნილი, უსუსური არსება თუ ზიზღსა და სიძულვილს შესძლებდა, შურისძიებამა და მკვლელობას ეძღადა უდრიდა. თეკლას გაბოროტება ბოროტებას როგორ დათრგუნდა, როცა კაცობრიობა, ღმერთი და ხატი გაჩენის დღიდან დღემდე ებრძვის და ზღაპრული გველშაპივით, ერთ თავს რომ მოჭრის, ორი და ოთხი ამოდის.

თეკლაში ავი სული თვითონ მოძალადემ შვა და აღზარდა. ყოველ ცისმარე დღე თავის მშობლიურ ენას — სიკეთე-სიწმინდეს რომ ავიწყებდა და გესლითა და შხამით სავესე ფიალას ბოლომდე აცლევინებდა. დამპყრობელს რომ ბედსშერიგებულ მონად ქცევა არ მოეთხოვა, თვალების დათხრა და ჭირის ღზინად მოჩვენება არ ენდომა, უბედურებისათვის უბედურებაც რომ არ წაერთმია, სიწმინდისა და თავისუფლების სურვილი მაინც რომ შეერჩინა... თეკლას, მკვლევლობა კი არა, მშვიერი თავგები რომ შემოეჩვია, ძველ კომოდში დედისა და ბებიის ნამკვდრევი თეთრეული დაუღრღნა, ცოცხით ერეებოდა, რომ ჯოხით არაფერი ევნო... თავგებისა და ხოჭოების გასრესვაში ცოდვასა და ბოროტებას კი არ ხედავდა, მაგრამ არ შეეძლო. მღრღნელების არც ეშინოდა და არც ეზიზღებოდა, მაგრამ არ შეეძლო; ხომ არის რაღაც აუცილებელი, რაზეც ხელი არ მიიწვდება, თუმცა იცი, რომ საჭიროა...

„ყველა სულიერის თანაარსებობის“, ან „ბუნებაში არაფერი ზედმეტი“-ს რაიმე აბაღუბდის მომხრე ან უარმყოფელი კი არ იყო, მხდალი თუ უგერგილო, იმსტინქტებისაგან თავდაუხსნელი ვერ აკეთებდა და არც არასოდეს



უცდია ესა თუ ის თავისი უმწეობა გაცნობიერებინა და ამოეხსნა — „რატომ?“, რატომ ასე და არა ისე... იგი ცხოვრებასთან გულაღივდა, უკრიტიკოდ და უანალიზოდ მიდიოდა და ეგონა, ისეთნაირად უნდა ეცხოვრა; ისეთნაირი უნდა ჰყვარებოდათ, როგორიც ბუნებამ შვა და ქვეყანაც ისეთნაირი სწამდა, როგორიც იყო, სანამ არაფრის შემძლესა და არასმქონებელ ბოვანოს თავზე მეხი და მეწყერი არ დაატეხა. ხელცარიელს მეტი რომ ვერაფერი უპოვეს, სულისა და ხორცის ამარას, ნამუსი ამახდეს და სული ამოაცალეს. ერთხელ და ორხელ კი არა, ასჯერ და ათასჯერ... მოკლეს, მოსრეს, უსულო სხეული გადაზილეს, გადახარშეს და ხელახლა შექმნეს, გამოკვეთეს, გამოკედეს და, რაკი სიკეთე და სიწმინდე აღდგა, რაკი სოციალისტის ვნება სიკვდე იქცა და თეთრი შავად გარდაიქმნა, ერთბაშად ქვეყნის ბნელში ჩანთქმა ინდომა...

და, რაც მოხდა, რაც შურისგება ჰგონიათ, იმდენად ცოტაა, ცოდვადაც არა ჰღირს... რა სახსენებელია, მდინარის დამკარგავმა რომ პეშვი წყალი დაიბრუნოს...

მაგრამ აქამდე ის გუშინ და დღეს არ მოსულა. უკვე სისხლით გასერილი თეკლა კვლავ უმწეო და ლეთისმოსავი აღარაა ისევ წაბილწონ, ათრიონ, აფუროთხონ და ბიწისა და ზადის მოხოცვა შეძლოს, პირი დაიბანოს, „კაცმოყვარეობის“ მალამოთი იარები და ნაკაწრები მოიშუშოს. რა თვალთ უყურებდა წუხელ „დედამთილი“!.. ან, უფრო ადრე, ჭიშკართან რომ შევიღებსა და რძალს გამოეგება, როგორ გველნაკბენივით იტაცა ხელი გულზე, მათთან თეკლა რომ დაინახა. დავესლოლივით გაითანგა ოჯახი „სტუმრის“ გამოჩენით და თვალს რომ ვერაგინ უსწორებდა, მის ფეხის დანადგამს, როგორც დაღეკრტებული სისხლის ტბორს, დაზაფრული ჩასჩერებოდნენ. ყველაზე საწყალი გაიმეტეს და, თიკოს, უნასებივით გატენილი ხურჩინივით, წვეული მხარზე გადააკიდეს. მთელი ღამე სხვისი

მკედარივით ესვენათ სახლში და ვატუტის მეტი ვერც ვახშემინწევსაქვია ვერც სათქმელ-საწყებარსაქვია ვახშაკვალა.

„მე რას მერჩითო?!“ — ვატუტი ვის უჩიოდა და აყვედრებდა? „მკედარიც და ცოცხალიც ჩემი საპატრონო ხართო“ — ვის?... ბოლოს და ბოლოს, რამ გაშხლართა, ჯერ შიშით აკივლებული და მერე გონიხდილი დიასახლისი... არა, მამუკას დედას თეკლა არაფერს ემართლებოდა, მაგრამ იგი ვატუტის დედაც იყო... ვის მიადგა მშვიერ-მწყურვალე თეკლა, ვინ გააგზავნა საწყობში და ვინ შეყარა მოძალადეს?... ვატუტის თავის ყანაში მოწეული ჭირნახულით სავსე ბელღები ჰქონდა? ვინ დაუმარხა დედა და ბებია და ვინ დაიხსნა მკვლელი მართლმსაჯულებისაგან... არ უყვარდა, არ უყვარდა ვატუტი, არ თვლიდა მამუკას ძმად და ახლობლად... არ ეგონა მამამისის შვილი, ლეონისა და ბაკურის სისხლი და ხორცი...

მთელი ღამე არ ეძინათ წუხელი იმ სახლში, სადაც თეკლა იწვა და ძრწოდა არა მარტო ჭკრივი და მისი მონაგარი, თვითონ სახლი და სახლის ქვეშ მიწა, კედლიდან გადმომდგარი მიცვილებულის სული; გარეთ, ხის ფოთლებსაც დილამდე აერყოლებდათ. მთვარე ღრუბლებში მიიპარებოდა და სანამ არ ჩავიდა, ცას არ გადაუწმენდია. განთიადისას დაყარა ნაში, ცრემლივით წმინდა და სვედიანი. მამუკას რიყრაცზე სახლიდან წამოსვლა არც კაცს გამოეპარებოდა და არც ბებერ, ურწყვე შევძალდეს, მოკლე-მოკლედ, წამუტუნ-წყავწყავით რომ ჰყეფდა და ფანჯრამდე ფეხდაფეხ მოჰყვა გაუცხოებულ ნაჯარისკაცალს. თავისი პატრონი იყო თუ გადამთიელი, ცხოველს ველარ გაეგო, ამ უცხო ნაკვალევს ნაცნობი სუნი რატომ ასდიოდა.

თვალდაუტყულ მასპინძლებს, არც მამუკას მოსვლისას და არც ფანჯრიდან სტუმრის გადასვლისას სძინებიათ. ხის ტიხარს იქით მათი სუნთქვაშეკრული უძრავობა და სამარისებური სიჩუმე იყო ამის მაუწყებელი.

ლობის ძირშიც და ქართის შუკაშიც იმათ ემალებოდა თევლა, იმათგან გაცლა და თავდალწევა ეწადა, რომ ვინმესთვის რუსუდანივით წერებებს არ ელაღატა და დილაუთენია არ ეკივლა. ალბათ ამას გაუბრბოდა ისე თავზე ხელაღებით და შინდვრის, ტყის, წუმპისა, ყანისა და ხიდის პირველყოფილებისა და უშურველობის მოიძედე, ვისაც და რასაც თევლა არ სძულდა და მისი შიში არ ჰქონდა, ვისაც შეეძლო ისე მიეღო და ისეთივე სიყვარულით აღევსო, როგორც ოთხი წლის წინ.

სამარადეამო ტყეობიდან თავდაბსნილის აღტყინება და დათრგუნული გრძნობების სადავეების წართმევაც იყო ის... ნაბამი ნადირის თუ ბნელი თავლიდან თავდალწეული, სინათლით შესული ცხენის სრბოლა-ჭიხვინი... არა მხოლოდ გახსენება და წარსულისაგან გამოხშობილი ხორხოცი. ყველაფერი ერთად და ყველაფერი ერთბაშად მომსკდარი, თავზე დატეხილი: წარსულიც, აწმყოცა და მომავლიც, რაც თავის სიცოცხლეში უფიქრია და უოცნებია, რაც გულით უნდოდა, სულით ეწადა და არასოდეს ღირსებია...

არც გუშინწინ გაუზარებია, რატომ უნდა აჰკიდებოდა მამუკას და მის რძალ-ძმას. გამოლენჩებულსა და პირზე ღორწინამოდენილ ვოგოს აქამდეც, ამ წყალწაღებულ კუნძულზეც, ისევე უმიზნოდ და უპიროდ ურიალებდა ამთხვლეულ ტვინში, მდინარესავეთ გაუცნობიერებელი მღვრეი დინება. აგორებული ტალღასავეთ, ქვასავეთ მოედინებოდა აქეთ — თავდაღმართში. ეს იყო სნებაშეყრილი, ავი, ვნებიანი სიყვარული მიწისა, ორ მდინარის შუა მოტივტივე მიწის ნაგლეჯისა. აჩემება, სიჭიუტე, უცილობლად დაჭერება იმისა, რომ სხვა საცხოვრისი არა აქვს. სხვა საყრდენი, ბურჯი, ფეხის დასადგმელი არ არსებობს. სხვაგან, ყველაგან ბნელეთი ჩანთქავს, მიწა პირს უყოფს, რაეი სხვა მის სიმძიმეს ვერაფერი ზოდავს, სხვაგან მის ფეხქვეშ ბალახი იწვის და ქვესკნელი ირღვევა. იქ უსაშველოდ დიდია, მიძიმე... აქ, ამ საფლავის

ტოლა მეჩეჩზე კი — პატარა და მსუბუქი. ამიტომ, აქედან უკაცურად მიბრუნება კი არა, გაღმინაღმინა უძლებელია... მზე მართო აქ ანათებს და ღამით მთვარეს აქ უდგას ტახტი. აქ არასოდეს წვიმს და თოვს, არ ყინავს და არაგის ბოროტ თვალსა და ყურს არ შეუძლია შემოლწევა...

მამუკა უკვე აქაურობისათვის უაზროა, უადგილო. იგი ან უკან, გაღმა ცხოვრობს, ან არსად. სტუმარია, უცხო, გადამთოელი, თუმცა ოფლის ნაცნობი სუნი ასდის და ამონასუნთქიე „იმისი“ აქვს, იმდროინდელი, ამ უკანასკნელი ბიჭის... ეს დაკუნთული, ხეშეში სხეულიც მაშინდელი. სილბო, მამაკაცისთვის საუხერბულო სიფაქიზე რომ გასცლია, თითქოს უფრო თავბრუდამხვევი და ვნებით გამონანგავი შექმნილა. ტანზე სველ კაბაშემოტყვიელ ქალზე თვალჩაიციებული და მოძგიტინე, მაგრამ მაინც ძველებურად გაუბედავი და შენი მიხშობის მოიძედე.

— მაკოცე, მამუკა!.. მაკოცე!.. კიდევ, კიდევ, კიდევ!.. უფრო მაგრად, უფრო ძლიერად!.. როგორც პირველი და უკანასკნელი, როგორც არასდროს... აღარასოდეს... — ვაებით, თავგანწირვით გლეჯდა ალერსს გონებადაბნელებულს, მიწასავეთ უგრძნობელს, მაგრამ მაინც ამ საყრდენით, ამ სანდო, საიმედო საცხოვრისივით თავისას. მაინც შენი ვნებათა გამრიგე, შენგან შენის გამოხშობი და შენი განძის უანგარო, მოუსყიდველი დარაჯი. — გამხადე, მამუკა, ყველაფერი გამხადე!.. ყველაფრისაგან გამანთავისუფლე!.. დამიბრუნდი და დამიბრუნე! ჩემი ჩემად მექმენ, შენი შენად იქციე!

მამუკას მხოლოდ სამოსისაგან განძარცვა შეეძლო, კარნახით კოცნა, შენი ნასურვევით მოსურვილება, ხელში აყვანის მოწადინის წადილი. ქალის ნების ნება, მისი ალერსით ალერსი, მისი ტრფილით ტრფილი...

ტირიფების ძირში, სველ, ცივ მიწაზე გულაღმა დაგდებული ისევე იძულებით დამორჩილებული და ნააუსახილი გამოდგა. ცალმხრივი ვნებისა-



გან ვნებულო, შინაგანი ნამუსდაცულობისაგან ვანძარცული... ამ ბლარძუნს ისევ და ისევ ძალადობის კვალი ახლდა, ამის ოფლი და ამონასუნთქიც ისევე ყარდა, როგორც იმის, ვინც მამუკას დაბრუნებისას გვერდით უწვა და შურისგების მღვრიე სისხლით ძარღვებს უტენიდა.

ისევ პატარა, სულ მღილის ტოლა გამოდგა. ისევ უძლური ტიკინა, ყველასაგან, ყველაფრისაგან და ახლა საკუთარი თავისაგანაც დამდაბლებული. გაღმა, დიდსა და ყველაფერზე ზევით დასმურეს, ახლა, ტირიფის ძირებში ჩუარით გდებამ და სველი ტანით გაღესილ, ტალახადქცეულ მიწაზე სარგალმა, ბავშვობაში ქვაფენილზე დაკრული და ჩანატები თავის ქალა შიგნიდან აუწვა. ეს მომაკედინებელი, ავზიანი შეტევა ცეცხლად შემოენთებოდა, გათიშავდა და ვერაფრით თავს ვეღარ დააღწევდა. ეს ერთხელ მოხდა, მხოლოდ ერთხელ შეძლო მისი აცილება, როცა ნაცვალგების უმძაფრესი წყურვილით დაუპირისპირდა. როცა მასზე ძლიერ, გამანადგურებელ ავადმყოფობას ავადმყოფური, უშეღავათო სიაცე დაუპირისპირა. მთლიანად გახარჯა ძალისხმევის ძვირფასი საგანძური და შეძლო თავის დაღწევა. მეტად ეს აღარ მოხდება. უკვე ასე ღარიბ-ღატაკი ამოდენა საფასურს ვერ გადაიხდის. ტვინში ანთებული აღმური დაბნელებს და ჩერად აქცევს. ავიზნით შეპყრობილს ისევ შურისგების უსაზღვროებად ექცა უმწეობა-უსუსურობა; ჭირთათმენისთვის უძლურსა და არადამთმობს, უმწეობის მწვედ წივილი აღმოხდა:

— ამიყვანე, მამუკა, ხელში ამიტაცე!

იმ დამდაბლებიდან და დაჩივებიდან, რაც დაჩირგვეული ტირიფების ფესვებთან სჭირდა, თავისივე ნაწოლს ზევიდან რომ დახედა, თითქოს ამოსუნთქვა შეძლო. დაუხამხამებლად გაზელილ თვალელებში წაით მხეც საოხად

ჩაუდგა, შიგნიდან ტვინში აბრალბული ცეცხლი გარეთ გამაფრთხილებლად და ისევ და ისევ ისტანდარტული, ავადმყოფური სიდიდის მოწადინე. გაუსაძლის ტიკვილად მოითხოვა ხელშეუხებლად, შეუბლაღავად, შეუღველადა... ავზიანიად უნდა დაბრუნებოდა სამუდამოდ, სამარადემოდ... და არასოდეს... თვით, თავისთვისაც მოუწვდომლად, არავისგან მოყენებად და ხელყოფად... უნდა გაესწრო მაღალ, მშვენიერ, წმიდა, უბიწო თეკლას, რომ ვერაფრის მოხებლთებინა, ვერაფერ მისწვდენოდა, ვერაფრის ჩასციებოდა და მოერეოდა, დარჩენილიყო ამ ცვილის ზესთა კენძულზე და დაპატარაებულ, დაჩივებულ ქვეყნისა და ადამიანებისათვის ზევიდან ეცქირა... და იმ მამუკასთან ვერ დაეშორებინა, ვინც აქ, ამ ნავისტოლა ქვეყანაში ოთხი წლის წინ დატოვა...

— წამიყვანე, მამუკა, იქ, ქვევით, სადაც შენ მორევთან დიდი თევზი დიპკირე და, გამიშვი! ჩქარა, ჩქარა, გესმის? რას უცდი, ჩქარა, თორემ ბნელდება... უკუნი ჩამოწვა, გამაქცეო... კიდევ, კიდევ, კიდევ უფრო ჩქარა! უფრო ღრმად, უფრო და, გამიშვი. გამიშვი ხელი!.. გამიშვიიი!..

წყალი მაინც გრილი იყო, მაგრამ თავში ჩანთებულის, ყოვლის მმუსკრელი ხანძარი ალბათ მდინარესაც გადასწვავდა...

მამუკა დაინახავდა რა მოხდა და შეეშინდებოდა?

თეკლას რომ შავი დურდო ჩიხვევდა და და წაიღებდა, არ გაგვიღებოდა და შეშლილობიდან თავს არ დააღწევდა?! და არ დაუბრუნდებოდა თეკლას, ფარნას, ლეონსა და ბაკურს?!.

ის სუნთქვის უსაშველო ნდომა და ცივი წყლის ფილტვებიდან ამოხველების შეუძლებელი სურვილი, სიდიდის უმოწყალო ლმობასთან შედარებით მაინც ცოტა იყო.

სიციცხლე მართლა წყლიდან იშვა?..

„მერე სრულად მოაქცია, ცეცხლი წყლით დაუშრტანა...“

## დასასრული

ყველაფერი, ისევ და ისევ, ვატუტის საღვინდარბო შეიქნა. საწყალი კი წუწუნებდა: „ჩემთან რა გინდათ, რა დავაშავე, მე რატომ უნდა ვაგო პასუხიო?“ მაგრამ ყველაფერს დიდი გულმოდგინებით აკეთებდა. ან, თავის მდგომარეობასა და გავლენას თავისი ანებისთვის როდის იშურებდა. ამით მაინც გაუმართლა, რომ დამხრჩვლი იმავე საღამოს ეპოვათ. „ქუჩიდან“ ათიორდ კალომეტრზე გამოეგდო აღიდებულ მდინარეს.

მთის ძირში შეყუყულ, წყალგაღმა სოფლელ ბაბუა-შვილიშვილ ახლბაქეებს, იმ დღეებში, გამორჩეული ძირეული ხეები, ჭირკები და კუნძები დაეგროვნებინათ. იმის შიშით (იმ ვახაფხულზე, ღამით, ასევე ნადავლი შეშაორჭერ მოეპარათ), ისევ არ აგვწყანონო, საღამოს ჟანდაგი ხარები მონჯლრეულ ურეში წესებამ და წყლით გაყვყილი შეშის წასაღებად ჩამოსულან. იმდენი არაფერი ყოფილა, მაგრამ რაცაა, ამასაც დაეკარგავთო და დაუტვირთავთ.

მდინარე ზეგანის ფუძესთან მკეთორად უხვევდა და უბეს ქმნიდა, აღიდების დროს ზედ ასკდებოდა და ნაპირს შლიდა. ოდნავ დაეხრომის დროს კი, გარღვეულს თვითონვე შლამავდა და რაც ხელში მოჰყვებოდა, პირზე მომდგარ ღუეთან ერთად შიგ ტოვებდა. ცხედარი იქ შეეგდო, ორიორდ ფესვებგაქნძილ ტორიფისა და თხმელის გაყვლეფილ ტოტებში. გულაღმა მწოლარეს, ერთ დროს ქვაფენილზე დანაკრავი თხემი შლამში დებია. წყალსაც იმდენი დაეკლო, ყვითელი პერიდან ამოტივტივებული, ღია თვალებით მიმწუბრით შეწითლებულ ცას მიშტერებულს ჰკვანებია. შვილიშვილი — თოთხმეტი წლის ბიჭი წასწყდომია, თხმელის ნედლ, გალიბულ კუნძს რომ გამოთრევეს უპირებდა. ბავშვს იმდენად ვერ მოეწამებინა თითქოს წამოსადგომად მოწადინე შიშველი ქალის დახრჩობა, რომ სიწითლეშემონთებული

უკან გაქცეულა. დედიშობილი ქალს თავზე წავადექიო, ვაჭრის მსახურის გაუმხელია. მოხუცნი გვიხუტა: ძირკვი, რაც ჩამს, იმაზე დიდი ყოფილა, შლამში დაფლული ყმაწვილს ვერ ამოვღლეჯიო. ურმის ბრჩიხლასთან რგოლში ჩაგებული ნაჯახი ამოულია, თუ ორივეც ვერ ამოვთბრით (ამ ომის წლებში ბაბუა ძალიან გატეხილა), რაც ჩაბილულია, ჩავჭრი, ჩავტოვებ, წყლის ზევით რომ ჩამს, ისიც ხეირიო. ბიჭს კი წამოუტყნავლია: ბაბუა, იქ... არა, არაო!.. მაგრამ მოხუცს სწყენია, აქ, ამას წინათ, სიმწრით ნაგროვები მომპარეს და ესეც იმ ვერანებს დავეტოვოო?!

ასე იყო თუ ისე, ზედ წადგომია ქაფიდან „ამომავალ“ შიშველ ქალს და ყაბალახი მოუშლეუპია, სამჯერ პირჯვარი გადაუსახავს. რალა ექნათ, დაუცლია ამ ქვები შეშით ძლივს დატვირთული ურემი, ახლოს მიუყენებიათ, ობოლი შვილიშვილის შიშველ და ისიც გაგუდულ ქალთან მიახლოება რავა ნდომებია, მაგრამ ჟანგატეხილს მარტოღმარტო ვერაფერი გაუწყვია. გაუხდია შავი სატინის, იდაყვებზე საკრებელდადებული, ჟიბებიათი ბლუზა, დამხრჩვალისთვის წინსაფარივით წელზე სახელოებით შეუკრავს და ორივეს როგორღაც ნეშტი ურემზე დაუღვიათ. სახლში თავისი, ოშში დაღუბული შეილების საკირისუფლოც ჰყოფნიდა, სხვა როგორ ეტირა, და სოფლის სათემო საბჭოში მიუსვენებია... საბჭოში ხეიბარი მორივე-დარაჯის მეტი ვილა დახვდებოდა. თავმჯდომარესთან გაქცეულან. სოფლის თავკაცად ერთი აშარი დედაკაცი ჰყოლიათ, ქვა აუგდია და თავი შეუშვერია: მკვდარს პატრონი ტირისო! გამოქცეულა, სცემია კედელზე მილურსმულ ტელეფონს და ჩიხლახივით უტრიალებია. მისდა გასაოცრად, რაიონის მილიციას დაკავშირებია...

მეორე დღით, ვატუტიმ რომ ამერიკული „სტუდენტეკერი“ მიაყენა, აშარი თავმჯდომარე „სახალხო კომისრის“ სტუმრობამაც ვერ დააშოშვინა: ანკე-



ლოზი ქალისთვის გულზე ჭკა დაგვი-  
ლიათ და მონცდამაინც ჩემ სათემო  
წყალში გადავიგდითო! საყენი სიმალ-  
ლის, პირმორღვეული მილიციის უფ-  
როსი ამ ყავარივით ქალთან ვერც  
თვალების ბრიალით ვახდა ვერაფერს  
და ვერც ცერის სიფართე კბილების  
კრაქუნით, სანამ დამბაჩის ბუდე არ  
შეიხსნა და იარაღი შეამდე არ ამოს-  
წია.

ვატუტომ ბაბუა-შვილიშვილს მხურვა-  
ლე მადლობა და პატარა „გასამრჯე-  
ლოც“ გადაუხადა, რომ აღიდებული  
მდინარის ფსკერზე ყვინთვისა და აქე-  
დან შევზღვამდე დამბრჩვალის ძებხას  
მაინც გადაარჩინეს.

გულზოდში მიცვალებული ძირს არ  
ჩამოუსვენებიათ. ეზოში, მანქანის მა-  
ლაღფარდებიან ძარაზე, ნინომ კუნძუ-  
ლზე დატოვებული საცვლები და გა-  
ცრეცილი, მწვანე, თეთრგვრილებიანი  
კაბა გადააცვა. თივის ლეიბი დაუგეს,  
დუმფარას ფოთლებიანი „პაკრივალა“  
დაახურეს და სოფლიდან ქალაქის —  
თავისი სახლის გზას გაუყენეს. ამ  
„ვიცხების“ მკვდარს ვილა იმოთქმებდა,  
სოფელი თავის დაღუბულებს ცოცხლად  
თვლიდა, ცრემლი გამშრალი ჰქონდა  
და გლოვა მოყირკებული.

არც თბილისში ჰქონდა თავისი სახ-  
ლი თეკლას და არც იქ ჰყავდა დამტი-  
რებელი. მამუკა კი უჭდა ძარაზე, მან-  
ქანის წაყვავში, „პაკრივალით“ ფუთ-  
ნიდა, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რო-  
გორც ფრონტზე, ტყვიით განგმირულ  
მებრძოლებს რომ მახარაში და ლაბა-  
დამი ხვევდა.

დედა და ბიკოლა რომ ატირდნენ,  
როცა მდინარიდან თეკლას ტანსაცმ-  
ლით დაბრუნდა, თვითონაც შავი ცრე-  
მლი ღვარა და მერცხ, როცა მიცვა-  
ლებული მოასვენეს და წამოასვენეს,  
მაგრამ, მადლობა ღმერთს, თავისი  
გლოვა და დარდი რა იყო, არ იცოდა.

ვატუტის რა ეჭნა გარდა იმისა, რომ  
მკვდარი მიწისთვის უნდა მიებარებინა  
და მისივე დასაფლავებული დედისა და  
ბებულის გვერდით მიუჩინა ადგილი (ვა-  
ტუტი რომ არა, ბედი არც ამას აღირ-

სებდა). ციცი იყო მაინც ერთადერთი  
ქალი, რომელმაც საბარგურობა დაუ-  
ბინაში, ქმრისა და შოკისა და მისი  
პეკვილმა, კალთაში ბავშვით, მოდენ-  
ნა გზაზე იწუხა, იწვალა და ბოლოს  
უქანასკნელ გზაზეც გააცილა. უჭირო-  
სუფლოს ის ორიოდე კურცხალი გაა-  
ტანა, რამაც მამუკას ცრემლები კიდევ  
ერთხელ გამოიხმო.

თეკლას ამბავი ფარნამ ახალადისაგან  
შეიტყო. აპოლონმა, ცხადია, ვატუტი-  
საგან იცოდა.

ამის შემდეგ დაშინებული და მო-  
კუნტული ფარნა, რომელსაც კუჭის  
წყულულისა თუ გულის შეტევები დაე-  
წყო (შვინიდან გაცივების რაღაც უბე-  
დურება ხომ სჭირდა და სჭირდა), რა-  
ტომღაც ისევ სოფელში ჩავიდა. ვი-  
თომ, ბაკურისგან მაინც, ამ ახალი  
ცადვაბრალისა რაიმე გაეგო თუ, ამ-  
დენ მსხვერპლს უნდა ეკმარა და გუ-  
გუტა მაინც გამოჩენილიყო... ბაკურმა  
მამინევე უქან გამოაბრუნა. ძველი ეზოს  
ბოლოში, კბოღეზე გადამდგარ ალაგეძდე  
შიაცოლა. კსერმოღრეცილ ბიძაშვილს  
აქეთ-იქიდან იღლებში კაკო და ანდ-  
რო უდგნენ, სახელოებზე ებლაუჭებო-  
დნენ და ყბაში ყბაგაკმულ, ძალაწვერ-  
მოძალბებულ ბიძას სასოწარკვეთილი  
შესციცივნებდნენ.

ბაკურმა არც ტყუილი იცოდა რა  
იყო და არც — იმედი რას ერჭვა, მაგ-  
რამ მამას მაინც უთხრა:

— ამ უბედური ბაღნების გაჩენაში  
ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის... და ამითი  
ნუ გეშინია, ამდენად ნურც ჩემი...

— შენი ნუ შეშინია?..

— ნუ გეშინია. უარესი აღარაფერი  
დამემართება.

— რალა დაგემართება... დავიქვციოთ,  
ამოვთავლით დედა-ბუდიანად, გავსწო-  
რდით მიწასთან...

— მიწა ვართ და მიწად ვიქვციოთ.

— და ასე საშვილიშვილოდ უნდა  
ამოვწყდეთ?..

— შენ თუ კიდევ რაიმეს აპირებ...

— სულ დაყარე შებრალებას..

— ვიხუმრე. ჩვენ ერთმანეთთან შე-

ხუმრებული არა ვართ და იმიტომ გაგვიკვირდა.

— ჩვენ გვეხუმრება?

— ჩვენ თუ არა...

— კარგი, არაფერი თქვა...

— ეს ბაღნები, რაჟი „გამეტებულა“, მე აგერ ვარ, ბიცოლაჩემი, თიკო და ყველა...

— შენ?... შენც იფიქრე... კარგად იფიქრე... და ვაიგე, იმ გოგოს მართლა არაფერი მოუწიოს... ამ მამუკას უბედურებით თავს არაფერი აუტეხოს... ყურო არავის უგდო, შენ ვინც გინდა...

— მე აღარაინ და არაფერი მინდა. ამ ეზოში, სადაც შენ, ბიძაჩემი, ბებიაჩემი... თუ სადმე გამეძღვება, ალბათ, ისევ აქ, რაჟი ამ მიწას ყველაფრის პატრება შეუძლია...

— რა გაქვს, ბიჭო, ამისთანა ცოდვა...

— გონება, მამა, ჩვენ დასჯილივით... არაფერი არაა იმაზე დიდი სასჯელი და ცოდვა... ჩვენს შორის, ალბათ, მამუკა ახლა ყველაზე ბედნიერი და გადარჩენილია. იყოს ისე... ნუ ვეცდებით მის დაღუპვას... შენც ისე არ მეცოდები, რაჟი ყოველთვის გეგონა არალაცა გქონდა გასაკეთებელი. ალბათ, ახლაც გგონია.

— რალა მგონია...

— წადი, აქაურობაზე არ იდარდო. მაინც ვერაფერს შეცვლი... შენს საქმეს მიხედ.

— საქმე... შენ?... შენ?!

— მე ის ვიცი, რომ არაფერი არ უნდა ვიცოდე და შურს ვიძიებ ჩემი გაჩენისათვის, არა შენზე და დედაჩემზე, რა თქმა უნდა, პირიქით, თქვენი გაჩენისთვისაც...

— საერთოდ, ადამის მოდგმისთვის?..

— თავისთავად ადამიანის ასე საცოდავ ტყინად გამოგონებისათვის...

— მომავალი?..

— ალბათ, განუსჯელობაა ყველაზე სწორი განსჯა-განჩხრეკა... შეუძლებელია შეუცნობლის შეცნობა. შეუძლებელია საკუთარ არსში ჩახედვა, თუ იგი შენგან თვალმოუწევდომელ მანძილზეა, და იქონიო მის ბედზე გავლენა,

ვინც და რაც შენ არ გეკეთებია... რაც შენთვის არავის მოუცილებია... ვინც ვერ იქნები, ზღვირმა გეკეთებია... ლებას ჰგავს ის, რასაც ვაპირებ, იმიტომ, რომ არაფერი ვაპირებ... ასე თუ შევძლებ მივალწიო იმას, რომ ყოველნაირად იმედგაცრუებულმა იმედი აღარ დავკარგო, რაჟი იგი არ მექნება. ალბათ, ამით უნდა დავალწიო თავი სოფლის ამოებას, ჩემთვის იმ სტუმარი გოგოს დაღუპვა აღარ იყო ის, რაც თქვენთვის, რაჟი, როგორც კი შევხვდი, მაშინვე განწირულად მივიჩნიე. არც ის, რომ გუგუტა არ გამოჩნდეს... — ღმერთმა დაიფაროს! უამრავი ნათესავი მყავთ, ახლობელი... ანდა, რა ვიცი, იქნებ...

— ნათესავი და მოკეთე ჩვენც გყავდა და ვყავდით ერთმანეთს, მაგრამ ყველა ცალცალკე დავიღუპეთ.

— ბერად აღკვეცას აპირებ!

— ბევრად, თვითბერად... უმონასტროდ და უეკლესიოდ...

— კარგი, კარგი. ვერა ვარ კარგად. შეტევა არ დამეწყოს, უნდა გავასწარო...

— გაასწარი, თუ ჩვენ გასწრება შეგიძლია და ჩვენზე რაიმეა დამოკიდებული... რაა, რომ გტანჯავს და გუქავს შენსავე გულ-მუცელში? არ იცი... ვერც გაგებ, რაჟი შენი არაა... გაიქეცი, თუ თან არ გამოგყვება...

ფარნა გამოთენიის ხანს დაბრუნდა თბილისში. იმ ღამეს მატარებელში დილაღე იწვალა, მაგრამ ბედო, რომ გვაშში აღმურო უტრიალებდა და ამის მორევა ისე არ უჭირდა, როგორც, სტომაქში რომ სიცივე ჩაუსახლდებოდა და გარეთ ეონავდა. მედული ვაგონის კიბესთან დახვდა და მომჩვარული შინ უფრო წაიღო, ვინემ წაიყვანა.

ფარნამ ვერ შეძლო, რა თქმა უნდა, ახალაძის საღისერტაციო თემის თანავეტრობა, თავისი კი არავინ ინდომა, ვერ დაუმტკიცეს. თუ გინდა, სამამულო ომის თემაზე აიღე რამე, ამ გამარჯვების საღღესასწაულოდ იოლადა



გავიტანთო, ურჩიეს, მაგრამ ახალაქემ ეჭვი გამოთქვა: ეს ომი შენთვის და... ჩვენთვის იმისთანა უბედურება იყო, ვეჭვობ, კიდევ რომ რაიმეს ხელი მოჰკიდო, შიგ ჰატრეზიზმის მარცვალი ჩადო და დამწვარზე მდუღარეს ჩვენ არავინ დაგვასამბევენებს. ომის ჭრილობები უნდა მოვიშუშოთ და არა მარხო და ლადარი დავაყაროთო...

წელში მოხრილი კი არა, გადატეხილი ფარნა ღია კარისკენ წალასლასდა.

— ა, აგერ, წერილია შენს სახელზე. შენი ასავალ-დასავალი არავინ იცის და ჩემს მისამართზე გამოუგზავნიათ... არ შეგეშინდეს... ამ სამკუთხა ბარათების გახსნას რა უნდა... გზაში დასველებულა და კი ვერაფერი გავარჩიე, მარა ბოლოში სახელი ამოვიკითხე, რუსის ქალი გიგზავნის ვილაც... შენ კი არა, მგონი, მამუქას! გულზოდში მიუღლიათ, მაგრამ შენს სახელზე ყოფილა და ამიტომ გადმოუგზავნიათ. ეტყობა, არც წაუკითხავთ.

ფარნა აც ვერაფერი გავარჩია, ისე იყო ნაუტებათევაღ, დაუღვეარი ბატიფეხურით ნაწერი, დანასველები და გადაშლილი.

მედუღიმ ამოკითხვაც შეძლო და იმასაც მიხვდა, ეს ქალის ცრემლები და არა წვიმის წვეთებიო.

„ძვირფასო მამუქა ფარნაოზის ძე!

არ ვიცი შენ როგორ შეძლებ ჩემი უკადგვანო უბედურების გაგებას, მაგრამ ავთანდილ ბოკერის შენზე ახლობელი აქ მაინც არავინ ჰყავდა.

იგი ბერლინის მისადგომებთან დაიღუბა. ცოცხალს მივუსწარი. არც შეხვევა დამანება, არც წინა ხაზიდან გამოყვანა. არ მატირა. „ღმერთმა უშველოს... მეც გადამარჩინა და შენცო... — ეს მოთხრა—მამუქას ძმებივით ვუყვარდი, მიწერე... იქნებ ჩემმა სიკვდილმა ის ტრავმა მიაციუნოს, რომელიც თავისას დაავიწყებს და, შეიძლება, იმას მაინც რაიმე არგოსო. ასე მიწერე, შენი ავთო მოკვდა, მოკვდა, მოკვდა და—აი!“

ვარია“.

— ესეც!.. — ამოიგვინა ფარნამ/ და იმან უფრო გააკვირვებულა: ვინაღარ განიცადა შეგუბნა-ნისკენა ხბლო მეგობრის დაღუპვა. ეტყობა, თავს ზევით ძალა მართლა არ ყოფილა... თუ, შენაძლება მწუხარებისაგან დაცლა, გამოწურვა, რომელიც, ალბათ, თვით უბედურებაზე დიდი უბედურებია.

— ფარნა, შენი ჭირიმე... რა წერია აქ... „ღმერთმა უშველოსო“... ვის უშველოსო?! ვინც მოკვდა? რა ხდება, დედის სულს ვფიცავარ... თუ გაგიგონია ამისთანა რაიმე?..

— ალბათ, ვინც მოკლა...

— ღმერთმა, ჩემ მკვლელს უშველოსო?! შენ თავს ვფიცავარ, ასეთი რაიმე თუ გამეგონოს!

— იქ კი არა, აქაც სიკვდილი გადაჩენას ჰგავს... — თავი გადააქნია. ამ ბოლო დროს თითქოს აღარც ფიქრობდა, კვირიდან კვირამდე იჭდა სარდაფში თვალმოკუბუტული და არაფრის თავი აღარ ჰქონდა. ედო წინ დაჩონჩილი წიგნები, მატთანები, ხელნაწერები და მხრებს იჩეჩავდა: ახლა თუ არავის სჭირდება ისტორია და არავის უნდა წარსული, მაშინ რისგან ვისწავლოთ, როგორ ვიცხოვროთ და ვიფიქროთ მომავალზე? თუ ესეც არ უნდა გვიკვირდეს? „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს ავი რა საკვირველია?“

შაბათს, მედუღიმ: დედაჩემის საფლავზე გამყევი, თეკლაც ხომ სადღაც იქაა, დამტირებელი არავინა ჰყავს, სამარეში რაფერ გაჩერდესო.

თავი დაუქნია და საღამოს თავდახრილი გაჰყვა. იმ დღეებში ხმას აღარ იღებდა, გზაში რამდენჯერ რალაცის თქმა მოინდომა და ვერ გაბედა, თუ ვერ შეძლო და ისევე დუმილი არჩია. მედუღი არ ჩაციებია, ისედაც ცრემლებს ვერ იკავებდა.

ფარნა, ერთ დროს, სარძლოს დედის საფლავზე ახლდა. ახლა თუ ემახსოვრებოდა, არც ეგონა. სადღაც, სასაფლაოს განაყოფებში მაინც მიაკვლია. ცარიელა, ფხვიერ მიწაყრილზე, რკინიგ-

ზის პირას დაკრეფილი ერთი მუქა გვირილები დააწყვეს და დაღამებამდე მედული დედამისის წილ ცრემლებს თეკლასაც უყოფდა, სანამ გუგუტას გაუჩინარების ამბავმა ცრემლიც არ გაუშრო (მას აქეთია ფარნა თქმას აპირებდა და ენა ვერაფრით ვერ მოუბრუნდა) მედულმ ლოყები ჩამოიხოკა და ამოიმოთქმა, იგი ამქვეყნისა არც იყო და მისი პოვნა არც ცოცხლის და არც მკვდრისა არ მოხერხდებაო. ბნელში სიამარვე აქეთ-იქიდან უსხდნენ და მიწაყრილს ცივი ხელებით ფოთნიდნენ. აღარსად ეჩქარებოდათ, ახლობელი თუ შორეული, ყველა აქ ჰყავდათ. სასაფლაოდან რომ ბრუნდებოდნენ, ისეთი უკუნი იდგა, გზა აერიათ. იმისთანა ხრიკებზე და კბოდებზე დაფორთხებდნენ, სანამ რკინიგზისპირა ხევში არ ჩაცვივდნენ, გზა ვერ მოიწამეს. ზრამში ჩავარდნილმა ქალმა ერთხანს სული ვერ მოითქვა, მერე იკვლა და თავში რიყის ქვის დარტყმა მოინდომა. ფარნა კვიციანი გამოაფხიზლა და ხელი დაუჭირა:

— რა მოგივიდა, რა მოხდა, რაც არ გეტყენია, ისეთი რა გეტყავ!

— დავიღუპე, მე გაუბედურებულნი და შავ ვარსკვლავზე დაბადებული...

— ახლა დავიღუპეთ?

— კი, ყოველთვის და ყოველნაირად, მაგრამ ახლა სამომავლოდ, საშვილიშვილოდ...

— სულ დაკარგე ჰკუა... ან რა გასაკვირია...

— ფარნა, არ ვამხელდი... თუ გინდა დამკარი რალაცა თავში, აქვე მომკალი და მიმატოვე...

— ქალო!... ადამიანო... თუ, რა გქვია შენ... კიდევ რა გაგვანდა... რას მალავდი, რას არ ამხელდი?! ჰკუაზე რა ხანია აღარა ვარი...

— აწი სულ ერთია, ფარნა, აწი... თუ ვერ გადავიტან, შენი ჭირი წამილია... ვკვდები, მუცელი მომწყდა!

— რაო?! — ყოველნაირ უბედურებას, ზვიდან რომ ცა ჩამოენგრევა და დაეცემა, სიცილიდა თუ რჩება.

— ამასაა, რომ ვერ გიმხელდი, მარი

ხო გითხარი, აწი მაინც სულ ერთია...

— ორსულად იყავი და მინც მშობიდი?! ახლა ფეხმძიმობაში მსხვერპლში შეიღებე გვიკრდებო?! — ფარნას მართლა გაეცინა. ჩაჭდა ზრამის ფსკერზე რკინიგზის მიწაყრილიდან ჩამოგორებულ რიყის ქვებზე და ისევ გაიცინა.

— ფარნა, შენი ჭირიმე, ჩემო ფარნა, აღარ შემოიღია, გული მიმდის... მუცელი თუ მენჯი, ისე მტკიავა... არ გაგიყდე, არ შეიშალი! ახლა ხომ მაინც ყველაფერმა ჩაიარა... ნუ იცინი... ნულა გეშინია... მიშველე, წამოყვანე როგორმე აქედან, ან სასაფლაოზე დამაბრუნე და დედაჩემთან დამმარხე...

— არა, რატომ!...

— ვაიმე, ღმერთო, მამაზეციერო! ჰკუაზე გადაცდა, იცინის!

— რატომ, მართლა, ბაკურისა არ იყოს, სათვალსეირო არ იქნებოდა ახლა ჩემი შვილი? შვილი... შვილი... მედეა, მედული... მედო... შენ რა იცი შვილი... ლეონი, ბაკური, მამუკა... არა არა, არა! ადექი... ადექი და წამოდი. წამოდი. გადამხვიე მკლავი, გადამხვიე იქნებ ხელში ავიყვანო, იქნებ... მოდი, ზურგზე მომეკატრე, მოდი... ეს ერთი ცუცნა ქალი, ისე რაღა წავხდები, ვერ გზიდო... მოიცა! გამაგრდი, ნუ, ნუ დაიჯერებ, რომ მოგწყდა, ნუ ირწმუნებ... გესმის, მედრ! მედო, მოდი აი, ამ ლიანდაგებზე ავიყვან და ვივლი, ვივლი... ახლა გზა ვიცი და კვალი. მოიცა, ნუ მოეშვები, ნუ მოიშვარები და დაგლაბაკდები... მენჯი, მენჯი დაკარი და ის გაწუხებს... მედო, ხომ ასეა, შიგნით ხომ... მოცელში არაფერი... აჰ, აჰ! მედო, ხმა ამოიღე!...

— რა ვიცი, ფარნა, რო არ ვიცი რა ვთქვა... რო არ ვიცი, მე სასიკვდილემ და არგადსაარჩენმა!

— ჩუ, ჩუ, ჩუ! რაღა სასიკვდილემ და რაღა არგადსაარჩენმა, არ თქვა მაგი! აღარაა სასაფლაოზე ადგილი, გაიესო ჩვენი მკვდრებით... მოიცა, მოითმინე... მე ვივლი, შენ ნუ გეშინია, ვივლი. სახლამდე ასე ზურგით გატარებ და... ჰო, მართლა, შეგილოცავ.



ლოცვა იცოდა დედაჩემმა... მართლა მოწყვეტილს და მართლა განწირულს რომ შევლოდა... აბა, კარგად მიგდე ყური და დაიჭრე, ირწმუნე, იწამე... სახელითა შამითა, ძითა და სულითა წმიდითა... მისმენ?

— გისმენ, ფარნა, გისმენ; შენი ჭირიმე!

— გჯერა, გწამს და რწმუნდები, რომ ლოცვა გარგებს და გადაგარჩენს?

— მჯერა, ფარნა, შენი ყველაფერი მჯერა.

— პოდა...

ანი იძრა, ბანი იძრა  
 ხე იძრა და ქვანი იძრა,  
 წყალი იძრა, მთანი იძრა;  
 მიწა იძრა, ცანი იძრა;  
 მოძრავი იძრა,  
 უძრავი იძრა...  
 იძრა და დაღვა, დაღვა და  
 დაისადგურა!

იძრა და დაღვა, დაღვა და  
 დაღვა და დაღვა, დაღვა და  
 დაღვა და დაღვა, დაღვა და  
 დაისადგურა!..

რა ქნა, პატარა არ გისაშველა?

— კი, ფარნა, ვითომ, მარა ამ დსავესებ ყურებში მიზუზუნებს რაცხა, თუ მატარებელი მოდის და ისაა?..

— უი, აჰა!.. მატარებელი!.. არიქა, ახლავე გადავალ ლიანდაგიდან, ჩაიაროს და მერე ისევ შევილოცავ. სამჯერ მაინც უნდა, თუ არადა, ცხრაჯერ გამოლოცვილს ხომ წინ ვეღარაფერი დაუდგება...

მატარებელი მოდანდგარებდა რელსებზე და ბუბუნებდა:

ანი იძრა, ბანი იძრა...  
 მიწა იძრა, ცანი იძრა...



ლადო სულაბერიძე

## ლოდები

(პოემა-მონოლოგები)

ოთარ ჩხეიძე

### წინა მონოლოგი აპტორისა

1

წავიდნენ,  
წაპყვათ შავი ქარები,  
გადაეკიდნენ ლობეს ლანდები.  
ეზოს ხეებზე დარჩა ღრუბელი  
ალალ ძმებისა და ალალ დების.  
დაცარიელდა ნედლი ქვერებით  
წნული გოდრები და კალათები.  
გადაავიწყდათ გადანახული  
სხეენზე ბავშვობის კაკანათები.  
და წაეკიდა შემოდგომაზე  
გადაბერწებულ კაკალს სანთლები.  
წავიდნენ,  
წაპყვათ შავი ქარები,  
გადაეკიდნენ ლობეს ლანდები.

2

ადულდა სოფლის ლავად ნადველი,  
სველი ღრუბელი სოფლის გასივდა.  
ქანგში ჩაჭმული მონადირული  
კენესდა ხანჯალი ძველ ქარქაშიდან.  
ამოდიოდა მზე ნისლებიდან  
და აღნებოდა მიწას მნათობი.  
იცრიცებოდა დრო სახედნავი,  
დრო ვარდობის და ბაიათობის.  
იწეწებოდა ბუბრის კვარტლივით  
ცხელ ნაკვერჩხლებზე ღამე თევლი.

გორავდა წუთისოფლის მინდორზე  
ქვეები კლდეებზე ჩამომსხვრეული.

3

ჩამომსხვრეული,  
ჩამომტვრეული  
ეყარა წუთისოფლის მინდორზე  
ქვეები,  
ლოდები,  
ხავსიანები  
ელოდებოდნენ ახალ მითოსებს.  
ელეწებოდათ ზედ სეტყვა-კოხი,  
მერე მზის გულზე ვარვარდებოდნენ.  
მუნჯად გმინავდნენ,  
სასოწარკვეთის  
უფსკრულებში კი არ ვარდებოდნენ.  
ატალდებოდნენ ზედ ქარიშხლები,  
წვეტიან ღოჭით გლეჯდა ურჩხული.  
მაინც უყვარდათ ღამით გატანჯულთ  
დილით ვარდისფერ ნისლით ჩურჩული.

4

და აგორებდნენ ლოდების მსგავსად  
კაცებს ქარები  
ღამით წასულთა.  
იღუმალეების ფარდების მიღმა  
გზა მიიშალა და არ დამარულდა.  
წვიმდა...  
ელავდა...



თოვდა...  
 ბნელოდა...  
 ძვერდა ღამეთა ღრუბლის დოლები.  
 კვლავ იქცეოდა და შენდებოდა  
 სადღაც კოშკები და გოდოლები.  
 ენარცებოდა ქვეები მიწაზე,  
 ისრისებოდა ქვეებქვეშ სანთლები.  
 და მთვარიანში ღობეს ეკიდა  
 ღამეში გამჭრალ კაცთა ლანდები.

5

შორს,  
 გაქვავებულ ძველ ფარაონებს  
 ისევ ეძინათ შეფურ დიდებით.  
 და ვებერთელა ლოდების კიბით  
 ცად მაღლდებოდნენ პირამიდები.  
 სილა ახრჩობდათ უდაბნოს ქარებს,  
 ლოდებს ეძებდნენ უდაბნოები.  
 და შემოდგომებს ეცრიცებოდათ  
 შემქმნარი ფერი მუდამ ნოემბრის.  
 ისევ და ისევ ქვიშის ველები  
 იფრტებოდა მწირ ამინდებით...  
 და ვებერთელა ლოდების კიბით  
 ცად მიიწვედნენ პირამიდები.

6

კაცებს დასცვივდათ სულის ლოდები  
 სულის კლდეებზე ჩამომსხვრეული.  
 ვერ მიეკვლია მზეს მათი კვალი,  
 ძირს ჩამომდნარს და ჩამოსხივებულს.  
 კაცებს სტკიოდათ ხორცი მოკვდავთა,  
 ქარებსლა შერჩათ ძვლები დახრული.  
 არვის ახსოვდა კაცანათები  
 ჭერზე ყრმობისას გადანახული.  
 ლაღად დაქროდნენ ეზოს ჩიტები,  
 რტოს ბუდე ეკრა ქარში რწყული.  
 კაცებს სცვიოდათ ქვა და ლოდები,  
 სულის კლდეებზე ჩამომსხვრეული.

7

ხავსი მოედო ლოდს აყუდებულს  
 და ამოფეთქდა ხავსზე ყვავილი.  
 ვინ გინატრებდა, ბედკრულო,  
 მშობელ  
 ფიჭვნარივითა და არყნარივით?!  
 ვინ გასძახოდა ზეცას უსიერს,  
 წამოვედი და მოვალ, მოვალო?!

იქნებ სული ხარ,  
 ლოდო ეულო,  
 ხავსიანო და ყვავილოვანი?!  
 იქნება ე მაგ ხავსის ყვავილში  
 უტეხი სულის მითი გასრულდა?!  
 იქნება შენთან მთავრდება კვალი  
 კაცთა,  
 სოფლიდან ღამით წასულთა?!

8

ლოდებს ჩიტები დააფრინდებო  
 და მგალობლები აკვნესდებიან.  
 მათი ფიორა ფრთების ბუმბული  
 ამ გაზაფხულზეც აკვნებს სდებიან.  
 ამოიღებენ ხმებსაც ჩაგუდულს,  
 წასრტრჩულებენ ნისლებს ანაკრფს.  
 ყური მოუგდე  
 გაქვავებულ სულთ,  
 ჩიტების ენით მოლაბარავეთ.  
 სად არის ფერი მიგდებულ ბაღის?!  
 სად არის კლიტე დაბზულ კარების?!  
 გაბრული ძვლების სალამურებში  
 კვნესენ უდაბნოს შავი ქარები.

9

არ ჩახმა ძველი კაკლის ფესვები,  
 კაკლის კენწეროს მთვარე ანათებს.  
 აღარ უგებენ ჩიტებს მგალობლებს  
 აღარც მახეებს,  
 არ კაცანათებს.  
 მონატრებით კაცებს სოფელი,  
 ღამით იღუმალ გზებით წასულთა.  
 გაიღო კარი ახალ ფიჭვნარის,  
 ლოდებად ქვეყის მითიც გასრულდა.  
 წამოვიზგიზდა მწვანე სანთლები,  
 გამჭრალა ზღვარი გაყოფილ ჭალის.  
 ლოდებზე სულთა ცეცხლი ანთია  
 და ზედ ჩრდილები იწვის ფიჭვნარის.

10

სულთა ძაფები განასკვულია  
 ხავსის გრილ ჩრდილთან მსუნთქვე იაში.  
 შავ ქარებს ფრთები ჩაუქეციათ  
 ლოდში ჩაგუდულ სიმფონიაში.  
 ყური მოუგდე,  
 ძვერენ ზარები,

დაძინებოდა ელვის შანთებით.  
 იშმუნებოდა ჩინჩმოღებულნი  
 ლობებზე შერჩენილი ლანდები.  
 სხვა რამე ლოცვას ნულა დაღადებ,  
 კლდეებში საყდრებს ნულა გამოთხრი.  
 ლოდებზე ღვივის ზღაპრის სამოთხე,  
 ლოდებში ფეთქავს ბალი სამოთხის.

11

ჩაგუდულია ლოდებში ხმები,  
 ხავსზე ყვავილი ელავს ნიაფთან.  
 არ ხედავ, ვარდისფერი ნისლეები

ლოდებზე როგორ წამოფრიალოდა?  
 მებაღე, ერკონულნი  
 ციურ ნაყადულებს ბიბლიონებს  
 გადაასხურე ფიჭვნარს შებეგები  
 ჩიტებო,  
 ლეთიურ, ხმებს გამოსცემენ,  
 ლოდებს ნისკარტით თუ შეეხებით.  
 შორს ღრუბლებს ხევენ პირამიდები,  
 ფარაონების ბედზე ნაგები.  
 აქ კი, ფიჭვნარის ჩრდილებში წვანან  
 ლოდები, სულთა სარკოფაგები.

### მონოლოგი — კალიმა

1

კალიმა —  
 ბერწი მიწა რუსეთის,  
 კალიმა —  
 ერთდროს მხარე მამონტთა.  
 ეს მთვარე კი არ დაეშვა დაბლა, —  
 ზეცას ყინულის ლოდი ჩამოტყდა.  
 გაყინულია მიწაც და ცაცა,  
 ზამთარ და ზაფხულ,  
 ღღეც და ღამეცა,  
 ეგერა, ღრუბელს რომ შეაფრინდა.  
 ის სხვა ჩიტია,  
 რამ გაამერცხლა?  
 გაზაფხულიცა და ზაფხულიცა  
 აქედან მარად გაპარულია.  
 არ უმღერიათ აქ იადონებს,  
 ყვავილთ საყრდენად აქ არ უვლიათ.  
 მზემ ვერ იძალა, ვერ იზიმზიმა,  
 მღერიათ:

„ამ თოვლს ვერ გამოღვევით“.

«Двенадцать месяцев зима,  
 Остальное — лето».

2

გაყინულია მიწა ყელამდე  
 და ფენა-ფენა გაროფილია.  
 იმან არ იცის,  
 სადღაც სამხრეთით  
 მიწა რო მწვანე, და რო თბილია.  
 კალიმა — ბერწი...  
 კალიმა ცივი...

კატორღელების მხარე კალიმა.  
 თოვლის მინდვრებზე არსად არა ჩანს  
 დასათესი რამ,  
 მოსამკალი რამ.  
 ეგერ რომ ჭუჭია ხეა დაბალი,  
 ასი წლისა,  
 ხანდაზმულია,  
 არ გათბობია მიწით ფესვები,  
 ყინვის ქარებით გათამბულია.  
 ჩაშრეტილია მიწის თილისმა,  
 თოვლიან ქართა ასპარეზია.  
 თბილი ღრუბელი არც მზესთან არის,  
 თბილი ღრუბელი არც მთვარეზეა.

3

უკაცურიცა...  
 უნადიროცა...  
 უფრინველოცა...  
 უმცენაროცა...  
 ცაც უფერო და უელვარო,  
 არა ისეთი, ჩვენი ცა როა.  
 მოწყვეტილია რუსეთის ხმელეთს,  
 ნავსაყუდარი —  
 მაგადანია.  
 თუ ჩააღწიე ქვესკნელს —  
 ოქროა,  
 აურაცხელი რამ მადანია.  
 ვინაც ჩაწვდება, —  
 ის მლიდარია,  
 ვინც დაიუფლებს, —  
 უძლეველია.  
 ქვესკნელში, —  
 მიწის ყველა ბარაქა,

ზემოთ მარტოდენ თოვლის ველია.  
ვერ მოიცილა აქ კაცმა ფეხი,  
ადგილის დედა აქ ვერ მონახა.  
აქ რჩები, თუ ხარ ბორკილგაყრილი,  
თუ ხელმწიფეთა მსჯავრის მონა ხარ.

4

არ ეყოთ ძალა იმპერატორებს,  
ვერ ჩააღწიეს წიაღეულში.  
რამდენი ჩაწვა ყინვის ლოდებში,  
ძალაყინებით მიმორღვეულში.  
ხალხი და ხალხი,  
ხალხი ურიცხვი,  
თორემ კალიმა ისე ბერწია.  
ბორკილით უნდა მოსულიყავი,  
აქაც აკვანი რომ დაგერწია.

5

და კალიმისკენ...  
და კალიმისკენ...  
კვლავ სტოლიბინის გრძელი ვაგონით.  
მავთულხლართებში თუ გამოკეტავ,  
იქნება შენი მონა-გამგონი.  
მღაროები,  
ოქროს ძიება,  
ნახშირ-მადანის გამომტანები,  
მშვიერ-მწყურვალნი,  
სად არვის არ აქვს  
იმედი ზეცის გამოდარების.  
უნდა ააგო ელსადგურები,  
უნდა აშენო ქალაქ-დაბეები.  
თუ დაეუფლე ამ მიწის წიაღს,  
გაძლიერდება ქვეყნის დამბეები.

6

შე საცოდაო,  
შენ სად მიძვრები,  
ქვისსამტებლოებს სადლა შორდები?!

ხომ არ გგონია მაგ ხოხვი-ხოხვით  
შენს კარ-მიდამოს უახლურედღმწიქს?  
ამოეფარე ქარ-ბუქის ტუმბლებში  
და ვიბარე...

წადი...

გამორდი...

თოვლიან სტეპებს მიენდე მარტო,  
გელობებოდა წინ ქარაშოტი.  
გზას მიიკვლევდი მაინც ჯიუტად,  
თავისუფლების ძინით დამთვრალი.  
სად გაიქცევი?!  
ვის გაიქცევი?!  
დაგზრავს კალიმის თეთრი აფთარი.  
არ შეუფოთდება შენზე ბადრაგი,  
ძაღლებით ძებნას დაგიწყებს არვინ, —  
იციან,  
თვითონ შემობრუნდები,  
ან სადმე თოვლში ჩაგმარხავს ქარი.

7

იმ ღამის ქარ-ბუქს კი გადაურჩი,  
შვიდ დღეს გაუძელ შიმშილს და  
წყურვილს,  
თეთრ უდაბნოში იხეტიალე,  
კაცის ხმას ვერსად მოჰკარი ყური.  
თავისუფლების თოკებმა გზიდეს,  
მამულის მთებზე გამობმულუბმა.  
ძლივს მიითრევედი ფეხებს და  
მაინც  
არ აპირებდი გამობრუნებას.  
თოვლის ბუნავში ღამეს ათევდი,  
იძახდი:  
„მომკალ, ჰა, მომკალი მანდ!“  
ვერსად გაეჭეც,  
ვერ გადალახე,  
აქვს უმკაცრესი წესი კალიმას.  
გამოგელია ძალა და ღონე,  
სულს ვითოშავდა თეთრი სამეფო...  
ისევ კატორღის ჭიშკარს მიაღებქ,  
კაცო, ბეჩავო და ნაწამებო.

## მონოლოგი — შენდობა

1

დაბურდულია ჩემი ძაფები,  
გაღებულია ძაფის გორგალი.

4. „შნაობა“, № 4.

ჩაენდები ჩრდილოეთის ციალში  
ნავიშვიშარი და ნაბორგვალი.  
მორაგვეულია ჩემი სამეფო  
თეთრი ყინულის ელვარ ზოდებით.

აქანკალეზულ ჩემივე ლანდზე  
გამოფიტული მე დაეზეადებო.  
ზამთრის ველებზე გაცვეთილია  
ჩემი ჰანჯიცა და ქალამანიც.  
ველარ ლოკავენ ჩემი ჭიბვები  
ჩემი კლდეების მლამე ქვამარილს.

კოვ,  
თეთრ ქარებში ვარ გახვეული,  
დამხორცებია ზურგზე პერანგი.

სიზმრებში მარად შენთან ვიყავი,  
მამულის ჭავშანს შენ გიკვერავდი.

2

წავალ,  
წავევები საუკუნეთა,  
დავიწყებათა ქარს და წვეკარამსა.  
ეკუთვნის ბოლო ნავსაყუდარი  
ყველა მწირსა და მაწანწალასაც.  
მკერდზე დავიყრი სიბნელის ლოდებს,  
და მივიძინებ დაბნულ კარებთან.  
რა ვიცი, ჩემი საწყალი ლანდი  
რად ცახცახებდა,  
რად კანკალეზდა?

ეგებ სიბნელე სულაც არ არი,  
ეგებ იქ სხვა მზე, სხვა სინათლეა?  
იქნებ მწირ სულებს ჩირაღდანების  
აუზებიდან სანთლებს ათლიან?  
ეგებ იქ არი შვება მარადი,  
იმ ლოდებს მიღმა დაბნულ კარებთან?  
რა ვიცი, ჩემი საწყალი ლანდი  
რად ცახცახებდა,  
რად კანკალეზდა?

3

გადახვეწილი ჩამცხრალ ქარებთან  
მე თან წავიღებ, რაც მიზიღია.  
ეს ტალღა ახლა, მკერდს რომ მეზღება,  
დაუნდობელი მეცხრე ზეირთია.  
კი ამინთია მეც ცეცხლი ბნელში,  
ზონთით ხელები მეც გამზინთვია.  
დაქორწინდები ღამის წვეკარამთან,  
ჩემი ტანჯვები ჩემი მზითვია.  
ჩამოვარდნილი ბუდიდან ბელარტი  
გულისფიცართან გამომიზრდია.  
მე გამითბია შენი ფესვები,  
როგორც მიწაზე თბება მზით ია.

შენს კლდეს რომ ზეთი ჭიქა ვეღებს  
სინამდვილეს  
ჩემი ნაზარდი ვარდის ზეთია.

ჩემს მძიმე ღრუბელს არ დაგიტოვებ,  
მე თან წავიღებ, რაც მიზიღია.

4

ამ ღრუბლის ნახევს გიტოვებ მხოლოდ,  
ჩრდილოეთის ცას გუშინ მოვხიე,  
ზედ წაეაწერე მე ეგ სიტყვები  
და ჩემი სული შიგ გამოვხიე.  
ქარს ვატან...

მოვა და შეგაცხრება.  
მოგაგნებს ქარი ქარამოტიცა.  
მე შემინახავს აქ ყინულები,  
ულმერთოდ ბეჭებგადაშოლტილსა.  
თან ვერ წავიღებ მე ამ ლაღადისს,  
სისხლით წარწერილს ღრუბლის  
ნახევზე.

გადმოიქროლებს ჩემი ეტლიცა  
შენს ყანებზე და შენს ვენახებზე.  
და თუ ჩამცხარან,  
და თუ ჩამხმარან,  
ჩემი წვიმებით ფესვებს გავულობ.  
ისე ვერ წავალ...

ვერ ამოვავსებ  
ჩემს ჩაბნელებულ ბეჩავ საუფლოს.

5

ცეცხლს მივეც, ცეცხლსა,  
შმაგ ქარიანსა,  
შენი წერილი ფერფლად ვაქციე.  
რა ცოდო-ბრალი გამომიგონე  
და, შეილო, ზურგი რად შემაქციე?  
ცეცხლს მივეც, ცეცხლსა  
ბალღამიანი  
სიტყვები შენი:

„ხალხის მტერიო...“ —  
არ დარჩენოდა შთამომავლობას,  
არ მოდებოდა საივერიოს.  
ცეცხლს მივეც, ცეცხლსა:  
„უარს ვამბობო  
შენს შეილობაზე...“ —  
ვაი, შეებედო!..  
დაბუფე, ცეცხლო, შენ ეგ სიტყვები,  
ხვალ მამებს სადმე არ შეაფეთო!  
რა უმკაცრესი მერგო სსაყელი,



ეს რაა, რაიე მხრებზე დამაწვა!  
 ვფიქრობდი:  
 „ნეტა კოცონზე გამსვა  
 და სვემ ეს მსჯავრი მკერდზე დამაწვას“.

6

მე რა მტერი ვარ...  
 ჩიტებს გიზრდიდი,  
 ქიანჭველების ბუდე გიშენე.  
 გახსოვს, მოზვერი რომ მოგიყვანე,  
 ოქრო ბეწვა და თვალმოგიშერე.  
 ნიაგის ფრთებით ციციანათელებს  
 გაყრიდი ბინდში ჩითის პერანგზე.  
 ზამთარში მზის სულს შემოგახვევდი  
 და ცეცხლს გინთებდი მამის კერაზე.  
 ქინჭრით ნასუსხარ წვივს გიგრილებდი,  
 მე ვიამებდი ფუტკრის ნანესტარს.  
 და ლეთიურ ფრთოსნებს შენზე  
 ლოცვებით  
 ვგზავნიდი ზენარ უზენაესთან.  
 მე რა მტერი ვარ...  
 ქიანჭველების  
 ქალაქზე ზღაპრის გუდა ავივსე.  
 მე სიყვარულის ბაღჩაში შენთვის  
 ვრგავდი ვარდებს და ვრგავდი  
 ნარგიზებს.

7

უარს ვამბობო...  
 რაგინდ რაგვარი  
 ვიყო,  
 მამა ვარ მაინც სისხლური.  
 მე ის მეყოფა,  
 სულ უმიზეზოდ  
 რო ვარ დაცხლი და შერისხული.  
 ამ უმაღლესი სასჯელის ღირსად  
 შენ რად გამზადე?!  
 შენ რად გამწირე?!  
 უშენოდ როგორ გავგანებ სოფლის  
 გზაყვარდინებს და ბნელ  
 გზაწერილებს?!  
 უშენოდ ყლორტებს რაღა გამოშლის?!  
 რა მზე ეყოფა ჩემი ხის კვირტებს?!  
 რა მარტივლობის ძელზე გამაყარ?!  
 მამული სანთელს რაღადღა გვინთებს?!  
 იქ.  
 იქ.  
 იქ

რაღა ზიდს მიადგები?!  
 როგორ მიადწევ გაღმე ნაკირთაშენ  
 აღარ მეხლება გრძნეული ქარი  
 მე წუთისოფლის ეულ აფრიდან.

8

იყო შეხლა და შემოხლა ბევრი,  
 იყო მრავალჯერ ორი ბანაყი.  
 მამა გამოღმა და შვილი გაღმა,  
 მძაფრი შეტრევა და ლაპარაკი.  
 იყო სასტიკი,  
 დაუნდობელი.  
 მამებს და შვილებს შორის ომიცა.  
 შენ თვინიერი იყავი მუდამ  
 ჩემი კიცხვისა და გაწყრომისას.  
 მამაშვილური თუ გეჭონდა დავა,  
 არა გაღმა და გამოღმა მზრიდან,  
 არამედ ასე:  
 „არ გამოცივდე!“  
 „ნუ ახვალ, არ ჩამოვარდე ხიდან!“  
 . . . . .  
 ტატის გულოსთვის მამაშვილები  
 კლავდნენ ერთმანეთს შმაგი შეფენიც.  
 . . . . .  
 ჩვენ კი მამულში ასე ცალცალკე  
 სადა გვაქვს ზვარი დასაყრფელი?!

9

ქართლს რად უნდოდა ახლა სხვა ქირი,  
 ბეჭებზე ზვავად გვაწივს ქორები.  
 მე ვეწირები ღროის ქარიშხალს,  
 ხის ნაფოტივით ღროის ვეწირები.  
 დრო,  
 დრო მრისხანე ითხოვს ზვარაყებს,  
 აყვარად ხვედრის მე ვარ რჩეული.  
 შლეგი მძლავრების დასაოკებლად  
 ტაძრის ბომონთან ვარ მიწვეული.  
 მე ავმალდები,  
 სისხლის შადრევანს  
 ავკავაშავებ წმინდა სულეთში.  
 ჩემი ღმილი ჩაიწერება  
 ანგელოზების ღვთიურ სურებში.  
 დრო,  
 დრო დამადგამს გვირგვინს ეკლიანს  
 და ეს ეკლები ვარდებს მოისხამს.  
 მე ავმალდები,  
 ბარეერები  
 ჩემი ცის გზებზე მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

10

ღმერთმა შეგინდოს!  
შენზე ვილოცებ  
ამ საღამოდან იმ საღამომდის.  
სოფლად სიკეთის ყველა ყვავილი  
წმინდა ზეარაყის სისხლზე ამოდის.  
მოვა, მოვა...  
მოაღწევს შენთან  
და აგიყვავებს ლამეს მთვარიანს.  
ცეცხლს,

ცეცხლს მივეცი შენი სიტყვები  
და ჩემს კოცონზე გადამდნარია.  
შენც ზეარაყი ხარ დროის ბომონთან,  
მამის ხმელ მკერდზე გამზადებული.  
წუთისოფელში ყველა სიამვე  
წარმავალია და ზღვარდებული.  
კლდის მოთმინებით დაველოდები  
ჩემს აღზევებას და აღტაცებას.  
შენ ღვთაებისკენ თვალს თუ გააწვდენ,  
მოგელანდება ჩემი ხატებაც.

11

მე ვიცი კარგად,  
არ შეიძლება  
ჩემი წამების ქვეყნად შენდობა,  
წამოიქცევა ერის ბოძები,  
შვილი მამას თუ აღარ ენდობა.  
დაიწერება ეს ისტორიაც  
და თაობები მკაცრად განსჯიან.  
სულ მისხალ-მისხალ აიწონება,

რაც უმიზეზოდ მე მიტანჯია  
მე, რა თქმა უნდა, აღარ უნდა  
შენ როცა თვალი ატყის ღმერთს  
თოკებმაც იწნებ ხმა ამოიღონ,  
სახრჩობელებად დაგრეხილებმა.  
წაგვიღებთა შენც აგონია,  
როცა შეიცნობ ამ შავბედობას.  
მე შენი სულის გაწმენდას ვლაშობ,  
ზენაარს მიტომ შევთხოვ შენდობას.

12

ღმერთმა შეგინდოს!  
შენზე ვილოცებ,  
ძალა არ მყოფნის, რომ არ შეგინდო.  
და გვენის შენის ალები,  
დაე, მე საწყალს შემომეკიდოს,  
წავიღებ მე შენს უმანკო ცოდვებს,  
უგუნურების წმინდა ზეარაყო.  
ვინ აგიყვანა შენ სამსხვერპლოზე,  
ყელს ვინ შეგაბა ეს ზანზალაი?!  
მას ანათემა!..

შენს სულზე ლაფი  
ჩემმა შენდობამ უნდა ჩარეცხოს.  
მშვიდობით, შვილო,  
მე ვევედრები  
შენში ჩარჩენილ მზეს და მთვარესო.  
განბანე სული მათ ელვარ შეუქში,  
მე მჭერა შენში ნათლის მატება.

შენ ღვთაებისკენ თვალს თუ გააწვდენ,  
მოგელანდება ჩემი ხატებაც.

□დასასრული იქნება□

## ძველი მთავრის აღსასრული

მოთხრობა

დილაუთენია ნაცრისფერი ნისლი აწევს ჭერ კიდეგ მდუმარე, უკვე ლამპიონებჩამქრალ, ხმაურის მოლოდინში გარინდულ ქალაქს.

ერთ ძველ უბანში, ქვაფენილიანი ქუჩის ბოლოს, აგურის ორსართულიანი სახლი დგას. პირველი სართულის ერთოთახიან ბინაში, რომელიც ახალგაზრდა მწერალს, საბა ჩომაბაშვილს ეკუთვნის, თავ-თავიანთ სწოლებში ძუძუთა ბავშვსა და დედას ძინავთ. ქმრის ლოგინი კი ცარიელია.

ქვემოთ, სარდაფში სინათლე ანთია. მისი კედლები და შორკალული თაღები აგურითაა ამოშენებული. ათასწიერი ხარახურა აწყვეია თაროებზე და დგას გაუსაძლისი შპორის სუნი. შუაში, ჭერზე ჩამოკიდული უთაღფაქო ელემბტრონათურის ქვეშ, სკიბდარით საეხე ბიდონზე და მონჯდრეულ კასრზე ოთხკუთხედად შეკრული ფიცრის დაფაა გადებული, რომლისთვისაც გაზეთი გადაუფარებიათ და ზედ ფურცლები, კალამი, საფერფლე, სიგარეტის კოლოფი და ასანთი დევს უწესრიგოდ. იქვე მიდგმულ სკამზე ზის ოჯახის თავკაცი და უცებ რომ ჰკითხოთ, რა გპვიაო, მოსალოდნელია, სწორად ვერ გიპასუხოთ.

საბა თვითონაც ვერ გეტყვით, როდიდან ემართება ასე:

მოვა სამუშაოდან დაღლილი, გამო-

ფიტული. შევამს. ცოლს მიმხმარე არავინ ჰყავს და ბავშვის მოვლას შევლის გვიან ღამემდე. წერაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. სამუშაოდ რომ დაჯდეს, ცოტა ხანში პატარა ატირდება და მაინც უნდა მიატოვოს საქმე. მეუღლემ გააჩუმოს ჩვილიო, იტყვის ვინმე, მაგრამ საქმელი შიფდება იმ მამაძალს — უნდა გაუკეთო; ბოდიში და, ჩასვრილი ტანსაცმელიც ხომავ გასარეცხი; მანუქში თუ ჩასვამ, ისე ვაბმულად და ხმამიღლა ჩხავეის, მეზობლები წუხდებიან მაღლა და, რა ქნას ქალმა, როგორ არ დაუძახოს, თვა აიყვანეო. ყველაზე ძალიან ამას ვერ იტანს ახალგაზრდა კაცი — მოკალი და წერას ნუ შეაწყვეტინებ. თავიდან კი წამოენთება ხოლმე, მაგრამ რომ დაფიქრდება, ხედება, ისიც მართალია — ბავშვი რომ აიყვანოს, საქმეს როგორღა გააყეთებს?.. გვიან ღამით იძინებს დედა-შვილი. საბაც უკვე დაქანცულია და დადებს თუ არა ბალიშზე თავს, მკვდარივით ეძინება. მაგრამ შუღამე რომ გადავა, მაშინვე ეღვიძება. ვაახელს თვალებს და ისევ რეჟისორ უჩა აგიაშვილზე იწყებს ფიქრს. მეტე აღგება, ჩაიკვამს, ფეხისწვერებზე გამოიპარება ოთახიდან და სარდაფში ჩამოდის.

მწერალი სინათლეს აანთებს, თავისი ხელით მოწყობილ მაგიდას, მიუჯდება და უიმედოდ მიჩერდება მიმოფან-

ტულ, დაუსრულებელი მოთხოვნის ფურცლებს. ხომ საკუთარი თვალთნახა ის ამბავი. აკი თითოეულ წვრილმანსაც კი იმასსოვრებდა საგულდაგულოდ და მერე ყველაფერს ზუსტად იგონებდა. რამდენჯერმე ხელახლა გაიარა ის საბედისწერო გზა... მაგრამ არა და არ გამოდის არაფერი. ჯიუტია და მიინც წერს. თუმცა ქვეცნობიერად გრძნობს, რომ რაღაც აკლია; ისეთი არაა, როგორც უნდა იყოს. კალამს გადადებს და ნაწერს კითხულობს.

საბა ჩომბახშვილს სჯერა, რომ ნებისმიერ მოვლენასა თუ საგანს, რაც ჩვენს ცხოვრებაშია, შეესაბამება ერთადერთი ზუსტი ფრაზა, რომლის საპოვნელად დიდხანს უნდა ეწამო, დაკვირვება, გამოცდილება, ფანტაზია მოიშველიო, გრძნობა და გონება ერთმანეთს შეუთანხმო... რომ დაწერ, მერე კარგად უნდა აწონ-დაწონო, ათასნაირი კუთხიდან შეხედო შეთხზულს.

კითხვას, რომ დაიწყებს, ნელ-ნელა გამძაფრდება ბიღონში ჩასხმული სკიპიდარის სუნე, აეშლება ნერვები და ისედაც გაბოლილ სარდაფს კიდევ კვამლავს სიგარეტით. ვერაფერი დაუწერია წაკითხვის ღირსი, სიტყვიერი შესაბამისობა ვერ უპოვია იმ ამბავთან.

იმ გზას რომ გაივლის, ბოლო მომენტში, როცა მიწისქვეშა გადასასვლელთან მივა, დიდ განსხვავებას იპოვის ბოლომე თავის „მესა“ და რეცისორის ხასილას შორის და, რა არის ეს სხვაობა, ვერ გაუგია. არადა, მანამდე ისე დადის, ისე იტყირება აქეთ-იქით, რომ უჩა აგიაშვილადია გადაქცეული. მაშ, რა მიჩერებსო, ბრაზობს საბა ჩომბახშვილი, უფრო მძაფრად გრძნობს სკიპიდარისა და შშორის სუნს, მწერლობას მიტმანნილი ჰგონია საკუთარი თავი და, ეს სკიპიდარი რა ჯანდაბად მინდოდაო, გაუელეებს. წამოდგება. გაივლ-გამოივლის. თითქოს თავისი ძვლების ზრქილი ესმის და სიზმარში ნანახი, ეანგინი მავთულებისაგან აწყობილი კაცი ახსენდება. ცარიელი ნერვებილა დარჩა, მეტი არაფერი. სივა-

რეტს ჩააქრობს, ისევ მაგადისთან ჯდება და თავიდან კითხულობს: სიტყვა აღარ მოწონს, წესდისმანმეტებაც კი ყალბად ეჩვენება. როგორ უჩახი-რია, რამდენი ქალაღი გაუფუჭებია, ეს რა აბდაუბდა გამოსვლია, ფუჰ... ფურცლებს დაქმუჭნის და მიმოისვრის. კვლავ სიგარეტს მოუციდებს და სარდაფში დადის. ჩერდება. თითებში ჩარჩენილ ასანთის ნაშვებს საფერფლებზე დაგადებს და კალამს მიაშტერდება. ერთხანს იმასაც იფიქრებს, ამაზე ხომ არ ვიყარო ჯავრიო. თუმცა არ ღირს...

დაახლოებით ერთი წლის წინ შეხვდა მთერალ რეცისორ უჩა აგიაშვილს, პიესაზე უნდა ელაპარაკათ. თავიდანვე დააფიქსირა ახალგაზრდა მწერლის დაკვირვებულმა გონებამ მისი გამხდარი და მაღალი ფიგურა, ჩამოგრძელებული სახე — დაახლოებით იმგვარი, ამედო მოდილიანი რომ ხატავდა. მაშინაც შემოდგომა იყო და ხანშიშესულ რეცისორს საწვიმარი ლაბადა ეცვია თან ხელჯოხს ეყრდნობოდა სიარული-სას. მისი თვალების სიღრმეში თითქოს რაღაც იწვოდა, იფერფლებოდა. დიხსომა მთავრის (ასე ეძახიან შემოკლებით მთავარ რეცისორს) საუბრის მანერა: ხმადაბლა და მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს. აკვიატებული ჰქონდა „გეთაყვა“. სულ ამას იმეორებდა ლაპარაკისას... ჰო, კიდევ აი, რა — ბატონი უჩა ყველაფრის შემჩნევას ცდილობდა ქუჩაში... საბა იგონებს მის სიტყვებს: „ჩემო საბა, მე ის მაწუხებს, რომ ყველაფერი თავიდან მექნებოდა დასაწყებში... თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს...“ და ის მწუხარე ხმაც ჩაესმის. ეს ყველაფერი და ბევრი სხვაც იცის... მაშ, რა ჯანდაბა ემართება?... ეს სკიპიდარი ჭკუიდან შემშლის!

ისიც სცადა, რამდენიმე ხნით გადაედო ეს ამბავი. მაგრამ ის შუაღუდი, როცა სიუჟეტი თავს ანებებდა, ძალიან მოკლე გამოდგა. რა კარგია, როცა თავს გადახდენილი არ გეშვება, ცნობიერებას გიტანჯავს, დაყინებით გთხოვს გაცოცხლებას და შენც მუშაობ... მაგრამ მთელი უბედურება მერე იწყე-



ბა, დომხალივით რომ აირევა ყველაფერი... მოკლავს შმორის სუნნი..

საბა ჩომახაშვილს მოულოდნელად გაახსენდება უნივერსიტეტში ნასწავლი და წარმოდგენს, თუ როგორ იფეთქებს მთა. მიწა იძვრის და ზანზარებს. ისმის გუგუნე. მწვერვალადან ამოჩქვფს ორთქლი, მერე ცივდება, ღრუბლებად იქცევა, გრივალევიტ იჭრება პაერში და სოკოსავით იშლება. განუწყვეტლივ ელავს და ჭექს. მოდის ცხელი ტალახის თქემი. კრატერიდან ამოიტყორცნება ვეება ლოდები, ქანების ნამტვრევები და გაავრვარებული ფერფლის მტვრი. ფერდობებზე ლავა დეშვება და ყველაფერს ბუგავს...

სწორედ ასე ამოაფრქვია თავისი გაწყდები ძველმა მთავარმა და იქნებ მისი შინაგანი ბუნების წარმოსახენად გამოდგეს წერის „ველკანური“ პრინციპი.

ჩავა სარდაფში. აანთებს სინათლეს. მიუჭდება საწერ მაგიდას. ფურცლები, კალამი, საფერფლე, სიგარეტი, ასანთი გამზადებული აქვს. ნათურა შუქს აფრქვევს. ცოვა. კედლები აგურისაა, ნესტიანი და შებოლილი. გაირინდება. ასეა ერთხანს. მერე გაქრება ეს მიწისქვეშა სათავსო. ვეღარ გრძნობს სკიპიდარისა და შმორის სუნს. ვანიციდის შიშს სუფთა ფურცლის წინაშე. რადგან თოვლისფერი ქალაღლი მალავს შესაძლებლობას — ზედ კარგი ნაწარმოები დაიწეროს, ვენიალურს რომ თავი დაეანებოთ. დიდხანს დასცქერის ამ სითეთრეს. ცდილობს, გამოყოს და ილაღინოს ჯერ არავისგან ნახაბი იმ თხზულებობს სიტყვები, წინადადებები, მაგრამ ვერ ხედავს ვერაფერს... ამ დროს ხდება, რომ თვითონ კი აღარ წერს, ვიღაც კარნახობს. იმას ხუთი შეგრძნებიდან არც ერთი არ გააჩნია, რალაცნაირად — იქნებ მეექვსე გრძნობით გადმოსცემს და რაც თვითონ უნდა, იმას აწერინებს. მოკლედ, საბა ჩომახაშვილი ინსტრუმენტი იმ უჩინარის ხელში.

ახალგაზრდა მწერალი ჩქარობს, ცდილობს მოასწროს ჩაწერა. ასე ზის დიდ-

ხანს, მოჯადოებულევიტ. მოკლავს უჩინარევიტ რომ მორჩება თანამოაზრევიტ საბა ვერ იტყვის, როდის ხდება ეს — ისეა დაღლილი, თითქოს ღრმა ორმო მარტოდმარტო გაეთხაროს ქვა-ლორღიან მიწაში...

შემდეგ, დრო რომ გავა, სხვა თვალთ წაიკითხავს ნაწერს. თუ უჩინარს მართლა უკარნახია, ხომ კარგი; ხოლო თუ ეს მწერლის აღგზნებული გონების ფიქტია იყო, გაღიზიანდება და ცნობიერება ატყვევება მაშინ... ამიტომ დაკმუქნა ეს ყალბად ნაწერი ფურცლები... ერთხელაც იქნება, ისვრის აქედან ამ სკიპიდარით საესე ბიდონს და დაუწყოს მერე ცოლმა, ამისთვის მინდოდა და იმისთვის მინდოდაო. კი, კი, ასე მოიქცევა...

მორჩა, ამაღამ ვერაფერს გააკეთებს. არადა, რა ქნას, რა დააძინებს ასე გაღიზიანებულს. აქ დარჩეს? არა, აღარ შეუძლია. სინათლეს ჩააქრობს და მალა ამავალ აგურის კიბეს მიუყვება.

უკვე კარგად გათენებულია. ქვაფენილზე ჩაგრუხუნებული ავტომობილის ხმა მოვისმის. ნაგვის მანქანის ზარი წკრიალებს საღღაც. სინათლეს აუვისია ეზო, სახლი, ფიჭვის ხე და თავისი ფერი დაუბრუნებია ყველაფრისათვის. ტოტებზე ჩიტები სხედან და ჭიკჭიკებენ. შაშვცი მოფრინდა და თავისი ვალობა შეუერთა ფრთოსნებს.

არა, ახლა ნამდვილად ვერ დაიძინებს საბა. რალაც უნდა მოუხერხოს ამ ამბავს. ოთახში ფრთხილად შეიპარება, ტანსაცმელს გამოიცვლის და მალაზიიდან რძე, მაწონი და პური მოაქვს სახლში. თან გამალეებით ფიქრობს. გასვლისას რომ არ დაავიწყდეს, სიგარეტის კოლოფსა და ასანთს ჩაიდებს ჯიბეში და საკმელად ჯდება. პურს მოიჭრის, მაცივარს გამოაღებს. გუშინდელი ერობოკვერცხის ნარჩენია. გამოიღებს და შეექცევა. გამყიდველმა უთხრა, დაისვენე, შვილო, სამარადან ამოღებულს ჰგავხარო. ვერა, ვერ მოისვენებს. თუნდაც მოინდომოს, ამბავი არ დაეხსენება. დიდი ხანია, რაც ასე ტანჯავს და ლამეებს თეთრად ათენებინებს.

ახალგაზრდა მწერალი ჭამას ამთავრებს და მტკიცე გადაწყვეტილებით გამოდის სახლიდან — ერთხელ კიდევ უნდა აღიდგინოს ყველაფერი და ხელახლა განვლოს ის გზა, რომელიც ძველ მთავართან ერთად გაიარა ერთი წლის წინ. თანაც ისე, რომ რეჟისორად გადაიქცეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ბავშვი რომ არ უნახავს?.. შებრუნდება. ოთახში შეიხედავს. ისევ ძინავთ. თუ გვერდზე გადაბრუნებულა, პატარა ხელი ბუნჩულა ლოყის ქვეშ ამოუღია. უკვე დიდი ადამიანივით წევს ეს მამული. აყოცება, მაგრამ კურდღელივით ფრთხილი ძილი იცის და არ გაეღვიძოს. რაც მთავარია, რძე-მამონი მოუტანა. კარგია, რომ არ დაავიწყდა.

ჩომახაშვილთა ოჯახის თავკაცი სახლიდან გამოდის, გაივლის ეზოს, კიშკარს გააღებს, ქუჩაში გამოდის და ნელი ნაბიჯით დაუყვება ტროტუარს. უჩა აგიაშვილის სახლისკენ მიდის. იმ დღეს ძველმა მთავარმა თერთმეტი საათისთვის დაიბარა თავის სადარბაზოსთან.

რუსთაველის პროსპექტზე ჩასული ღამენათვეი ახალგაზრდა ოპერის ჩასახვევთან დადგმულ საათს შეხედავს. თუ დაეჭვრება, ათის ნახევარია. ჯერ ადრეა. დრო აქვს. სადმე დაჯდება და დაელოდება. მისი სახლის მახლობლად ჯობს. შენობის უკან ბაღია და იქ დგას სკამები.

საბა ჩომახაშვილი ფეხით ჩაივლის გამზირს, მერე მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაეა, ცოტა ხანში მეორე მხარეს ამოვა, ერთ ვიწრო ქუჩაზე შეუხვევს, თითქმის ბოლომდე აივლის, ძველებური, ღია ნაცრისფერი სახლის უკან გავა და ბაღის მოზრეშილი ბილიკის გვერდით დადგმული სკამებიდან ერთ-ერთზე ჩამოჯდება. სიგარეტს მოუკიდებს და შემოდგომის აგონიით ფერ-შეცვლილ ფოთლებს შეათვალიერებს. ტოტებზე შამშვები დახტიან. გალობაც ისმის.

შეიძლება, ძველი მთავარი შამშად გადაიქცაო, იფიქრებს ახალგაზრდა

მწერალი. ეს უნდა გამოეყენებინა თბრობაში... ვითომ... *ქართული* ეს ხერხი შეიძლება იხმაზრეს *ფიქრის*. მაგრამ ჩვენს საუკუნეში ისე დაიხვეწა ურთიერთობები, ადამიანმა იმდენი რამ აღმოაჩინა გარშემო და საკუთარ თავში, იმდენი ნახა და ჩაიდინა, ანუ ჩვენი რეალური ცხოვრება ისეთ მითად იქცა, ჯერ არავის რომ არ მოლანდებია ცისქვეშეთში და არ ღირს მოთხრობის გაყალბება.

საბა თვალებს დახუჭავს და ცდილობს, აღარ იფიქროს. ახლა გონება უნდა დაასვენოს, რომ განზრახული კარგად შეასრულოს...

მწერალი მოულოდნელად იღვიძებს. მიიხედ-მოიხედავს. გამვლულს საათს კითხავს.

თერთმეტი ხდება.

მას უცნაურად არ ეჩვენება, რომ ზუსტად გამოიღვიძა. ეტყობა, ჩომახაშვილის გონება ძილშიც იმასსოვრებს მნიშვნელოვანი ამბის დაწყების დროს. იგი ღგება და მიდის ძველი მთავრის სახლთან. ახლა უნდა დაივიწყოს, რომ თამაშობს (ნამდვილი მოთამაშეები არ თამაშობენ; ისინი თამაშით ცხოვრობენ).

მაშ, ასე. დავიწყეთ ამინდით. ცა მოლრებლული იყო. წვრილად ცრიდა. ხეებს ფოთლები გაცვენოდა. ქუჩის ჩაღრმავებულ ადგილებში რომ გუბეები იდგა, მათ ზედაპირზე წვეთების დაცემისას რგოლები კეთდებოდა და წრიულად იშლებოდა. სველი იყო ყველაფერი. მანქანების ნაირ-ნაირ ფერებს ირეკლავდა ასფალტი. საწვიმრებიანი მოქალაქეები დადიოდნენ, ზოგიერთს ქოლგა ეჭირა.

საბა სადარბაზოში შევიდა და კიბეზე გაჩერდა. ჭიბიდან ცხვარსახოცი ამოიღო და სველი თმა შეიმშრალა შეძლებისდაგვარად. კარის ზამბარა დაჭიმული იყო და რომ არ დაეკტილიყო, დაბლა რკინის ნაჭერი მიედოთ. სინათლე შემოდოდა გარედან. არ სციოდა. სიგარეტი მოიძია, მოუკიდა, გააბოლა. მერე საფოსტო ყუთებზე გვარები წა-

იკითხა და გაიგო, რომ ავიაშვილი მეორე სართულზე ცხოვრობდა.

შესასვლელის გასწვრივ შავი „ვოლგა“ გაჩერდა. ჩომახაშვილმა დაინახა მძღოლის თვითმკაცოფილი სახე. ეს კაცი თეატრში ახლად აღზევებულ მთავარ რეჟისორს, ბატონ იოსებს ატარებდა. სალონიდან შავ ლაბადასა და იმავე ფერის შლაპაში გამოწყობილი ქალი გადმოვიდა და კარი მიაჯახუნა. მანქანა წავიდა. შენობაში შემოსულმა ინტერესით შეხედა ახალგაზრდა კაცს. უჩა ავიაშვილის ცოლი იყო, მსახიობად მუშაობდა თეატრში. მწერალმა შენიშნა: უძინარი ღამისაგან დამოთლებულ თვალებს საღებავი ვერ უფარავდა. დიდხანს არ შეყოვნებულა, კიბე აიარა, მეორე სართულზე გაჩერდა. გასაღებს თუ ეძებდა ხელჩანთაში. მერე საკეტმა გაიჩხაკუნა და მისი ფეხსაცმელების პაკიბუჯი მიწყდა.

საბას ქალის სიარული მოეწონა, ნაღდი ავაზაო, ვაიფიქრა და ლოდინი განაგრძო. დიდხანს მოუწია ცდა. ხუთიექვსი სიგარეტი მიიწეო მონა. ესმოდა დაბმული ხმები. მერე რაღაც დაიმსხვრა. ამის მეტი არაფერი გაუგონია (ასევე მოახსენა გამომძიებელს).

ზემოთ, როგორც იქნა, კარი გაიღო და მიიკეტა. გამოსული კიბეს ჩამოუყვა.

საფეხურზე ჩამოქვდა დამწყები დრამატურგი ფეხზე წამოდგა...

აი, ახლაც ამ ადგილზე დგას ჩომახაშვილი. მან უნდა დაივიწყოს თავისი ვინაობა და ორმოცდათექვსმეტი წლის უჩა ავიაშვილად იქცეს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მოღალატე მეუღლე ფარდით გაგუდა.

ბატონი გერონტი ჭიჭიძე ძველი იბერიელების ფსიქოლოგიაში ამჩნევს „პირქვე სულს“, რომელსაც „სტიქიონური ვნებათა ღელვა“ აბასიითებს; თუკი პირად ბედნიერებას კარგავდნენ, მათი სიყვარული სიძულვილად იქცეოდა და ანომალურ, არადამიანურ საქციელში ვლინდებოდა (ტაციტუსის მოთხრობა რადამისტსა და ზენობიაზე; აგრეთვე, მედემს მითი). საბა ჩომა-

ხაშვილის აზრით, შეუძლებელია, ჩიი-მე არ შემორჩენოდათ ექვსმეტივე ქართველებს ამ მძვინვარეობისას. ყოველ შემთხვევაში მას ასეთად ესახება უჩა ავიაშვილის ნამოქმედარი...

მე ვარ ძველი მთავარი, ფიქრობს ახალგაზრდა მწერალი, აფორიაქებული ვარ, თუმცა ვცდილობ, გარეგნული სიმშვიდე შევიწარმოო. ჩამოვდივარ კიბეზე. ვხედავ ყმაწვილს, მოაჯირს რომ მიყრდნობია და მიღმის. ესე იგი მიცნობს. ნეტავ, რა უნდა?.. აა, პიესის განსახილველად ყოფილა მოსული...

საბას ახსოვს, რომ რეჟისორმა გაუღიმა, დაბნეული ჩანდა და სთხოვა, რომ მასთან ერთად გავსეირნა ქუჩაში. სადარბაზოდან გამოვიდნენ.

მწერალი შენობიდან გამოდის და ტროტუარს გაუყვება.

მე ვარ ძველი მთავარი, ნაფიქრს იმეორებს ჩომახაშვილი, დამწყებ დრამატურგთან ერთად მივუყვები ვიწრო ქუჩას. ვცდილობ, მშვიდად ვიყო. მით უფრო ძალიან ღელავს ჩემს სულში რაღაც ვარვარა, მრისხანე, პირველყოფილი, მოუთოკავი და აუხსნელი. უკან ვიყურები. მანქანა შემოუხვევს გვერდითი ქუჩიდან. ტაქსია. ეს ყმაწვილი რაღაცას მეუბნება. ვამეორებინებ და თან მაღლა ვიყურები. ტაქსის სარკმელებში მობუზულ მტრედებს ვხედავ. კი, წავიკითხე შენი პიესა, მაგრამ ჭერ ცოტა გავიაროთ მეოქი, ვეუბნები. მიწინა, კიდევ ერთხელ ვნახო შენობა, სადაც ნახევარი სიცოცხლე გავატარე. გავდივართ ვრცელ მოედანზე. გავივლით მიწისქვეშა გადასასვლელს და ფეხით მოვუყვებით გამზირს. ტროტუარი ხალხითაა გავსებული. მანქანების მდინარე მიდის ქუჩაში. ასფალტი სველია. ფილაქანიც. ვათვალისწინებ სახეებს. სახეებს... ვიყურები ქუჩის გადაღმა. იქაც ადამიანები. ადამიანები... ტროლიბუსი. ბიგელები. შიშველი ხეები. სახლები. მოქალაქეები. პალმა. პალმები სურათების ვალერესთან. სველია. დიდი ქადრები. მანქანები. ვილაყას მივესალმე, თან გავუღიამე. დღეს

მამას ვნახავ. აუცილებლად. ვეძებ. არ ჩანს.

ახალგაზრდა მწერალი სურათების გალერეის წინ დგას და ერთი წლის წინანდელ ამბავს იხსენებს.

ძველ მთავარს პალმაზე რომ გაუშტერდა თვალი, ხოლო საბა სიგარეტს უკიდებდა, მათ წინ ნაცრისფერ ლაბადაში და ფეტრის შლაპაში გამოწყობილი, სახენაყავილარი თეატრის დირექტორი გაჩერდა, თვალბიცი კი ნაცრისფერი ჰქონდა (ალბათ, ქამელეონივით გარემოს შესაბამისად იცვლიდა ფერს, გაიფიქრა მწერალმა). ჩომახაშვილს კარგად ახსოვს ის დიალოგი — გველისა და მისგან მონუსხული პეკლის ურთიერთობა.

„გამარჯობა, უჩა!“

„აა... გაგიმარჯოთ, გეთაყვა“.

„როგორა ხარ?“

„გმადლობთ, გეთაყვა, კარგად. თქვენ როგორ გიკითხოთ?“

„რა მიჭირს... ეს ვინ გახლავს (საბაზე ჰკითხა)?“

„ნათესავია“.

„კეთილი... არც ახლა გჩერა?“

„რა?“

„მეუღლის ამბავი...“

„იგონებთ, გეთაყვა!“

„გავიგე, აგარაკზე ყოფილანი“

„შეუძლებელია, გეთაყვა... (ნაძალადეოდ გაიციან)“.

„ნამდვილად ვიცი!“

„წუხელ ბანკეტზე იყო, გეთაყვა!“

„ვითომ?“.. კარგი, მოვეშვათ ამას... ერთი ახალი ამბავიც ვიცი!“

„ბრძანეთ...“

„პიესას აღარ მოგცემენ დასადგმულად!“

„რატომ?“

„ასე გადაწყვიტეთ მე და ახალმა მთავარმა“.

„აღრე მე ვიყავი მთავარი...“

„შენ ლმობიერი მთავარი იყავი, ცდილობდი, ყვარებოდი მსახიობებს“.

„განა ეს ცუდია?“

„არა, მაგრამ ბატონი იოსები სულ სხვანაირად მოქმედებს!“

„მაინც?“

„მოვიდა. მიდგა. მოდგა. ზოგი ვალაბა. ზოგი დასაჯა. სტატუსი შეცვლილა ან მოქრთამა... ასე, რომ მსახიობებში ანგარება გაჩნდა და უგზო-უკვლოდ გაქრა შენგან ჩანერგილი სიყვარული და სიკეთე. და ახალ მთავარად აირჩიეს ის, ვისიც ეწინოდათ“.

„მერტა, ეს კარგია?“

„რატომაც არა?!.. შენ კიდევ ვერ ხედებო, სად შეცდი!“

„დიდი მადლობელი დავრჩებით, თუ მაგასაც ამიხსნით, გეთაყვა!“

„შენი ძალაუფლება დამოკიდებული იყო მსახიობების სიყვარულზე შენდამი... ამიტომ სუსტი იყო. ხოლო იმისი ძალაუფლება მსახიობების შიშზეა დამოკიდებული. ბატონი იოსების ძალაუფლების საყრდენი თვით მასშია. ამით გაჯობა!“

„თქვენ გგონიათ, შიში შეიქმს სიყვარულს?“

„ცხოვრებაში ასე ხდება!“

„ხდება, მაგრამ ცოტა ხნით. დრო რომ გავა, ყალბად შეფერილი საღებავები ჩამოერეცხებათ და ბუნებრივ ელფერს დაიბრუნებენ საგნები, მოვლენები, სულიერი ფასეულობები, თვით ადამიანები. აი, მაშინ გამოჩნდება, რომ მე მართალი ვყოფილვარ...“

„აბა, რას შეიქმს შიში?“

„ლანჩობას, დაბეზლებას, პირმოხნობას, მთელი ერის გახრწნას და რა ვიცი, კიდევ რომელი ერთი ჩამოგითვალთ!.. თუმცა თქვენ ეს ჩემზე უკეთ იცით!“

„ასე გგონიათ?“

„ნუ მათქმევიანებთ, რატომ მგონია ასე!“

„ალბათ, მამა გაგახსენდა... საცოდავი, ძალიან ძვირფასი კაცი იყო!“

„ახლა, რას მირჩევთ, გეთაყვა (სევდიანი ლიმილით თქვა)?“

„წასვლა მოგიწევთ“.

„აა... სხვაგან ვიძულვარ?“ (ისევ ნაღვლიანად ჩაიციანა).

„ვეჭვობ, ვერც სხვაგან იშოვო აღვილი!“

„რატომ, გეთაყვა?“

„არ დაგიშვებენ!“



„თუ მოვიდნო, დუგლაძე ორივე ხელით ჩამეჭიდება“. (დუგლაძე სხვა თეატრის მთავარი რეჟისორი იყო).

„დუგლაძე იოსების მეგობარია. არა მგონია, მივიღოს!“

„აქ დარჩენას აღარ ვაპირებ, დამშვიდდით...“

„სწორადაც იქცევით, „გე-თაყ-ვა“!.. თქვენს ადგილზე მე თავს მოვიკლავდი!“

ამ სიტყვებზე ბატონი უჩას თანამოსაუბრე შეტრიალდა და წავიდა.

გზა განაგრძეს.

უჩა აგიაშვილმა ჰკითხა:

„მამა თუ გყავთ, გეთაყვა?“

„ღიახ“.

„რას აკეთებ?“

„ალბინისტია“.

„დაყვებით მთებში?“

„აღრე დაყვებოდით. ახლა მეგობრებთან ერთად დავდივარ“.

„მამას გაუფრთხილდით. ჩვენ ისინი ძალას ვკაძლევენ“. (ჩაფიქრდა).

„ბატონო უჩა, თქვენ გყავთ მამა?“

„ექვსი წლისამ დავკარგე...“

„როგორ?“

სხვა შემთხვევაში დამწყები დრამატურგი ალბათ პასუხს ვერ მიიღებდა ამ შეკითხვაზე, მაგრამ, ეტყობა, იმ სიტუაციაში ძველ მთავარს განსჯის ძალა მოუღუწუნდა და მიუგო:

„რომ ვესაუბრებოდით, იმ კაცმა დააბეზლა“.

„რისთვის?“

„უკაცრავად, გეთაყვა, როგორ მოგმართოთ?“

„საბა“.

„პო, საბა... თქვენ ნიკოლო მაკიაველი თუ წიგნიკითხავთ?“

„მსჯელობანი“ — არა. „მთავარი“ — კი“.

„მამა იტალიურიდან თარგმნიდა მაგ თხზულებებს. იმან დაასმინა, ჩვენთვის შეუფერებელ წიგნებს თარგმნისო და წაიყვანეს. ახლა, თუ დააკვირდით, მაკიაველის აზრები მითხრა, ოღონდ თავისად გაასაღა“.

„საიდან იცით?“

„რა?“

„რომ დააბეზლა“.

„არაფერი არ იმალეხარქო“.

„მე იმან გამაკვირვებინა, მაგისაა რომ გორჩიათ, თანაც ჩემთან ერთად!“

„ეს ყველაფერი ბატონ იოსების ხრიკებია“.

„ახალი მთავარი რაღას გერჩით, ვერ გამოვიდა. ხომ ტოვებთ თეატრს?!“

„იოსები ვერასოდეს დადგამს ისეთ სპექტაკლს, ორმოცდაათ წარმოდგენას რომ გაუძლოს“.

„ვერც შექსპირს?“

„შექსპირს თავისი ტოლი შემოქმედი ჰქონდა, გეთაყვა“.

ხოლო უჩა აგიაშვილს ისეთი სპექტაკლები დაედგა თეატრში, მათ შორის შექსპირიც, ხუთას-ექვსას წარმოდგენას რომ გაუძლეს... თუმცა მაშინ მწერალს ამაზე არ უფიქრია, ძველი მთავრისა და იმ ქამელეონის ურთიერთობით იყო აღშფოთებული.

ამ საუბრისას ისევ აი, აქ — ნახატების საკომისიო მალაზიასთან მიდიოდნენ. იქვე ქუჩა ჩადიოდა, მანქანები უზვევდნენ პროსპექტიდან. რეჟისორი უკან იყურებოდა, მუზეუმისაკენ. ვილაცას თუ რაღაცას ეძებდა. თითქოს ყველაფერი უნდოდა დაენახა, აღექვა, გაეცნობიერებინა. ცოლი რომ მოგუდა ძველმა მთავარმა, იმზელა ფსიქოლოგიური დატვირთვა მიიღო, ბატონ იოსებთან ანგარიშის გასწორებაზე ველარც კი ფიქრობდა. ძველი იბერების ხასიათის იმ მონატეხმა, „პირქუში სული“ რომ ჰქვია, მხოლოდ მოლაღატე მუღულის მოსაყავად იქმარა, სხვა შურისსაძიებლებს ველარ გადააწვდა.


მერე ქუჩა გადაიარეს, თეატრს მიუახლოვდნენ.

„თქვენ ხომ ჩომახაშვილი ეეე...“

დაიბნა ბატონი უჩა, ქუჩის გადაღმა, „სამწვადეს“ გაჰყურებდა.

საბა ვარო, უთხრა ახალგაზრდა მწერალმა.

„პო, ხომ მითხარით... მე ახლა თეატრში შევალ ცოტა ხნით, თქვენ გარეთ დამელოდეთ და მერე ვისაუბროთ იმ პიესაზე...“



ახლა, როცა თეატრის შესასვლელთან დგას ჩომბახაშვილი და იხსენებს რეჟისორის უცნაურ ღიმილს, ხედება, რომ ებოდიშებოდა მაშინ. იმ დღეს კი ეს ვერ გაიგო და ვაბარაზებულობა სიგარეტს მოუკიდა. ჭერ რამდენ ხანს მალოდინა, მერე ამდენი ვიარეთ და ხმა არ ამოუღია პიესაზე; ავდგები და წაველ და აღარც ვნახავო, ჭავრობდა საბა, მაგრამ მაინც უცდიდა.

დიღხანს რომ ელოდა, ეს ნამდვილად ახსოვს, მაგრამ კიდევ რაზე ფიქრობდა, ველარ მოუგონია. შემდეგი მოვლენებისაგან გამოწვეული სტრესი ისეთი ძლიერი იყო, რომ ეს ნამდვილად ამოუვარდა გონებიდან.

ახალგაზრდა მწერალს მოეჩვენება, რომ სკიბიდარის სუნი მოსდის საიდანაც და ღიზიანდება, კვლავ გაურბის უჩა აგიაშვილის ხასიათი. რა ქნას, ძალიან გადაიღალა. ახლა იმ „სამწვადეში“ გადაევა, ერთ ჭიქა არაყს გადაკრავს, ცოტა მოლონიერდება, თორემ ისე დაძაბულად უმუშავენს გონება, სულ ველარ ხედავს დღევანდელ მზიან ცას, იქვე ჩავლილ სამ ქალიშვილს, რომ მიესალმნენ და ისე იყო გართული თავისი ამბის აღდგენით, ვერ დაინახა და, მხოლოდ ახლა გაუღიმა საბასუბოდ, უკან რომ გამოიხედეს გოგონებმა. ერთი ძალიან მოეწონა. ზოგჯერ რუსთაველზე ისეთი ქალი ჩაივლის, ლამის მშვიერი მგელივით იმუტვლოო, სევდიანი ღიმილით ფიქრობს გამზირის მეორე მხარეს გადასული საბა ჩომბახაშვილი, მერე ლუდის სუნითა და სიგარეტის კვამლით გაელენთილ დარბაზში შედის და დახლიდარს არაყს სთხოვს. კონიაკი არ გირჩევენიაო, გაუღიმებს გამყიდველი — ნაცნობია, თორემ რას გამოუჩენდა. ფულს გადაიხდის და სეამს.

მწერალი ქუჩაში გამოდის. ბატონ უჩას გამოსვლამდე ჭერ კიდევ ადრეა. თეატრის ფსაადს ათვლიერებს, რომელსაც ქვაში გამოკვეთილი ნაირნაირი ბარელიეფები, ორიოდე ქანდაკება, მოზრდილი აიუნები და ფანჯრები ამშვენებს. ქვემოთ, შესასვლელში მა-

ღალი, ფართოფანჯრიანი ორჯო კარია. მისი თითოეული ფრთხილკონკრეტული ორნამენტებითაა მოხუჭურთმებული; ხოლო იმ ადგილზე, სადაც საბელური უნდა იყოს, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ფაფარგაშლილი ლომების თავებია, რომლებსაც კბილებში უჭირავთ რკინის რგოლები — სწორედ მათ უნდა მოკიდო ხელი შიგნით შესასვლელად. მარცხნივ კი ლითონის სამშვენივრებით შედუღებებული დიდი ქიშკარია — ამ გზით სატიერთო მანქანები მოძრაობენ.

საბა თეატრის თანამშრომლების შესასვლელ კართან დგას. აქ უცხო პართა შესვლა არ შეიძლება, აკრძალულია, ბატონო? რომც მოინდომოს, ეგერ, მაგიდასთან მქდარ მეკარეს უნდა გაეპაროს. თუმცა, რა უნდა შიგნით, იქ ხომ არ უნახავს ბატონი უჩა. ის წარმოიდგენს, თუ როგორ ეთხოვებოდა საყვარელ შენობას ძველი მთავარი...

იმ დღეს აგიაშვილი ვიღაც მსახიობთან ერთად გამოვიდა შენობიდან და უთხრა:

„დიღხანს ვალოდინეთ, გეთავაზო... აი, ჩორთმანას სალაპარაკო აქვს და...“

მწერალს ახსოვს რეჟისორის აკანკალებული ხელი, შუბლს რომ ისარესდა ნერვიული თითებით, თითქოს უამური აზრების წაშლა უნდა გონებიდანო.

ჩომბახაშვილი შესასვლელის მახლობლად დარჩა მაშინ და მოტოციკლზე ჩამოქდარ ავტონისპექტორს უუტრებდა, მსუქან ქალს რომ ელაზღანდარებოდა. იქით შავი „ვოლგა“ იდგა. შიგ მძღოლი იჭდა.

ძველი მთავარი საუბრისას ეცტებს იშველიებდა. შორიდან უფრო გამხდარი ჩანდა. თან ცდილობდა ქუჩაში ყველა და ყველაფერი შეემჩნია — სწორედ ამიტომ, ვერაფერს ვერ ხედავდა. ამავე დროს მშვიდად მოლაპარაკე ჩორთმანას უგდებდა ყურს, თანაც საბას ანიშნებდა, მოდიო. მოუბოდიშა, ყურადღებას ვერ გაქცევო.

ეს მართლა სასწაული თვისება ჰქონდა — უნდოდა ყველაფერი დაენახა. (ალბათ, ეთხოვებოდა მშობლიურ ქა-



ლაქს). ახლა ჩომახაშვილიც ცდის ამას და ვნახოთ, რა გამოვა: ქაღარი. ტელეფონის ჯიხური. ლაქადა სახე. თეატრი. ტროლეიბუსი. მავთულები. ხაღბი. ჩიტები. ამომრავებული ფეხსაცმელები. ღიმილი. შიშველი ტოტები. მზიანი ცა. კოცნა... ამას რა დაინახავს. ახლა მოინდომებს ყველაფრის ერთბაშად დანახვას: წინ მიმავალი რომ სიგარეტს უკიდებს, მის გვერდით ვიღაც ცხვირს იხოცავს. მიდის ავტობუსი, მოდის სამარშუტო ტაქსი. ხმაურობს გამზირი. ფრენენ ჩიტები... და ეს ყველაფერი ერთსა და იმავე დროს ხდება, წამში — ცხადია, ვერ დაინახავს.

მაშინ ძველმა მთავარმა უთხრა საბას, ჩვენთან ერთად იარეთო; შენობების მხრიდან ჩოროთმანა მოყვებოდა რეჟისორს, მწერალი ქუჩის მხრიდან ამოუდგა და ნელ-ნელა განაგრძეს გზა — ისევ ნახატების საკომისიო მალაზიასთან მიდიოდნენ და ჩომახაშვილი იმ კაცის გონებამახვილობით იყო აღფრთოვანებული, ვინც ასეთი შორგებულნი ზედსახელი შეარქვეს მსახიობს — მართლაცდა, ჩოროთით დადიოდა...

ჩოროთმანა დაძაბული ყურადღებით ათვალისწინებდა ბატონ უჩას და ეუბნებოდა:

„...ცოდვია თქვენი წასვლა ჩვენი თეატრიდან“.

„რატომ, გეთყვია ახალ მთავართან იმუშავეთ...“

„უპ, მაგისი ყველას გვეშინია. შეგატყობს რამეს და გაგაბუნძულებს თეატრიდან. ბოლო-ბოლო ძალაც ერჩის, ვერც გალახავ. დონაურს უნდოდა, ეცემო, მთავარი როლი არ მისცა, მაგრამ ახლა საავადმყოფოში წევს ტვინის შერყევით... მე ის მიკვირს, რომ მსახიობებს არ უყვართ, მაგრამ არც სძულთ — წარმოგიდგენიათ, ბატონო უჩა?! მას კი არა, თეატრის დირექტორს ბრალდება ყველაფერი, თვითონ სუფთა გამოდის...“

„მეც მაგას მოგახსენებდით, გეთყვია“ — უხერხულად იღიმოდა ძველი მთავარი, თეატრისკენ იქპირებოდა სინანულით, სწრაფადვე ანაცვლებდა მზე-

რას და ტროლეიბუსის ბიველტს აყოლებდა თვალს — წერილებს და ელექტრონის ნაპერწკლებს: მართლმართადა ხოლმე წვეთებში.

„თქვენ უფრო კარგი ხასიათი გქონდათ...“

„მართლა მეუბნებით?“ — უნდოდ გაეღიმა რეჟისორს.

„ნამდვილად, ნამდვილად!“

„ეპ, ვტოვებ ყველაფერს...“

„ძნელია, ძალიან ძნელია... თეატრი ხომ თქვენთვის იგივე ცხოვრებაა. ამ შენობაში თქვენ თქვენს როლს წარმატებით თამაშობდით... უროლოდ დარჩენილ მსახიობზე საბრალო არაფერია ამქვეყნად...“

„ჩვენი როლები ბოლომდე უნდა ვითამაშოთ, ჩემო ჩოროთმან!“

„ასეა ეს... მართლა, ქალბატონი არიან ავად ხომ არ გყავთ?!“

„ააარა...“

„წუხელ ბანკეტზე არ ყოფილა დავიფიქრეთ, ცუდად ხომ არააო!“

„არა, ჯანმრთელადაა. დღეს მოვაალბათ“.

„შესვენება მთავრდება და გავიქცევი... ნახვამდის!“

„კარგად ბრძანდებოდეთ“. — თანამოსაუბრეს ხელი ჩამოართვა ძველ მთავარმა, მერე საბას გაუყარა მკლავში ხელი და გზა განაგრძეს. ხოლო მსახიობი უკან წავიდა. სურათების გალერეას რომ მიუახლოვდნენ, მწერალმა უკან გაიხედა — ჩოროთმანა „ვოლგაში“ ჯდებოდა.

„ბატონო უჩა, რა უნდათ თქვენგან?“ — ჰკითხა ჩომახაშვილმა.

„ეს საქმეს არ ეხება!“ — ცივად მიუთხრო ძველმა მთავარმა, — „მგეც არ იყოს, დავიღალე... სჯობს, თქვენს პირსაზე ვილაპარაკოთ, გეთყვია...“

„გისმენთ, პატივცემულო უჩა“.

„ძალიან მომეწონა თქვენი პიესა, თუმცა ამის დამდგმელი ცოტა მეგულება ჩვენში. არავის აღარ უნდა შენი სიმართლე. ყველა საყუთარ ჯამს ჩაპყურებს და ვინც არა, ის იტანჯება ყველაზე მეტად... ამ პიესას მე სიამოვნებით დავდგამდი, რადგან თქვენს პერ-

სონაეებს აქვთ ის მომხიბვლელობა, რაც ყოველ საღამოს როლის თამაშს მოანატრებს მსახიობებს“.

ამ დროს გაღერებას ეცდებოდითო, ახსენდება ახლა ამავე ადგილზე მიძველ დაძწეებ დრამატურგს და იმაზე ფიქრობს, თუ როგორ აღწეროს შენობის წინ, პარაპეტზე მორიგეობით აღმართულ ქვის სფეროებზე გამობშული მსხვილი ჯაჭვები, ბალმებსა და ყვავილებს რომ შემორტყმოდნენ ქუჩის მხრიდან.

„თქვენ მიდიხართ და ვინ მოკიდებს ხელს?“

„ეეპ, ჩემო ეეე...“

„საბა“.

„ჩემო საბა, მე ის მაწუხებს, რომ ყველაფერი თავიდან დასაწყები მექნებოდა... თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს...“

„აღბათ, უნდა იბრძოლოთ...“

„საღლა მაქვს მაგის თავი... ამ ბოლო დროს რაღაც მახრჩობს... სულს მიხუთავს... მცხელა ძალიან... თავბრუს მებგვევა...“

„ცუდად ხომ არ ხართ?“

„არა... არა, გეთყვია... უბრალოდ, მომეჩვენა, რომ მამამ გაიარა აქ...“

„აქ?!“

„პო... მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა... ახლა იქით ამოვა...“

საბა ჩომაბაშვილი იმ მიწისქვეშა გადასასვლელთან დგას. მაქსიმალური ყურადღებით ათვალერებს არე-მარეს და ცდილობს, წარმოიდგინოს უჩა აგიაშვილის სულიერი მდგომარეობა იმ მომენტში. კარგია, რომ ზუსტად გაიხსენა ძველი მთავრის უკანასკნელი სიტყვები, მისი ბოლოდროინდელი, საოცარი სიმშვიდე — აქეთ-იქით აღარ იყურებოდა, მტანჯველი მოლოდინით უცდიდა მამას...

ყველაზე მეტად ამ ადგილის წარმოსახვა უჭირდა ახალგაზრდა მწერალს. რაღაც განსხვავება არსებობდა მასა და რეჟისორს შორის და ეს უნდა მოესპო, დროებით მიევიწყებინა, რათა მილიანად ქცეულიყო ძველ მთავრად... არადა, გონების თვალთ კარგად წარმოი-

დგინა მისი სიკეთე, რაღვან თვითონაც შეეძლო კეთილი ყოფილიყო მისი მსახიობთან?.. არა, ნამდვილად მისი მსახიობი არაფერი, იმ ქამელუნსა და ჩორთმანას მაინც გალახავდა... ესე იგი, რა გამოდის?...

...და მიხვდა საბა — თვითონ, უჩა აგიაშვილისაგან განსხვავებით, ძლიერი სიკეთე იყო; რაც სწამდა და უყვარდა, იმისთვის იბრძოლებდა კიდევ; იბრძოლებდა თუნდაც მომკვდარიყო...

მწერლის ადგინებულმა გონებამ ფილმის კინოკადრებივით დაატრიალა ადრე მომხდარი ამბავი, ოღონდ მანამდე ისიც წარმოიდგინა, რომ ულონო სიკეთე იყო და თვითონვე უკვირდა, როგორ შეეძლო ცოლის მოკვლა, თან იტანჯებოდა — ადამიანის სიცოცხლე რომ ხელჰყო — ეგებ ამიტომაც აღარ შერჩა ბრძოლის ეინი, რომ საყუთარ თავს ებრძოდა... ხოლო მეორე მხრივ, უჩა აგიაშვილს თეატრის გარეშე არ შეეძლო სიცოცხლე, ათასნაირი ხრიკებით მიატოვებინეს საყვარელი საქმე და საბოლოოდ რომ მიხვდა ამას — მაშინ, როცა ჩორთმანასთან ერთად გამოვიდა გარეთ — უკვე გარდაცვლილი იყო...

პროსპექტის გადაღმა, მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოსული მამა ძალიან ცხადად, თითქოს ნათელში გაბეული დიანახა ძველმა მთავარმა; შავი თმა-წვერი, თაფლისფერი თვალები და შუბლზე მფეთქავი ლურჯი ძარღვიც კი გაარჩია ამ სიშორიდან და „მამაო“, დაუძახა.

კაცს არ მოუხედავს, გზას განაგრძობდა — აღბათ, ვერ გაიგონა.

ბატონი უჩა უფრო ხმამაღლა შეეხმინა მშობელს და რაკი ისევე ვერ გაიგონა, სწრაფად მჭროლავე მანქანებით გავსებული პროსპექტის სავალ ნაწილზე შევარდა, რათა მამა არ დაეკარგა მხედველობიდან და მალე წამოიწყოდა...

ახლა ნამდვილად კარგად დავწერ ჩემს მოთხრობასო, გაიფიქრა საავადმყოფოში გონსმოსულმა, დამტყრეულმა საბამ — თვითონაც ხომ ძველი მთავა-

რევით შეიჭრა მანქანების ნაკადში... ნუთუ სწორად მოიქცა?.. აუცილებელი არაა, მწერალმა თავისი გმირის საქციელი გაიმეოროს — ვთქვათ და, შენმა პერსონაჟმა ტყვია იყრა შუბლში, ამას ხომ ვერ შეძლებ?.. ანდა, რა უფლება ჰქონდა, პატარა თვა დაეობლებინა, უმამოდ დაეტოვებინა?!. შეცდა, მწარედ შეცდა საბა ჩომახაშვილი. კიდევ კარგი, რომ გადაჩნა...

...და მაინც, ლოგინში გაუნძრევლად მწოლიარე ახალგაზრდა მწერალი ხშირად ფიქრობს დაღუპულ რეჟისორზე. იმ დროს საკუთარ თავს ხედავს პალა-

ტის ღია ფანჯარაში, უჩა აგიაშვილად ქცეულს, — სადაცაა უჩა აგიაშვილის მეცხრე სართულიდან ქვემოთ მდებარე ხეებისაყენ, რომელთა ქვეშ ნათელში გახვეული მამა მიდის. თავს არ ანებებს ეს ჩვენება. კვლავ ადრინდელივით ან უფრო უარესად ტანჯავს ძველი მთავრის აღსასრული. ტკივილს ფიზიკურადაც გრძნობს, თითქოს ეს ამბავი კავკასიონის დიდი კლდე იყოს და თვითონ კი ამირანივით ზედ მიეჩაქვოს ვიღაცას — მფრინავი ყურში-ძაღლის გარეშე.

## ლია სტურუა

### სიმღერა

ჩემი სიმღერა,  
ტირილის ბოლო ბგერა,  
თალხი,  
დარდისგან ვალეული ქალივით,  
სულ ცოტა, სამი,  
მაგრამ თავი თუ გაიგივა,  
შვიდი ამღერებელი კაცის სამშობლო,  
რომელიც ჯერ დაღუპული სახლივით  
დგას,

მაგრამ ხმა თუ ამოიღო,  
უსათუოდ, პირველი იქნება  
და ისეთი გაფატრული,  
აბრეშუმზე ფრჩხილი რომ ჩამოუსვა...  
ახლა, ამ მყინვარწვერს  
მეორე და მესამე ხმები ხომ ვერ  
აჯობებენ

სუსხით და სიმაღლით  
და სიტყბოს ჩააკვდებიან, ისე,  
რომ ლედვის ხეები გაეზრდებათ პირში  
და ლურჯი ენების ფრიალით  
გამოეკიდებიან  
ცაში წასულ მთას, თავლს შეურევენ  
ყინულში  
თავმდაბალი მეორე და მესამე...

ხოლო მეშვიდე ხმას  
ვერც წარმოვიდგენ და ვერც  
გამოვიგონებ,  
ჩემი ფანტაზია ვერ გაწვდება,  
ვიოლინო თუ არ ჩამესახა ტანში  
ბავშვის ნაცვლად,  
საოპერო ხმების წვეტი  
თუ არ გამეჩხირა ყელში  
წმინდა ფხასავით,  
სობრანოს აღისფერი ვარდები  
თუ არ დამეფინა ფეხქვეშ,  
მაშინ მეშვიდე ხმის წვეროზე  
გასისხლიანებული ჩიტები ჩამოაჭდებიან,  
ყველა ჩვენგანის ცოდვები,  
რომლებიც ტბილ სიმღერას კი არ  
მეტყვიან,  
ჩონგურის ხვევრდოვანი მუცლიდან  
ამოღებულს,  
მყინვარწვერს ჩამამხოვენ პირში,  
ამჯერად, ყოველგვარი თავლის გარეშე,  
და თუ ამასაც გაუძელი,  
მარტო ქალი კი აღარ ვიქნები უკვე,  
არამედ შვიდი ამღერებელი კაცის  
სამშობლო...

### გამოცნალება

მახსოვს, ბავშვობაში,  
ყოველი სექტემბრის ბოლოს  
შაქარს ვყრიდი ხოლმე ნისლში,  
როგორც რძეში,  
რომ კატებს შეეჭამათ იგი,  
მაგრამ ნისლს მისხალიც არ აკლდებოდა

და, მხოლოდ, ერთხელ,  
როცა ისე ჩაკეტოდა ვიგრძენი თავი,  
რომ ნისლის კედელს, კინალამ,  
მუშტები დავეშინე,  
თეთრი დღის ბოლოში  
ცხენი გამოიკვია.



კერ შამჩემის სული მეგონა,  
 მაგრამ მისმა სილაღემ  
 და თავისუფლებამ დამაფიქრა —  
 შამა საზიდრის ღონიერ ცხენში თუ  
 ჩასახლდებოდა,  
 მთელი სიცოცხლე ტვირთს რომ  
 დააორევს...  
 მაშინ, ვიფიქრე, იქნებ,  
 ღმერთი გამომეცხადა, რომელიც  
 სიზმარში  
 დაბდაინლური ქართულით  
 მელაპარაკებოდა  
 და ალავერდის ტაძარში ცხოვრობდა,  
 ხოლო ტაძარი ისე ვაედა  
 ჩიშინა ცხენს,  
 რომ სულ მიცვირდა, როგორ იდგა  
 ერთსა და იმავე ადგილზე...  
 მე მინდოდა რამე შეთქვა  
 ამ მშვენიერი არსებისთვის,  
 მაგრამ ისე უბრალოდ ხომ  
 ვერ ვეტყვოდი,  
 როგორც დედას და მეგობრებს  
 ველაპარაკები  
 და დავიწყე სიტყვების ძებნა  
 და, რატომღაც, ძალიან მთავარი  
 აღმოჩნდა  
 როგორ ვყრი შაქარს ნისლში  
 და რძელ ვაჭყევ უპატრონო  
 კატებისთვის...  
 ეს ვთქვი და თეთრი ცხენი

ისე შემოვიდა ჩემს შუბლში,  
 თუ გულში, — ამხელას...  
 შიგ ჩასახლებული ღმერთი  
 რომ ნაკერებიც არ დაუდვიით  
 ჭრილობაზე  
 მაგრამ სადაც სისხლი დაეწვეთა,  
 ფერადი ბალები ამოვიდა:  
 ჩემს იატაკზე, მეზობლის ქერზე,  
 რომელსაც არაფერში არ ჭირდება  
 და არც იცის, როგორ მორწყას  
 აყვავებული ქერი,  
 ამიტომ ჩემზე დაბოღმილი  
 ყველას არწმუნებს,  
 რომ ჩვეულებრივი ინფარქტი  
 დაემართა.  
 როგორც შამჩემს  
 და არავითარი გამოცხადება არ  
 ყოფილა,  
 რადგან მისი ღმერთი  
 ნატანჯი კაცი კი არ არის,  
 არამედ სალი და მზემოკიდებული  
 მფრინავი არსება,  
 რომელიც ცაში ცხოვრობს,  
 ალავერდი კი მყარად დგას  
 იმ ადგილას, სადაც ააშენეს  
 და მეტი საქმე არა აქვს,  
 ფეხი აიდგას თავის ზარებიან-  
 ხატებიან-ღმერთიანად  
 და ვილაც გოყის ტანში შევიდეს  
 მისი ტვინის ვასანათებლად  
 და გულის გასაგლეჯად...

**ჩემს მეგობრებს**

მოვერევი ჩემს თავს,  
 როგორ არ მოვერევი,  
 მოთმინება ვისწავლე ისეთი,  
 კლდეს შეშურდება პიტალოს...  
 ვაპატიებ მათ, როგორ არ ვაპატიებ,  
 შევიცოდებ, კიდევ,  
 რადგან თავი და გული  
 სადღაც დაეკარგათ ისე,  
 ნიორი რომ გამოიფშუტება  
 და გაიპარება გაზაფხულზე...  
 მაგრამ ვრძელ ენებს აფრიალებენ  
 დროშასაგით,  
 რადგან მიამიტ ხალხს

გმირი ჰგონია  
 დროშაში გაბვეული ადამიანი.  
 დარდი ნუ გაქვთ, მეგობრებო,  
 მიწაზეც რომ დამცენ,  
 გაუძლებს ჩემი ხერხემალი,  
 რომელსაც ციხე-კოშკის სიმაგრე აქვს,  
 რადგან შიგ უამრავი  
 სიკვდილმისჩილი ლექსია ჩატანებული,  
 ეგ იყო, ფეხზე რომ მაყენებდა,  
 რამდენჯერაც დავეცემოდი,  
 და ფითრის ნაცვლად  
 ვარდს მაფენდა პირისახეზე.  
 ვარდის გადროშებაც ხომ შეიძლება,



მაგრამ მე გმირი არა ვარ,  
პირიქით, როცა რომელიმე მაწანწალას  
და წყალწალღებულს ქვეს ესვრიან,  
ისინი მე მიფხაპნიან გულს,  
რადგან ვერ მოვერიე ბოროტს,  
სარკვეში ვერ ჩავახედე

და ვერ დავანახე,  
რომ რაც არ უნდა წყალობა  
და მიწა უფხვიერო, ზნობა  
ვერასოდეს ვერ იყვავილებს  
კატის და კაცის გამწირავი  
და ჩაქოლვის მოწადინე  
ადამიანის სული...

## ახალი წელი

ყოველთვის ზღაპრის ენით  
მელაპარაკებოდა ზამთარი  
მარმარილოს თეთრი პირიდან  
ამოისუნთქავდა ელვარე ქანდაკებებს,  
დააყენებდა ქუჩაში, დაატარებდა  
თეთრ ძაფებზე გამობმულებს...  
მოდებებული თაფლის ნეტარებით,  
ლოლუების შაჭარყინულით,  
ფორთოხლების ცეცხლით  
აწყვილებდა ჩემს ჯანს  
მონუმენტურ ზამთართან.  
მაგრამ ჯანი თანდათან  
კევივით გაიწელა და გაილია,  
ტკივილმა სუნები გაამძაფრა,  
ელფერები,  
წყლის წვეთი და პურის ნამცეცი  
გამოეყო ვეებერთელა წყურვილს

და სიმაძღრეს და ჩურჩულით გააბრუნა  
ორატორების აშენებული  
ხმაალაღი საშუალო.  
ამას თუ დავუმატებთ თაფლის წვეთს,  
სულ პატარა ნუგეშს,  
იმ დროს, როცა  
გოზინაყის მდღლარე ოქრო  
ჯოჯოხეთურ ბედნიერებას გვიახლოვებს,  
ჩემი მონუმენტური ზამთარი  
ისე პატარაედება და იხვეწება,  
რომ მინის ჭიქაში ჩავდებულ  
ვერცხლის კოვზი  
უფრო ზამთარია ჩემთვის,  
ვიდრე თოვლით დაფარული მთელი  
ქალაქი...  
ახალი წელი მოდის,  
ბავშვები  
ფორთოხლების კოცონებს აბტებიან...

## სიპატარავის გამომართვინა

პატარაო, — ჩივიან,  
ასე ჩიოდნენ აღრეც.  
სიმცირე დიდი ქირია, —  
ამგვარი რამეც ჰკადრეს.

ამისი მსგავსი რა და რა  
არ წამოცდებათ ახლაც;  
მე თუ მკითხავენ, პატარას  
ბევრი სიკეთე ახლავს:

მეტი აღერსი შეპფერის,  
მეტი ზრუნვა და გარჯა;  
დაუგო დასაგებელი  
ფერად-ფერადი ფარჩა;

სულ უნდა უღიმ-უცინო  
და არ ეჩვენო მწყრალი,  
და სხვაზე უწინ, უცილოდ  
უნდა მიართვა წყალიც...

აცდეს ტანჯვა და გოლგოთა,  
ყველა — მაინე და ფლიდი...  
იყოს პატარა, ოღონდაც  
საქმე აკეთოს დიდი.

იყოს პატარა, არ ვჩივი  
(კალმის წვერზე ზის რითმა! —)  
ოღონდ პატარის არჩივი  
არ მიიტაცოს დიდმა...

ღამე როა და დღე როა —  
გახლავთ სიკეთის ელჩი.  
პატარა ლერწმის ლეროა,  
ჩადგმული ჩიტის ყელში...

სათქმელი ბევრი მოგროვდა,  
მე კი ერთს ვანთებ სანთელს:  
იყოს პატარა, ოღონდაც  
დიდი ქართველი ჰყავდეს!

ჩემი ღლაბუცა არავი,  
მე ვიცი, რადაც ფასობს;  
სამშობლოს სიპატარავე  
სად გავიწილა, კაცო?!

ნადირ-ფრინგლიანს, მდელოვანს  
გაარჩევ ათას ერში;  
ერთწამა საქართველოა  
მარადისობის ხელში..

• • •

ო, რა ნაზია ეგ შენი სევდა,  
გულს მოუღობოდა თუნდაც უგულოს.  
არ მოცილო ცრემლის სევდა,  
ცოტა ხანს მაინც უნდა ვუყურო.  
მაგ წამწამების სველი წიწვნარი  
თუ დაუგლიათ ეშმაკ ჩიტუნებს? —

ვერ გადაიხზი მაინც სიმწარით,  
ტკბილი ოცნება თუ გაგიმტყუნებს...  
ვიცი, რწმენა რომ გადაიწურე  
უცბად, ვარსკვლავნი როგორც  
ქრებიან...  
შენ რომ უძღვენი ნდობა სიცრუეს,

არც ერთ სიმათლეს არ ღიხებია!..  
 მან ვერ იგუა აურზაური  
 და ვერ მოგეპცა გულდანდობილად;  
 ვინც სიყვარულში ხიფათს ვაურბის,  
 სიყვარულისთვის როდი შობილა?!  
 ო, ნუ იქნები მიუქარებო,  
 წინ არის კიდევ სულ სხვა ცხოვრება;  
 ცას მოწყვეტილი ის ვარსკვლავებიც  
 ხომ აგრძელებენ უსაზღვროებას?!  
 დაბრუნდებიან შენი ჩიტებიც,  
 ფრთით მოგიტანენ ახალ სიმღერებს,  
 მინდორიც ისევ მოიჩითება,

შენც ძველებურად ყელს მოიღერებ  
 და დღავიწყებს სხვა სურსათს...  
 უწინ რო შეგხვდა ვიღაც ზოგანო...  
 ხსოვნა როდია ლომის ბუნავი,  
 რომ ერთხელ მაინც არ გამოგავო?!  
 მე კი დავტოვებ ამ ლექსს  
 საწინდრად, —  
 დე; სულ მახსოვდეს ხვედრის სიმძიმე;  
 ერთ დროს შენს გულში როგორ  
 გაწვიმდა,  
 მერე ჩემს ლექსში — გაღიწვიმე!..

## საქართველო

მართალი გითხრათ, სასიკეთოდ არ შესახება,  
 აშლილი როა საღერღელი მაგ შენ სახელთან,

სადაც ერთმანეთს ორი სიტყვა — ქარი და რთველი  
 შეთვისებია სამუდამოდ სისხლბორცეულად  
 და იმის ფრთებზე, არა მარტო ურიცხვი მტერი,  
 საუკუნეთა ფალანგები მიმომსხვრეულან...

თვლა აღარა აქვთ ვითომ მოყვრებს — ჩხიკვის მაჰიდებს,  
 ხელიდან ხელში ბავშვივით რო გაბურთავენ...  
 და ამნაირად შეჩვეულხარ დასაბამიდან  
 ხოტბასთან ერთად ძაგებასაც გაუთავებელს...

რა საჭიროა, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დამაფიცებთ,  
 აქ ლიქნას ვხედავ, და ხიფათიც აქვე მეგულვის, —  
 ასე, ყოველ წამს, ყოველ ჭურში, ყოველ ნაბიჯზე  
 ენის წვერს რო ხარ, საყვარელო, დაკერებული...

გამოგიტყდებით, იღუმალი რადაც შიში მაქვს,  
 რომ ვახსენებენ ნამეტნავად ახლა, ხშირ-ხშირად.

## ნანა ბელქანიან

საითყენ მიხმობს საოცარი ხმა,  
 ყელს ამომსკდარი მართლა ჩქერივით!  
 იქნება კოლხი ამორძალი ხარ  
 პონტოს ლელვის უამს გადარჩენილი?!

რა ტყვიელია შეზაგებული  
 მაგ უსაშველო დიდოვ ნანაში?  
 სიცოცხლე მქონდა შეზარებული  
 და ისიც ვახდა უფრო ლამაზი.



დიდოვ ნანაო... ირმებს ახელებ,  
რად გიკვირს, კაცს რო ერუანტელს  
ჰგვირიდე?!  
ცრემლს ართავს ისეც შენი სახელი,  
ღრუბლის დაწურვა რად უნდა კიდევ?!

საშველს ოცნებით მაინც მიაგნებს,  
თუ იმ ოცნებას უდგას ვეჟაკი;  
მივენდოთ ქუჩის ციხე-სიმაგრეს  
და ასი წელი გაძლოთ ალყაში...

დიდოვ ნანაო... ირმებს ახელებ,  
არც დაუტდიან მყვირალობის ემს...

დაწუდომაზე აქვს ჩონგურს ძარღვები,  
ცეცხლის კიდებად ვინ შეგვირეცხა

ვარ ჩავარდნილი მე ამ ლადარში,  
ალბათ ამიტომ ქვეყნად მოვედო;  
ქართლი სიმღერით ბევრჯერ გადაარჩა,  
გადარჩეს მისი ერთი პოეტიც!..

მაგრამ თუ როსმე ამ ხმამ გამწირა,  
დე, პონტოს ქარმა ფერფლად  
გამფინოს...

მღერი — კოლხეთის ქალი სკვამცირა  
და მეც ვბუტბუტებ: გოლუაფიროს!..

### პარ ჩაძირული თქვენს სიყვარულში

არ ავიწყდება გულს არტანუჯი,  
არც საინგილო არ ავიწყდება,  
ამდენ სინანულს თუ გადავუტრჩი,  
აღარც იმედი გადამიწყდება...

თქვენც ხომ იწვოდით რუსთაველის  
მზით?

თქვენც ხომ დავითის სიტყვა  
მოგესმათ?

ისიც კი კმარა უკვდავებისთვის,  
საქართველო რომ გერქვათ ოდესდაც!..

მიმოგონებას ვერვის დაუშლი,  
და სისბოთაგანი, და ხორცთაგანი —  
ჩაძირული ვარ თქვენს სიყვარულში,  
ეით ბაზალეთში — ოქროს აკვანი!..

### ფარნავაზი

არმაზიც ერქვა და ფარნავაზიც,  
ოდეს მწყალობლად ამომზიანდა,  
თან მხარზე ეჭდა ბედი-გავაზი —  
კეთილი მაცნე ქართლოსიანთა.

პირველყოელისა გულითა მართლით  
მხარე ყოველი მოზღუდნა ქართლის  
და გაოხრებულ სამწყსოს უშენარს  
კვალში ჩაუდგა, დროზე უშველა.

ფრილოსაებრ ციხე-გოდოლი  
ამრავლა, ვითა ზეზე ფოთოლი.  
მიიძხრო, ვინც კი ჰყავდა მეზობლად,  
რომ თავის სოფლებს მშვიდად  
ესოფლიათ.

არმაზი იმ კერპს სახელად მისცა,  
რომელიც თავად აავო მცხეთას.  
ძალა და ნიჭი ფარნავაზისა  
ყველა ორგულს და მომზღუდურს ემცხეთა.

მოსწორდა ყველა ნარვალ-ლადონი,  
გზაც სწორი ედო სანთელს და საცმელს.  
მაგრამ იღუმალ გრძნობდა ბატონი,  
რომ უფრო დიდი ელოდა საქმე.

უტრიალებდა ერთ ფიქრს დღედაღამ,  
რასაც მეფობა მისი ედალა,  
რომ ქართლსა შინა ქართულზე ქარბად  
ბერძნულ-სპარსული სწუწვიდნენ  
შარბათს...

ენა ყოველისმძლედ რომ შეიქმს  
უძლურს,  
ახსნა არ ხამდა ამის, ფარნავაზს.  
იგი ვაზსა ჰგავს ტკბილად დაბუნძლულს,  
და მეფემ ხელი დააფარნა ვაზს!..

მისცა გზა ფართო და სარბიელი,  
ენამაც ღარი მიუშვა ნუგბარს!..

### განწყობილება

დღეს ისე მინდა დაეწერო ლექსი,  
ცხენზე შემადგოს სიტყვის ფერებამ;  
რომც იყოს იგი ნაპოვნი ლექსში,  
ჩემ ხელში მაინც იტყისფერებდა!..

დღეს ისე მინდა, თუნდ ერთი პწკარი  
ცერზე დავისვა მიმინოსავით,  
ჩამოვხსნა ზეცის შევიღივე კარი,  
ჩამომრჩეს ყველა გვირგვინოსანი!..

დღეს ისე მინდა შენთან, შურჩევე,  
აბურდულია თუმც ძაფი მორგვის...  
სიძულვილისთვის არ ვემდური ბედს,  
იგივე ბედი სიყვარულს მომგვრის!

### ნიშნის მოგაზით

როცა გაგიხსენ გული ალალი,  
რაც მაწერიანებს მართალ სტრიქონებს,  
ზღაპარიო სუყველაფერი, —  
შენ მიპასუხე და...  
ჩამიჭროლე...

რა საჭიროა დაეიდარაბა,  
დე, აგრე იყოს,  
შენ პირს შაქარი:

არწივის მართვეს გინგლი აქვს რბილი,  
თორემ, მას სისხლი აქვს ნაკლები!  
გინგლი რბილი

ოღონდაც ენას არ გაუჭირდეს,  
არ გახდეს ფერხთა უცხოთა მტვერი,  
თორემ, მახვილი რაც გინდ უჭირდეს,  
განწირულია უენოდ ერი.

მერმე განავრცო და დააფუძნა  
ქართველთა შორის ენა ქართული;  
წიგნი ქართული ქართველმა ფურცლა  
და იყო უფრო წელგამართული.

დაუდგა ენას თავის ამინდი,  
როგორც ოცნება ღამის მეხრისა...  
მეფე ფარნავაზს მართო ამითი  
გადაბდილი აქვს ვალი ქვეყნისა.

მცირე მანძილი დამრჩა ჭირხლამდე,  
ვერ შემოსძახებ მუდამ ჰერიოს;  
დღეს ისე მინდა ყველა მიყვარდეს,  
თუგინდ ყველაში მტერიც ერიოს!..

დღეს ისე მინდა შორს გაქროლება,  
მთებს შევაფხრიწო ნისლის პორფირი,  
ახალი ჭურის მოვჭრა მონეტა  
და შიგ ჩემივე ჩაგსვა პროფილი!..

მიოქმა და მოოქმა აბლა არ იყოს,  
თუ გულუბრყვილოდ ცეარსაც ვუღიმი...  
დღეს ისე მინდა ყველამ გამიგოს,  
ვითომ გაზაფხულს წასკდა ქუხილი!..

ჭირი იქა და ლბინი აქაო, —  
ასე თავდება ყველა ზღაპარი.

ზღაპარიო...

ალარ ვინაღვლებ,

თუნდ ამიტებო ბრძოლა კაპასი;  
ოღონდ, ძვირფასო, ჩვენი ამბავიც  
ისე დამთავრდეს, როგორც ზღაპარში...

პოეტსა და მთარგმნელს გიგლა სარიშვილს დიპლომის 50 წელი შეუსრულდა. ქვემოთ „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

### წამოქაზილი

შენ, ზეციერო  
    ზეძლიერო, ეგებ მოხვიდე  
და დამირწყულო ეს უდაბნო —  
    ტვინი მხურვალი...  
ცით გარდამოდი, მეუფეო,  
    გარდამომხედე,  
რამეთუ არ არს აქ — მიწაზე  
    ჩემი მკურნალოც...

• • •

ხსოვნა შემოიჩა, ვით სიმძიმელი,  
და დაღლილ სულის ნავთსაყუდარი...  
დღე იყო მშვიდი ბავშვის ძილივით  
და უცხო სიზმრით ნასათუთარი.

მაგრამ რაც იყო — ვერაფერს ვადრი,  
რაც იყო...  
    იყო...  
    ახლა შორის არი...  
და...  
    დილა იყო აკვანი — ვარდი,  
სალამო იყო კუბო — შროშანი.

## სასახლის კველ ნანგრევთან



ქართველი  
მწიგნობრები

რა ლამაზია ეს ნანგრევი... ფერშემოსილი  
ფოთოლთა სევდით შემოდგომის და ქართა ქროლვით,  
რა ბედნიერი მოწყენისთვის იყო მოცლილი  
სასახლე,

ახლა რომლის ნანგრევს დაჰყივის ქორი...

აქ მოიბოვეს ქვეყნის ყველა მოსაპოვნელი.  
დარონინებდა აქ მრავალი ქალი — ფერია...  
რა მზიარულად მშვენიერი იყო ყოველი  
და აწ ყოველი რა მწუხარედ მშვენიერია.

• • •

ხსოვნა,

ბავშვობა,

ღარიბი კერა,

ამოქსოვილი საბანზე ვარდი.

გულსუსტი ლამაზა.

ჩემს ხალათს კერავს

კედელზე დედის ძვირფასი ლანდი.

• • •

არცა ამ ღამით,

არცა იმ დღით...

არც სითამამით,

არცა სიმორცხვით...

თუ მოგიკვდები —

არა სიკვდილით,

არამედ —

მხოლოდ ცუდი სიცოცხლით.

• • •

თენდება, უნ იხვე გინთია სანთელი.

აზრები ნათრევი...

თვალეები — ნათევი.

მიდი, რას ფიქრობ, —

დაწეკ, დაიძინე!

შვილი არა გყავს? —

ლეკვი ჩაიწვინე.

ბედი არა გაქვს? —

მწარედ ჩაიციწე!

• • •

აქ იმედებს ჰქონდათ ფრთები  
ჩემი სამყოფი.  
გაზაფხული მოდიოდა ტყეების მხრიდან  
და მინდვრებზე იებს ლოკავდა.  
იესებოდნენ წითელი მზით შუადღეები  
შერევეულები შეღამების ამომშრალ თვალებს  
დატკეპნილებს ღამეების ხელისგულებით.  
და როცა მთვარე ღრუბლის კრავებს ერეკებოდა,  
ვერ მოვეუსწარი შენს მოლოდინს — ჩამომჭდარს ქვაზე,  
ვერ დავაყფევი სიყვარული სიზმრების მხრიდან.

• • •

ჩვენს სურვილებს, როგორც ნაპირებს,  
გაზაფხულები აჭრელებენ თეთრი იებით...  
ნაპირებსაც თუ ეთქმით რამე,  
წყალდიდობისას  
ერთმანეთს ხმის ვერც კი აწვდენენ.

• • •

როცა წყალზე ავ ანგელოსს ერევა რელი.  
როცა მთვარეც იმდენია,  
რამდენიც გუბე.  
და სიზმრები უკუღმართი გზებით დადიან...  
ალარ ვინმრევი,  
რომ ჩრდილებმა არ იცახცახონ.

• • •


 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ჩვენ ქარები აღარ გვარხევენ...  
 რადგან ჩვენ ჩვენს ოთხ კედელში გამოკეტილებს  
 გაზაფხულის იმედიც გვეოფნის,  
 გახსენებებმა  
 ბანი რომ არ აგვიტალახონ.

• • •

სუნთქვაშეკრულ სახურაფებზე ეცემა წვიმა.  
 ის არაფერზე არა ჰყვება,  
 არც სიყვარულზე..  
 არც ვნებაზე და არც იმაზე,  
 თუ როგორ მიჰყავთ ერთმანეთისკენ ჩვენი ხელები  
 ვიწრო ქუჩებზე გადამჯდარ ქარებს.  
 მახსოვხარ, როცა..  
 თავის სამყოფი აღარა აქვთ საგნები ჩრდილებს.

— — —

# დ ე ვ ე ა

## მთარგმნელი ნიკაპაძე

ვაშლიანი კუბელი მწერლის ადგილს კარგენტიერის შემოქმედებაში მოთხრობა „დევენა“ სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა. იგი დღემდე იპყრობს არა მარტო მკითხველთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა, არამედ ზელოვნიების სულ სხვა ზღერაში მოღვაწეთა ყურადღებას.

ეს ნაწარმოები უჩვეულოა თავისი სტრუქტურით, მხატვრული სტილით, თემოთაც. მოთხრობის პრობლემატიკა ახლაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ამ შორეულ ხანაში, როდესაც ესაზღვრება, და როგორც მაშინ, როცა ავტორი მას წერდა.

„დევენა“ ადგილს კარგენტიერმა დაიხრუა 1955 წელს ვენეზუელაში, სადაც ემიგრაციაში ცხოვრობდა (1945 წლიდან 1969 წლამდე კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მწერალი სამშობლოში დაბრუნდა). მოთხრობა კი გაცილებით უფრო ადრე, ოციაწლიანი წლებში ჩაიფიქრა. ეს ის დროა, როცა კუბაში გენერალ ხერარდო მარტინის რეჟიმული რევოლუციის შედეგად, ადგილს კარგენტიერი, სხვა პროგრესულ მწერლებთან და ზელოვნიების მოღვაწეებთან ერთად, მხარში ედგა ღრმა იატაკქვეშეთში მებრძოლ პროგრესულ ძალებს. მისი თანხმობით დაარსებული ჟურნალი, რომელშიც ლათინური ამერიკისა და ესპანეთის უდიდესი მწერლები თანაშრომლობდნენ, ამ რთულ დროს დემოკრატიული და პატრიოტული იდეების მქადაგებელ რუბრიკად იქცა.

მაგრამ პროგრესული ძალების გვერდით კუბაში მოქმედებდნენ მხალის რეჟიმული რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი სხვადასხვა ტიპის ულტრა-მემარცხენე, ანარქისტული, ნაციონალისტური და ა. შ. დაჯგუფებები, რომლებიც მოხერხებულად იყენებდნენ არქაიკო-კლასიკურ ჟღერად და ლოზუნგებს, უარს ავანტურისათვის აქრებდნენ ახალგაზრდობას, მიმართავდნენ ტერორს და დემოკრატიული და მუმანიტარული პრინციპებისათვის ბრძოლის ნაღბით ფარავდნენ პოლიტიკურ მოთამაშეთა მანიპულაციებს.

მოთხრობა „დევენის“ მთავარი გმირი ამ რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე დროის მსხვერპლია. „რევოლუციური ფრანკილიზმი“ ადგენებულ ახალგაზრდა კაცს ალბათ გულწრფელი და კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა — ყველას როდი შეუძლია დროულად გაერკვეს პოლიტიკური დემაგოგიის დაბრინებითში — და მწერალიც პირდაპირ არ ადანაშაულებს მას, თუმცა უღმობლად აწიშვლებს მის დიფორმირებულ წინაგანს საშუაროს.

„დევენის“ ლათინური ამერიკის მხატვრული პროზის ნოვატორული ნაწარმოებია. მწერლის ჩანაფიქრით, ის არის „განსაკუთრებული მუსიკალური ფორმის ძიება. მოთხრობის სიუჟეტს მარშონიულად ერწყმის ბეთოვენის შესანიშნავი სიმფონიის შესრულება, რომელსაც ნაწარმოების კითხვისას თითქმის ვისმენთ მოკმედ პირთა ამბავთან ერთად. სიმფონიის ყველადაც მსუველავს მთავარი გმირის სულიერ მდგომარეობას.

მუსიკაში ზარკვეული მკითხველი იმასაც შეამჩნევს, რომ მოთხრობის სტრუქტურა სინათის აგებულებას ეხადება. ადგილს კარგენტიერი — ავტორიტეტული მუსიკოლოგი და არქიტექტორი შესანიშნავად გაცნობიერებული ხელოვანი — ერთერთ ანტიკვიულში ამბობდა: „ბევრი მწერლის შეედომია ისაა, რომ მისი თეთრი ფურცლების საწყაროში იკეტებოდა და არ ძალუძო ნაწერის ტყვეობიდან თავის დაღწევა. ჩემი აზრით, ზელოვნიების დარგებში განსწავლულობა უადრესად სასარგებლოა მწერლისათვის. დარწმუნებული ვარ,



ბერა შერაბს არ ჰყოფნის მუსიკალური კომპოზიციის ცოდნა, თუმცა თავისი უჩვეულო  
 რაობით, მუსიკალური ფორმის ადგილი, ბერაწერით, ნაწილთა მონაცვლეობის უწყვეტ მხედველ  
 კალური ნაწარმოები ქაღალს ჰგავს ლიტერატურული თხზულებების სტრუქტურულ მხედველ  
 სებაზე დაურღწობით, „დღევანე“ შევსებულ განმეორებულად. რაღაც ასეთი, რასაც შემა-  
 ძლია ვუწოდო პაროზში მუსიკალური ფორმა — ხანდა, მგონია, რომ ხიშტობის სტრუქ-  
 ტურულ კონსტრუქციებზე დაფიქრება, ლაკირება მუსიკალურ დრამაზე (თუ კარგადია ად-  
 ბული), შეიძლება შერაბს მომავალი ლიტერატურული ნაწარმოებების სტრუქტურის გა-  
 აზრებში დაეხმაროს“.

მხატვრული პაროზის დიდოსტატის ადგილი ყარაგეტიანის ქმნილება „დღევან“ შერაბის  
 მშობლურ ენაზე ლიტერატურისა და მუსიკის გასაოცრად თანმიმდევრულ კონტრასტულ სქმნის.  
 თარგმნილი კი, მით უმეტეს შუამავალი ენიდან, რა თქმა უნდა, დღევანის შორეულ ექოდან  
 თუ აღიქმება.

Sinfonia Eroica, composta per festeggiare il  
 covenire di un grand'Uomo dedicata a Sua  
 Alterra Setenissima il Principe di Lebkowitz  
 daluigi van Beethoven, op. 55. № III della  
 sifonie...!

კარმა გაიქაბინა და კაცს თვალსა და ხელ-  
 შუა გაუტრო ამ ერთი ფრაზით აღბრუნო აღ-  
 ტყუბა და ბავშვური სიამაყე. პერის მკვიდრი  
 აფარფარებელი წითელი ფარმა ფრჩხილით  
 თმაზე შეგებო, წიგნი აუფრტყა და ადგილზე  
 დაეშვა. კაცმა კითხვას თავი აწება და სიურ-  
 ეზე ფიქრი — დიდი ყრუ, უმაქნისი სასმენი  
 ღლია — უნებლიედ თანაცვარი ბნებით აფო-  
 რაქმებელი სამყაროს აღქმას გადააქოვდა. შეს-  
 ენიებაზე კარმა გამოფენილმა მსმენელებმა  
 ტექა-ქვილის მგლონებისთანავე ვესტიბილს  
 მიამხრეს, ხორბოციბა და მუქლუფუნების  
 კერით მიამდინენ კარს და ერთი ვიუშველ-  
 ბელი შექმნეს. გარეთ კი, თითქოს ზეცა მოირ-  
 ღვო, საწერტი ღერებთან გრამონქლებელი  
 წივლი ღვარობივად მოსკვდა ტრანტირის საფეხ-  
 რებს. მგორე ზარმაც დაწერა, მაგრამ ფეხი  
 არავის მოუტეოლა ყველანი ფოიეში იდგნენ,  
 მხურვალე სახეები დედაამირის გრილი სუნთ-  
 ქვისათვის მიეშვირათ და ხარბად ისრუტა-  
 დნენ ალვის ზეგნის და სველი ბალახების  
 მკეოტებულ სტრანლს. ხეთა დამორბული  
 მგრძნები ნელინელ იშუშებდნენ უმოწყალო  
 გვალვით დათუთულ იარებს. საღამური ზვა-  
 ტისაგან სულშებნული აღმავლები ერთბა-  
 შად გახალისდნენ და მთელი არსებით შეუტ-  
 რდნენ პარკის გახტულ ბეგინებს შორის ლა-  
 თად ბატბილი კორმების ვედურ ნეტარებას.  
 ბზის ბეჭტებით მოვეირისტებულ მდღოს  
 ახალმობნელი ყნაის ოხნივარით მხატვ და  
 ყუთთანი ორთქლი ასდიოდა. „რა შესანიშნავი  
 ამინდია!“ — ზემად გადაუღამარაყა ერთმა  
 მსმენელმა შეამერთა მელიის ბეჭეში ცხვირბა-

რგულ ქალს, რომელიც საღამოს ცხვირთან  
 საჩუმელს მიპარებობოდა და, ეტყობა, მამა  
 კაცად არც კი სთვლიდა მის ზურგს უკან  
 მკდომარე აღმინს, რაყიდა ვაწაფული ხელით  
 ცქაფად შეიწორა თავისი ტრადიციის რომე-  
 ლიდაც ინტიმური ნაწილი და აინფროიც არ  
 ჩადგდია ის ამბავი, რომ კაცი ყველაფერს კა-  
 რგად ზედავდა. „მთლად გალიანი დამწვედ-  
 ველი მიმდინა!“ — ქლიერბდნენ კამელდინ-  
 რები ამ ახირებულ მოღარებზე, რომელიც სვე-  
 ტბაკლის დამთავრებამდე დაქუდებულდით იქ-  
 და ზოლში თავის ადგილზე, თუმცა უფლება  
 სქონდა, რომ ამ საათზე, საღამოს შემოწმე-  
 ბისთანავე, ქელი დებებრა და შინ წასულიყო.  
 მოღარეს უცებ მოუხდა ნაშუაში ზავდო მ-  
 ლიობხევიანი ქალი, მიგვედებებრა რომ  
 ყველაფერს კარგად ზედავდა და ამიტომ ზვე-  
 ული სიმარჯვით გაფარბა ფული მარმარლოს  
 დაფაზე. კალი მობრუნდა, პერში აქნულ  
 ბელს თვლი სკიდა — ყველა მარტი ამ ბელებს  
 ზედავდა — და, ვითომ არაფერი, თავისი  
 ტრეფარი საქციელი გაიმეორა. მისი ურტყობა  
 ამბობდა, რომ მოღარე სულაც არ არსებობდა  
 ამ მანდილისანთათვის, რომელნიც, ვითომ შე-  
 მთხვევით, მიმცდაამინე სარკის წინ შეყოვნ-  
 დებოლდნენ, მალულად შეათვლიერებდნენ თა-  
 კიანთ მორთულ-მოკაზმულობებს, კვალთოდ  
 შეითამაშებდნენ გავანია სიტყვში მოხვეულ  
 ბეჭეებს ქვეშ გამოთქმულ მზარკისარებს და  
 თავმოწმონედ ზაფხვამანებდნენ სარკილთან,  
 მერე ძვირფის ბალახტინებს მხრებლიან იღა-  
 ვებზე ჩამოიდრებდნენ და ფემფული ბეჭეები  
 უტოო წანადირვევით ეკიდათ მგრებულ თე-  
 მობებთან. კაცმა ამ სანუტყარ, მაგრამ მიუწე-  
 დომელ ცთუნებას თვალი მოსწვევბა, შერა  
 შორს გააუტრა და იქით, ამ ერთმანეთში ილუფ-  
 ხულ სხეულებს მიღმა, დაინახა შხაბუნა წვი-  
 მით გაქეპბილი კოლონები, უფრო შორს კი,  
 ბნელი პორტიკის უკან, მირადობიანი ნაგ-  
 ბობა — ერთ დროს ფიჭვებისა და კვანარო-  
 სების ტევრში ჩაძირული მდიდრული ვილა,  
 ახლა კი უბრალო შემოსავლიანი სახლი, რა-


1 გმირული სიმფონია, დოწერილი დიადი  
 აღმინის სპონის უყდავსაყოფად, ეძღვნება  
 მის ბრწყინვალეობას თავად ლიტბკოვის ლუ-  
 დვიგ ვან ბეთოვენისაგან, ოპ, 55, სიმფონია  
 № 3 (იტალი).

1 ქალუხიანი შემოწმული აივანი.

მედიც თითქმისა ფეხებში გავედო მეტის-  
 მეტად უსაბურ თინამდროვე შერობას. იქ,  
 საბურავებში შევუფულ ციკქნა სამოხლო  
 ოთახში ცხოვრობდა თეთონ და აქედან უო-  
 ველ დღე ხელავდა ნაყნობ სამყარებულს, კი-  
 დევ ერთ გეოგრაფიულ ფიგურად რომ იღან-  
 დებოდა ამსტრაქტული ნახტების რომბებს,  
 წრეხაზებსა და სამკობებლებს შორის. ამ ძველ  
 ვილამი, რომელსაც გაქვეყნო მალუსტრადე-  
 ბისა და ლინჩაყების წყალობით, ჭერ კიდევ  
 შერჩენოდა ქვემარტივი სტილის მიწიღველი  
 იერი, ახლა, ახლათ, მიკვალბულისათვის ლა-  
 მის სათვლად შეკრებულნიყვნენ, რადგან აივან-  
 ზე, სადაც სიციხისა თუ გვიანი ეპისი გამო,  
 ამ დროს, ჩვეულებრივ, კაციშვილი არ ჭიჭინე-  
 ბდა, დღეს, პირველ ქუბნისმდე, განუწყვეტ-  
 ლოვ შეეშვი ლინდები დამორიალობდნენ. კა-  
 ცი თვალებით ეალერსებოდა სიღატაკისაგან  
 დაბეჩაებულ საბლს და აფონდებოდა თავისი  
 სოფლის უმაღრევი ქოხმაგები, სადაც ჩამო-  
 ტყავებულ კედლებსა და თავმილაფარებულ  
 ზიტის გალიებს შორის დიდებულ კუბოსთან  
 მთელმარე სათალების მკრთალი შუტი კიდევ  
 უფრო ასაკოდავებდა საზიარებო ფილებისა  
 და მოტკროული ხაყანდლებს ვერვით ისე-  
 დაც საწყალობლად გამოშხარალ ღარიბულ  
 ავეჭა. ქირაირფალი ცდილობდა, თავი არ შე-  
 ერცხებინა და საყვრებიანი ლავგარდანებით  
 შეწყველ კრამიტის საბურავებში ველოფერი  
 თავისი წესითა და რიგით სრულდებოდა: და-  
 ფერილი ვერცხლი და სპილენძი, გრძელგრძე-  
 ლი კანდლები, ეპიციამ მეტისმეტად საჩინოდ  
 რომ ამუქებდნენ დირებებს შორის ჩაფენილ  
 აბლბუდს ან დარკილული ლამფების მერს  
ზით ზოისშვილთა შესახებ დღემდე შემონახუ-  
ლი უძველესი ტიპსტები...“ (იქვე).

უარესიც: „ჭვრის გამოხატულება იქ ჭვარქ-  
რობით არავის უნახავს. იგი მხოლოდ რამდენ-  
იმე სარიტუალო საგანზე ვახვდება და ეს სა-  
ლოცავები ან ქრისტიანული წარმომავლობისაა,  
ანდა ჭვარი იქ გვრს (არაუადრეს XVII საუ-  
კუნისა) გაჩნდა ქრისტიანული მღვდლის გავ-  
ლენით“ (იქვე).

ავტორს დიდი იმედი აქვს „დღემდე შემო-  
ნახული უძველესი ტიპსტებისა“, მაგრამ არც  
კი ცდილობს მოძებნოს რაიმე კრიტერიუმი

1 ეს ადგილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერა-  
ტურაში უკუღმართად არის გავებული: თით-  
ქონ ჭვაროსანი რაინდი ქართველთა მეფის  
ურწმუნოებაზე ლაპარაკობდეს (და თითქოს ეს  
მისი ურწმუნოება ქართულ საისტორიო წყარო-  
ებშიც დამტკიცდებოდეს): სინამდვილეში წე-  
რილის ავტორს მხოლოდ იმის თქმა სურს,  
რომ აღუქმადრე ვაკედონელის შვიკვისი ქაბუ-  
კი მეფე მისი სარწმუნოებისა არ იყო.



წიპისტიციური ტექსტის სიძველის დასამტყიცებლად.

ავტორის ფიქრით, ეს „დღემდე შემონახული უძველესი ტექსტები“ უფოლ საკულტო შინაარსის ლექსები უნდა იყოს. იგი გვიზიარებს ერთ დაკვირვებას, რომელსაც, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს:

„თუ დავკვირდებით ქრისტიანული ლექსიკური ელემენტების სიჭარბე უფრო საგრძნობია პროზაულ ვარიანტებში... ლექსებში ქრისტიანული ტერმინოლოგია იშვიათად გვხვდება, ეს კი იმით იხსნება, რომ ლექსი ერთგვარად კანონიზებული ტექსტია, რომელშიც ჩარება მხოლოდღეს უპირის ან ერთდება“ (გვ. 244-5).

არც იცი, რას ვუღიანებოვს „უძველეს ტექსტებში“ ჩვენი ავტორი, მაგრამ საკულტო ხასიათის არც პროზაულ, არც პოეტურ ტექსტებში ქრისტიანული ტერმინოლოგიის წყვეტობა არ შეიძლება. მოჰყავს მაგალითები:

„ხოთის კარზე შევიყარებით საშოკდასში ჭვარია“; „ჭვარ-ჭვარის დროვა ვისია? — წმინდისა გიორგისია“; „ბრძანებდა ლაშარის ჭვარი: ცახ ვივიარ ოქროს შიბითა“; „ქადაგობს გაიღარობ: ბრძანებს გუდანის ჭვარიაო“; „კობაღლას გაღმარება. ბორბალ ვაგვლის მისისას, არ წარდას კარატის ჭვარი თუშეთს ბეგარას ცხვრისას“; „ქრისტიანთ საღოცავადა გამოსახული ჭვარია, ღვთისშვილთა, ღვთისწამებულთა, ქრისტიანთ საღოცავია“; „ღვთის კარზე საკვებურადა ზღვარმან აღის ბენია, წვერზედ ბქონია მოხმობ ცხრა-კეცად შიბი გრძელია, ზედ იხმედს ანგლოზები, შვართ ებნეს ოქროს თბინია“; „სახებლს სუმელქას ეტყოდეს, ანდრეში ეგრე სწერია, ანგლოზთ ეცხადებოდა, გასოთერბიყო წვერია“; „ხეთის კარზე შვიცხარებით ანგლოზები თავია“; „ბერი იკვლიეს ჩემ უმათა ოთხრქა, ოთხურას ცხვარია, მივთვინ, ესი ჩამავტავს, კვირავ, დაწვერ ჭვარია“; „ანგვარს შეშამქილეთ წმიდის გიორგის წარია, დავკრა, ქმა აქადს მივიდეს, პირს დაიწერონ ჭვარიაო“.

თუ ამ ტექსტებს ჩვენი ავტორი გვიანდელად, მისი სიტყვით, „ქრისტიანული ეკლესიის გადღვლით“ შექმნილად გამოაცხადებს, სწორი იქნება, — ისინი, მართლაც, ქრისტიანული ხანის შემოქმედებაა, მაგრამ რაღა დარჩება მათში „წარამართული“ საკულტო პირობიდან? ხად მოიძებნება „თახწილეულიანი“ საკულტო თუ მითოლოგიური ლექსები?

მოჰყავს მოწმობები საკრალური პროზაული ტექსტებიდან (ხუცობანი, საღვებელნი):

„...პარისა, შქრისა ნოღლარს ჭვარ დაუნძინდი... ქრისტემ დაიწერასთ ჭვარი თქვენ ზღვენთად სამხაზურ...“ ქრისტე და ღმერთო, დასწერე ჭვარი ზღვენსა, სამხაზურსა...“ „ამ ხატის მლოცვათ, ქუდოსან. მანდალოსანთა, პურს მოგმიტახს... კელავ კეთილის გულით მოგყუანასთავ ხატმა...“ ქრისტეო ღმერთო, დას-

წერე ჭვარი ჭვარ-ბარძიშთა, სამოღვლესურათა...“ „დღედა შენდა, დიდო ქუდოქუდოქუდოქუდოქუნდა გიორგი ლაშარის ჭვარტე...“ „დღედა გიორგი, მგზავრო ანგლოზო ხახმატის ჭვარო“, „დღედა შენდა, ღმერთო მადლო, ქვეყნის დასდგომლო, გუდ ვაუმარტვი დიღს ხახმით გუდანის ჭვარს. შედ დანის ჭვარო, შენ წუალბოა მიეც შენს საყმოს...“

ჩვენი ავტორის „დებულებას“, რომ „თუ ხთისშვილთა წარმოშავლობის სათავეებს დავძენით, აღმოჩნდება, რომ იქ არავითარი ჭვარი არა ჩანს“, სრულიად აქარწულებს ერთი ფრაზა თამარის შატავიდან („ისტორიანი და ახმანი“). მემტავინე აქანყებულ ფხოველებზე წერს:

„ბოლო ფხოველნი ჭუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას ირემებენ“ (ქ. ცხ., II, 111).

სხვათა შორის, ეს ტევაი. ფრაზა ერთადერთი ისტორიული მოწმობაა აღმოკვეთილ საქართველოს მთავრის რელიგიური ვითარების შესახებ. ამ ფრაზიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ჭვარი ცნობიან მთაში XIII ს-ის დასაწყისში მიიწე (თუშვა ჭვარმა IV ს-ის პირველ ნახევარში ვააცხო თავის თავი ფხოველებს, რომელთა ნაწილი ეზიარა ქრისტეს რქულს).

ფრაზაში ნათქვამია ორი რამ: საშფოო კარის იდეოლოგია წარმოგვიდგენს ფხოველთა რელიგიის გარეგნულ, ობიექტურ მხარეს, რომ ისინი „ჭუარის მსახურნი არიან“. ამ ნიშნით — ჭვარის მსახურებით — ქრისტიანები უპირისპირდებიან სხვა რელიგიის აღმსარებელთ. ეს ტერმინი ცნობილია ჩვენს შატავებში:

„აჲ ხარსნი, რომელნი პირველთაგან მოაქამომდე და წაღმართ მიუკუნისამდე მტერნი არიან ჭუარის მსახურთანი...“ (ქ. ცხ., I, გვ. 191). „...აჲ დაღვათო იდეენებით ჩუენ თანა მსახურებისათვის ჭუარის...“ (ქვე, გვ. 289). ჭვარის ნიშანი სრულიად უტყობი რომ უფილიყო ფხოველთა ქვეყანაში, როგორც ჩვენს ავტორს სურს წარმოადგინოს, შატავებში არ დაიწერებოდა ზემოთ მოყვანილი სიტყვები.

მეორე მხრივ, ფრაზაში გამოხატულია ფხოველთა თვითრეგნება, სახელდობრ, რომ ისინი თავიანთ თავს ქრისტიანებად თვლიან (ქრისტიანობას ირემებენ). მაგრამ ფრაზაში ისიც შეინიშნება, რომ მის დაწერას არ მიაჩნია ისინი ნამდვილ ქრისტიანებად, როგორც უნდა იყოს, მაგალითისთვის, სვეტიცხოველის მრევლი, სხვათა შორის, ამაკარი სულისკვეთებით არის დახასიათებული ვახუშტის მიერ დავალების რელიგიური მდგომარეობა:

„...ამდედ აწინდელთ თამთა დუაღნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარზვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელთა პატივსა უყოფენ და თაყვან-სცემენ და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღვდელნი და უნათლისღებონი არიან, თინიერ რომელნი



ქართლსა და რაჭის მონათვლიანი“ (ქ. ცხ., IV, გვ. 188).

უხოველიც, დეაღლიც თვისი შეგნებებით ქრისტიანები არიან და უპირისპირდებიან „ურჯულთს“, თუმცა რაღაც მიზეზით საეკლესიო ინსტიტუტებს და იერარქიულ წყობილებას („არა უყოს მღვდელნი“) მოკლებულნი არიან. ამ ნაკლის მიზეზი დაკონურად არის აღნიშნული 1770 წლის აღწერის ტექსტში:

„არს ქვესურეთი კერძო ქრისტიანე, ჩვენის მოუცვლელით და ერთ ვითარებით სწულზედ წაშქადარი“ („მაცნე“, ისტორიის... ხერი, 1973, № 1 გვ. 163).

ამ ცნობებს, ვფიქრობ, სჭირდება გააზრება და დეტალური განიხილა ისტორიულ-კულტურულ ასპექტში, მაგრამ ამჟამად წერათლის შეზღუდული ფარგლები ამის საშუალებას არ გვაძლევს.

ჩვენი ავტორი დარწმუნებით წერს: „ჭრის უძველესი გამოსახულება იქ ჭერჭერობით არიან უნახავს“ (გვ. 244), მაგრამ რას ეფუძნება ასეთი კატეგორიული განცხადება, ვაუგებარია. თუმცა ავტორი მაინც ავტოტოებს რაღაც იმედს, როცა დაურთავს სიტყვას — „ჭერჭერობით“, მაშასადამე, შესაძლებელია აღმოჩნდეს „იქ“ ჭრის უძველესი გამოსახულება. იქნებ აღმოჩენილია კიდევ? რას გულისხმობს ავტორი „უძველესში“? დააკმაყოფილებს თუ არა მას VIII-IX საუკუნეები, რომელთაც მიეკუთვნება შენაქოს (თუშეთი) ქრისტიანული სამარხების გულსაკიდი ჭრები უამრავი რაოდენობით (გაობრების მასალები კარგა ხანა ცნობილია საზოგადოებისთვის). უნდა ვიფიქროს, რომ ეს ჭრები (გულსაკიდი ჭრები) შემთხვევით არ მოხვედრებოდა სამარხებში და არც, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, ძალით ჩაუტანებიათ ისინი მიცალაბელებისთვის. მართალია, ავტორის თვალში ეს საუკუნეები შეიძლება ნაკლებ ავტორიტეტული იყოს, რადგან მას „თასწლეულებში“ თვალსაწიერი უფრო აზიადებს, მაგრამ ვერ მივცემ იმის იმედს, რომ სადმე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება ქრისტიანობამდელი გულსაკიდი ჭრები.

თუ ჭარის ბედით დაინტერესდება ჩვენი ავტორი, შეიძლება დავიმოწმო მდიდარი არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის არსებობა ცნობილია ფართე საზოგადოებისათვის. გაობრების შედეგად აღმოჩენილია ჩაჩნეთ-ინგუშეთის და დაღესტნის (განსაკუთრებით, ზუნაძის) ტერიტორიაზე ქრისტიანული საკულტო შენობები, საკულტო ნიშნები უამრავი რაოდენობით, როგორც ადრეული და ადრეული, ისე მოგვიანო ხანისა. ექსპედიციის ბელმძღვანელი არქეოლოგი ვივი დამაშაიძე ამცნობს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს: „არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ზუნაძის განაპირას, კანონის თავზე, მოაკვლია


და გაიხარა შეტად საკულტო ნიშნების მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენა, რომელიც პირველად აღმოჩენილია ქვემო ქართლში იმერეთის ვაჭრობის შუა საუკუნეთა ავარეთის მოსახლეობის გაქრისტიანების შესახებ. ზუნაძის შემოგარენის ქრისტიანული სამაროვნებიდანვე მომდინარეობს არქაული ფორმის ლითონის გულსაკიდი ჭრები, რომელთა შორის ერთ-ერთი შესტად იმერეთის თუშეთის ზოფელ შენაქოში აღმოჩენილ გულსაკიდს“ („კომუნისტი“, 28. V. 1988). იქვე: „აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება კრამტიგადსურული ქრისტიანული ეკლესია-ძაბრების ნაშთები“. იქვე: „ქრისტიანული ნაგებობები ზუნაძისა და მის შემოგარენში (დათუნას ეკლესია, აქაროს, შინსა და გავანიაში დადასტურებული და სხვა ნაგებობები) საფუძველს ქმნის ვაჭრობის შუაფეხდადურ ხანაში ზუნაძის პლატოსა და მის ფერდზე შეფენილ სოფლებში ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა მთელი სისტემის არსებობა“.

მთელი ეს მასალა, რომლის შესწავლა მიმდინარეობს, არქეოლოგს აძლევს საფუძველს უარყოს ჩვენი გაქრისტიანებული თვალსაზრისი, თითქოს „ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგია „უცხო“, ფიქვავადგმული და „ზედაირული“ მოკლებული ყოფილიყოს, ღრმად არ შეხებოდეს იმერეთის კავსილითა მსოფლიმდეულობას“ („კომუნისტი“, 28. V. 1988).

ამავე მონაცემებიდან ჩანს, რომ ქრისტიანული კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან არის შეტანილი (მას ქართული წარწერები და კიდევ სხვა რელიგიები მოწმობს). ნუთუ ამის შემდეგ კიდევ შეიძლება ლაპარაკი, რომ ჭვარი (და, რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც ჭვარის კულტურასთან და იგივე რელიგიასთან არის დაკავშირებული) ჩვენს შოაში მხოლოდ XVII საუკუნის შემდეგ ჩნდება? სამწუხაროდ (რატომ მიხდა ასე, ვაუგებარია), ჩვენს შოაში არ ჩატარებულა ისეთი ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა, როგორც ჩატარდა ჩრდილო კავკასიაში. ყინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბოლო ხანებში გამოავლინა ნაშთები უამრავი ქრისტიანული წარმოშობის ძეგლისა, თითქმის ყველა თემში დადასტურდა ეს კულტურა, არა გვიანდელი ხანისა, არამედ სწორედ ადრეული შუახაუკუნეების დროინდელი (VIII-IX სს). მათი შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება.

ჩვენი ავტორი აღიარებს, რომ მთის ხალხები ცნობდნენ ქრისტიანობას, თითქოს ეს საქმარისი იყოს. ზერადე, ზედაირულ დამოკიდებულებას პრობლემისადმი ჩვენი ავტორი აშკარად ანაქრონისტულ შეხედულებამდე მიყვას:

„მთის ხალხები ქრისტიანობას აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ, როგორც თავიანთი ერთიანი სამშობლოს რელიგიის, იგი ერთგული



ერთიანობის მიზნობრივ მიმართულებას და უფრო იდეოლოგია იყო, ვიდრე სარწმუნოება. ბუნებრივად, მთის ტომების დამოკიდებულებაც ქრისტიანობისადმი უფრო შეფერხდა იყო ამ რელიგიის მნიშვნელობისა, მისი ეროვნული როლისა, ვიდრე ბრმა რწმენა და ექვემდებარება მის კუმშარიტებაში“ (გვ. 249-250).

ასეთი მიდგომა წარსული დროის სულიერი ფაქტების მიმართ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გულუბრყვილია. ჩვენი ავტორი ერთმანეთისაგან თიშავს იდეოლოგიას, რელიგიას და ეროვნულ იდეას, ტრადიციულ ხანაში ერთ მდლიანობად წარმოდგენილი. ეს გათიშვა დღევანდელი ადამიანის ცნობიერების ფაქტია, ადამიანისა, რომელიც თუმცა არ იზიარებს ქრისტიანულ დოგმებს, საეკლესიო იდეოლოგიას, მაგრამ აღიარებს მის ობიექტურ მნიშვნელობას ერის ისტორიაში. დღეს ეს გათიშვა თითქოს ბუნებრივია, მაგრამ ჩვენი ერის ისტორია ქრისტიანობის მიღების დროიდან ისე წარმოართა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ორგანულად შეეზარდა ეროვნულობას; ბრძოლა ჩვეულისათვის, რჯულის შეხანარუნებლად ნაშნავდა ბრძოლას ეროვნების — ქართველობის ვადანაზღვრად. ამას მოწმობს მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება, მთელი ჩვენი შწერლობა; ამჟამა ჩვენი ეროვნული შავიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვანი მოტივია. ვაიხსენოთ თუნდაც „ხანთელის ცხოვრება“, სადაც ქრისტიანული აღმშენებლობა ეროვნულ აღმობრუნებასთან არის გაოკიდებული, რომლის შედეგა სახელგანთქმულ ფორმულად ჩამოაქვია — გაორგი მერჩულემ:

„ქართლად ფრიალი ქუეყანა აღიარებების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ღაცკავა ყოველი აღსარულების...“

ჩვენი ავტორი კი მხაყედურობს: „წ. კეკელიძე ძალზე გაიტაცა „ქრისტიანიზმის“ იდეამ და მხედველობიდან გამოირჩა საკითხის ეროვნული ასპექტი“ (გვ. 255). ვის გამოირჩა? მც გამოირჩა თუ ამ სიტყვების ავტორს, რომელიც განზრახ ივიწყებს, რომ ქრისტიანობას საქართველოში ადრიადავად დასვა „ეროვნული ასპექტი“. ეს იყო ქართველთა რჯული, არათუ ქართველთა, როგორც ერის, არამედ ადამიანისა საერთოდ (ვაიხსენოთ მოწოდება ადამიანებისადმი: „ქრისტიანი არა ხარ?“). ეს დღეს სკოლის მოწოდება იყო.

არაფრისმოქმედი „მთის ხალხები ქრისტიანობას იზიარებდნენ და პატრიარხის სცემდნენ“ — „პატრიარხის ცემა“ არ არის ის სიტყვა, რომლითაც შეიძლება გამოიხატოს ტრადიციული ხალხის დამოკიდებულება სარწმუნეობისადმი. მთიან, თუ ის ხლიდარობას გრძობდა „ერთიანი სამშობლოსთან“, მისი რელიგიური შეფერხება არავითარ შემთხვევაში გაორებული არ იქნებოდა — თავის საკუთარ რჯულად (რასაც

ჩვენი ავტორი დღისთვისაცა წარმართულ რწმენას უწოდებს) და „ერთიანი სამშობლოს რელიგიად“ ანუ ქრისტიანობად, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ერთიანობის შეფერხება წარბოცილი იქნებოდა. მაგრამ კუმშარიტება ის არის, რომ ფშავი, ხევსურთ თუ თუშა, თავისი თვითშეგნებით, როგორც ზემოთ ითქვა, ქრისტიანი იყო და უფრო მეტიც, თავის თავს ბარის ქართველზე უფრო ეროვნულ და კუმშარიტ ქრისტიანად თვლიდა. ვანა მთის საყმობთა ქრისტიანული თვითშეგნების გამოხატეული არ არის სიტყვები, რომლებითაც იწყება მათი „ხტულობა“?

„დღიება ღმერთსა, შადლი ღმერთსა, დღიება დღეს დღესინდელსა, რჯულ ქრისტიანთასა...“  
 დოგმატურია და რეალურა სიმამველილსაგან შორს არის ჩვენი ავტორის შემდეგი მოსაზრება:

„დაუწვევლია, რომ მთაში ქრისტიანობას ოდესმე შტკიცედ მოგვიდა ფეხი, ქრისტიანობა, თავისი სოციალური, კლასობრივი არსით მიუღებელი და გაუგებარი იყო თავისუფალი მოთვლებისათვის“ (გვ. 249).

ჩვენი ავტორის ფიქრით, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მონახლებმა თემური წყობილების ფორმაციაში იმყოფებოდა უანასენულ ხანაში, XIX ს.შიც კი და „ქრისტიანობა“ მისთვის გაუგებარი უნდა ყოფილიყო, რაკ იგი, როგორც ფიქრობენ, ფეოდალიზმის იდეოლოგიაა. ასეთი თვალსაზრისი აღიარებს უზარმაზარ ხარვეზს საზოგადოებრივ განვითარებაში საქართველოს ბარსა და მთის შორის. ეს თვალსაზრისი დღეს არ არის გაზიარებული ისე საყოველთაოდ, როგორც ადრე იყო. არსებობდა კი ისტორიულად — ჩვენი წარსულის რომელიმე მომენტში (თუნდაც წარმართობის ხანაში) „თავისუფალი მოთვლი“? მთიელი იყო. ეს იყის ჩვენმა ავტორმა, უმა თავისი ქვარისა და ემსახურებოდა, ეუმობოდა მას; ის ვაცილებით მაგრად იყო დამშული თავის ქვარზე, ვიდრე ბარის საქართველოს მცხოვრები თავის ხლოცავზე. ამაოდ ფიქრობს ჩვენი ავტორი, რომ „მთაში უნებია არ იყო შეზღუდული“ რაიმე „დოგმატი“ (წარმართულ ხანაში წარმართულით, ქრისტიანულ ხანაში — ქრისტიანულით). უმათა, მოყმობთა, ერთიანობა — საყმ საყმობებთა არა მხოლოდ ქვარისა, არამედ მეფისაც, რომელიც მითოსურ ასპექტში ქვართან არის ვაცივებული. როცა ერთ ხევსურთად ღმერთში მეფე ერეკლე მიმართავს ხევსურთ

„მოიველეთ, ჩემო ხევსურთო, ენენი ემანი ხართ ჩემნა“.

ეს რეალური დამოკიდებულებას გამოხატავდა, ობიექტური ვითარების ანარკელი, არამედნადაც ამ სიტყვებს ამბობენ თავად ხევსურნი, „თავისუფალი“, რომელთაც სრულიად გარკვეული ვალდებულება აქვთ მეფის, რო-

გორც თავიანთი პატრონის წინაშე, — ეს ფაქტი მათ მიერ შექმნილ პოეზიაშია გამოხატული და, მანამდევე, მათი უოფის ფაქტია, როგორც ისტორიულ სახეობებშიც არის დადასტურებული. ბაგრატიონი, როგორც ქვარის მოძმე, ამ ქვართან ერთად საუშოს ხატონად („ხატონს“ აქ „პატრონის“ მნიშვნელობა აქვს) ითვლებოდა. მაგ, იმამ ურული-ხანი, გამაჰმადიანებულ მღვდელს, როგორც „იუსტინ-დავითან-სოლომონიანს“, ასე გამოთქვამს ამ ურთიერთობას: „ჩვენის ძმის ლაშარის ქვარის უმათ და ჩვენს უმათ ერთობით ფშაველთ...“ ფშავისა და ბევსურეთის საემოებში სამეფო საემოებში (დომენიცი) იყო ისტორიულად, მეფის ბელა, ვითარცა ქვარის ბელა, იღო მათზე, რაც სახეობით ერთნაშობა ფეოდალური ურთიერთობის პრინციპს. მოკლედ ვიტყვი: საუშო თავისი შუაგულური საღოცავით ფეოდალიზმის ფარგლებშია მოქცეული ის, როგორც ერთი მთლიანობა, ფეოდალურა სისტემის ორგანული ნაწილია, ისევე როგორც ქრისტიანული ორდენი, როგორც ბელისანთა აპქარი თავისა წმიდანით, დროშებით, რიტუალებით, დღესასწაულებით.

ჩვენს ავტორს უყვირს, „როგორ მოხდა, რომ ასევეტი ქრისტიანი წმინდანები „ცის კაცავებში“ სახეობები ბედის ბედაურზე“ ამხედრებულ გოლიათებზე მოგვეკვირნენ?“ (გვ. 214).

ჩა არის აქ არაქრისტიანული ან ქრისტიანობის საწინააღმდეგო ნუთუ მას ჰგონია, რომ რაკი შეომარი ბედაურზე ამხედრდება, უსათუოდ „შარშართად“ გაილაქქნება? ნუთუ მას არ უნახავს ქვარშობისან მხედართა — გვიღვამებობრელ წმიდა გიორგისა თუ წმიდა თედორეს ხატები? ჩა დაბარკოლებს ხალხის ფანტაზიას, რომ ისინი „ცის კაცავებში სახეობებ ბედის ბედაურზე“ ამხედრებულ გოლიათად დასახოს? ჩა განსაკუთრებული „წარმართული ელფერი“ ღვთისშვილთა ებითიტებში — „გმირი“, „ლაი“, „ლაზტიანი“ და სხვ? ნებისმიერ ხატზე „ქრისტეს“ მხედრებს“ და „ზეცისა მხედრობათა მთავარანგელოზო“ ბელთ უპურიათ ქვარსახიანი წაიები, მახვილები და ფარები. „ძლევაშოსილ და საკიარველმოქმედ“ წმიდა გიორგის მიმართავენ: „ხეჯანს მხედარო ქრისტესსა...“ ანისი მაცხოვრის ხატს უბოხობენ: „ლომებარ გუგეფანს მტერნი ჩუნენი და ვუციანან, არამედ შენ, ხატო ს ა შ ი ნ ე ლ ო, მკლავითა შენითა შემუსრენ, რომელ ცნან უყოველთა, ვითარმუდ შენ ზარ ძალი ჩ უ ნისი და ს ი მ ტ კ ი ც ე ჩუენისი“ („გალობანი ან-ნისხატისანი“). აღდგომის კონდაეში ნათქვამია: „...ქოქობეთისა იგი ძალი დაარღვიე და აღხდევ ვითარცა მძღვე, ქრისტელ ღმერთო...“


ქრისტიანობის ისტორიაში უამრავი ფაქტი მოწმობს, რომ მისთვის უცხო არ იყო საგმირო იდეალი; უფრო მეტიც, დაარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქრისტიანობის ხანაში (ამას კარგად მოწმობს ქართველი ხა-

ლხის წარსული) გაძლიერდა მათი ისტორიკურული ხანისა სარწმუნოებისთვის და ერთთვის. ქრისტიანობის გმირულმა სტრემილმა, მხალი საგმირო ეპოსი და მითოზის სტრემილმა შეუძლებელი ახალი ძალით აღორძინდა როგორც დასავლეთში, ისე ბიზანტიურ სამყაროში, ცხადია, ჩვენშიც.

საკვირველია, მაგრამ ჩვენი ავტორი ქრისტიანულ კულტურაში ისეთ ფაქტებსაც კი უარყოფს, რომელთა არსებობაში დაარწმუნება ვიწუაღურადაც შეიძლება. ასეთ ნიშილიზტებზეა ნათქვამი: „ბედვით მხედვადენ და არა იბილონ“ (ღვ. 8, 10). ავტორი წერს შავით თეთრზე:

„ქრისტიანული ეკლესიის სამსახური ბოიშვილთა სამსახურთან შედარებით ძალზე მარტივად გამოიყურება... წარმოდგენილია, რომ ეკლესიის აფთი და იოლი სამსახურიდან გვიან შეუასაკურეებში ხალხი წარმართული კულტის ურთულეს სახეებზე გადასულიყო...“ (გვ. 218, 9).

ქრისტიანულ (ბიზანტიური ტიპის) ღვთისმსახურებაზე ამ სიტყვების ავტორს რომ წარმოადგენს არა აქვს, არც უხილავს და არც მის ტექსტებს (წმ. ბასილიუსი და წმ. იოანე ოქროპარის რედაქციებში) იცნობს, ეს აშკარაა, როგორც მოხდა, რომ აღმაიანს „მარტიად“, „იოლად“ და „იოფად“ მოიკრევა ღვთისმსახურება, რომელსაც რამდენიმე საათის განმავლობაში წარმართავენ ბრწყინვალეებით შემოსილი მღვდელმსახურნი, შეიცავს მკაცრი თანმიმდევრებით წარმოსთქმულ საერთო და საიდუმლო ლოცვებს, რამდენიმეჯერ განმეორებულ დღესადა მცირე კვერცხებს, საკითხავებს და სავალობლებს, სიმბოლურ ქმედებებს, რომელთა აზრით მარტივი გასაგებია უბრალო ხალხისათვის აქ არის „მწუბრი“, „ცისკარი“, საიდუმლო რიტუალები (ნაილიონა, გვირგვინი“ კურსიფვა, წყის აგება...) დიდი დღესასწაულები (აღდგომა, შობა...) და სატარო დღესასწაულები და ა. შ. მართლმადიდებლურ ტაძრებში აღსრულებული ლიტურგია, რომელიც აოცებდა თავისი დიდებულებით დასავლეთის სამყაროს, „იოლად“ და „იოფად“ აქვს შეფასებული ჩვენს ავტორს. სამაგიეროდ „ურთულეს სამსახურად“ ეჩვენება მას მის მიერ „წარმართულ კულტურად“ მონათლული მთიელთა ქვარსახატების კულტმსახურება, რომელსაც არ შეიძლება რამე საერთო ჰქონდეს (ეს იქნებოდა ვაუგონარი ანაქრონიზმი) ორი-ათასი წლის წინანდელ წარმართობასთან; სინამდვილეში რომ ის ქრისტიანული ლიტურგიის გამარტივებული ხალხური ვარიანტია, არ არის ძნელი დასანახი: ამას მოწმობს თავად ტერმინოლოგია (გრამისწირვა, სტრუქტურა, ხასუფეველი, ტრაპეზი) და ზოგიერთი რიტუალური ქმედება, რომელიც ადრექრისტიანულ წესჩვეულებას უკავშირდება (მაგ., მლოცვა-



ლთაგან შემოწარული ქალების გახერხა ხუცის მიერ).

ჩვენს ავტორს დიდი იმედი აქვს სადღესასწაულო კალენდრის სირთულისა მისი წარმართული ხასიათის არგუმენტად. შეიძლება ეს კალენდარი მართლაც რთული იყოს, მაგრამ იგი პირწმინდად საეკლესიო წარმოშობისაა. ჭვარხათა დღეობების კალენდარი, რომელიც დღესაც მოქმედებს, ქრისტიანულ ეორტალოვურ წილწაღწევა ატეხული და, ცხადია, წარმართულ ხანაში ვერ იარსებებდა. თუ ეს კალენდარი წარმართული წარმოშობისაა, რატომ იწყება იგი დეკემბერში, ქრისტიანობის თვეში (დღესასწაულსაც ეწოდება „ქრისტე“), და არა აგვისტოში ან მარტოში, როგორც ქრისტიანობამდელ ხანაში? გარდა დღესასწაულთ სახელწოდებებისა, რომელთა შორის ვერ დავადასტურებთ ვერცერთ წარმართულ სახელს (ქრისტე, „მარხვაშია“, ახსება, ამაღლება სავერობა, ათენგენა ანუ ვარდობა, პეტრე-პავლე, მარიაობა, ენკენია, გორგობა...), თავად დღესასწაულთა ურთიერთგანსაზღვრულობა ამ ხელს მათ ქრისტიანულ წარმოშობას. მაგალითისთვის, როგორ უნდა დაეკვირებოდა ერთმანეთს წარმართულ ხანაში „ვარდობა“ და „ათენგენა“? ხევესურული გადმოცემა (სრულობის ამის ანდრეწი) ათენგენა და ვარდობა ერთია. ხოლო ერთ-ერთ „მრავალთავეში“ ვკითხულობთ: „დღესა ვარდობასა წამებია ათენგენა მღვდელ-მოდურისა“ (ქ. კველიძე. ტიპოები I, 128). „ვარდობა“ რომ მხოლოდ ქართული სინამდვილის ფაქტი არ არის, ამას მოწმობს სიმონის „ვარდობა“, რომელიც ქ. კველიძის ცნობით ათონიკენე მოწმობს დღესასწაული იყო აღრეკრისტიანულ ხანაში ვიდრე ის ფერისცვალობის დაუკვირდებოდა (ტიპოები I, 120). ექვია არ არის, რომ ხევესურული (წაწილობრივ ფსუორი) ვარდობა ათენგენა საერთო ქრისტიანული ეორტალოვური წილადი (ალბათ სირიული ტრადიციის გზით) იღებს დასაბამს და სრულიად წარმოუდგენელია მისი ადგილობრივი წარმართული წარმოშობა.

ქრისტიანულ საეკლესიო კალენდარში ერთმანეთთან შვიდრო კავშირშია პეტრე-პავლობა და ვარდობა (ცხადია, ათენგენობაც). ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „თთუესა ივნისსა კოტხენება წმიდათა მოკიქულთა პეტრესი და პავლესი შრომის წინა (გულისხმება მათი წამება — ზ. კ.) უწინარეს ჰკისა დღესა ვარდობისა“ (ტიპოები I, 180). ექვთიმე ათონელის ცნობითაც, პეტრე-პავლობას „ქართველნი ვარდობად უწოდებენ“ (იქვე). ეს ცნობა ქრისტიანული დოკუმენტოდან იმით არის ჩვენთვის საგულისხმოდ, რომ ფსუაში ათენგენას პერსონდის დღესასწაულები განსაზღვრულია სწორედ პეტრე-პავლობის დღით. ფსუვის ჭვართა დღე-

ობები პეტრე-პავლობის მომდევნო კვირადღისა იწყება; პეტრე-პავლობა ფსუაში რაღაც დღეც მოკიდებულია დღეობების ქრონოლოგიის (გოლაურთა), ღამარში, თამარ-ღელეში, იახანარში, უძილურთაში და ა. შ. წყაროსთაუღმაღე, სადაც უკვლელდე იკვლის საკლდე, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა, როცა ჭვართა არ იღებს სისხლიან შეხაწირავს (ამ სამარხეო დღეთა არსებობა წარმართულ ეპოქაში და საზოგადოებაში გამოირცხვლია). აქედან აშკარად ჩანს, რომ თუ პეტრე-პავლობის დღე დაიკვირებოდა საუშის ხსოვნაში (ანუ ეს დღე როგორც დღესასწაული, არ იარსებებდა), ჩაიშლებოდა მთელს ფსუვის ხევეში. მის უკვალ თემში, უკვლავ რიცხვმრავალი და კოპულარული დღესასწაული.

ჩვენი ავტორი ფიქრობს (და ეს აზრი მეტად კოპულარულია ჩვენს „სამეცნიერო და ფართო წრეებში“, რომ წარმართობა მთაში პირველადია და მის შემდეგომ დაემუწო ქრისტიანობა. მაგრამ უკვლავთი იმას მოწმობს, რომ სწორედ ქრისტიანობა პირველადი და „წარმართობად“ მიჩნეული ფაქტები ქრისტიანობის თანდათანობითი „მაგანიზაციის“ შედეგია, როცა ქრისტიანული ეკლესიის საკურთხეველის ქვა გამოქვნიებულია კოპალას წიხად, განა ეს არ მოწმობს კოპალას კულტის ქრისტიანულ სუბსტრატს? ეს ეკლესია, საიდანაც გადმოვიარდა „კოპალას ქვა“, დღესაც დგას მაღალ შორცეზე, რომელიც დაემუწობს კოპალას წიხს; დათარიღებულია იგი VIII-IX სს. მიწნათ (იხ. ვინკლარის ექსპედიცია, შორეუ სამეცნიერო სენსის მასალები, თბ., 1981, გვ. 76). ვინკლარის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კუბიკას შვერვალზე (მალარსკარის პირდაპირ) მიაკვლია დაქცეული ეკლესიის კვარტებს და მონოლითის ტრაპეზის ქვას. კუბიკის მთის ძველის მგავლობზე — ვკითხულობთ ანგარიშში, — ჩვენ შევეძლოა დავინახოთ ისიც, თუ როგორ გამოიყენეს დაქცეული ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი და მის ადგილზე გვიანდელ ხანაში როგორ გაშართეს ხატ-სალოცავი“ (იქვე, გვ. 76). რომელია აქ სუბსტრატა და რომელია მეორეული წარმოქმნი?

განა სამართლიანია ჩვენი ავტორის ეს თამაში განმხადება — „ფსუა-ხევესურებს ერთი წესიერი ეკლესიაც კი არ აუგიათ ქრისტეს სახელზე“? (გვ. 248), ან კატეგორიული, თვითდარწმუნებული კოლოთ ნათქვამი: „დაუშვებელია, რომ მთაში ქრისტიანობას იღესმე მტკიცედ მოეკადა ფეხი“? ნოუო სერიოზულად ფიქრობს ჩვენი ავტორი, რომ მის შეუძლია განსაზღვროს, რომელი ფაქტი ან მოვლენაა დაუშვებელი თუ დასაშვები ჩვენს ისტორიაში? ასეთი კატეგორიულობით მე ჭარ არ გამოიბიქვამს ჩემი თვალსაზრისი. მე ვიკვლიე ხალხურ ქრისტიანულ კულტურას, რომელიც რეალურად არსებობს შემოქმედების უკვლავ

სფეროში,\* და კრიტიკაშიც არის ქართველობის ეთნიკურების, რომელიც არ არის ერთგვარი აქტი, არამედ წარმოადგენს ხანგრძლივ პროცესს, რაც, შესაძლოა, დღესაც არ იყოს დასრულებული. არ მიმართა მართებულად ამ პროცესიდან მთიანეთის (დასავლეთის თუ აღმოსავლეთის) საზოგადოებების გამოთქვა. იმის მიზეზად ვხედავ, — თვალს არ ვხუტავ და არც „ჩარჩობის ვაჭრობა“, — თუ რატომ ვერ მოვიდა მთის საზოგადოებებ-

\* ჩვენს მკვლევარებში ეს მხარე კულტურისა სრულიად უგულვებელყოფილია. კანონიკურიდან გადახრილი ზოგჯერ ამოკიდებული წყაროებიდან შთაგონებული კოცხალი ხალხური შემოქმედების ძეგლები წინაქრისტიანულ გადმონამოებად არის მიჩნეული, აი, რას წერს აკად. ვ. ბერიძე: „რა ეუფოთ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში წინაქრისტიანულ რწმენათი უამრავ გადმონამოს, რომლებიც თვით XVII საუკუნეშიც კი იჩენს თავს“ („მნათობი“, 1986, № 7). საკითხის ამგვარად დასმა, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემის გაიოლებაა.

ში ერთხელ დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ მტკიცედ ფეხი, უფრო სწორედ მტკიცე ფეხი დასვა საზე. ეს უვილაფერი უვილაფერი მტკიცე მოკალიბებული სტატიები, რომლებიც განაქიქა ჩვენმა ავტორმა, და ნაწილობრივ წიგნშიც („ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა ისტორია“, 1985), რომელსაც გვერდს უღლის თავის კრებულში, თუმცა იქაც ბევრ განსაკუთრებულ „აქვიატებულ იდეას“ იპოვნოდა. სამაგიეროდ, ავტორი ბრალს მდებს მშობლიური წარსულის ბელუოფში აი, ამ სიტყვებით, რომლებიც განსხვავებული შრიტით არის აწყობილი მისი კრიტიკული სტატიის საფურცელ ვარიანტში („ციკლი“, 1985, № 1, გვ. 120): „ეს უვილაფერი ჩენი ხალხის წარსულია, მისი ისტორიული ფესვებია და რომელდაც აქვიატებული იდეის სამსხვერპლოდ მისი მითანის უფლება არავის არა აქვს“.

ეს ჩინებით ხვსე სიტყვები რომ უფრო ავტორიტეტული ზაგიდან ისმოდეს, ხომ სრულიად დაკვარებოდა აღამიანს მშობლიური ქვეყნის წარსულზე ფიქრის ხალხი.

## დინარ დედოფლის ნაშთის კვლევა

ამიერკავკასიაში მართლმადიდებლური (ქალკედონური) სარწმუნოების ვაერცელებიხა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურების გამო, ჰერეთის დედოფლის დინარის სახელი თავიდანვე ლეგენდებით შეიმოსა და თვით ძველი რუსული მწერლობის (XV-XVI სს) მხატვრული გააზრების საგნადაც იქცა. ამიტომ უოველი ახალი ცნობა X საუკუნის ამ ქართველი მოღვაწის შესახებ, ბუნებრივია, სამეცნიერო წიგნებისა და ფართო საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს. ამჟერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ისტორიული ჰერეთის მეზობლად — სივნიეთში სომეხი არქეოლოგების მიერ მოპოვებულმა საინტერესო მასალამ, სადაც, სხვათა შორის, დინარის სახელიც ფიგურირებს.

1970 წელს, ისტორიული სივნიეთის ტერიტორიაზე (სომხეთის სსრ) არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას, ვაჰანავანქის საზონასტრო კომპლექსში (მდებარეობს ქ. ყუფანის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 8 კმ დაშორებით) გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესიის სამხრეთ შესასვლელთან გამოვლინდა ოთხი, დაახლოებით თანაბარი ზომის, საფლავის ქვა, რომლებზეც წარწერები ამოკვეთილია სომხური ასომთავრულით, ე. წ. „ურკათაგირით“. ერთერთ მათგანზე აკეთებმა სახელი იქსისუ დინარ (18, გვ. 222, 223).

ანგარიში ექსპედიციის მუშაობის შესახებ დაიბეჭდა 1972 წელს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური ცენტრის მისი პირველ ნომერში. წერილის ავტორი გ. მ. გრიგორიანი იქვე გვთავაზობს თავის თვალსაზრისს წარწერაში მოხსენიებული დინარის ვინაობისა და სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში მისი დასაფლავების გარემოებათა შესახებ. სომეხ მკვლევარს ეჭვი არ ეპარება, რომ წარწერაში მოხსენიებული პირი უნდა იყოს ქართული წყაროებისათვის კარგად ცნობილი ჰერეთის დედო-

ფალი დინარი. გ. გრიგორიანის არგუმენტაცია ემუარება ორ მონაცემს: 1. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ვაჰანავანქის მონასტერში დასაფლავებულნი იყვნენ ალბანელი და ბაქელი მეფეები და დედოფლები, აგრეთვე, სივნიეთის ქვეუნიის სახელგანთქმული მთავრები. 2. საფლავის ქვა წარწერით „დინარ“ მოთავსებულია ყველაზე გამოსაჩენ ადგილას — ეკლესიის შესასვლელთან განლაგებული საფლავების წინ, რაც საფლავის ქვაზე აღნიშნული დინარის განსაკუთრებული წარჩინებისა და დიდგვაროვნების მანიშნებელი უნდა იყოს, დინარის სახელით ცნობილ ისეთ წარჩინებულ პირს კი, ვისაც შეიძლება ალბანელ მეფეთა საქალენი დასაფლავების პატივი ჰქონოდა, ისტორიული წყაროები იცნობენ მხოლოდ ერთს — ტაოკლარქეთის ბაგრატიონთა ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელს, ადარნას II ასულსა და ცნობილი გურგენ IV დიძის, ერისთავთ-ერისთავისა და მაგისტროსის დას, ალბანთა მეფის ადარნასე პატრიკის მეუღლეს დინარ დედოფალს. მაგარამ სივნიეთის ისტორიის ყველაზე ავტორიტეტული მუშატიანე სტ. ორბელიანი დინარ დედოფლის ვაჰანავანქში დასაფლავების ფაქტს არ აღნიშნავს, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენებზე, ვინც ამ მონასტერში არიან დაკრძალულნი, შეტ-ნაკლებად აქვს ცნობები. ეს გარემოება, გ. გრიგორიანის აზრით, გამოცანას წარმოადგენს, რადგანაც ისტორიკოსის სიცოცხლეში (XIII ს-ში) ქერ ისევ მოქმედი მონასტერი იყო ვაჰანავანქი, რის გამოც სტ. ორბელიანის მუშედებებში არ სცოდნოდა ქერეთის დედოფლის იქ დასაფლავების ამბავი. გამოცანის ამოსნის სათავეს, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად, იგი დინარის ბიოგრაფიასა და იმ დროის რელიგიურ სიტუაციაში ეძებს. მაგარამ გ. გრიგორიანი ყურადღებას ამახვილებს X საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ შერჩეულ ფაქტზე, რის გამოც მის აზრს დამაქ-



რებლობა აკლია. გ. გრიგორიანი იზიარებს სემციურ ლიტერატურაში დასაბუთებულ თვალსაზრისს, რომ დინარ დედოფალმა, თავისი შვილის იშხანაყის დახმარებით, შექმლი პერეციის ქალაქიდან სარწმუნოებაზე მოქცევა და სომეხთა კათალიკოსის ანანია მოკაციის ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, უშედეგო იყო. ამასთან, უშეგბს ამ პაროციის სრულიად საწინააღმდეგო შესაძლებლობასაც, რომ, თითქოს, 862 წ. იშხანაყია და დინაროქ „კვლავ სომხურ სარწმუნოებას უნდა დაბრუნებოდნენ“. ყველაფერ ამის საფუძველზე კი ასკვნის: თავგამოდებული ქალკედონიტისა და სომხური სარწმუნოებისაგან განდგომილი დინარის მოხსენიება სიგნითის სახელგანთ მითროპოლიტისა და სომხური ეკლესიის ერთ-ერთ შეთაურს სტ. ორბელიანს წამდგელად არ შეეძლოო. (18, გვ. 228).

წინააღმდეგობრივი ხასიათის ეს მსჯელობა საუბრადღებო კითხვებს აღძრავს. თუ მართლაც დინარი „დაუბრუნდა“ სომხურ სარწმუნოებას, რაღატომ უნდა ჩათვლილიყო ის განდგომილად? და თუ ქალკედონიტის თანგამომდევნელი დამცველი იყო, მაშინ როგორდა შეიძლება ის სომხურ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო? რა პოლიტიკურ თუ სარწმუნოებრივ ძალებს შეეძლოთ შეეცვლენინებინათ რწმენა, უფრო ზუსტად კი იდეოლოგიური გეზი ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციების პოლიტიკური მოდერნიზაციის? აქვართა, რომ სომხურ სარწმუნოებას დინართან არ შეიძლება ზღლი ჰქონოდა, ის ამ სარწმუნოებას ებრძოდა და დევნიდა აღბანეთიდან. ასეთ პირობებში კი სრულიად გაუგებარი და აუხსენელია ქალკედონიტ დედოფლის სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში დაკრძალვა. ეს დაბრკობა გაყოფილი უფრო რთული დასაძლელია, ვიდრე სტეფანოსის მიერ დინარის მოუხსენებლობა, რაც, ბოლოს და ბოლოს, კერძო მოტივებითაც შეიძლება ახსნილიყო. ეტყობა, ამ დაბრკობების სიმძიმეს კიდევ გრძნობს გ. გრიგორიანი, როცა უშეგბს სომხურ სარწმუნოებაში დინარის „დაბრუნების“ შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ პერეციის სახელგანთქმული დედოფალი არასოდეს ყოფილა მონოფიზიტი და ამიტომ არც მისგან განდგომა შეეძლო. დაბრკობების დაძლვის ეს გზა, ვფიქრობთ, წარუმატებელ ცდად უნდა ჩათვალოს. თუ კი „ძველ სარწმუნოებაში დაბრუნება“, გ. გრიგორიანის აზრით, საკმაო საფუძველი იყო მონოფიზიტური ეკლესიის სამეფო საძველენი დინარისათვის საპატიო ადგილის მისაჩენად, რაღატომ არ უნდა ყოფილიყო ის შესაწყნარებელი სტეფანოს ორბელიანისათვის? როგორც ვხედავთ, გ. გრიგორიანის მსჯელობა ბევრი წინააღმდეგობის შემც-

ველია და მოვლენების მისეულ ახსნას გადაუღლებავი დაბრკობებები ელვება, რის გამოც აღძრული საკითხი დამატებითი მონათხილვის საიხოს.

გ. გრიგორიანის აღნიშნულ წერილს გამოცემართა პრფ. თ. პაპუაშვილი წიგნში „რანთა და კახთა სამეფო“, რომელიც 1982 წელს გამოსცა „მეცნიერებაში“ (8, გვ. 206-216). თ. პაპუაშვილი კატეგორიულად უარყოფს დინარ დედოფლის ვაჰანავანქში დაკრძალვის შესაძლებლობას. მისი მთავარი არგუმენტებია შემდეგი:


1. წარწერა უთარღლია და არ შეიცავს რაიმე ცნობას მასში მოხსენიებული დინარის ვინაობის შესახებ და, ამდენად, არ შეიძლება ის საფუძველად დაედოს პერეციის დედოფლის ვაჰანავანქში დაკრძალვის შესაძლებლობის მტკიცებას.

2. სტეფანოს ორბელიანის მიერ დინარის მოუხსენებლობა ერთ-ერთი მთავარი საბუთია გ. გრიგორიანის მტკიცებათა საწინააღმდეგოდ. სომეხი ისტორიკოსი საერთოდ არ გაუბნის კონფესიონალური ბრძოლის პერაპეტების გადმოცემას და ქალკედონიტი მოდერნიზების შესახებუც ვაწწვლის ცნობებს. დინარის ვაჰანავანქში დაკრძალვის ფაქტს კი იხიბომ არ აღნიშნავს, რომ ასეთ რამეს საერთოდ არ ჰქონია ადგილი მონასტრის ისტორიაში.

3. მთელი VII-X სს მანძილზე იმდენად გამოწვაგებულია დამოციდებულება ქალკედონიტება და მონოფიზიტების შორის, რომ ქალკედონიტი დედოფლის მონოფიზიტური ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში დაკრძალვა სავსებით გამორიცხული იყო.

4. ამ თვალსაზრისს საფუძველს უმაგრებს ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებიც. კერძოდ, „მეტაწეუ ზაგრატიანის“ ავტორის ცნობით, 1010 წელს ზაგრატი III „აღილო მორიედ პერეციო. დააჭირა დინარ დედოფალი თსანად“.

ქართველი მეზტიანის ამ ცნობას ორგვარი განმარტება აქვს ისტორიოგრაფიაში. ერთის მიხედვით, 1010 წლისათვის პერეციის დედოფალი ჭრ კიდევ ცოცხალი ყოფილა და გამოდის, რომ ზაგრატს ის ტუვედ წაუტყვანია (გვ. ჭავჭავაძე, ივ. თაყაიშვილი). მეორე განმარტებით კი, ზაგრატს დინარის „წმინდა თსანად“ გადაუსვენებია (მ. ბროსე, კ. თუმანოვი). ამასთან დაკავშირებით თ. პაპუაშვილი წერს: „...ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გადამწვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმის ზუსტად დადგენა, ცოცხალი წაუტყვანა ზაგრატი III-მ დინარი, თუ მართლაც მხოლოდ მისი ნეშტი გადააწვენა აფხაზეთში. ჩვენთვის აქ მთავარი ის არის, რომ დინარი XI საუკუნის დასაწყისისთვის „აფხაზეთა და ქარაგელთა“ მდინის ქარზე იმყოფება. ეს კი, ჩვენი აზრით, უყოფლგვარ საფუძველს აკლბს სომეხ მეწვეყართა მონაზ-



რებას იმის შესახებ, რომ დინარი დარქალუ-  
ლია სივნიეთში, ვაშანავაჟის მონასტრის საგვ-  
არელო საძვალეში“ (8, გვ. 218).

მიუხედავად იმისა, რომ თ. პაპუაშვილის არ-  
გუმენტაცია საკმაოდ შთაბეჭედავად გამოიუ-  
რება, მისი მსჯელობა, ვფიქრობთ, მაინც არ  
აჩიბ თავისუფალი გარკვეული ხარვეზებისაგან.

მისი მტკიცება, თითქოს საფლავის ქვაზე  
ამოკვეთილ წარწერა „დინარ“-ს არავითარი  
მნიშვნელობა არ ჰქონდეს ამ სახელში ჰერეთის  
დედოფლის შესაცნობად, რამდენადაც წარწერა  
არ შეიცავს ცნობებს დინარის ვინაობის შესა-  
ხებზე, აშკარად მოკლებულია დამაჭერებლობას.  
ეს წარწერა გამოწყალის არ შეადგენს და  
ოთხზე საფლავის ქვაზე ერთნაირად თითო-  
სტრიქონიან წარწერებზე გაკეთებული სათანა-  
დო სახელების აღნიშვნით. მგავლითად, დინარ-  
ის გვერდზე იგივე ზომის საფლავის ქვაზე,  
იმავე ერკათაგირით ამოკვეთილია მხოლოდ  
ერთი სახელი „ქვეანში“, შესამე და მეოთხე  
საფლავების ქვებზეც იმავე წესით ამოკვეთილია  
სახელები „გრიგორ“ და „აშოთი“. მიუხედა-  
ვად იმისა, რომ არც ამ წარწერებს ახლდათ  
დამატებითი რაიმე ცნობები ერთსტრიქონიან  
წარწერებში მოხსენიებულ პირთა ვინაობის შე-  
სახებზე, მათი შეცნობა მაინც არ გაჩნდებოდა.  
როგორც საისტორიო წყაროების მონაცემებით  
დადგინდა, უველა ისინი სივნიეთის სამეფოს  
ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ.  
ქვეანშითა აღმოჩნდა სივნიეთის ერთ-ერთი ვა-  
შიჩენილი მთავარი, რომელიც უაფანსა და ბაღ-  
ჭში მთავრობისას უოველნაირად ახლასებდა  
სივნიეთის საეპისკოპოსოს სეპარატიულ მის-  
წრაფებებს და დიდი როლი ითამაშა სივნიეთის  
ფეოდალური სამეფოს დაარსებაში. გრიგორი  
— სივნიეთის მეფე გრიგორ I ვამოადა, ხოლო  
აშოთიკი — გრიგორ I შამა, სივნიეთის დიდი  
მთავარი და სპარაპეტი იყო მეფე ვისაყ I  
დროს (უფრო დაწვრილებით 13, გვ. 223-226).

როგორც ვხედავთ, დინარის საფლავის ქვა  
იმათ გვერდითაა მოთავსებული, ვისაც ვანსა-  
კუთრებით დიდი დამსახურება ჰქონდათ სივ-  
ნიეთის ფეოდალური სამეფოს შექმნისა და გან-  
მტკიცების საქმეში. აშკარაა, რომ დინარის საფ-  
ლავის ასეთ სპატიო ადგილას მოთავსება უბ-  
რალო შემთხვევის აშხავი არ შეიძლება იყოს.  
შესაძლოა, ჰერეთის დედოფალ დინარს კიდევაც  
გულსხმობდა სტ. ორბელიანი, როცა გვამც-  
ნობდა, რომ ვაშანავაჟის მონასტერში აღბანე-  
თის მეფენი და დედოფლებიც იყვნენ დარქა-  
ლულნი. ხოლო თუ რატომ არ მოიხსენიებდა  
ჰერეთის დედოფალს საკუთარი სახელით, ჩანს,  
ამისათვის XIII ს მცხოვრებ სივნიეთის შტრო-  
პოლიტს საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდა. მკლევ-  
ვარის ამოცანად, პირველ რაგში, ამ მიზეზების  
დადგენაა და არა აშკარა ფაქტის ზელადებით  
უარყოფა.

ზოგადად, რა თქმა უნდა, სწორია დებულება,  
რომ მონოფიზიტური ეკლესიის „ქრისტიანული“-  
ტრში ქალკედონიტი მოღვაწე მონასტრის სავ-  
სებით გამოარცხულია. მაგრამ კონკრეტული  
შემთხვევების განხილვისას უოველთვის შეიძ-  
ლება ამოვიდეთ კონკრეტული ვითარებიდან,  
მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს  
სომხეთის ვანაპირა ოლქთან, სადაც, ეთნიკური  
თავისებურებების გამო, საკმაოდ ძლიერი იყო  
სეპარატიული მისწრაფებები (10, გვ. 411).

დაბოლოს, „მატიანე ქართლისას“ ცნობის  
შესახებ. ეს ცნობა საკმაოდ ბუნდოვანია და და-  
მატებით ახსნას მოითხოვს. 1010 წლისათვის  
დინარ დედოფლის ცოცხლად მოხსენება თვით  
თ. პაპუაშვილსაც „ძალზე საეჭვოდ“ მიაჩნა (2,  
გვ. 215). ჰერეთიდან ნუშის გადასვენების კი,  
ჩვენი შემდგომებით აზრი არ უნდა ჰქონდეს,  
რადგანაც წმინდანად შერაცხული დედოფლის  
საფლავს იმ დროს ადგილზე (ე. ო. ჰერეთში)  
გაცილებით მეტი სამსახურის გაწევა შეეძლო  
ქალკედონური შრწამსიანად, ვიდრე ძველი-  
ვან მართლმადიდებელ დასავლეთ საქართველო-  
ში. ასეთ აქციას მაშინ განხორციელებდა ვაშანავაჟი,  
თუ კი დინარის „წმინდა ნეშტი“ „მწვალებელ“  
მონოფიზიტთა შორის მოექცეოდა. XI საუკუ-  
ნის დასაწყისისათვის ჰერეთში ასეთი საშიშრო-  
ება ნამდვილად არ არსებობდა. ამიტომ, ფიქი-  
რობთ, სსწორი ისევ პირველი ვარაუდის სე-  
სარგებლოდ იხრება. ასეთ შემთხვევაში „მატი-  
ანე ქართლისას“ ცნობაც თითქოს უფრო მარ-  
თებულ ახსნას პოულობს. თუ დინარის „წმინდა  
ნეშტი“ ვაშანავაჟში „მწვალებელ“ მონოფიზი-  
ტთა შორის იმყოფებოდა, მაშინ ქალკედონიტი  
მეფის საკაცელო არაფერია არაბუნებრივი.  
საფლავს ქვის ვაშანავაჟში ადგილზე უოფნა  
ამ ვარაუდს ზელს არ უნდა უშლიდეს. რადგან  
ძნელი წარმოსადგენია ბაგრატს დინარის ნეშ-  
ტთან ერთად სომხურწარწერიანი საფლავის  
ქვაც თან წაეღო მაგრამ საკითხის საბოლოო  
გადაწყვეტას წინ ეღობება მეტად სერიოზული  
დაზრკოლება. ეს არის ქალკედონიტი წმინდანის  
სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიაში დარქმალის  
რჯით ფაქტში არსებული შეურთებულობა წინააღ-  
მდეგობა. ამ წინააღმდეგობის დაძლევის გ. გრი-  
გორიანისებულ ცდას, როგორც ვნახეთ, ჰვერი  
ნაღლი ახლავს და ის არსებითად მთუდებოდა.  
თ. პაპუაშვილს კი საერთოდ არ დაუნახავს ასე-  
თი ამოცანა, რადგანაც თავიდანვე გამოირიცხა  
დინარ დედოფლის ვაშანავაჟში დარქმალის  
შესაძლებლობა.

რაც უკვე ითქვა ამ წერილში დინარ დედოფ-  
ლის შესახებ, ვფიქრობ, ისიც სრულიად აშკა-  
რას ზდის, რომ ადრეული საკითხი სულაც არ  
არის ვიწრო მნიშვნელობის, კერძო საკითხი,  
რომელიც მხოლოდ ბიოგრაფიული დეტალის  
დაზუსტებას იხსნავს მისნად. დინარის სახელი  
გახლართულია დამაირისპირებულ იდეოლოგია-

თა ბრძოლის რთულ კვანძში, რის გამოც, ერთი შეხედვით, მის უწყინარ ბიოგრაფიულ დეტალში აშკარად ირკველება წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის პოლიტიკური და იდეოლოგიური სიტუაციის ტრეილი სურათი.

რეალური ისტორიული სურათის აღსადგენად, ძეგუბა, პარველ რიგში, უნდა გავერკვეთ იმ პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ სიტუაციაში, რაშიც შესაძლებელი გახდა სივნიეთში საერთოდ, და კერძოდ ვაშაწავაშქში, დინარისათვის არა მარტო კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, არამედ მერეთის დედოფლის განედღების საფუძველიც.

X საუკუნის ნახევარში, როცა დინარმა პოლიტიკური მოდერნიზმის ასპარეზზე შედგა ფეხი, ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში აშკარად ბიზანტიის სასარგებლოდ იყო შეცვლილი. X საუკუნიდან დაწყებული იყო თანმიმდევრულად ავანტირებდა დასუსტებულ სახალიფოს და ზედიზედ არიშვად ტერიტორიებს მცირე აზიასა და სომხეთში. ერთხანს, 927 წ. ბიზანტიელთა ღაშკარამ ქ. დვანამდეც კი მიადნია, ხოლო 984 წლისათვის დიდი ზნით მოითვისა მთელი დასავლეთი სომხეთი (6, გვ. 144). აღმოსავლეთზე ბიზანტიის ძველამოსილ შტატებს თან სდევდა იმპერიის ორთოდოქსალი რელიგიის (ქალკედონიზმის) დანერგვის ცდები. ისევე როგორც VIII საუკუნეში არაბთა მიერ სომხეთში ბიზანტიელთა განდევნამ უზრუნველყო ამ ქვეყანაში ანტიქალკედონიტური მრწამსის საბოლოოდ გამარჯვება (17, გვ. 228), ასევე ახლაც ბიზანტიელთა მძლავრობას უნდა გამოეცოცხლებინა ანტიმონოთეოზატური ძალები, განსაკუთრებით სომხეთის ვანაპირა მხარეებში, სადაც ეთნიკური თავისებურებების გამო, ტრადიციულად ძლიერი იყო სემარატიკული მისწრაფებები. იქნებოდა ახალი რელიგიური სიტუაცია, ქართულ ეკლესიას საშოქმედოდ გაცილებით ვრცელი ასპარეზი ეშლებოდა, ვიდრე ეს სომხურს შეეძლო მიეღო. მართალია, ბიზანტიის აგრესიულ გეგმებში სომხეთიცა და საქართველოც ერთ სასწრაფოდ იყო და რიგებს ერთსაარად უმატებდა შთანქმას, მაგრამ ვიდრე ბიზანტიას ჭერ არ შეეძლო აქტიური პოლიტიკის წარმოება ამიერკავკასიაში, ხოლო დასუსტებული სახალიფო იშდენად საშიშ ძალას აღარ ფლობდა, ამ შეცვლილ ისტორიულ პარამეტრებში იმპერიალთა კონფესიური ერთობა მაინც მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევდა ქართულ ეკლესიას ამიერკავკასიაში თავისი კულტურულ-იდეოლოგიური გეზის წარმატებისათვის.

სომხური ეკლესიის მდგომარეობა იმითაც იყო გართულებული, რომ ბერძნული სარწმუნოების შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, საუკუნეთა მანძილზე მას უბედობდა

სხვადასხვა ერების, ამჟერად კი მხოლოდ ბერძნული ეკლესიის — თორნიკელთა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა. ბიზანტიის ეკლესია კი, საერთოდ, თავს უნებუნებლად ებრძოდა ამის გარდა, VII საუკუნის დამდეგს არჩეულ იდეოლოგიურ კურსს ის განუხრებლად და თანმიმდევრულად ატარებდა, რაც აღნიშნულ პარამეტრთან ერთად, მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფდა მისი პოლიტიკების სიმტკიცეს X საუკუნეში ამიერკავკასიის ასპარეზზე ახალი ძალთა გაჩაღებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ქართული ეკლესიის წარმატებები ამ ხანაში ერთობ თვალსაჩინოა. X საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოში ბერძნული ბიზანტიური საეკლესიო კულტურა ადგილს უთმობს ქართულს (4, გვ. 244), X საუკუნის ათიან წლებში კი, აფხაზეთა მეფის გიორგის მეცადინეობით, ქრისტიანობა და მასთან ერთად ქართული კულტურა, სცილდება რა თავის ეთნიკურ საზღვრებს, ჩრდილო კავკასიაში, აღან-ოსებში ვრცელდება (4, გვ. 245-248). კიდევ უფრო შთამბეჭდავად წარმატება აქვს ქართულ ქრისტიანობას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, სადაც ქართული ფეოდალური კულტურის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი განსაკუთრებით დავით III კურაპალატის წყოფებამა მოდერნიზმამ, რომლის დროსაც ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურმა საზღვარმა სამხრეთით შორს გადაიწია.

დაწვებული იყო დიდი კულტურული პროცესი, რაც ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების შემდეგ მძალად საფუძვრზე ასვლის მანიშნებელი ჩანდა. ამ საზოგადოების კლასობრივ ინტერესებს შესაწინააღმდეგებლად გამოჩნდა გიორგი შერჩილავი, როცა ამაყად აცხადებდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღიარებების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ეთნი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. ამ კულტურულ-პოლიტიკური პროცესის მიღმა არც ქართული სამყაროს აღმოსავლეთი პერიფერია დაჩრდილდა. ამიტომაც, როცა დინარ დედოფლადმა მერეთში საბოლოოდ თავი დაადა საუკუნეების მანძილზე განანგრძობებულ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლას და ეს მხარე სომხური „მწვალებლობიდან“ მართლმადიდებლობაზე მოაქცია (თ. პაპუაშვილის გამოანგარიშებით 843 წ., 2, გვ. 205). ამისოდ უკვე წინადაც შემზადებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობისა და მისი კულტურული განვითარების საერთო გზით. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ სომხური ისტორიოგრაფიის ზოგი წარმომადგენელი მართლმადიდებლობაზე მერეთის მოქცევის ფაქტს სუბიექტური მოტივებით ხსნიან (ა. მნაცყანაიანი, ს. ბარსუდარიანი და სხვ.), რაც აშკარად ვერ უძლებს



კრიტიკას. დინარის ინციპიტის მხარს უჭერდნენ არა მარტო მისი ვაჟი — ალბანთა მეფე იშხანია და ამ ქვეყნის კათალიკოსები — სააკი და ვაგაი, არამედ პეტრეთის ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ნაწილი, რომელს კულტურულ-ეროვნულმა შეგნებამ ქაბოლოად კიდევ გადაწვიტა საქობის ქალკედონიზმის სახარებლოად. ამ შეგნების უტყუარი მოწმობა ეპარქიარქული ძველების მონაცემები, რომელთა მიხედვით ქართული პეტრეთის (იშხანიის პეტრეთის სამეფოში ხაინ-გაროსაც შედიოდა) საკულტო დანიშნულების ძველებზე VII-X საუკუნეების მთელ მანძილზე მხოლოდ ქართული წარწერები ვაჭვს (1).

პეტრეთის მოქცევა სომხური ეკლესიის დიდი მარცხი იყო და, ბუნებრივია, ამ მარცხს ის ასე ადვილად ვერ შეეგუებოდა. სრულიად სომეხთა კათალიკოსი ანანია მოკაცი ენერგიულ წოდების მიმართავს მდგომარეობის გადასარჩენად, სარგებლობს ვასპურაკანის მეფის გრიგოლ დერენიკისა და შირაკის სომეხთა მეფის აბასის აქტიური მხარდაჭერით. მაგრამ წაგებული საქმის შევლა უკვე მის ძალეებს აღემატებოდა. უფრო მეტად, მამ წელს ხაინში (ტ. ა. პეტრეთის სამეფოს სომხურ ნაწილში) სომეხთა უმადლესი სულიერი მამის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ მას მხარი აღარ დაუჭირა. თუ ქართულ პეტრეთში ქალკედონიზმის გამარჯვება ამ ქვეყნის ისტორიული განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო, ხაინში მისი მომხრეობა, ვფიქრობთ, იმასაც მოწმობდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური და კულტურული გაჯერება აღმოსავლეთის მიმართულებითაც იკავებოდა გზას თავისი ეთნიკური საზღვრების მიღმა.

სომხურ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, ქალკედონური მრწამსი იმ ხანად ალბანეთიდან, კიდევ უფრო ღრმად, სივნიეთშიც აღწევდა. ვარდანი გადმოგვცემს: პატრიარქმა ელიშემ დიდის გაპირვებით დაიმორჩილა ხელახლა სივნიეთის ქვეყანა, რომელსაც სურდა ავღანთა შავალთისათვის მიეხამა. დაუმორჩილებელი იაკობის მავიერ ეპისკოპოსად დაადგინა ბაქქელი ვამანი, იშხან ქვეყნის ვაჟი (18, გვ. 118). აშკარაა, რომელიდაც დროს, ვარკვეულ ისტორიულ პერიოდში, სივნიეთის ეპარქიაში ქალკედონური მრწამსი ბატონობდა. ასე რომ არ უოფილიყო, არც ვარდანს დასჭირებოდა ეთქვა: პატ-

რიარქმა სივნიეთის ქვეყანა ხელახლა და ისიც „დიდის გაპირვებით დაიმორჩილეთი“. არქიებისკოპოს იაკობის დაუმორჩილებლობის აღნიშვნაც, ეჭვს გარეშეა, მისი ქალკედონიზმის მოწმობა უნდა იყოს.

სივნიეთში შექმნილ რელიგიურ სიტუაციას უფრო განსაზღვრად და აშკარად გადმოგვცემს კირაკოს ვასპაყედი. მის თხზულებაში ვითხულობთ: ანანია მოკაციის მწვერულთავრობისას (ეს ის ანანია მოკაცია, სომხური ეკლესიისათვის პეტრეთ-ალბანეთის დასახარებულად რომ იბრძოდა წარმატებულად, ვ. მ.) სივნიეთში გამოჩნდა ვილაც ეპისკოპოსი, სახელად იაკობი, რომელმაც დაიწყო სიახლეების დანერგვა ენასა და წეს-ჩვეულებებში, ისევე მერე ეპისკოპოსი, სახელად ზოსროცი, რომელიც ამბობდა: „უფლის დღეს უნდა ვუწოდოთ არა „კაურაყე“, არამედ „კურაყე“, რადგანაც ეს სიტყვა რომაულია. ის აგრეთვე ამბობდა: არაა წესი ეპისკოპოსის საწულქრებო მხარეთას კათალიკოსს, რადგანაც მას ეპისკოპოსზე მეტი არა აქვს მადლი, გარდა წოდებისა. ამ და მსგავსი სიახლეებით ქვეყანაში ყველგან შფოთი გამოიწვიეს. კათალიკოსი ზედიზედ უგზავნის გამაფრთხილებელ წერილებს. მაგრამ მას შედეგი არ მოსუვა. კათალიკოსის წინააღმდეგ აწამებული იაკობი სივნიეთის ციხე-სიმაგრეში გამაგრდა. კათალიკოსი სივნიეთის ხელისუფლებისაგან მოითხოვს იაკობის გადაცემას, მაგრამ მათ არ გასცეს თავისი ეპისკოპოსი. ამის შედეგად კათალიკოსმა ანანია იაკობიცა და სივნიელებიც ანათემას მისცა. იაკობი სიკვდილამდე თავისი შეხედულების ერთგული დარჩაო — გვაუწყებს ისტორიკოსი (6, გვ. 79-81; 14, გვ. 80-81).

ამ ცნობაში ერთბაშად საუბრადებოა სივნიეთის საეკლესიო და საერო ხელისუფალთა ერთობლივი შეთანხმებული მოქმედება სომხური ეკლესიის წების წინააღმდეგ. ჩანს, სივნიეთის ფეოდალური საზოგადოება თავისი კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფას, რაც იმ ხანად, პირველ რიგში, დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას გულისხმობდა, სომხური მონოფიზიტური ეკლესიის საპირისპირო აღსარებისადმი მიმხრობით ფიქრობდა. ეს განსაზღვრავს. სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტიის ქმნიდა, რაც ვამოც სეპარატისტული მიდრეკილებები თავდაპირველად უფრო ხშირად იდეოლოგიაში ავლენდნენ თავს. სომხური სარწმუნოების საპირისპირო და მისგან განსხვავებული აღსარება სივნიეთში რომ ქალკედონური მრწამსი იყო, ამაზე პარდაბანი მოითვლება გვაჭვს. მოტანილ ტექსტში, სადაც იაკობი და ზოსროცი მოითხოვენ უფლის

1 პეტრეთ-ალბანეთში იდეოლოგიური ბრძოლის აღნიშნული ეპიზოდები გადმოცემულია ანანია მოკაციის ეპისტოლეებში. მისი ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოიტანა თ. შაპუაშვილმა (2, გვ. 204-207).



დღის აღსანიშნავად გამოიყენონ არა სომხური „კურაკი“ (կյւրազ), არამედ რომელი, ე. ი. ბერძნული „კურაკი“ (κϋρϋακϋς) — კურა, ბერძნულის სახელით აქ ქართულში გავრცელებულ „კურაკს“ ასარებდნენ, თორემ სომხურში ზმარებული „კურაკი“ ზომ ბერძნული სიტყვა იყო და სომხური კულტურის გარემოებაში მის გავრცელებას უფრო შტიკ საფუძველი ჰქონდა, შესაბამისი ფონეტიკური ელემენტების გამო. ეკვი არაა, მოტანილ ცნობაში საკმაოდ გარკვეული მითითება გვაქვს სივნიეთში არა მხოლოდ ზოგადად ქალკედონიზმის, არამედ მისი ქართული ვარიანტის გავრცელებაზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია ვარდანის ხეივანბული ცნობაც, რომლის მიხედვით სივნიელები აღსაწა მავალითს ბაძედდენ. მისაბაძი კი, ვასაგებია, აქ მხოლოდ ერთი იყო — ჰერეთის დედოფლის დინარის მოღვაწეობა. კარგად აქვს შეზნენული ნ. მარს, რომ ქალკედონიტობა სივნიეთში აღწევდა საქართველო-ალბანეთის გზით. ქალკედონიტობა ბატონობისათვის ზნას უყავდა — ქარკველებს, ანტიკალკედონიტობა კი — სომხებს. მისივე თქმით, სივნიეთში უკვე XIV საუკუნეში საგარძობი იყო განცდილი ქალკედონური მრწამსის კვალი ლიტერატურულ ძეგლებსა და შესაძლოა თვით ცხოვრებაშიც კი (16, გვ. 6-8).

დაწყობის დიდმნიშვნელოვან ძეგლებად ითვ-  
ლებოდა.

მოულოდნელად შემხვდნენ გალაკტიონ, ტა-  
ბიძე და ვარლამ დონდუა, რომელიც ამ დროს  
ლენინგრადში ცხოვრობდა და აქ, უნივერსი-  
ტეტის საისტორიო ფაკულტეტზე, საქართვე-  
ლოს ისტორიის და ქართული ენის კურსს კი-  
თხულობდა. გალაკტიონი, ვარლამის ძვილი მე-  
გობარი ქერ კიდევ ქუთაისიდან, ლენინგრადში  
ჩამოსულიყო და მასთან, დონდუასთან იყო გა-  
ჩერებული. გალაკტიონის ჩამოსვლამ ლენინგ-  
რადში დიდი სიხარული გამოიწვია. აქ მცხოვ-  
რებ ქართველებს შორის, უველა სპეციალიზმ-  
მონწყვეთ ქართველებს შორის (აქ იყვნენ ამ  
დროს ფილოლოგები, ისტორიკოსები, მათემა-  
ტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, მუსიკოსე-  
ბი და ასევე).

გადაწყდა გალაკტიონთან შეხვედრა მოვეე-  
წყო ხელოვნებათმცოდნეობის სახელმწიფო აკა-  
დემიაში, ისაკის (იმჟამად ვაროციკის) მიე-  
დნეზე, ისაკის ტაძრის პირდაპირ და „ღანგ-  
ღატერის“ მახლობლად, სადაც რამდენიმე წლის  
წინ ეხენინმა თავი მოკლა.

გალაკტიონის ლექსები რუსულად ქერ არ  
ყო გამოკვეთებული, პოეტს მანქანაზე ვადა-  
ბეჭდილი და გამოსაქვეყნებლად გამოადებული  
რუსული თარგმანები ჰქონდა ჩამოტანილი.  
ეჭვი არავის გვეპარებოდა, რომ მათი წაყო-  
ბვა საღამოზე რუს საზოგადოებასაც მისცემდა  
წარმოდგენას ჩვენს დადებულ პოეტზე, რომ-  
ლის შემოქმედებით ივანოული ჩვენთაგანი  
ამაუბოდა.

ბატონ გალაკტიონს მისი ლექსების რუსული  
თარგმანის რამდენიმე ნიმუში გამოვართვა, და  
გადავწვიტე მენახა ამ დროს ლენინგრადში  
მცხოვრები, პოეტური ნამუშების ცნობილი  
შეოხველი ანტონ შვარცი, რომლის საღამო-  
ებსაც მე დავსწრებოვარ თბილისშიც და ლე-  
ნინგრადშიც. მომხენილი მქონდა მის მიერ წა-  
კობული მთავოვსკის, ბლოკის, ეხენინის და  
სხვ. ლექსები.

ანტონ შვარცი თავაზიანად, კეთილი განწყო-

ბით დახვდა და ჩემს ოხოვნას — მადლო მი-  
ნაწილეობა გალაკტიონთან შეხვედრის საღამო-  
ზე და რამდენიმე მისი ლექსი წაუკითხა —  
დაიანხდა.

სამწუხარო ის იყო, რომ ჩვენმა საუბარმა  
ორავე ჩვენთაგანზე რაღაც უმთავოილების  
გრძნობა დატოვა. ჩემზე იმიტომ, რომ ვანთ-  
ქმულ წამაქოხველს და პოეზიის გამოკდილ  
პოპულარიზატორს წარმოდგენა არა ჰქონდა  
გალაკტიონ ტაბიძე და უკველ მის ხენებაზე  
საუბარი ტყაპა ტაბიძეზე გადაქონდა. მასზე  
— იმიტომ, რომ თარგმანები ძალიან არ მოე-  
წონა და სწუხდა მათი წაქოხბვა მსხენელზე  
სახურველ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

საღამოს მრავალი მსხენელი დაეწრო.  
ეღწერ ვარსაღამის შესანიშნავი მოხხენების  
შემდეგ, დახვეწილ რუსულ ენაზე, სადაც გა-  
ლაკტიონის შემოქმედება განხილული იყო იმ  
დროის ქართული, რუსული და დანადური  
პოეზიის ფონზე, მსხენლებსაც და ანტონ  
შვარცსაც შეექმნათ წარმოდგენა გალაკტიონის  
შემოქმედების თვისებურებებზეც და საღამო-  
დევით.

შვარცმა გალაკტიონის რამდენიმე ლექსი წა-  
კითხა და თავისი ღრმა პატიოხცემა გამოხატა  
სიტყვებით:

— მე ანატოლ ფრანსის ერთი გმირის, ღრმად  
მორწმუნე ფონგლიორის მსგავსად, რომელიც  
ლოკეის დროს ექსტაზის მდგომარეობაშივე მი-  
სული, ბურთებს ათამაშებდა მერში, მიიდა  
ჩემი დიდი პატიოხცემა თქვენდამი, რომელიც  
თქვენი ლექსების წაქოხბვით ვერ გამოვხატე,  
გამოვხატო ჩემი პროფესიით. დამისახდეეთ  
თქვენი საუყარელი პოეტი, რუსი თუ უცხო-  
ელი, და წაგაქოხბეთ მის ლექსებს!

მობდა საოცარი და მოულოდნელი რამ.  
გალაკტიონი ბავშვიოთ დაიბნა, ხელების  
ფშვენბა დაიწყო, მტრებს რაღაც უცნურად  
ამორჩავენბა და... მიუხედავად ოხოვნის გა-  
მეორებისა, ვერც ერთი პოეტი ვერ დასახბე-  
და.

საღამო დამთავრდა, ვარეთ გამოვედიოთ. ლე-  
ნინგრადში თეტრი დამებო იდგა. გალაკტიო-  
ნმა, ვარლამ დონდუამ, მომხხენებელმა, მე და  
რამდენიმე დამსწრემ ისაკის ტაძარს ჩავუბოდი.  
მიუხალოვდით „ბრინჯაოს მუდარს“, ურანა  
ფტებზე ატოტილ ცხენზე ამხედრებულ პეტრე  
დიდის ძეგლს, და წვივს ნაპირზე გავდით.

და უტყადა... არავინ რომ არ ელოდა —  
გალაკტიონის ათროილებული ხმა ვაგონა, ლე-  
ქსებს ამბობდა, ვერდლის, ვერპარის, პოლო-  
ნერის ლექსებს. ამბობდა თავშეუყავებლოდ,  
გატაცებით, თითქოს ექსტაზის მდგომარეობაში  
მყოფი.

ვიდევით და ვუსმენდით, ვუსმენდით და ვფი-  
ქრობდით — სად იყო ანტონ შვარცი და ჩვე-



თან ერთად არ უსმენდა ფრანგი სომხების-  
ტებით მოწინააღმდეგეულ ქართველ პოეტს  
...მეორე დღეს, საღვთო, შარბის საპატრო  
თეატრის მიღამოებში, ლენინგრადში დიდი  
ხნის წინ გადასახლებული ქართველების, შარ-  
თაშვილების ოჯახში გალაქტონის სუფრაზე შე-  
კვდილი.

სუფრაზე, ღვინოსთან ერთად, გალაქტონის  
სტრატეგია იღვრებოდა და შვენიერებისა და  
სიკეთის სიხვევს აფრქვევდა:

ებლა, როცა ამ სტრატონს ეწერ  
შუა ღამე იწვის, დნება,  
სიო სარკმლით მონაქროლო, ველითა  
ზღაპარს მეუბნება.

შენ ჯერს იწერდი იმ დღეს, მერი  
მერი, იმ დღეს მგ თვალთა კვდომა,  
სანდომიან ცის ელვა და ფერი  
მწუბარე იყო, ვით შემოდგომა!

როგორც ნისლის ნაშქერი, ჩამავალ მშობ  
ნაფერი,  
ელვარებდა ნაბირი სამუდამო მხარში!  
არ ჩანდა შენაბირი, ვერ ვნახე ვერაფერი,  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.

ქოლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და  
ხეივანი აქსოვს,  
ასე ჩემი, ასე ნაზი ჯერ ცა შე არ  
მისოვს,

დედაო ღვთისაჲ, მზეო მარამი!  
როგორც ნაწიმიარ სილაში ვარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაყვარდე.

...და, აი, ახლა, მოსახიბლში, სულიერი და  
ფიზიკური ტრავმებით გაოგნებული, ამ დღე-  
ებსა და ლექსების ნაწყვეტებს ვიხსენებ და  
ვფიქრობ. ვფიქრობ იმ ქარიზმულზე, რომლე-  
ბიც ოთხი წლის მანძილზე ორჯერ ამოვარდა,  
ბილიონობით სიცოცხლე წაიღო და ერთი მა-  
თვანი აქამდეც არ დაეხატა!

**მეზაპასხე წაუღია**

...მე ბილიანად წარსულისაკენ ვარ მიბრუ-  
ნებული და ძალიან კმაყოფილი არქილოგოიო,  
ჩემი პროფესიით, რომელიც ლენინგრადში შე-  
ვიძინე.

ერთ წახუზულ გავყვები სამცხეობრო ექსპე-  
დიციას, რომელიც შუა საუკუნეების ნაქლა-  
ქარის გათხრებს იწევდა.

ნაქლაქარი ორი მდინარისა და ორი ხეო-  
ბის შესართავში მდებარეობს, მაღალ ზეგანზე,  
რომელიც კლდოვანი ზღუდეებით და ნაგლე-  
ქი კლდის დიდი ლოდებით ნაკები კედლებით

არის გამაგრებული. ქვევით, გვიან, რომ  
უყურებს — უზარმაზარ სომხალმა მკვანს, ცის  
სავრცეში შეტრიალს.

ნაქლაქარის შენეთი კვანძების მქონე ქა-  
ზილია დაას, ოთხილი ქვაბი კარიბჭით და წარ-  
წერებით. იქვეა მდინარეზე ჩასასვლელი გვირა-  
ბები, საცხოვრებელი სახლები, ძველი საწნე-  
ხები, ქვევრები, ახარები, მოკირწყლული ქუ-  
ჩები, ძველი წარაფხანა.

საქართველოში ამ მიდამოებისათვის განსაკუ-  
თრებით ხშირი იყო მამადიანთა შემოსევები  
და იმდენად მანგრძლივიც, რომ შათი სახაფ-  
ლაოს ნაშთებიცაა დარჩენილი — მკირე ზო-  
მის კვადრატული მავროლუღები მრგვალი გუ-  
მბათებით.


არანაყლებ საურთაღებოდ მოჩანდა ის აღ-  
ტაცება, ენთუზიაზმი და ენაღატაკაშივე მი-  
სული განკლები, რომლითაც ექსპედიციის წე-  
ვრები იყვნენ შეპყრობილნი. თიხის ტურქლებ-  
ბი, თუ შათი ნამსხვრევები, მონეტები, სამარ-  
ხებში ნაპოვნი სერდოლიკის მძივები და სამ-  
კაულები — უველაფერი ეს „ამოჩინება“ და  
მანგრძლივი დაკვირვების საგანს წარმოადგენ-  
და.

გულდასმით, დიდი დაკვირვებით, ხშირად  
გამადიდებელი შუშით ათვლიერებდნენ შათ,  
ასუფთავებდნენ, სათუთად ქაღალდში ახვე-  
დნენ და ინახავდნენ.

ერთი სიტყვით, ექსპედიციის წევრები იმ  
დროით ცხოვრობდნენ და იმ ნივთებით ერთ-  
თად არსებობდნენ, რომლებიც მიწის სიღრმი-  
დან ამოქონდათ, წარსულის ფერფლისაგან  
ათავისუფლებდნენ და ხელმოირიდ სიცოცხლეს  
უბრუნებდნენ.

ექსპედიციის მონაწილეთა წარმოსახვაში  
ცოცხლებოდა ძველი სავაქრო ქალქის დიდი  
ხნის წინ გარდასული ცხოვრების სურათები —  
ურძის კრიალი, საეკლესიო დღეობები, რთე-  
შობა, კალოზა, ნაქლაქარის კარიბჭესთან  
აღმართული საფეშაგოები, შექავრული გუშა-  
გები და გარედან შემოსეული ურდოები. ამა-  
ნოებთან — ქალიშვილების თავშეკავებული,  
მოკრძალებული ჩურჩული, ჩვენი საზოგადო-  
ებისათვის უკვე კარგად ცნობილი ძველი თბა-  
ლისის ადამების მსგავსი სიკეთლუცე და სხვა.  
მუშებს წერაქვები და ნიჩბები ეტირათ და  
ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, კლექტორე-  
ბის მეთვალყურეობით ასუფთავებდნენ მიწა-  
საგან დაფარულ ნივთებს.

დაქირავებულ მუშებს შორის 18-17 წლის  
გიგლა სარგებლობდა ექსპედიციის წევრთა  
შორის განსაკუთრებული სიბოიო და გული-  
თადობით. გიგლა მეზობლად მდებარე, ქერ  
კიდევ მეფის დროს მთიულებით დასახლებული  
სოფლიდან იყო და ცოცხლად შენახული მეტ-  
ყველების მამაპაური კილო ზედმეტ მოზიბ-  
ლაობას აძლევდა.



წაფულმა გაიარა, ცა შეიკრა, ღრუბლები ჩამოწვა და წვიმები დაიწყო. ექსპედიციამ მუშაობა შეწყვიტა და თბილისში დასაბრუნებლად მოემზადა.

ექსპედიციის უყანასკნელი დღე გვიანი შემოდგომის დღეს გავდა. წვიმდა, ნაკვალავარი ნივსლში იყო გაბვეული, თბილისიდან მანქანას ველოდებოდით. ექსპედიციის წევრების ბარგი და ექსპონატებით სავსე უთუბი შევარული და დასატვირთად იყო გამზადებული.

„ქანტორაში“ უწყისები იყო ვადაშლილი, მუშები შემოდდიოდნენ, უწყისებში ხელს აწერდნენ და უყანასკნელ ბედფასს დებულობდნენ. გიგლამ შემოიბრინა, თავზე წამოხურული ტოპარა მოიკალა, გაღებულმა შემოგვხვდა და უწყისში თავისი გვარი მოძებნა. უცერად სახე შეეცვალა და ღიმილი გაუქრა. გაურკვეველობის ვითარება შეიქმნა. მწემ განმარტება არ დააუოვნა — ერთი კვირის წინ გიგლას ექსპედიციისათვის პროდუქტები ამოუტანია, მწეს აუწონია და ნაუღები აღმოჩენილია გიგლასათვის არაფერი უკაზმავს, დაკლებული პროდუქტის დირებულება მისი ბედფასიდან დაუქვი თავს.

გიგლამ ჩაღაცის თქმა დააიბრა, მაგრამ ექსპედიციის წევრთა ცოვი და უგულისურრო გამომეტყველება რომ დაინახა, ზელა ჩააქნია და აივანზე გაეიდა.

გიგლას ზმა არ ამოუღია. აივანზე მოაჭირის ზომს მიერადნო. ქვევით, გასამგზავრებლად გამზადებულ მანქანას გახედა და თვალეზი ცრეზლებით აევიზო.

— ყველა მანქანაზე იქდა და მე შელოდებოდა. სანამ მანქანაზე მივიდოდი, ნაკვალავარიდან ვადმოყრილ სველ მიწაში მუქი ფერის პატარა ნივთი დავინახე, XIII ს-ის ადგილობრავ მოტრილი რუსულაწნის მონეტა იყო. არც დადუნულევიარ — ეშმაქსაც წაუღია! — გავიფიქრე და მანქანაზე ავიდი.

მოხსენებელი

ოშის ხანაწინებლა ბრძოლის ველზე და მოსპიტაღში ჩანს, უშუალოდ, ზელმუსსახებად, მთელი თავისი შემწარაობით და სიმამნიწით. დღეში რამდენიმე ცხედარი გააქვთ და ქალაქის განაპირა, გაუქმებულ სსახფლას გვერდით მანბავენ, ტრბად მინდორში, ცხედრები ადრე ეუბოზებით მიქონდნო, ეხლა ის ერთ ფსკარზეა დაკრული და ასე სხვენებუნ მიწაში, არც გამპილებელი და, რა თქმა უნდა, არც დამტირებელი.

დასაბოწრებული მებრძოლები თეთრი ბინტით გადაჭვერულები წვანან, ან დაღიან, ვისაც აშადენი შეუქლია. დაღიან გამბორტებულნი და ზოღმა მოტრულნი.

აღარ არსებობენ ისაყ ხაზელის ხიდოროვე-

ბი, რომლებსაც „სახელმწიფო სისტემე ატივებდა“, „მოწვენილობა გონებუქ [ქვერუდუქ]“, იტალიაში რევოლუციურ გადატრულეებქ შექმტრცნებებს „უოქმედობა“ ხელს უნუთავდა.

ზოღმა და უმოქმედობა ამათაც აგიუბით და ბრძოლის თინი ენენიც არანა შეუკრბოლინი. მაგრამ ეს თინი განახები და გარკვეული მიწუწითაა გამოწვეული და გარკვეული მიმართულებით არის მიმართული, ეს ქოქრბითი გერმანიაშ წამოიწყო, პირველად ის დაეცა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, ფიურერმა მოუწოდა თავის ხალხს — დაუნდობლობისა და შეუწინარებლობისაკენ [სო, ჩვენ ბარბაროსები ვართ, და გვინდა, რომ ბარბაროსები ვაყვიო!] „ესბროღეთ, მე ვაგებ პასუხს!“. მრავალრიცხოვანმა, ყველაზედ შეიარაღებულმა და ორგანიზებულიმა არმიაშ გადათიღა ეველები, ქალაქები, და სოფლები, ააწიოკა მოსახლეობა.

ჩვენი პროპაგანდა აღვივებს ამ ცეცხლს და გამბორტებისა და ბრძოლის თინს.

მიუხედავად მკაცრი ზომებისა, არაყი მაინც „იხარება“ მოსპიტაღის შენობაში, საოცარი ოსტატობით შემოაქვთ, არაყი აღუნებს ადამიანის ნერვებს, ადუნებს თვითონტროლის უნარს და დაგუბებული ვნებები მთელი ძალით გადამოღის წამიტბიდან და მობოქილი ნაღვარით მოედინება.

ერთმა წამოიწყო ისტერიული ტარბილი, რომელიც ლანძღვა-გინებში გადავიდა. მას მთელი პალატა აშუვა, შემდეგ მთელი საავადმყოფო. დაჭრილები საწილებიდან წამოიცივდნენ გარეთ გაიქცნენ. ვინც ვერა დგებოდა — ხაწოლშივე ბორგავდა, ზელებს იმტრედა და იგრებდა.

ფანტრიდან მოჩანდა — ბოგორ ხტებოდნენ პერში, რომ მიწაზე დანარცებულიყვენ, ქვეფნიღზე დაცემულიყვენ, ყავარქნებს იქნევენდნენ, რომ ექიმები და სანიტარები ახლო არ მიეშვით.

...ოთბში თავშეკავებული ხმაურია, ყველა შემფოთებულია — ექიმები, ექთანები, სანიტარები. მშიმედ დაჭრილები შემოიყვანეს თუ შემოიტანეს საკაცებით. ერთი ჩვენებური აღმონდა, გორიდან, ჩამდენიმე დღის შემდეგ თავი წარმოგვიდგინა.

— მე?! დაბდიშვილი ვარ, სერგო მქვიან, ქარში ვაწვევამდე ტყავის ქარბანაში ვფუშობდი!

გამოუნელებლად მოტრალია და გაუთავებელი გაეციხვისა და შენიშვნების საგანი.

ჩემს ვაბრტებულ ფანტაზიაში კი სერგომ ძველი თბილისის დაბაღთა საამქროების სურათი გააცოცხლა, ძველი თბილისის ლიტერატურული მოქმეა —

სიათონოვა მქვიან, არტონი ვარ ანაბანა ეტო, სიქმით წინა ვარ.



ანდა:  
დამოსბი, დამალეინე ეგ ლენო ობერტილი,  
ეგების წაღმა ვიფიქრო, ქვეყნის უკულმა  
ტრიალი.

ცეცხლითა და მახვილით შეიარაღებულ  
მკლავს, და ადამიანების თავებზე ვეჭურდუსკი  
ზინზლინიონეჰ

შინში

და ერთი წუთით არ შეპარება ეგვი, რომ  
ამ სერგოს ისეთივე ძლიერი სურვილი და სა-  
ამისო სახაზი შეიადგება მქონდეს ქვეყნის უკუ-  
ღმა ტრიალის შეფერადებისა და გულის ვა-  
რამის ჭიხვის რქაში ჩაქვლით.

სისხლი

...ღამე სისხლი მებისზმრა, ჩემს მიერ დად-  
ვრილი სისხლი, ომის დაწყებამდე ოთხი წლით  
ადრე, მცხეთის მონასტერში. ეს სისხლი პარ-  
ველად 1941 წლის დეკემბერში გააშხენდა,  
ჩვენი დივიზია რომ ფრონტზე მიდიოდა და მა-  
ტარებელმა მცხეთას ჩაუარა. სვეტიცხოველისა  
და მცხეთის ქუჩის კონტურებს რომ შევხედე,  
ოთხი წლის წინანდელი ზაფხული წარმომიდგა  
თვალწინ, ძალიან ნათლად, ცხოვლად, „ჩემი  
სამუაროს“ ერთი პატარა, მაგრამ ძალიან მნი-  
შველდოვანი მონაკვეთი, ერთი უბედინაერის  
ზაფხული ჩემს ცხოვრებაში.

სოფლის ტყის პირად, ცივი, აწყარა წყარო,  
გამოყვანილი თამარ მეთეს მწიგნობართ-უხუ-  
ცების ანტონის შიერ; სოფლის ბოლოს  
XVII ს-ის ეკლესია.

პატარა დალი ეზოში დარბოდა და სახლის  
პატრონის სეტრის თამაშებოდა. დედა რომ  
დასაძინებლად ჩააწვედა, ის დადი თვალბოთ  
შეცურებდა ცის გუმბაოს, დღე — უსრდეგა-  
ნო საშუაროს, ღამე — ვარსკვლავებით მოქუ-  
დილ ცას. ნადირობის სეზონი იყო და მთელი  
სოფელი ნადირობდა. ტყის პირას ქაგნარში  
— ტყის ქაომა, დაბლობში — სიმინდის უა-  
ნები და მწურთა. „კუკუეი ფუბის ხმა“, შევა-  
ძინე ცალღულიანი გადსახსნიელი სანადირო  
თოფა და მინდორს ვავედი.

წინ წაბლისფერი სეტრი გარბოდა, უკან  
სახლის პატრონი ქიტებს მოჰყვებოდა — სა-  
კუთარი თვალთ უნდოდა ენა — „რა ბიჭი  
ვიყავი! პირველივე გასროლავ ქვასავით და-  
ემევა მწურთა და ბლახებში ჩაიძირა. მივედი,  
მწურთა ხელში ავიღე (თუ ავაყვანი, ჭრ ცო-  
ცხალი იყო), თვალებს ნახავდა, ზედ ყვითელი  
ჭრთუთობი მქონდა გადაკრული. ხელზე სის-  
ხლის კვალი დამაჩნდა, ჩემს მიერ დაღვრილი  
სისხლის კვალი.

ის წლიწადი მჩინებანე წელიწადი იყო, ძა-  
ლიან მჩინებანე და სულ ორიოდ თვის შემ-  
დედ მიწია დაღვრილი სისხლის ცოფავს.

გოლიათი მკლავს იქნედა, სიცოცხლეშვიე  
შეძებულ მკლავს —

გუშინ დაბობებს ქალაქი, რომელშიც ჩვენი  
ბოსპიტალია მოთავსებული. მე მაღალი სიციხე  
მქონდა და შინის ძლიერმა გრძნობამ შემიპ-  
ურა. ფრონტზე შინი ადამიანის მუდმივი თან-  
მხლები და მომხებრებელი გრძნობაა, მაგრამ  
ვიღწე და ბოსპიტალი სხვადასხვაგვარად გა-  
ნიცდება. ვიღწე — საღვლე გაოქცევი, ოხრი-  
ღში ან ბუნეტში შევატრებ თავს. აქ მწო-  
ლიარე ავადმყოფი და უძღურა, იმის ფიქრში  
ხარ, ბოში საღვლე ახლოც რომ დაეცეს, შე-  
ნობა დაინტრევა, ჭირი თავზე დაგებობა და  
ცოცხლად დაგმარხავს.

შინის გრძნობა პირველად ბავშვობაში გან-  
ვიცდიე და მამინე გავიგე — რა არის მასო-  
ბრივი შინი. გორი რომ დაინტრა, თბილისში  
მიწისძვრა რამდენჯერმე გამეორდა. სასოწარ-  
კეთილი ხალხი ბინებიდან და სახლებიდან  
გარეთ გამოხრბოდა, კისკრებთან და სადარბაზო-  
ებში დაკიდული ზარბიბს წყრიალი ისმოდა და,  
როგორც შემიღვს ლამარკობდენ, მიწის სიღ-  
რშიდან გრიალის ხმაც ამოდიოდა.

ოცნა წლებში შინი ჩემს ცნობიერებაში  
ლიტერატურული გზითაც შეშვივია, სტეფან  
ცვაივის ახვე საბელწოდების ნაწარმოებით,  
რომელიც ამ დროს ყველაზე პოპულარული  
მწერალი იყო საბჭოთა კავშირში. აქ ახალგა-  
ზრდა ქალის განცდები იყო გადმოცემული,  
რომელიც ქმარს დაატობდა და შინის სა-  
ოცარ გრძნობას განცდიდა საყვარელ მამა-  
კაცთან უკველი პეტანის დროს.


...1980 წელს დაიწერა და მრავალ თეატრში  
დაიდგა აღ. აფინოგენოვის პიესა „შინი“. წა-  
რმოდგენამ ფართო ურთაღდება დაიშახურა  
მასურებლისა და პრესის მხრივ.

ჭველი ინტელიგენციის წარმომადგენელი,  
პროფესორი ბორიღინი, რომელიც საბცნიერ-  
რო დაწინებულების ხელმძღვანელობს, კურდ-  
ლის ბოცერებზე ხანგრძლივი ცდებისა და  
დაკვირვების შემდეგ მიიღს დასკვნამდე, რომ  
უკველი ცოცხალი ორგანიზმი და, მათ შორის  
ადამიანი, უკველი მოქმედებისა და ქცევის  
განმსაზღვრედ ძალას შინი წარმოადგენს.

სცენაზე დგას კათედრა, რომელზედაც ადის  
პროფესორი და თავის დასკვნებს თანაშტრო.  
მღებებს უზიარებს. მისი ლამარკი ისმის, რა  
თქმა უნდა, მასურებელია დარბაზშიც.

პიესის აზრი და ავტორის პათოსი იქითაა მიმა-  
რთული, რომ ეს დებულება გამათილდებს და  
სასურველია — მასურებელზე უფრო იმპი-  
ტური ზემოქმედების მიწნით, — გამათილდებს  
საზოგადოების ისეთი ფენების წარმომადგენ-

მკლავი გაქვს იმედინი,  
არასდროს გაიდრეკება —



ღისაჯან, რომელიც შალვა კლასობრივი შეგნებით თუ ინტიქტით იქნება დაქილდოვებული. ასეთი პერსონაჟი პიესაში სანიტარი ქაღალა, რომელსაც თავზე წოხილი თავშალი აქვს წაკრული და ზოროდინის ხიტყვის დამთავრების შემდეგ, დიწხად და თავდაქრებულად აღის კეთილდარაჯი.

მეურნეობელი, მისი დიდი უმრავლესობა, სანიტარი ქაღალაში იყო სინაპოიით გაწეული. ლი და აღფრთოვანებული ტაშს უტრავდა.

მე მეტყველებოდა, რომ პიესა ისეთი ოსტატობით იყო დაწერილი და დადგმული, რომ სპიასისპირო დასვენების გამოტანის შეზამდებლობასაც იძლეოდა.

სტექტაკლის ნახვიდან ორიოდ წელიწადში გაიარა და...

მთელი საზოგადოება რეალურმა, ცხოვრებისეულმა, ადამიანის არსების შემქმნელმა, გულთან და სულის მღრღნელმა შიშმა მოიცვა — ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, უნახავმა და წარმოუდგენელმა, შეურაცხველმა და პიროვნების გაშქელავმა შიშმა.

ადამიანები კერძოდლის ბოცვრებზე იქცნენ, საზოგადოება — ცხვრის ფარად.

...თბილისში საწვიმო ვითარება — არჩევნები მამდინარეობს „საოცდელითა და ფარულა“ კენჭის ურით, „ჩანდისისა და არჩევანის სრული თავისუფლებით“. საარჩევნო უზნებთან ორკენტირება უტრავს, მოცეცხვება ანახაბლერების წევრები არიოზენ საბარელითა აღტაცებულ ამომარჩევლებს. ამას რუსთაველის საიუბილეო შვადება ემატება — საიუბილეო შვადებაში მთელი საზოგადოება მონაწილეობს, საქართველოს კონსტიტუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებები.

...დაიწყო წელ-წელი. თბილისში ხმა სიაცარი სისწრაფით ვრცელდება. დიდიო გამოხვალ სახლიდან — „ეს წაიყვანეს“, „ეს წაიყვანეს“. პირველ ხანებში „ეს“ და „ის“ პარტოულებს ეტება, პოსტებზე მეოფებს, დასახლებულ და თანამდებობებზე მეოფე პარტოულებს.

შემდეგ ტალღა ფაროვდება და ყოველი ოჯახის კარის წინ ჩერდება, ხახადაფრენილი ურჩხულავით.

დღისით დაწესებულებიდან მიშავათ, უფრო ხშირად — ღამით აწრიალებული ოჯახებიდან. დაწესებულებებში დირექტორები თვეში ერთხელ იცვლიან, ოჯახები — ცარიელდება, მიდიან და ადარ ბრუნდებიან. უკალოდ იყარგებიან ამბოჰკრებულ და გამოწინვარებულ მოჩრეშა.

დაბატონებულთა გადასყვანი ავტომატანები შვადლა შედებოდა — დროისა და გამოყენების მიზნების შესაბამისად — და მათ მოსაძლეობამ „შავი ბილყავები“ შეიარქვა. მათი საყვირების ხმა შემწარავად ისმის ღამის სიმეფ-

დროეში, კიდევ უფრო შემწარავით მათ გაჩერება რომელიც სახლის წინ, მამდინარეობს არ სძინავთ, დაუძლეველი შენება ვრცელ შეპურობდნი — ვის ბინაში შეტყურობის და ვინ გახდება ამქრება მსხვერპლი.

— შიში — ადამიანური არსებობის ფორმად იქცა და თავის ქალებში ჩადგმულ ფარფიტებზე მხოლოდ ეს ოთხი ასოღა აღმეჭვილი — შიში შიში!

დაბატონებულთა „ხალხის მტრია“, „მადნებელი“, „სამშობლოს მოღალატე“. ეს სიტყვების სოცელ ნახაზე ისმის, მთელი ქვეყანა მავნებლებითა და ხალხის მტრებით მოცულია. ათასგვარი კორები ვრცელდება და არავინ იცის — საიდან მომდინარეობს ეს კორები!

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე წყალსადენის მოწამვლას ამიარება, ე. ა. მთელი მოსახლეობის ამოწყვეტას ფიქრობდა. მაგრამ დროზე მიუწერს, და უღანაშალო ხალხი გადაარჩინეს. აი, რანი არიან მავნებლები, და რანი ასინი, ვისაც ღამები არ სძინავს და ხალხის ინტერესებს იცავს, იცავს ციცხლითა და მახვილით.

ამატონებენ „ხალხის მტრის“ ოჯახის წევრებსაც, მათი სასწეული დაჯანონებულთა სისხლის სამართლის კოდექსის საგანგებო მუხლით — გადასაღება და საკონცენტრაციო ხანაებში მოთავსება ნ.დან მ.წლამდე.


გადარჩენილ ოჯახის წევრებს ბინებიდან ქუჩებში ურას, საოჯახო ნივთებს კონფისკაციის უფლებენ, განაოვისუფლებულ ბინებში „თავის ხალხს“ ასახლებენ.

„ხალხის მტრების ოჯახის წევრთა“ ცხოვრება აუტანელი ზდება. შიშით ვერავინ ევარება, როგორც კეთილდარაჯებს, და მოუვასის ზელს ვერავინ უწყდის. ქუჩაში შემოზვერილი შეხვედრის დროს პირს არადებენ და გვერდით ჩაუვლიან.

უპატრონოდ დარჩენილ ზავშვებზე თვით სახელმწიფო აჩრუნებს, მათ „სახელოვან მოქალაქეობად“ აღზრდიან; ოჯახის სრულწლოვან წევრებს და დაწესებულებიდან „მოუვლიან“, სადაც სწავლობენ, ან მუშაობენ, ერთადერთი ხანა — „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრობის“ ღაქის ჩამორცხვისათვის — „ხალხის მტრისაგან“ საქარო გამოქვანა და მისი გაციცხვა — სულ ერთია, ვინ იქნება — მამა, დედა, შვილი, ძმა, და. თუ მეუღლე.

— და აი, ერთ ღამეს „შავი ბილყავი“ ჩემი სახლის კარებთან ვარჩადა, ჩემიანი ფეხების ხმაური ჩემს აივანზე გაისმა და „გაუდრეკავმა მკლავმა“ ჩემი ბინის კარები შემოაღო. შემოაღო და ოჯახს ორად გაიყო — ერთი ნახევარი „იქით“ აღმორჩადა, ტანჯვისა და წამების „სამურობის“, მეორე — „უტორობისა“ — დარღისა, ზრუნვისა და მოლოდინის ევლე.

ბიწიერებასა, ცოდვასა, გაჰიკრებასა და ზრუ-



ნება შორახ, რომლებიც უაუსტს ჰოლანა ქალე-  
ბის ხაზით მოკვდიანინამ გარეგარეზე. ის გან-  
სხვადება, რომ ზრუნვა „კლბის ნებრეტშიც  
კი პერება“ უკველი ადამიანის სულში ასარე-  
ვა, მასში მყარად „სახლდება“ და უკველივე  
წუხადიანი იფარება. ზრუნვაში მოცული ადა-  
მიანობის „ადარც აისია და ადარც დაიხი“;  
მის გულს მწუხარება ეუფლება უსიხარული  
აქმუროს და შოლოდ მოლოდინი, დაუხრულე-  
ბელი მოლოდინი — მომავალი.

შემთხვევით არაა, რომ ქრისტიანული მოძ-  
ღერეა თავიუფლებად ხალხებს საკუთარ მე-  
ღზე ზრუნვისაგან: „ნუ შრუნავთ და იტყვიან:  
რამ ვქამით, ანუ რამ ვხუათ, ან რამ შევიმო-  
ხათ? (მათ. 6. 31); „რამეთუ... მამამ თქუ-  
ენმან იცის, რამ გიუმს ამათ უკველიაგანი“  
(ლუკა 12. 30).

ზრუნვისაგან განთავისუფლებას ხალხებს  
ჩვენსა უპირდებით, მიმდევრები თომას მიუნ-  
ცერისა, რომელიც ოცნებობდა საპოთხე ზეცი-  
დან ამქვენად ჩამოტანა და აქ განტორციე-  
ლებიან.

ჩვენი ცხოვრებაც ზრუნვისაგან განთავისუ-  
ფლებიან დაპირება, საბელმწიფო იღებს თავ-  
ისთანაზე ადამიანთა კეთილდღეობაზე ფაქრს,  
შრომობების დახატებას, მინებით უზრუნ-  
ველყოფას. მომარაგებას — ტანსაცმლით, სა-  
კვებით; საბელმწიფო ფაქრობს მონახლეობას  
განმრთელობაზე, დახვეწებაზე, სწავლა-განთ-  
ლებაზე, გახართობებზე, ზრუნავს ქვეყნის მა-  
რთვაზე, შეიარაღებაზეც და კართოფილის აღე-  
ბაზეც.

შე კი დავრჩი ჩემი ზრუნვისა და მო-  
ლოდინის ანაბრად, დაუხრულებელი, გულიან  
და სულის მღრღნელი მოლოდინით — იმ დღი-  
დან დღევანდლამდე, როდესაც მოსიკატალიში  
ვწვევარ და დაქრადების კენებს ვისმერ.

საზოგადოებრივი ცხოვრების ამღვრევისა და  
საკრედიტო შიშის პირობებში ზოგი მთლიან-  
ად ხულებრი ქაფშით იშობება, ზოგი, პირი-  
ქით, კარგავს „ადამილის უნარს“ და შიშელ-  
დება კვლარ იყვებს ვნებებს, განსაკუთრებით  
მღამად ვნებებს, როგორც ინტენსივობისაც არ  
უნდა იყოს ეს ვნებები და როგორც არ უნ-  
და იყოს მათი გამოვლენის ფორმები.

ვნებები იღვიძებენ საოცარი სიცოცხლის  
უნარიანობით.

ენ თვისი დირექტორის თანამდებობაზე  
ოცნებობს და „ჩანაფრებული“ კლის შესადე-  
რის დროს, რომ ცხოვრებაში ერთი „შინშენე-  
ლოვანი“ ნახტომი ვაკეთობს და ერთი სიფე-  
ხურით ამალდებს საზოგადოებრივი ცხოვრე-  
ბის იერარქიულ წყობაში ვის მერობლის ფა-  
რთო ბინა არ ამლევს მოხვეწებას. რამდენია,  
რომ წაფხურს საბელმწიფო აგარაკებზე ატა-  
რებს, და რამდენია — ქალაქის სიცხეში რომ  
იხუთება და არც იშისი უნარი ვაჩინა, რომ

საკუთარი ვნებები დათრფუნოს, და სულის  
მღრღნელი გრძობებისაგან განთავისუფლდეს!  
„არა და, დღე არ გაკველია, რომელიცე  
არ დაიხატებინოს, ამდენივე ოქმის ნებებად  
არ გამოასახლებს და ახალი მონიხარებები არ  
ჩაასახლონ. თანამდებობათა ახეული ადგილები  
არ განთავისუფლებს და ამდენივე ახალი პი-  
როვნება თანამდებობაზე არ დანიშნოს.

მართალია, არც ის იცის ვინმემ — რატომ  
ერთი განთავისუფლებს და მეორე დანიშნენ.  
ერთი ოქმის გამოასახლებს და მეორე ჩაახა-  
ლებს, მეგრამ ვინ გვაცხობს პასუხს ამ კახუბ-  
რზე, ანდა რა მნიშვნელობა აქვს ამ პასუხს.  
მნიშვნელობა იმას ექნება — შენ რომ დავა-  
პატიმრებენ და შენს ოქმის გამოასახლებენ,  
ანდა — უკეთეს თანამდებობაზე რომ დაუნიშ-  
ნავენ და უკეთეს ბინაში ჩაგასახლებენ! და  
იმისათვის — ხეამ რომ არ დაგასწაროს —  
ერთი ნაცადი, საიმედო და უტუარო ხერხი  
არხებობს — ანონიმური წერილი, მიმართული  
„სადაც ჭერ არს“.

რა უნდა, ბოლოს და ბოლოს, ანონიმური წე-  
რილის დაწერას! დღეს წერა უკველამ ვიციო.  
დაწერა — არაფერს გვაჯადოებულდებს. ანო-  
ნიმური წერილისათვის არც „გავფარვარდები-  
ან“ და არც დავფიქრან, პირიქით, დიდი სიამოე-  
ნებით წაიკითხავენ და გულის ხიდრმეში მად-  
ლობისაყ გვეტყვან „ხალხის მტრის“ მხელე-  
ბაში დახმარებისათვის. შედეგი კი ისეთი შე-  
იძლება გამოიღოს, რომ შოელი სიცოცხლის  
ოცნება ირ დღეში ავისრულდეს!

არც ის იცის ვინმემ — ანს კიდევ რა მომ-  
კვება და აღზავის გავყვირდება — ერთი კვი-  
რის ჩამოსახლებული ოქმის რომ ისევ გამო-  
სახლონ და უარეს საზღაფეში ჩაახალონ. მა-  
გრამ ასე შორს არავინ იუფრება და ანონიმუ-  
რი წერილებს წერა და გზავნა რჩება უდაღერ  
ცოფუნებად.

სხვისი დარღვისა და სიხარულის ვანცლის  
დროს, რომლებიც ბუნებრივად იწვევენ სხე-  
ბში თანამდრობას, თუ თანაგრძობობას, ცნობილი  
ფსიქოლოგიური კანონი მოქმედებს. ცრემლიან  
სახერ რომ ვხედავ, სხვის მწუხარებას ვანცი-  
დებ, რადგან ცრემლებს ჩემში სამწუხარო  
ფაქტორი იწვევს. სხვისი მომღიმარე ხაზე —  
სიხარულის მომისწავებელია და აქაც ამიტომ,  
რომ ამგვარი დასკვნა საბოლოოდ ჩემი თვით-  
დაკვირვებიდან მომდინარეობს.

ამ „მომიწვარე წელს“ ადამიანები შოლოდ  
სამწუხარო ვანცლებით იყვენენ მოცულნი და  
მათი გამომწვევი მიზეზის ძიებას დიდი მოხვე-  
დამ არ სჭირდებოდა.

ამ მამობრივი მწუხარების პირობებში ჩემ-  
თვის ისიც გახდა ნათელი, რომ განცდის ხომ-  
წვავე შოლოდ მის გამომწვევე ობიექტურ მი-  
ზეზებზე არაა დამოკიდებული. უკველი ადა-  
მიანი თავისებურად, განსხვავებული სიღრმით  
განცდის მწუხარებას და აქაც ისეთივე მრ-

ვალდებულებას აქვს ადგილი, როგორცაც თვითონ ჩვენთვის „საშუაოს“ შექმნის პირობებში.

ერთ დღეს ორი შორეული ნათესავი ქალი შემეხდა. ერთმა პირი აწარმოა და გვერდზე ჩამოარა, მისი ოჯახი ქვე კიდევ კეთილსამედობა და კეთილდღე ოჯახთა შორის ითვლებოდა და არ იყო პოლიტიკურად „შეღებული“ (ამ ოჯახმა ხუთ შალე დაქარგა ეს „სტატუსი“).

მეორე ზემზე აღარ მოხდა „კეთილგანა“ რაცხევა და პირის არიდებას აწირა აღარა ბქონდა. მას სასწავლებელი პეტერბურგში ბქონდა და მათაფრებულა და ერთ დროს რუსეთის ინტელიგენციის რევოლუციურად განწყობილ

წრეებში ტრიალებდა. მათმა იდეებმა იმდენად გაატაცა და მის ცნობიერებას იმდენად ღრმად კვალი დაარწია, რომ იმ დროს მისი დღეებში ლამდე ცხოვრებაში ამ იდეებით „დადიოდა“ და მას იმ დროს წაყიბული წიგნები და მისმნილი სიტყვები „დაატარებდა“.

ერთ ღამეს დაუბატობრენ მეთუღე და ვაფრ, რამდენიმე დღის შემდეგ — რძალი. ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი დაარჩა ზელზე.

რა თქმა უნდა, მწუხარებით იყო მოცული, მაგრამ...

— რას იზამ, დიდ საქმეებს დიდი მსხვერპლა სჭირდება!

□ ბაბრამეღია იმინბა □



## პარტი უზენაქანი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ ჯერ კიდევ პოეტის სიკოცხლეში მიიქცია მკვლევართა და კრიტიკოსთა ყურადღება. იქიდან დაწყებული დღემდე ვრცელდება პოეტის მდიდარი და ორიგინალური საგანძურის ინტენსიური კვლევა. მკითხველს ბელი მიუწოდებდა, ცნობილ მეცნიერთა დიდიანთან მონაგრავებზე, წერილებზე, სტატიებზე...

რაც შეეხება დიდი პოეტის ცხოვრების შესწავლას, იგი აშკარად ჩამორჩებოდა და დროს დაღწევა ვერ იღვა ამ ზარეკს ვლადარ ფსევლა ნახევარი საუკუნის წინათ გამოცემული სოლომონ ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველაც“ (1937).

ზედმეტად მიჯნა, იმაზე ლაბარავი, რომ ნებისმიერი დიდი მწერლის ცხოვრების ცოდნის გარეშე შემოქმედების ობიექტური შესწავლა ძნელია და ზმირად მოკლეობს კიდევ აღნიშნულ ნაყლს ფსევლას ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის, გ. ზორნაულის ახალი წიგნი „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ („საქადელი“, 1987).

ვიღრე წიგნის შესაბამე ვილაბარაკებდეთ გვირდა ავტორის ერთუბარატეობას შეეხებით: იგი ვაჟა-ფშაველას მეზობელი სოფლიდან კაწალაბევიდან არის და ჯერ კიდევ მის პამარ, გოგორის ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა ვაჟა-ფშაველასთან, შემდეგ კი მისი მამა, ფოლკლორის ცნობილი შემკრები ივ. ზორნაული მეგობრობდა ვაჟა-ფშაველას შეილთან, თავის თანატოლ ვ. რაზიკაშვილთან და ბოლოს თვითონ ავტორი, გ. ზორნაული, როგორც მკვლევარი, ამავე რეგიონში ხანგრძლივად აწარმოებდა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალების შეკრებას, ყველაფერი ეს კი მის საშუალებას აძლევდა, ვაჟა-ფშაველას შესაბამე ბეჭედი რამ ისეთი ენაბა მოესმინა და ჩეწერა, რაც წიგნებში დღემდე არ მოგვეპოვება და მკითხველისათვისაც ახალია.

გაციონილი გადმოცემების გარდა, წიგნში შეტანილია დიდი პოეტის მოქმედი მთარბეღლიანი მოგონებები, შთაბეჭდილებები და შესაბამისი კომენტარები...

დიდი აღმინების მიმართ მთარბეღლები ზმირად ტენდენციურები არიან. ფაქტებს თა-

ვისებურად აღამაზებენ, აზვიადებენ, ბოლო რვე შემთხვევაში კი საყუთარი შეხედულები-სამებარ ამრტებენ კიდევ, მიტომ იყო, რომ პოეტის ცხოვრებასთან დაყუთირებული ერთი და იგივე ამბავი ზოგჯერ სხედასტინიორად ჰქონდათ მკვლევარებს ფეწარებელი.

გ. ზორნაულია შესანიშნავად იყის აქაური წეს-ჩვეულებები და დიალექტი, იცნობს მოსახლეობას და წარმატებით აბრახებს სანდო მთარბეღლების შერჩევას, მიუბეღავდ ამისა, იგი მაინც ფრტობილად ეკიდება ხალხში მოპოვებულ მასალას. კრიტიკულად უპირისპირებს მის საარტიკო თუ სხვა დოკუმენტებს და ამ გზით ცდილობს ჰემმარტიტებს დადგენას ან დაზუსტებას.

ამათარ ერთად ივტორს არც აბრე გამოქვეყნებელი მასალი გამოუვეენებია უკრიტიკოდ, გვერდი თვლია ან შეუმოკლება ზოგჯერ ისეთი ვრცელი გადმოცემა, რომელიც აბრევე ცნობილი ფაქტის უკუმრად განყოებას წარმოადგენდა და პოეტის ცხოვრებაზე აბლას არაფერს გვეუბნებოდა. სწორად მოქცეულია რთულსაც ურთიერთდაპირისპირებელი ცნობებიდან სავეტი ვეუბნელი და მეცნიერული გაანალიზების შემდეგ სანდო მასალა შემოუტინია წიგნში.

ამრდაც, საჩეეწშიო წიგნში თავმოყრილია, ერთის მხრეც, მკითხველისათვის აბრევე ცნობილი, სხედასტინი და სხედასტინი ავტორის მიერ გამოქვეყნებული მასალები და საარტიკო დოკუმენტები, ბოლო მეორეს მხრეც, თვით გ. ზორნაულის მიერ ხანგრძლივი მუშაობით მოპოვებული გადმოცემები და მოგონებები, სანდო ორფორმარტობა მოსაზრებები, ბოლო ვეუდაფერი ეს კი ერთ ჰრდილშია მოქცეული და დამყოებლად გაანალიზებული, რაც უდავოდ შეუწყობს ბელს დიდი პოეტის ბიოგრაფიის დადგენასა და შემოქმედების სწორად გაგებას.

ნებისმიერი მწერლის ცხოვრების მეცნიერულად შესწავლა ცხადია მისი შემოქმედების კვლევისაუ ეწმასტრება. ეს მით უმეტეს ითქმის ისეთი თავისებური სტილისა და შეთოდის პოეტზე როგორც ვაჟა-ფშაველი. დიდი პოეტის შემოქმედებაში გაარემოდან და პირადი ცხოვრებიდან მომდინარე მოტეებზე მკვლევარები აბრევე მოუთითებდნენ, მგარამ საარეცენზიო წიგნის უპირატესობა ის გა-

გ. ზორნაული — ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, „საქადელი“, 1987.



ლეთ, რომ ამ პერიოდს დამაჯერებლად არის მიგნებული და ფიქსირებული ამ თუ იმ მოტივის თუ ცალკეულ ნაწარმოებთა ცნობრების დელი საფუძველს, თქმა ავტორის ყველა გაბედულ მისაზრებას მკითხველი შეიძლება ვერ დაეთანხმოს, მაგრამ კლუვის მეთოდური და მკვლევარის პოზიცია სწორად მიგვაჩნია. საბუნებისმეტყველო წიგნის გაცნობის შემდეგ მკითხველს მოუწევს ახალი თვლით შეხედოს ვაჟაფშაველას შემოქმედების ცალკეულ სფეროებსა თუ კონკრეტულ ნაწარმოებებს, გაითვალისწინოს პოეტის გუნება-აღმწობა და უფრო ღრმად ჩასწვდეს მის სულიერ სამყაროს, სრულიად შეიცნოს გენიისის ამაღლებული საკაცობრივი იდეები.

წიგნი თავიდან ბოლომდე ქრონოლოგიურ პრინციპზეა აყრდნობილი და მკითხველს შესაძლებლობა შეძლავს დიდი პოეტის წინამართა ვინაობის გარკვევით იყუება. ავტორი ანალიზებს მის ხელთ არსებულ გადმოცემებსა და მკვლევართა მონაზრებებს, ხოლო ძირითადად მიიწე თვითონ ვაჟაფშაველას, მისი მამის — პავლეს ძეგისა და მშობლებს ჩანაწერებსა და საგვარო კვლევებს (ანტირეზი) ეყრდნობა.

აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, რომ პოეტის წინამართა, მტერთა შემოსევებისა თუ სხვა მიზეზების გამო, არაერთხელ გამოუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი და ბოლოს ს. ჩარგალიში დამკვიდრებულან, ასევე გამოუცვლიათ გვარიც. იგი ერთ-ერთი გამოჩენილი წინამართა სახელიდან — რაზიკაიანს უწინამართაობით. ადრე კი ისინი როგორც წერლობითი წყაროების, ისე ძველი სამღერებთა და საოჯახო გადმოცემების მიხედვით მთაში გატყველებულ გოგოჭურბებს გვარს ეუფლებოდნენ.

ერთი რამ აშკარად ჩანს, — წერის ავტორი — რაზიკაიანი წინამართი ვაკოპურია“ (გვ. 10). როგორც ცნობილია, ხეტურული გვარები ძე-ზე და შვილ-ზე არ ბოლოვდებიან, ამ მხრივ ისინი კონსერვატორებად გვევლინებიან. მთის სხვა კუთხეებში კი სხვათა ვითარებასთან გვაქვს საქმე: ძველი სათემო გვარები ზოგან მთლად ამოვარდა ხშირბიდან, ზოგან კი — დარჩა, მაგრამ განმტოვებები გამოიყო. ახალ გვარებს უფრო ხშირად სახელოვანი წინამართის სახელიდან აწარმოებდნენ, მაგალითად, შიოლაიან — შიოლაშვილი, ქამრულიან — ქამრულიძე, მგელიაიან — მგელიაშვილი და სხვ.

აღნიშნული პარაკეტი განსაუვრებელი ფინიციის არის დამაბნელებელი, აქ არა მარტო გვირ წინამართა სახელებიდან, არამედ შერქმეული (ხელმეტი) სახელებიდანაც კი უწინამართობით ძირბაღმავლი, ბეკოშვილი, არბუშვილი და სხვა მსგავსი გვარები, ცხადია, ყველა მათგანმა იყის თავისი ადრინდელი სათემო გვარი და ბევრმა ამ ბოლო დროს აღიდგინა კიდევ.

ავტორი, როდესაც რაზიკაიანილების გოგო-

ჭურბებიდან ჩამომავლობის საკითხს ეხება, აღნიშნავს, რომ ეს გვარი ამჟამინდელი გვარსებრივად შენარჩუნებულია. რააკაიანი სიტყვამ მოიტანა, უნდა ვთქვა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამკვიდრებულ სახელებთან გვიწერია: „უფიქრობთ, ეს გვარი ვერ კიდევ მანამ არსებობდა, ვიდრე ფშავეისა და ხეტურეთის ცალკეულ ეთნიკურ ერთეულებად ფორმირება მიხდებოდა, ვიდრე ამ კუთხეს საერთო სახელი — ფშავი ერქვა“. ხოლო თუ ძველ წინამართა გვარსებრივად დაუწერებთ (გარკვევობით სხვა სახელით არაერთხელ გვაქვს), მამის ფშოვის ის ნაწილი, რომელსაც დღეს ხეტურეთის ჰქვია სწორედ ამ ნაწილიდან ვადარებ, ახლა რომ ფშავს ვუბნობთ, მაგრამ ამ ეთნოგრაფიულ საკითხს არ შეეხებოდათ, რადგან ფშოველთა ძველ სახელს გვირბეზე შექმნილ პოეზიას ვიცვლიდით, რამე რაზიკაიანი გვარის წინამართბთან მივყავართ, ეს არის და ეს.

ინსინუაციის მოყვარულებმა გვერდებს მიუთითებულად ვაკოპურებს დემოგოგია („კრიტიკა“, 1967, № 6, 125), თითქმის ემპირიკულად რომ ვაჟაფშაველა ფშაველი არ არის(?!), არ დავუჭრობი! ასეთი რამ მე არსად მიწერილია.

საქმე ის გახლავთ, რომ ადრე გვარისა და თემის ერთი სახელწოდება ჰქონდათ, ხოლო თემი კი, როგორც ამ ბოლო დროს დამაჯერებლად დამტკიცა პროფესორმა ზ. კიკნაძემ, ამა თუ იმ ლენინგოლის (ხატის) „საფშოში“ გაერთიანებას წარმოადგენდა. გოგოჭურბების განმტოვებათა სალოცავი კი მთის ყველა კუთხეში ადგილის დედად ან ადგილის დედალენობივლად მო-სწინებდა, თუ თემის ცალკეული წევრი რაღაც მიზეზის გამო სხვა რამელამე ხატის თემს შეუერთდებოდა, გვარისაც და სალოცავსაც იმ თემის დედალობდა, ხოლო თუ თემის გარკვეული ნაწილი თავისუფლად ადგილზე გადასახლდებოდა, მამამ ხატისაც და გვარისაც თავისას ინარჩუნებდა. ამის ატარებელი ფაქტია მთაში. ამასთან ერთად დაეკრებოდა იმის თქმის საფუძველსაც იქნებოდა რომ სალოცავი („საფშო“) უფრო დიდხანს სძლებს, ვიდრე — გვარი.

რააკაიანი თემს ხატის „უშობა“ აერთიანებდა, ამიტომ სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა საერთო სალოცავი და საერთო გვარი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი ერთი და იმავე ხატის „უშობი“, ერთი თემის განაყოფები არიან და ეს კარგად იკითხვით გვარსებრივად ჩამომავლებზე. თვითონ ვაჟაფშაველა იფიციალურ პრეტენზიებს აცხადებდა ხელისუფლების მიხედვითა წინაშე და სამამართლოს შეშევობით ცდილობდა, როგორც უშუალო შემკვიდრეს, ჩარგალულ გოგოჭურბთა (ადგილის დედის „უშობა“) მიწაწყალი დაებრუნებინა. საბუნებისმეტყველო წიგნი კი იმაზეც არს ლაბარა კი, რომ ძველი წინამართბის, ძმების — სულა



და კერძო გოგოპტრების კარ-მიღამის ვაჟა-ფშაველა ამუშავებდა (გვ. 118) და ფშავერ თემა შორის პირველად გოგოპტრების თემა ასახელებდა (იხ. V, გვ. 25, 1961).

გვარი გოგოპტრი წერილობით წყაროში პირველად 1750 წელს არის ფიქსირებული, თანაც იგი ერკლე II-ის „ჩრდელის კაიო“, ჩარგალური მამისმდე (იმედა) გოგოპტრია სწორედ ის სახელგანთქმული გმირი, რომლის დარჩულ კაქალაყ ვაჟა-ფშაველას ოჯახი მოსწრებია. ამ იმედის შვილი იყო — წერს პოეტის მამა პავლე — მამამწმის მამა ბერო“. იგივე იმედა გოგოპტრი საგმობო სიმღერებშია და გახეობაში იყუვ ჩაზიკას შვილადაც იხსენიება.

ამ რამ, პოეტმა ახალი გვარი, რაზიკაშვილი მე-18 საუკუნის შუაწლებიდან უნდა მოდიოდეს.

ავტორი კვლავდაკვალ მინდევს პოეტს და მისი ზოგრაფიის ყოველ მონაკვეთს დიდი პასუხისმგებლობით იკვლევს.

მკითხველს წინაშე დგება ქაბუჯი პოეტის თავისი ჰაბუჯური იდეალებით, ცოდნისყენ მადური ლტოლვით, ამაყი დაუოკებელი ბუნებით, უსამართლომასთან შეტრეცებლობით და კაცთმოყვარეობით.

ამ კოჩავდ არის განალიზებული თვითმწყობელობის მახინჯი საგანმანათლებლო სისტემა, თუმცა აქვეა ნაქვენები იმ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგთა და მეგობართა ნათელი სახეები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს პოეტის სულიერი სამყაროს განვითარებაში და იღუერად ჩამოყალიბების საქმეში.

ავტორი მართებულად ამბვილებს ყურადღებას იმ მასალებზე, რომლებიდანაც ირკვევა, თუ ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა როგორ უღლიდა გვერდს მამინდელ სქოლასტიკურად სსაწაელო პროგრამებს და ამათ ნაცვლად რა თავდადებითა და წარმატებით ეუფლებოდა რუსულსა და შოთხლიო ლიტერატურას, ფილოსოფიას...

სამაქერებლად არის დამახებებელი, თუ გორში სწავლის დროს რატომ დაუბლოცდა იგი ხალხისწებს და ან რა მიზეზის გამო არ გაქვეა მათ ბოლომდე.

ხელოკულობის გამო, ვაჟა-ფშაველა ვეღარ ახარებს სასურველი განათლებას ბოლომდე მიუოლას და ახალგაზრდული მიღალი იდეალებით, სამშობლოსა და ხალხსადმი სამსახურის ხალხაი სუბილუბით იწყებს მუშაობას სოფლის მამწაელებლად და აქედან იწყება პოეტის ცხოვრების გოლგოთაყ.

წიგნში დიდძალი მასალა იმის საილუსტრაციოდ მიმზობლი, თუ თვითმწყობელობის პიხელებსა და აფილობორუი მუცლადმულებს სახით რა ძლიერი წინააღმდეგობა შეეცახა ხი-

ლის სამსახურად გასულ სოფლის ახალგაზრდა მამწაელებელს.

ვაჟა-ფშაველამ მათი გამოცდილებები ბრძოლის იგი შოელი სოცოტლის მახინჯე აფრხლებდა, მიუხედავად იმისა, ერწიში მუშაობდა იგი, დიდ თონეთსა თუ საყეთარ სოფელ ჩარგალში.


კვლავან და ეუველთვის მეღვრად და შეუდრეკლად ებრძოდა პოეტი ქვეყნად დამკვიდრებულ ბოროტებსა და უსამართლობას, ხალხმშართული იყავდა დაბეჩაეებულ სოფელს ხალხს აფილობორუი ბოზოლა ნაძირაკუნებლად, მოხელებსა და ჩარგაქობებსაგან, ცდილობდა აუბირი“ სოფლელებს გათვითცხოზიერებასა და აფილის აბელს, თანატოლით იზიარებდა მათ ლბინსაც და ქირსაც.

ავტორს ახალი მასალებით შეუვსია ცნობები იმის შესახებ, თუ რა მიმიე პირობებში ეწეოდა პოეტი ცხოვრების ქაპანს, როგორ უქირდა მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენადაპურება და შეილუბის აღზრდა, ნათქვამია იმაზეც, რომ მისი გენიალური ქმნილებები, უნავითობის გამო, ხშირად ბუბრის სინათლეზე იყერებოდა შოელი დღე გუთნისდებდა ნამუშევარი პოეტის ხელით.

მ. ზორნაული ხშირად სრულიად საფუძვლიანად საყვედურობს ქართველ საზოგადოებას ვაჟა-ფშაველასადმი უუვრადღებობის გამო და მრავალ ფაქტზეც მიუთითებს, თუმცა ზოგჯერ შეცარად სკინ.

მაგალითად, ავტორი საყვედურობს ქართველთა შორის წ. კ. გამაყრელებელი საზოგადოების გამგეობასა და „ვეერი“ რედაქციის მუშაეურებს. პირველ მათგანს იმის გამო, რომ ვაჟა-ფშაველა არ დაიცევს და მამწაელებლობიდან გათავისუფლეს, ბოლო მეორეს კი ბრალად სდებს, თითქმის პოეტი მათ აბძულეს წამდელი „ვეერი“ რედაქციოდან.

ორივე ეს დამწესებულება ილიას მიერ იყო შექმნილი. მისი დამოკლებულება ვაჟა-ფშაველას მიმართ კარგადაა ცნობილი. ამიტომაც მართებულად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციულად დამკვიდრებულ ბრია დიდი ილია წინააღმდეგო იყო, რომ ვაჟა-ფშაველა ეურობაში გავგზავნათ, ან კანკლარიოდლიონოვნიკერ კაბინეტში ჩაეზოთ. ცხადია, ილია ითვალისწინებდა ახალგაზრდა შოელის ამაყ ბუნებას, იგი ხომ ორჯერ, — ჯერ ერწიში და შემდეგ დიდ თონეთში მოასწეინეს მამწაელებლობიდან აფილობორუი ბოზოლა ნაძირაკუნებში, მის ხომ პროვოკაციებს უწყობდნენ და მოკვლით ემუქრებოდნენ, ხოლო ახალგაზრდა მამწაელებელი კი ამ გადაკარგულ სოფელში საჩიერებისა თუ მამხინჯებელი კორესპონდენციების წერაზე აცდენდა დროს, დიდ ილიას კი ეს ახალი ნიჭი სწორედ იმად უნდოდა, რადაც იგი შემდეგ მოველინა საქართველოს და ილია



აქაც არ ცდებოდა, ხომ ფაქტია, რომ პოეტის საუბრითა ნაწარმოებები მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, რაც იგი ჩარგალიში დამკვიდრდა. და ბოლოს „ივერიის“ რედაქციის შესვეურებში ხომ იმაზე ორჯერ მეტი ხელფასი აღმოგვს, რაც სოფლის მასწავლებელს ეძლეოდა, იმ პირობით თუ პოეტი თვეში თითო ნაწარმოებს მოაწოდებდა (ჩხბე საქმეა, თუ რედაქციის შემდგამი ხელმძღვანელები ამ პირობას ბოლოს აღარ უსრულებდნენ).

ვაჟა-ფშაველას მიიჩვე ცხოვრების შემხედვარეს, მართალია, ველი დღეწყდებდა, როდესაც დღევანდელ მწერლებზე საზოგადოების მზრუნველობას ხედავ, მაგრამ უდავოდ მაშინ ვის აღარ ვეცუოდნენ, გავადევნოთ თვალი მთელ რეპრეზენტ საუბრის მწერლობას, რა ბარბაროსული მეთოდებით სდევნიდნენ, ზღუდვდნენ და ავიწროებდნენ ან სულაც სპობდნენ პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილებს. მაგრამ ეს იყო თვითმპყრობელობის მიერ ხელოვნურად შექმნილი სისტემა თავისი მოხეტიალითა და დამკვიდრებით, ხოლო მოწინავე საზოგადოება კი იმავე დღეში ჰყავდათ, როგორც იყო ვაჟა-ფშაველა. რა შეეძლო საზოგადოებას და მის დაწესებულებებს, როდესაც „საქართველოს ბელბუღად“ აღიარებული ჰქადარა აკაკი შეპყრობილი მიჰყავდათ პოლიციამი, ხოლო დიდ ილიას აგენტები ჰყავდა მაჩენილი, რა მიიჩვე ცხოვრება არგუნეს ე. ნონიშვილს, ალ. ყაზბეგს, ი. ველოშვილს და ვის არა.

მაგრამ ამას ხომ საზოგადოებას ვერ დავდებთ ბრალად.

ქართული მოწინავე საზოგადოება ვაჟა-ფშაველას ყოველთვის სიყვარულითა და პოეტისუცემით ეკიდებოდა და ეგების იმაზე უკეთესს ვერც ვერაფერს გავაოლებდნენ, რომ არწივო თავის საბუღაარში დაეტოვებინათ. ისიც კარგად იცოდნენ, რომ ეს ძნელი იქნებოდა, მაგრამ ასე იყო საჭირო.

წიგნში უკუგვადებთლია აღარინდელ ავტორთა კუბეზლობა და ნათლად ხილს გარკვეული პოეტის იდეურ-პოლიტიკური მრწამსი, ნარკუნება მისი პოზიცია ილიას მოწინააღმდეგე პარტიზნის მიმართ და ეროვნული თავისუფლების საკითხში.

დამაყრებლად არის დასაბუღებული ის/აზარი, რომ ვაჟა-ფშაველა თვითმპყრობელობაზე გამარჯვების იმედს თვით „ჭრეჭრენს“ უკმევე წლებშიც კი არ ჰქარგავდეს მის „ზნეზნე“ პარტიკული შემოქმედებით ისე პარტიკული-განიზაციული საქმიანობით უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა (177, 180).

რეცენზია რომ ბოლომდე თბივეტური იყოს, გვინდა - ორიოდ შენიშვნაც გავუზიაროთ ავტორს:

აფშინას პროტოტიპად („გოგოთურ და აფშინა“ კაწალბეველი გიორგია შინწული (124, 419). ამის დაყრება გვეუბრს, რადგან პოემის პერსონაჟი უსინდისო მისრეველი და ყაბიღობით გამდიდრებული ადამიანი, ხოლო გიორგი კი თანამედროვენი პატროსან მშრომელად და პროგრესულ მთიელად ახასიათებენ. ახალგაზრდობაში იგი მეგობრობდა კიდეც ვაჟა-ფშაველასთან — ისიც იზრბოდა ფშაველების შირაქში ჩასახლებინასათვის და ამ საქმეში მატრიალურადაც თურმე ეხმარებოდა ხელმოკლე პოეტს. ხოლო ამ დროს კი პოემა უკვე დამწერილი იყო და მათი ცხარე ურთიერთ შეტაკებაც გვიან, სიცოცხლის ბოლო წლებში მომხდარა, როდესაც ადგილების („მყავე წყლებსი“) გამო წაყიდებულან. ასეთივე ქართოლოგიური შეუთავებლობის გამო ვერც ამ აზრს გავიზიარებთ, რომ ლექსი „ლომო, შელომის მოკლული“ (153) გიორგის მოკლევით იყოს შექმნილი, რადგან იგი გიორგის სიყვდილამდე ოკლდათი წლით აღრე გამოაქვეყნდა. ზიზანაშვილმა „ივერიამი“.

აკაკის ლექსი — „ვაჟა-ფშაველას“ (189) სრულად არის მოტანილი, ხოლო ვაჟა-ფშაველას პასუხიდან კი ავტორს (თუ რედაქტორს) ტყაუბები ამოუყრა და მათ ადგილზე მრავალწერტილი ზის (?).

ეს მკორე ლექსსებში წიგნის დიდ ღირსებას ვერ ჩრდილავს, იგი კი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაშენია და კარგ დამხარებას გაუწევს მკობზველს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას საქმეში.

დავით ნოგოშვიდი

● რედაქციის მხამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● ტიღუარწიგნები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. კ/მგ მდივნის — 98-55-18, და გამყოფი-ლებების — 98-55-15; 98-55-17. 98-55-20.

გადაცეა ისაწყობად 26. 01. 88 წ. ხელმოწერილი დასაბუღვლად 6. 04. 88 წ. ანაწყობის ზომა 7/4 X 12, ქალაღის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბაბი 16,58.

უე 09273. ტირაჟი 30.000. შევე. 356. საქართვლოს კმ ცუის გამომცემლობის სტამბა.

67/92

8360 80 333.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ